ყოველკვირეული ჟურნალი. გამოდის ოთხშაბათობით

# სარკე

ფასი: 1 ლარი

3-9.IV 2013

№14



„ჩემი პირადი ცხოვრება არ შედგა“

„კარგი გოგო ვარ და კარგი ბიჭის ღირსი ვარ!“ გვ.24

## ნინო მუმლაძეს ცოლიან კაცთან რომანის გამო მაყურებელი აუჯანყდა

გვ.8



ეკა კახიანი: „ნინი და ანასტასია ერთი კვირის შუალედით იმშობიარებენ“

გვ.18



ეკა ბესელია შვილის თვალით

რატი მილორავა: „მშობლების გაშორებამ რთული ხასიათი ჩამომიყალიბა“

გვ.9



„წავიდა ჩემი ბიჭი...“ — ნინამ ყოფილი ქმარი უკანასკნელ გზაზე გააცილა

გვ.38



დიმა ობოლაძე და აჩიკო სოლოღაშვილი ქალურ საიდუმლოებებს ჩასწვდნენ

გვ.30



ნუკი კოშკელიშვილი: „მე და ოთომ დაბრკოლებებს ვერ გავუძელით“

სარკე +



ქართული კულტურის ოქროს ფონდი

2

ცხოვრების ისტორიის დეტალები

მიხეილ ჭიაურელი

5 ლარი

ISSN 1987-9369
9 771987 936002

გულახდილი საუბრები

„ცოლისთვის ყველაფერი გავაკეთე, მაგრამ მაინც მიღალატა“ გვ.12

გვ.42



**იუნა შაფათავა: „ქართველ ცოლებს დიდი საფრთხე ვგონივარ“**

გვ.10



**მკაცრი დიეტა და ახალი ცოლი — რა ცვლილებებით დაბრუნდა შალვა რამიშვილი ეკრანზე**

გვ.45



**სად გრძნობენ თავს უსასრულო ზღაპარში ავთანდილ ცქვიტინიძე და მისი ცოლ-შვილი**

გვ.36



**თაკო ჩარკვიანს მაკიაჟის გაკეთება ნიცაში ასწავლეს**

გვ.22



**მარიამ საჯაია: „პრობლემები მაშინ იწყება, როცა კაცი თავისზე ძლიერ ქალს ვერ ეგუება“**

გვ.31



**ლევან ფაცაცია: „ჩემი დის ქორწილზე ცრემლები წამსკდა“**

გვ.33



**ნინო ცქიტიშვილი: „ქართველი მოდელების პრობლემა კომპლექსები და მუცელია“**

გვ.34



**გია სურამელაშვილი: „შვილიშვილმა საყვარელ ადამიანთან დაშორება გადამატანინა“**

# ნომერში


### მოლოდინები
ეკა კახიანი: „ნინი და ანასტასია ერთი კვირის შუალედით იმშობიარებენ“ 8

### დანაკარგი
„დღეს წავიდა ჩემი ბიჭი...“ — ნინა წკრიალაშვილმა ყოფილი ქმარი უკანასკნელ გზაზე გააცილა 9

### ტელესახე
მკაცრი დიეტა და ახალი ცოლი — რა ცვლილებებით დაბრუნდა შალვა რამიშვილი ეკრანზე 10

### შეძახილი
ვინ არის ნანუკას „ჩიტი“ და სად პოულობს მაია ასათიანი ექსკლუზივებს 11

### გულახდილი საუბრები 12-13

### პოლიტიკა
გია ხუხაშვილი: „მე უფრო ხშირად ვიღებ პრემიერისგან რჩევებს, ვიდრე ის ჩემგან“ 16

### შვილები
რატი მილორავა: „მშობლების გაშორებამ რთული ხასიათი ჩამომიყალიბა“ 18

### სკანდალი
თინა ხიდაშელის, რეზო ამაშუკელის და ლაშა ბერულავას მედიაომი, ანუ ვინ უკეთ დაფრინავს 19

### ახალი სახე
მარიამ საჯაია: „პრობლემები მაშინ იწყება, როცა კაცი თავისზე ძლიერ ქალს ვერ ეგუება“ 22

### გოგონა სერიალიდან
ნინო მუმლაძეს ცოლიან კაცთან რომანის გამო მაყურებელი აუჯანყდა 24

### სამეგობრო
მაშო მელქაძე: „ჩემი გათხოვებით ეკას ტრავმა მივაყენე“ 26

### მოზარდები 28-29

### ეტაპი
ნუკი კოშკელიშვილი შეყვარებულთან განშორებისა და შეწყვეტილი ტელეკარიერის შესახებ 30

### დედმამიშვილები
ლევან ფაცაცია: „ჩემი დის ქორწილზე ცრემლები წამსკდა“ 31

### ახალი ამპლუა
ნინო ცქიტიშვილი: „ქართველი მოდელების პრობლემა კომპლექსები და მუცელია“ 33

### ოჯახური სიხარული
გია სურამელაშვილი: „შვილიშვილმა საყვარელ ადამიანთან დაშორება გადამატანინა“ 34

### სარკის წინ
თაკო ჩარკვიანს მაკიაჟის გაკეთება ნიცაში ასწავლეს 36

### ტანდემი
დიმა ობოლაძე და აჩიკო სოლოღაშვილი ქალურ საიდუმლოებებს ჩასწვდნენ 38

### სკანდალური იმიჯი
იუნა შაფათავა: „ქართველ ცოლებს დიდი საფრთხე ვგონივარ“ 42

### ცხოვრება ჩემოდნებზე
სად გრძნობენ თავს უსასრულო ზღაპარში ავთანდილ ცქვიტინიძე და მისი ცოლ-შვილი 45

### მეგზური
ბალი — მარგალიტი ვულკანებშორის 46

### მხოლოდ ქალებისთვის 50

### დედიკოების სკოლა 51

### ჩემი მშვენიერი ლედი
კახა ახვლედიანი: „ია სუხიტაშვილი ჩემი შეყვარებული იყო, ცოლი — არა“ 52

### სპორტის მიღმა 53

### შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო 54-55

### სახალისო 56-57

### იყავით ჯანმრთელი 58-59

### ადამიანის ინსტიტუტი 62


## საბედისწერო მესიჯები

### ქმარმა ოთხი შვილის დედა მოკლა


■ თეა მეტრეველი

ოთხი შვილის დედის, 35 წლის თეა მეტრეველის მკვლელობის ამბავი ელვისებურად გავრცელდა და ყველას, ვინც შეიტყო, თავზარი დასცა. ახალგაზრდა ქალი ქმარმა, 35 წლის გიორგი ტყავაძემ მოკლა და სამართალდამცავებს თავისი ნებით ჩაბარდა. ეს ტრაგედია 20 მარტს, თბილისში მოხდა.

მკვლელობის მოტივად თავიდანვე ეჭვიანობა დასახელდა. გავრცელებული ინფორმაციით, სამსახურიდან გვიან მოსულმა ქმარმა ცოლის ტელეფონში ღამის საათებში უცხო ნომერზე გაგზავნილი მესიჯი ნახა, რის გამოც მეუღლეებს შორის უსიამოვნება მოხდა. მეორე დღეს თეა ოჯახიდან წავიდა. მას ოჯახის წევრები და სამართალდამცავები თითქმის ერთი თვე ეძებდნენ. მერე გამოჩნდა, ქმართან ისაუბრა და შეხვედრა მეორე დღისთვისაც დათქვეს. გიორგი ცოლს დაჰპირდა, რომ შვილებს აჩვენებდა. ერთმანეთს ვარკეთილის მეტროსთან შეხვდნენ. თეამ სთხოვა, ხალხმრავალ ადგილს მორიდებოდნენ და ისინი აეროპორტის გზას გაუყვნენ. მკვლელობა ორხევის დასახლების მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა...

გ314


### ქალური მოთხრობები
- თინათინ ბონი — „ეიფორია“ (გაგრძელება, დასაწყისი №7-13) 66
- ლელა ცუცქირიძე — „დები“ 68

### კულტურის სიახლეები
- გამარჯვებული მარტისტები გამოვლინდნენ 71
- საქართველოს კომა ახალგაზრდა რეჟისორის ფილმში 71
- ზურაბ ყადაჭკორიამ მაროკოელები გააოცა 71

### წმინდანები
ქრისტესთვის თავდადება მხოლოდ ღირსეულ ქრისტიანებს შეუძლიათ 72

### კითხვები მოძღვარს
„ყველაფერი, რაც ტკივილს გვანიჭებს, უფლის დაშვებითაა“ 73

### გზა ტაძრისაკენ
ტაძარი ქართლში, სადაც ქრისტეს ენაზე წირავენ 74


№14(780) 3 — 9 აპრილი, 2013
ჟურნალი სტამბას დასაბეჭდად გადაეცა 1.04.2013, 21.00 სთ-ზე.



■ ირმა ნადირაშვილი

## 105 თანამშრომლიდან 109 გაუთავისუფლებიათ — ირმა ნადირაშვილი არითმეტიკაში დაიკარგა

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ნაციონალ დეპუტატ ირმა ნადირაშვილს არასწორი ინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს. ნადირაშვილმა პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს მიაწოდა ინფორმაცია საჯარო სამსახურებიდან გათავისუფლებული ადამიანების შესახებ. იქვე განაცხადა, რომ ინფორმაცია თავად სამინისტროებმა და საჯარო უწყებებმა გადასცეს. მისი ცნობით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ 109 თანამშრომელი გაათავისუფლა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში კი ნათქვამია:

„კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ აღნიშნული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს. ირმა ნადირაშვილს რეგიონული განვითარების სამინისტროსთვის საერთოდ არ მოუმართავს მოთხოვნით. 2013 წლის 20 თებერვალს სამინისტროში დეპუტატ ხათუნა გოგორიშვილის წერილი შევიდა, სადაც ის ითხოვდა, მიეწოდებინათ ინფორმაცია 2012 წლის 1 დეკემბრიდან წერილის შემოსვლის დღემდე საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სამსახურებში მიღებულ და სამსახურიდან გათავისუფლებულ პირებთან დაკავშირებით.

ამ წერილის პასუხად, 2013 წლის 26 თებერვალს სამსახურიდან გათავისუფლებულ პირთა შესახებ ინფორმაცია გაეგზავნა. 2012 წლის 1 დეკემბრიდან 2013 წლის 19 თებერვლის ჩათვლით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან მხოლოდ 6 თანამშრომელი გათავისუფლდა. სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებიდან, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან კი ამავე პერიოდში — 13 თანამშრომელი. მარტივი არითმეტიკაა: 6+13=19.

მივმართავთ ირმა ნადირაშვილს, წარმოგვიდგინოს დანარჩენი 90 „გათავისუფლებული“ თანამშრომლის სია და წყარო, საიდანაც მოიპოვა აღნიშნული ინფორმაცია. აქვე, ქალბატონ ნადირაშვილს ვაცნობებთ, რომ მთლიანად სამინისტროში დასაქმებულია 105 ადამიანი, მისი თქმით კი, 109 გაგვითავისუფლებია“.

## სოსო პავლიაშვილის გვარი შეკვეთილ მკვლელობაში ამოტივტივდა



■ სოსო პავლიაშვილი

რუსეთში მცხოვრები ქართველი მომღერლის, სოსო პავლიაშვილის მიმართ გამოძიებას კითხვები აქვს. საქმე 2012 წლის 24 ნოემბერს მომხდარ მკვლელობას ეხება. ბიზნესმენი ავთო ადუაშვილი საკუთარ მანქანაში ჩაცხრილული იპოვეს. მალე სამართალდამცავებმა მკვლელობაში ბრალდებული 6 პირი დააკავეს, მათ შორის სოსო პავლიაშვილის სიძე ვახტანგ ჩხაპელია.

შეკვეთილი მკვლელობის საქმეზე ბრალდებული 6 პირის სასამართლო სხდომა თბილისის საქალაქო სასამართლოში უკვე გაიმართა. ადვოკატების ინფორმაციით, დაკავებულები ბრალს არ აღიარებენ.

მოკლული ავთო ადუაშვილი სოსო პავლიაშვილის ბავშვობის მეგობარი იყო. მკვლელობიდან რამდენიმე დღეში მომღერალმა პრესაში განაცხადა, რომ მომხდარით თავზარდაცემული იყო. მისი სახელის შეკვეთილ მკვლელობასთან დაკავშირებას კი მის წინააღმდეგ ბინძური კამპანიის ნაწილად მიიჩნევს. მომღერლის სიძის, ვახტანგ ჩხაპელიას ადვოკატიც აღიარებს, რომ დაკითხვის დროს პავლიაშვილის გვარმა გაიჟღერა, მაგრამ არ ადასტურებს, რომ ის დამკვეთად დასახელდა.

საქმის განხილვა 12 აპრილს განახლდება.

## ნაციონალებმა თბილისში ძალაუფლება 90 დღით შეინარჩუნეს

თბილისის საკრებულოს დეპუტატებმა საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილის თანამდებობიდან გადადგომას კენჭი უყარეს. სამადაშვილი ირწმუნება, რომ გადაწყვეტილება თავად მიიღო და ეს საკრებულოს წევრებზე ზეწოლის ფაქტებს უკავშირდება.

— ვინც მე მიცნობს, ყველამ იცის ჩემი დამოკიდებულება თანამდებობებისა და სტატუსების მიმართ. არც ერთი ჩემი კოლეგის არათუ ტანჯვა-წამება, არამედ უბრალო სტრესადაც კი არ მიღირს ჩემი თანამდებობა, არანაირი სკამი. ამიტომაც გადავწყვიტე, რომ კენჭისყრაზე დამეყენებინა საკითხი ჩემი თანამდებობაზე დარჩენის თაობაზე, — განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარემ.

კენჭისყრა შედგა, მაგრამ საკრებულოს თავმჯდომარე ადგილზე დარჩა. თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის, ზაზა გაბუნიას განცხადებით, ამ გადაწყვეტილებით ნაციონალებმა გიგი უგულავას დაკვეთა შეასრულეს, რადგან თავმჯდომარის გადაყენების საკითხი 90 დღის განმავლობაში ველარ დადგება.

— გადაწყვეტილების მიზანი იყო არა ვინმეს გადაყენება, არამედ 90 დღის განმავლობაში ძალაუფლების უბადრუკად, სამარცხვინოდ შენარჩუნება. ამ გადაწყვეტილების მიზანი იყო არა პოლიტიკური მოტივაცია, არამედ პანიკური შიში, რომ ხალხის დაკვეთის შესაბამისად დაკარგავდნენ ძალაუფლებას. ჩვენ ეს ყველაფერი დავინახეთ. ამით მათ იყიდეს 90 დღიანი უბადრუკი დოკუმენტი, სახელად ინდულგენცია და პოლიტიკურ სანატორიუმში წავიდნენ დასასვენებლად, — აცხადებს გაბუნია.

## პენსიები და სოციალური დახმარება გაიზარდა

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დახმარების სამინისტროს ინფორმაციით, თუ 2011 წელს სოციალური დაცვისა და საპენსიო უზრუნველყოფისთვის გამოყოფილი იყო 1.281.301 ლარი, 2012 წელს — 1.379.602 ლარი, 2013 წლის ბიუჯეტში 1.654.722 ლარია გამოყოფილი.

დაგეგმილია გარკვეულ კატეგორიაზე პენსიების მატებაც. 67 წლამდე ასაკის მოქალაქეთა პენსია 110-დან 125 ლარამდე უკვე გაიზარდა, I ჯგუფის ინვალიდების პენსიაც 125 ლარი იქნება — აქამდე 100 ლარს იღებდნენ.

2013 წლის 1 ივლისიდან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისთვის (57 ათას ქულამდე) ოჯახის პირველ წევრზე 30 ლარის ნაცვლად გაიცემა 60 ლარი, ოჯახის ყოველ მომდევნო წევრზე არსებული 24 ლარის ნაცვლად გაიცემა 48 ლარი.

2013 წლის 1 სექტემბრიდან ყველა პენსიონერისა და პირველი ჯგუფის ინვალიდის პენსია 125 ლარიდან გაიზრდება 150 ლარამდე.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა და II ჯგუფის ინვალიდობის პენსია 70 ლარის ნაცვლად 100 ლარი გახდება; მარჩენალდაკარგულების და პოლიტრეპრესირებულების პენსია 55 ლარიდან 100 ლარამდე გაიზრდება.

2013 წლის 1 აპრილიდან ძალოვანი პენსიონერებისა და სამოქალაქო ავიაციის მომსახურეთა სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა გადაანგარიშდება, რისთვისაც ბიუჯეტში 19 მილიონი ლარია გათვალისწინებული.

სარკე
ჟურნალი გამოდის 1998 წლის 23 იანვრიდან

დამფუძნებელი — შპს „სარკე“
მთავარი რედაქტორი — მედეა სანაია
კომერც. დირექტორი — ვაჟა შენგელია

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება 14 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატიის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება. „სარკეში“ გამოქვეყნებული ნახეჭდი და ფოტომასალის გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია.

მთავარი რედაქტორის მოადგილეები — ირინე მჭედლიძე, ირმა გოგინაძე, ავთო ჩიტიძე.

პოლიტიკა — მანანა გეგია. საზოგადოება, სამართალი, შოუბიზნესი — ირინე მჭედლიძე, რუსუდან ადვაძე, ლანა კიკნაძე, სოფიო ბოჭორიძე, მანანა ნოდია, ავთო ჩიტიძე, ქეთი დინოშვილი, ეკა ლემონჯავა, თათია ბოჭორიძე. მედიცინა — აზა გაგოშიძე, ნათია ტოტიკაშვილი. ფოტო — ქეთი ყორიმლიშვილი. მხატვარი — ქეთი ხარატიშვილი.
კომპიუტერული მომსახურება: დაკაბადონება — ირმა გოგინაძე, ნონა კანდელაკი. ოპერატორი — მარინა ქლენტი, მაია ფიფია. კორექტურა — ლანა გაბუნია, მაია ფიფია.
სარეკლამო სამსახური — მამუკა ბარბაქაძე; 599 975-699; e-mail: mgb7@mail.ru
მდივანი — იზა ბარბაქაძე.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.№50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 296-75-43. ფაქსი: 296-75-43.
ელ.ფოსტა: SARKE@MAIL.RU ვებგვერდი: SANA.GE



Cyan Magenta Yellow Black



■ ხათუნა ბერძენიშვილი

## ტელეჟურნალისტს ნაციონალებმა ამაგი დაუფასეს

კრწანისის გამგებლად ხათუნა ბერძენიშვილი დაინიშნა — საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურის ყოფილი უფროსი, რომელიც დაახლოებით ერთი თვის წინ სამსახურიდან სკანდალით წამოვიდა. ის ირწმუნებოდა, რომ არხის გენერალურმა დირექტორმა, გიორგი ბარათაშვილმა, საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობიდან პოლიტიკური ზეწოლით გაათავისუფლა, კერძოდ, იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის დიპლომთან დაკავშირებული სიუჟეტის გამო. ცნობისათვის, გიორგი ბარათაშვილი სწორედ ბერძენიშვილის განცხადებებს გაადაყოლეს. საზოგადოებრივი მაუწყებლობის სამეურვეო საბჭომ ის თანამდებობიდან გაათავისუფლა. ბერძენიშვილს კი თავგამოდება დაუფასდა — თბილისის მერმა გიგი უგულავამ მას კრწანისის რაიონი ჩააბარა.

## სახალხო დამცველი პარლამენტს ლაფანყურის ოპერაციის გამოძიებას სთხოვს



■ უჩა ნანუაშვილი

2012 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის ანგარიში უჩა ნანუაშვილმა პარლამენტს უკვე წარუდგინა. ანგარიში ასახავს ადამიანის უფლებათა მდგომარეობას ზოგადად ქვეყანაში. სახალხო დამცველის შეფასებით, არჩევნების შემდეგ არაერთ სფეროში ადამიანის უფლებების დაცვა სერიოზულად გაუმჯობესდა:

— გასული წელი იყო ძალიან მნიშვნელოვანი, რამდენადაც, პირველად დამოუკიდებლობის შემდეგ ხელისუფლება შეიცვალა არაძალადობრივად, არჩევნების გზით. ანგარიშში არის შესული ყველა ის მნიშვნელოვანი მოვლენა, რაც გასულ წელს მოხდა. რა თქმა უნდა, ჩვენ შევეხეთ და ანგარიშში დეტალურადაა მოცემული ციხის ცნობილი კადრები, წამების, არაჰუმანური მოპყრობის ფაქტები, რომელსაც სისტემატური ხასიათი ჰქონდა. გასულ წელს სასჯელაღსრულების სისტემაში გარდაიცვალა 67 პატიმარი, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. მათი დიდი ნაწილი სწორედ ციხის სკანდალამდე გარდაიცვალა, — განაცხადა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე ნანუაშვილმა.

ომბუდსმენმა ასევე შეისწავლა სოფელ ლაფანყურთან 2012 წლის აგვისტოს ბოლოს განვითარებული მოვლენები და განაცხადა, რომ შესაძლოა, სერიოზული სისხლის სამართლებრივი დანაშაულის ნიშნები ივვეთებოდეს. ნანუაშვილი მიმართავს საქართველოს პარლამენტს, დროებითი საგამოძიებო კომისია შეიქმნას ზემოხსენებული ფაქტების შესწავლის მიზნით.

## პოლიციელების მიერ მოქალაქეების შეურაცხყოფის ფაქტები გახშირდა

ბათუმში მომხდარ ინციდენტს, როცა აჭარის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროს ვალერი თელიას, რომელიც „ლენდ კრუიზერით" მოძრაობდა, შელაპარაკება მოუვიდა „მერსედესის" მძღოლთან — საია-ს თანამშრომელ როინ ფარტენაძესთან, დიდი რეზონანსი მოჰყვა და მასმედიაში განხილვის საგნად იქცა.

ფაქტს სახალხო დამცველი გამოეხმაურა და სპეციალური მიმართვაც გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ ომბუდსმენის აპარატში გახშირდა განცხადებები, სადაც მოქალაქეები შსს-ს თანამშრომელთა მხრიდან ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფაზე ჩივიან.

— საქართველოს სახალხო დამცველი მიმართავს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, დაიწყოს აღნიშნული ფაქტის შესწავლა... აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში გახშირდა მომართვიანობა, რომელშიც მოქალაქეები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა რანგის თანამშრომელთა მხრიდან მათ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფაზე მიუთითებენ. ჩვენს ხელთ არსებულ არაერთ ფაქტზე საქართველოს სახალხო დამცველმა ინფორმაცია მიაწოდა შესაბამის ორგანოებს. აუცილებელია, თითოეულ მსგავს შემთხვევას მოჰყვეს მკაცრი და ადეკვატური რეაგირება, რათა დარღვევებს სისტემატური ხასიათი არ მიეცეს, — ნათქვამია განცხადებაში.

რაც შეეხება ბათუმის ინციდენტს, შემთხვევის დროს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თანამშრომლის მანქანაში მჯდომი გიორგი ხიმშიაშვილი ყვება:

— მოვდიოდით მანქანით, რა დროსაც მთელი სისწრაფით მიმავალმა ჯიპის მარკის ავტომობილმა ჩაგვიქროლა, რასაც მოჰყვა ძლიერი სიგნალი და მძღოლის მხრიდან შეურაცხმყოფელი სიტყვები: „შენ, ბიჭო, იცი, რა მოგივა? ვის ელაპარაკები, არ იცი? სამხარეოს უფროსი ვარ და აწი რა მოგივა, შენ თავს დააბრალე!" და შემდეგ ჩვენი მისამართით სიგარეტის ნამწვი ისროლა.

ვალერი თელია ბრალდებას უარყოფს და ირწმუნება, რომ ის თავის გზაზე მიდიოდა, როცა ვიღაცამ გზა გადაუჭრა, მანქანიდან გადმოხტნენ და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.

შსს-მ სათვალთვალო ვიდეოკამერის ჩანაწერი გაავრცელა, სადაც ჩანს, თუ როგორ დაარღვია „მერსედესმა" მოძრაობის წესები და „ტოიოტას" მარკის ავტომანქანას, რომელსაც ვალერი თელია მართავდა, ავარიული სიტუაცია შეუქმნა. სათვალთვალო ვიდეოკამერით გადაღებულ კადრებში ასევე ჩანს, რომ აჭარის შს მთავარი სამმართველოს უფროსს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრებისთვის ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებია.

აღნიშნული ინციდენტი ერთ-ერთი კომპანიის ვიდეოკამერამაც დააფიქსირა. კომპანიის დირექტორ საბირ ნურიევის განცხადებით, მათთან რამდენიმე პირი მივიდა. ისინი შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებად გაეცნენ და სთხოვეს, კამერის მიერ გადაღებული მასალა ეჩვენებინათ. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ ვიდეოკამერის მიერ გადაღებულ მასალაში აღარ არსებობს დროის ის მონაკვეთი, როცა ინციდენტი მოხდა. კომპანიის დირექტორი ირწმუნება, რომ შსს-მ ვიდეომასალა წაშალა.

## კრიმინალური ქრონიკა

### გაზგასამართი სადგურიდან ყაჩაღებმა 4000 ლარი გაიტაცეს

1984 წელს დაბადებული ჯაშარ კ, 1981 წელს დაბადებული მალხაზ ს, 1990 წელს დაბადებული სალიბეგ გ. და 1976 წელს დაბადებული ედუარდ ნ. ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს. ავტომატით, პისტოლეტებითა და დანებით შეიარაღებული სამი ნიღბიანი პირი მარნეულის შესასვლელში მდებარე გაზგასამართ სადგურში შეიჭრა, სადაც ორი ოპერატორი იმყოფებოდა. ბოროტმოქმედებმა 4.000 ლარზე მეტი თანხა გაიტაცეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად სამართალდამცავებმა თავდამსხმელების თანამზრახველი, ტაქსის მძღოლი ედუარდ ნ. ცხელ კვალზე, შემთხვევიდან ერთ საათში დააკავეს გაზგასამართი სადგურიდან 2 კილომეტრში, ხოლო სამივე ბოროტმოქმედი მარნეულთან ახლოს, საავტომობილო მაგისტრალზე აიყვანეს.

დაკავებულთა პირადი ჩხრეკისას სამართალდამცავებმა ამოიღეს აკაესის ტიპის ავტომატური იარაღი 29 ვაზნით, ბარაბნიანი პისტოლეტი 4 ვაზნით, პისტოლეტი ერთი მჭიდით, დანები, ფული და ნიღბები. „ოპელის" მარკის ავტომობილიდან, რომელიც თავდამსხმელებმა გადაადგილებისთვის გამოიყენეს, ამოღებულია ერგედე-ს ტიპის ხელყუმბარა.

დაკავებულებს 5-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

### ბათუმში თურქეთის მოქალაქე უზბეკ ქალს პროსტიტუციას აიძულებდა

თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ჰამზა ბ. ტრეფიკინგის ფაქტზე დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ის ბათუმში დროებით მყოფ უზბეკეთის მოქალაქე მადინა ე-ს 2000 აშშ დოლარის სანაცვლოდ თურქეთში არალეგალურად გადაყვანას შეჰპირდა. ჰამზა ბ-მ მას პასპორტი გამოართვა, რითაც თავისუფლად გადაადგილების უფლება შეუზღუდა.

ჰამზა ბ-მ მოტყუების, შანტაჟისა და იძულების გზით, მადინა ე. პროსტიტუციაში ჩააბა და რამდენიმე კვირის განმავლობაში სექსუალურ ექსპლუატაციას უწევდა. მიჰყავდა ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილზე მდებარე დისკო-კლუბში, სადაც თურქ მამაკაცებს ახვედრებდა. პროსტიტუციის გზით გამომუშავებულ ფულს კი ითვისებდა.

2013 წლის 21 იანვარს ჰამზა ბ-მ ერთ-ერთ სასტუმროში, მადინა ე-სთვის პასპორტის დაბრუნების სანაცვლოდ, მის მეგობარ მამაკაცს გარკვეული თანხა გამოართვა.

გამოძიება სსკ-ის 143-ე პრიმა მუხლის მე-3 ნაწილის „დ" ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც 12-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

Apifito PHARM

# ბალზამი პრომიოდი

100% ნატურალური პროდუქტი !

როცა
თვით
ბუნება კურნავს...



## ბალზამი „პრომიოდი“ – ბუნების მიერ ნაჩუქარი ჯანმრთელობა!

ლეგენდებით მოცული კარპატის მთები, რომელსაც უმღერიან ხალხურ გადმოცემებში, განთქმულია არამხოლოდ მიწისქვეშა განძეულით. ჩვენ არც კი ვფიქრობთ იმაზე, თუ როგორი საოცარი იდუმალი ძალაა ჩამალული მთის უმდიდრეს ფლორასა და ფაუნაში. კარპატის მთების დიდებული ბუნება ამოუწურავი სასიცოცხლო ენერგიის და ნამდვილი ჯანმრთელობის წყაროა, რომელსაც ასე ხშირად უსურვებდნენ ერთმანეთს საბჭოური დროის მისალოც ბარათებში.

ჩვენ სხვა ეპოქაში ვცხოვრობთ, სხვა ქვეყანაში. მაგრამ ერთი კი უცვლელი დარჩა – ძლიერი ჯანმრთელობის სურვილი თქვენთვის და თქვენი ახლობლებისთვის. და ამისათვის სულაც არ არის საჭირო გაემგზავროთ კარპატებში. მთების მკურნალი ძალა ინახება ჯადოსნურ ბალზამში „პრომიოდი“. იგი 100%-იანი ბუნებრივი პროდუქტია.

ბალზამის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ თითოეული მისი შემადგენელი კომპონენტი მრავალფუნქციურია თავისთავად.

მის შემადგენლობაში შედის: თაფლი, პროპოლისი, კედრის ზეთი, გოგრის თესლის ზეთი, ქაცვის ზეთი, ფუტკრის ცვილი. პრაქტიკულად ნებისმიერ მათგანს ხალხში უწოდებენ „ურალის ოქროს ფესვს“.

მხედველობაში აქვთ სამკურნალო თვისებათა უნივერსალობა. ხოლო ერთ ბალზამად შეკრული, დაპატენტებულიტექნოლოგიით ურთულესი დამუშავების გავლისშემდეგ, ისინი იძლევიან კუმულაციურეფექტს და წარმოადგენენ უზარმაზარ ძალას, რომელიც გამაოგნებელ შედეგებს იძლევა და

ალადგენს ჩვენს ორგანიზმს.

ხანმოკლე დროის მანძილზე „პრომიოდი“ უკვე დაეხმარა ათასობით ადამიანს თავიანთ




დაავადებებთან გამკლავებაში. მისი გამოყენების შედეგები შესამჩნევი უკვე პირველსავე დღეებში, შეინიშნება ჯანმრთელობის მდგომარეობი აშკარა გაუმჯობესება, განსაკუთრებით დაავადებათა მწვავე ფორმები დროს.

ბალზამი „პრომიოდი“ ხელ ს უწყობს სისხლი კაპილარების გაფართოებას და ავსებას, რაც აძლიერებ ვენოზურ გადიდებას, აუმჯობესებს სისხლი მიკროცირკულაციას და შველის ორგანიზმს გულ სისხლძარღვთა დაავადებების დროს, როგორიცაა იშემი არითმია, სტენოკარდია, ასევე არტერიული წნევი ხტომების დროს. იმ ადამიანებისთვის, რომელთაც ამინდის ცვლილებებზე დამოკიდებულება აწუხებთ, ე შეუცვლელი საშუალებაა. ბალზამი ხსნის თავი ტკივილს, ასტაბილირებს წნევას, შველის სახსრებშ ტეხვისას, და მაშასადამე, საყრდენ-სამოძრაო აპარატი მრავლობითი დაავადებების დროს (ართრიტი, ართროზ რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, რევმატიზმი, ნევრიტ მალებშორისი თიაქარი, ქუსლის დეზი და ა.შ.). გარდ ამისა, „პრომიოდი“ არბილებს სისხლძარღვთა კედლებ ხდის მათ უფრო ელასტიურს, და ამცირებს თავი ქალის შიდა წნევას. „პრომიოდი“ ხელს უწყობს ორგანიზმის აღდგენას ტრავმების შემდეგ, მათ შორის თავის ტრამვის, ინსულტების, ინფარქტების შემდეგ.

Apifito PHARM

# ზეთი ჟივიცა

100% ნატურალური პროდუქტი!

## ზეთი „ჟივიცა“ – ბუნების მიერ ნაჩუქარი ჯანმრთელობა!

გვსურს გაგაცნოთ ორგანიზმის გაწმენდა-გაჯანსაღების უნიკალური სრულყოფილი სისტემა, სახელწოდებით „ციმბირული განწმენდა“, რომელიც სათავეს იღებს ჯანსაღი სულის მქონე რუსული ტაიგიდან. სისტემა საუკუნეების მანძილზე შემოწმებულია ციმბირის ტაიგის მცხოვრებთა მიერ, რომლებიც ყოველთვის სახელგანთქმულნი იყვნენ თავიანთი დევგმირული ჯანღონით. დღეს ლეგენდარული „ციმბირული ჯანმრთელობა“ ხელმისაწვდომია ნებისმიერისათვის, ვისაც სურს აღადგინოს და გაიკაჟოს ორგანიზმი, გაიხანგრძლივოს ახალგაზრდობა და ზრუნავს საკუთარ თავზე და თავის ახლობლებზე. „ციმბირული განწმენდა“ მეტად მარტივია, მისი ჩატარება არ ახდენს სტრესულ გავლენას ორგანიზმზე, თუმცა რბილად და ქმედითად რთავს წმენდა-გაჯანსაღების პროცესს უჯრედულ დონეზე. შედეგი არის ორგანიზმის თითოეული უჯრედის გენეტიკური ჯანმრთელობის აღდგენა. გამოყენების დასაწყისშივე აღინიშნება მწვავე სიმპტომებისა და ტკივილის გაქრობა. „ჟივიცას“ შემადგენლობაში, კედარის ფისით გამდიდრებული კედარის ზეთის გარდა, შედის დინდგელი და ქაცვის ზეთი. „ჟივიცა პლუსის“ თითოეული მდგენელი თავისთავად მარგებლად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, და ამასთან ერთად ჰარმონიულად შერჩეულ სხვა კომპონენტთან ერთად აძლიერებს (ან, როგორც ექიმები იტყვიან, პოტენცირებს) მის მოქმედებას. ამ კომპონეტთა მარგებელი თვისებების მხოლოდ ჩამოთვლა დაიკავებდა მთელ საგაზეთო გვერდს. მათ საფუძველზე შექმნილ ზეთს შეიძლება უნივერსალური ეწოდოს ადამიანის ორგანიზმზე თერაპიული ზემოქმედების კუთხით. „ჟივიცა“ ღირებულ დახმარებას უწევს დასუსტებულ გულის კუნთს - მისი გამოყენება მიზანშეწონილია როგორც პროფილაქტიკის საშუალება გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისას, ასევე კომპლექსური თერაპიისას არითმიის, იშემიის, ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიის დროს. ზეთი ამცირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს, აღადგენს კაპილარების ელასტიკურობას, რომლებზეც დამოკიდებულია ორგანოებისა და ქსოვილების სიღრმისეული სისხლით მომარაგება. შედეგად უმჯობესდება სისხლის მიკროცირკულაცია მთელ ორგანიზმში, მცირდება ინფარქტებისადა ინსულტების რისკი, მსუბუქდება მდგომარეობა ვარიკოზებისა და თრომბოფლებიტების დროს. წარმატებით გამოიყენება აგრეთვე ანემიისას, ღვიძლის, თირკმლების, კუჭქვეშა ჯირკვლის დაავადებების დროს. ზეთის ერთჯერადი გამოყენება გვაშორებს გულძმარვის მსუბუქ ფორმას, მუდმივი - კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულს.




„ჟივიცას“ სამიზნეა დისბაქტერიოზი, ქრონიკული კოლიტი, პანკრეატიტი, ჰეპატიტი, შარდკენჭოვანი დაავადება, ცისტიტი, ბუასილი. „ჟივიცას“ გააჩნია ანთების საწინააღმდეგო, სიმსივნის საწინააღმდეგო, ანტიმიკრობული თვისებები და ნაჩვენებია მიკოზების (სოკოვანი დაავადებების), ჰერპესის, დერმატიტების, ფსორიაზის, ნეიროდერმიტის, ეგზემის, დამწვრობების, ჭრილობების, მოყინვის მკურნალობისას. საშუალების ადგილობრივი გამოყენება უზრუნველყოფს ტკივილგამაყუჩებელ ეფექტს, და ამიტომ ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს „ჟივიცა“ ასევე საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის აღმოფხვრისას, ქუსლის დეზით დაწყებული და ართროზებით, ართრიტებით, რადიკულიტითა და ხერხემლის თიაქარით დამთავრებული. „ჟივიცა“ ახდენს ზოგადგამაკაჟებელ მოქმედებას, აწესრიგებს წნევას, ამცირებს მეტეოდამოკიდებულებას, შესაძლებელია მხედველობის გაუმჯობესება, მათ შორის გლაუკომის დროს. მიღებულია კარგი შედეგები ბალზამის ჩართვისას ენდოკრინული დაავადებების, მათ შორის ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიისა და შაქრიანი დიაბეტის კომპლექსურ თერაპიაში. ზეთი აწესრიგებს რეპროდუქციული სისტემის მუშაობას. მამაკაცებმა უნდა გამოსცადონ მისი მარგებელი ძალა პროსტატიტის, ადენომის, პოტენციის დაქვეითების დროს. პრეპარატები უძველესი რეცეპტების საფუძველზე უმჯობესდებოდა, და არც ერთ მათგანს არ დაუკარგავს პოპულარობა ექიმებს, მკურნალებსა და ავადმყოფებს შორის. აი „ჟივიცაც“ ათწლეულზე ნაკლებ ხანში იქცა ლეგენდად, ათასობით ადამიანს დაეხმარა სნეულების დაძლევასა და ახალგაზრდობის გახანგრძლივებაში.



Cyan Magenta Yellow Black

დიდი მადლობა "ჟივიცას" ზეთისათვის, ბალზამ "პრომიოდისთვის" რომელიც უბრუნებს ჯანმრთელობას დედაჩემს. იგი 84 წლისაა, აქვს ბევრი დაავადება. ყველაზე დიდი პრობლემა იყო ვენების ვარიკოზული გაგანიერება და სველი ეგზემა ფეხებზე. ფეხები ჰქონდა გალურჯებული, წყლულები ძალიან ცუდად უხორცდებოდა. გარდა ამისა, აწუხებდა ბუასილი და ხშირი ყაბზობა. მან უკვე მიიღო 3 ქილა "ჟივიცას" ზეთი, სვამდა და ისვამდა ფეხებზე. ერთ თვეში დედამ იგრძნო შვება, ბუასილი მოურჩა, წყლულები შეუხორცდა, კანი უფრო ღია ფერის გაუხდა, კუჭის მოქმედება მოუწესრიგდა, საერთო მდგომარეობა უკეთესია. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა!

ლობჟანიძე თამარის შვილი. ქ. თბილისი

ასაკოვანი კაცი ვარ და მაწუხებდა პროსტატიტი. ოპერაციაზე უარი ვთქვი. ვწვალობდი, ხშირად ვდგებოდი ღამით. თანაც მაქვს სახსრების ართროზი, მოძრაობის დროს ძლიერ მტკიოდა მუხლები. მქონდა პრობლემები საჭმლის მომნელებელ ტრაქტზე, ძლიერი ყაბზობა. დავიწყე "ჟივიცას" ზეთის და ბალზამ "პრომიოდის" მიღება. პროსტატიტი გაცილებითნაკლებად მაწუხებს, ღამე კარგად მძინავს და აღარ ვდგები. გამიქრა სახსრების შესიება და ძლიერი ტკივილი. კარგად მუშაობს კუჭ-ნაწლავი. გამოვიყენე ზეთის 3 კურსი და გავაგრძელებ მის მიღებას. მადლობა!



სიჭინავა გიორგი. 58წ. ქ. თბილისი

მაქვს თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული. მუდმივად მაწუხებდა ღამის და „მშიერი" ტკივილი, რომლის დროსაც უნდა რამე მეჭამა ამ ჯოჯოხეთური ტანჯვის შესამსუბუქებლად. ერთ-ერთი ხშირი სიმპტომი, რაც მაწუხებდა, იყო გულმმარვა, რომელიც ჩვეულებრივ მეწყებოდა ჭამიდან 2-3 საათში, გულისრევა, ღებინება, „მჟავე" ბოყინი, მეკრუულობა. 80-იან წლებში მოვახერხე ამ წყლულის მოშუშება მაჩვის ქონის მეშვეობით, თუმცა საპენსიო ასაკთან მიახლოებისას წყლული კვლავ გამეხსნა და ისევ ტკივილს მაყენებდა. წამლები, რომლებსაც ვიღებდი, არ მაძლევდა შედეგს და მხოლოდ ამძიმებდა ჩემს მდგომარეობას. „ჟივიცას" ზეთის და ბალზამ "პრომიოდის" მდიდარმა შემადგენლობამ წარმოუდგენელი მოქმედება მოახდინა ჩემს სნეულებაზე. ახლა ვჭამ ბევრ პროდუქტს, რომლებიც ადრე მქონდა მკაცრად აკრძალული, არ მაწუხებს ტკივილები მუცლის ღრუს არეში, ვცხოვრობ სავსე ცხოვრებით და არ ვფიქრობ ავადმყოფობაზე!

მაისურაძე მარინა. 50 ქ.თბილისი.

მინდა მოგიყვეთ შედეგებზე, რომლებიც მივიღე „ჟივიცას" ზეთის და ბალზამი "პრომიოდის" მიღების შემდეგ. დავლიე რა ზეთის მხოლოდ ერთი კურსი, ვიგრძენი შვება ფეხებში. მე-6 სართულზე ავდიოდი შეუსვენებლად. გამიარა სახსრების ტკივილმა, აღარ მაქვს შებოჭილობა. „ჟივიცას" წასმის შემდეგ გამიარა წელის ტკივილმა, აღარ მაწუხებს ზურგის კუნთების სისუსტე. დამიცხრა ტკივილი გულში, გულისცემა აღარ არის ისეთი აჩქარებული. გამიუმჯობესდა ძილი. გავხდი უფრო მხნე და აქტიური. ზოგადი მდგომარეობასაგრძნობლადდასტაბილურდა. გავაგრძელებ მიღებას პროფილაქტიკის მიზნით. პროდუქციით მეტად კმაყოფილი ვარ. დიდი მადლობა თქვენ!

გიორგაძე გიორგი. 65წ. თბილისი.

წლობით მაწუხებდა გული, მომივიდა 2 ინფარქტი, მაქვს ინვალიდობის II ჯგუფი გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებზე. მქონდა არითმია, ქოშინი, მაღალი წნევა. ვსვამდი უამრავ წამალს. ორი თვის წინ გაზეთში წავიკითხე "ჟივიცას"და "პრომიოდის" შესახებ. ეს თითქოს ჩემთვის იყო შექმნილი. იმის შემდეგ ვიღებ ამ ზეთს. მომიწესრიგდა წნევა, ამეწყო საჭმლის მონელება, მომივიდა ძალა და ენერგია. შედეგები მეტად მახარებს.

მარინე კოკოძე. 63 წ. ქ. ქუთაისი



გადატანილი მაქვს სამი ინფარქტი, მაწუხებდა სტენოკარდია, გულის იშემიური დაავადება. აღმართშიცვერ ავდიოდი, სტენოკარდია მახრჩობდა, ძალიან ცუდი მდგომარეობა მქონდა - და ეს ყველაფერი ნერვების გამო, მე ხომ ცოლი დავასაფლავე. ახლა კი გაცილებით უკეთ ვგრძნობ თავს „ჟივიცას" ზეთის და ბალზამ "პრომიოდის"წყალობით. შემიძლია მშვიდად აღმართზე ავიდე კი არა, ფეხითაც გავისეირნო დიდ მანძილზე. გული აღარ მაწუხებს, აღარც სტენოკარდია მახრჩობს, ქოშინმაც გამიარა. ძალიან კმაყოფილი ვარ, ამიტომაც ისევ მოგაკითხეთ. დიდი მადლობა!

გიორგაძე გიორგი. 65წ. თბილისი.



გამარჯობა, ჩემო გადამრჩენელებო! "ჟივიცას" ზეთის და მალზამ "პრომიოდის" წყალობით მოვიშორე ფსორიაზი და პოლიართრიტი. ხელის თითები გასიებული მქონდა, მტანჯავდა ძლიერი ტკივილები. ვისვამდი მალამოებს, ვიკეთებდი საფენებს, მაგრამ დიდად არ მშველოდა. "ჟივიცას" ზეთის მიღებით დამიამდა ტკივილები და ნელ-ნელა გამიარა ფსორიაზმა. ზეთს ვიღებ რეგულარულად და მხნედ ვგრძნობ თავს, არაფერი მაწუხებს. დიდი მადლობა თქვენ! ანთაძე ლია 74წ. ქ. ბათუმი

## „პრომიოდი"-ს გამოფენა-გაყიდვა, აგრეთვე დაწვრილებითი კონსულტაცია მისი გამოყენების შესახებ გაიმართება შემდეგ მისამართებზე:

**თბილისი**

**3, 4, 6, 7, 8, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22 აპრილი.** მის.: ბახტრიონის 22. 15.00-17.00 სთ.

ვარკეთილი – 3,2 მ/რ, სუხიშვილის ქუჩის ბოლოს, სესილია თაყაიშვილის 1. 167 მარშრუტკის ბოლო გაჩერება, „ავერსის" აფთიაქის თავზე. ყოველდღე, 10.00-20.00 სთ.

**6, 20 აპრილი, თელავი.** მის.: 26 მაისის ქ. 5. ჭადრაკის სახლი. 11.00-12.00 სთ.

**7, 21 აპრილი, რუსთავი.** მის.: შარტავას 13 მიმდ. ტერ. „ბაო", 12.00-13.00 სთ.

**8, 22 აპრილი, მარნეული.** მის.: შ. რუსთაველის 24. „თეთრი სახლი". 12.00-13.00 სთ.

**9, 23 აპრილი, ბათუმი.** მის.: ზუბალაშვილების 18. სასტუმრო „თიკო". 11.00-12.00 სთ.

**ფოთი.** მის. 9 აპრილის 10. „ბალუ". 14.00-15.00 სთ.

**ზუგდიდი.** მის. გამსახურდიას 26. „ატრიუმი". 17.00-18.00 სთ.

**10, 24 აპრილი, ქუთაისი.** მის.: კოსტავას 25. სასტუმრო „ლია". 11.00-12.00 სთ.

**გორი.** მის.: სტალინის გამზ.26. სასტუმრო ჯორჯია. 16.00-17.00 სთ.

**11, 25 აპრილი, ახალციხე.** მის.: კოსტავას 4/24. ბარი „სტუმრად ნუკისთან". 12.00-13.00 სთ.

**ბორჯომი.** მის.: რუსთაველის 101. სასტუმრო „ოლიმპი". 14.00-15.00 სთ.

**ხაშური.** მის.: კოსტავას 6. აფთიაქი. 16.00-17.00 სთ.

ბალზამი "პრომიოდი" ერთი შეფუთვის ფასი: 32.80 ლარი
ინვალიდებისა და პენსიონერებისათვის: 29.80 ლარი
ადგილზე მიტანით ქ. თბილიში (ფასდაკლება არ მოქმედებს)
მინიმალური შეკვეთა - 2 შეფუთვა
არ წარმოადგენს მედიკამენტს.
მიღებამდე გაიარეთ ექიმის კონსულტაცია.
საქონელი სერტიფიცირებულია

ზეთი "ჟივიცა" ერთი შეფუთვის ფასი: 31.60 ლარი
ინვალიდებისა და პენსიონერებისათვის: 28.60 ლარი
ადგილზე მიტანით ქ. თბილიში (ფასდაკლება არ მოქმედებს)
მიღების კურსი - 3 შეფუთვა.
არ წარმოადგენს მედიკამენტს.
მიღებამდე გაიარეთ ექიმის კონსულტაცია.
საქონელი სერტიფიცირებულია

საინფორმაციო: www. apifito.net

571 22 98 98



Cyan Magenta Yellow Black

# ეკა კახიანი: „ნინი და ანასტასია ერთი კვირის შუალედით იმშობიარებენ“



ეკა კახიანი

მსახიობი და მომღერალი ეკა კახიანი ბებია ხდება და თანაც ერთდროულად ორი შვილიშვილის. მისი ქალიშვილები, ნინი ბადურაშვილი და ანასტასია თოფურიძე, ბავშვებს ერთი კვირის შუალედით გააჩენენ. დედა ბედნიერია, როცა შვილებს ამ მდგომარეობაში უყურებს. მოკლედ, იმედა კახიანის დიდი ოჯახი დიდი სიხარულის მოლოდინშია.

პარალელურად ეკა კახიანის ცხოვრებაში კიდევ ერთი სიახლეა, რომელმაც დამატებით დატვირთა ემოციებით. ეს არის საბავშვო მუსიკალური პროექტი „ახალი ხმა“, სადაც ერთ-ერთ მწვრთნელად მიიწვიეს. ეკა იმხელა პასუხისმგებლობას გრძნობს, რომ ბავშვებთან არაფერი შეეშალოს, როგორც თავად გვითხრა, ღამეები აღარ სძინავს.

**— ქალბატონო ეკა, ორი ქალიშვილი გაგითხოვდათ, სიძეები შეემატნენ თქვენს ოჯახს, რამდენიმე თვეში კი ორი ახალი წევრი დაიბადება. ერთბაშად ორი შვილიშვილის მოლოდინი როგორი ემოციაა?**

— სასწაული გრძნობაა, როდესაც შენს შვილებს ამ მდგომარეობაში ხედავ! ნინი და ანასტასია ერთი კვირის შუალედით გააჩენენ შვილებს. ერთად დადიან, კუს ტბაზე ერთმანეთს ასეირნებენ, გამოცდილებას უზიარებენ წამლებთან და ვიტამინებთან მიმართებაში, ანალიზებსა და ექოსკოპიურ გამოკვლევებზეც ერთად დადიან. ასე ბევრად უადვილდებათ დროის გაყვანა. მათი შემხედვარე ძალიან ბედნიერი ვარ.



დები — ანასტასია და ნინი

**— ბავშვების სქესი იცით?**

— ნინი ანასტასიაზე ერთი კვირით დიდი ორსულია, სავარაუდოდ, ივლისის ბოლოს ან აგვისტოს დასაწყისში უწევთ მშობიარობა. ნინი გოგოს ელოდება, ანასტასია — ბიჭს.

**„თქვენი ჟურნალის საშუალებით მინდა, ყველა დავაწყნარო, ნინის და ირაკლის ცხოვრებაში ყველაფერი კარგად არის!“.**

ძალიან გახარებულები ვართ, როგორც იქნა, ოჯახში ბიჭი გვეღირსა. მინდოდა, ჩემი რომელიმე შვილისთვის გარდაცვლილი ძმის სახელი დამერქმია, მაგრამ სამი გოგო შემეძინა და ეს ვერ შევძელი. ჩემი ძმა, ლადო, ძალიან ლამაზი და ჭკვიანი ბავშვი იყო, ის 14 წლის ასაკში გადაიცვალა. მიხარია, რომ ლადო იბადება.

**— ნინი რას დაარქმევს თავის გოგონას?**

— ელენეს დარქმევას აპირებს.

**— რომელი უფრო ჭირვეული ორსულია?**

— ნინი უფრო ჭირვეულობდა, ორსულობის პირველი სამი თვე ტოქსიკოზი ჰქონდა. ანასტასიას კი არანაირი შეგრძნება არ ჰქონია, თვითონაც უკვირდა, ამბობდა, რატომ ვერაფერს ვგრძნობო. რაც მთავარია, ძალიან სწორად იკვებებიან. ქალებს ორსულობის დროს მომატებული კილოგრამები ხშირად აწუხებთ, ჩემი გოგოები კი ყოველ კილოგრამს აკონტროლებენ. ერთმანეთს ეუბნებიან, მე ამდენი გრამი მოვიმატე, შენ ჩემზე მეტიო. ამ დროს ძალიან სასაცილოები არიან. ცდილობენ, ძალიან არ მოიმატონ. ჭკვიანურად იქცევიან, ჯანმრთელი ცხოვრების წესით ცხოვრობენ, უნდათ, რომ მათი შვილები ჯანმრთელები იყვნენ.



ნინი ბადურაშვილი

**„ჯერ იმაზე ატეხეს ერთი ამბავი, ნინი რატომ არ თხოვდებაო, გათხოვდა და ვერ გაიგე, რატომ უნდათ, რომ ქმარს გაშორდეს“.**

**— თქვენს ორსულობას რომელი ქალიშვილი გაგონებთ?**

— ჩემს თავს უფრო ანასტასიას ვამსგავსებ, რადგან ჭირვეული ორსული არც მე ვყოფილვარ.

**— ბევრ ახალგაზრდა ქალს არ უხარია, როცა ბებია ხდება, რადგან ეს მათთვის სიბერესთან არის გაიგივებული. თქვენ მსგავსი აზრი არასოდეს გაგჩენიათ?**

— ეს არ მაშინებს. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ისეთივე ვარ, როგორიც 20 წლის წინ ვიყავი. როცა ჩემს თავს ვუყურებ, ვხვდები, რომ სერიოზული ცვლილებები და ტრანსფორმაცია არ განმიცდია. მომწონს, ბებია რომ გავხდები, თანაც ორი შვილიშვილი ერთდროულად დაიბადება. ბევრ კომპლიმენტს ვიღებ. სასიხარულოა, ამ ასაკში ბებიაც ვიყო და ბევრი კომპლიმენტიც მივიღო. ასე რომ, ეს ფაქტი კი არ მაშინებს, პირიქით, მახარებს. მთელმა საქართველომ ნახა, ჩემი 100 წლის ბებია როგორ გამოიყურება, ამიტომაც ეს არ მაშინებს.

**— როგორი სიდედრი ხართ?**

— ჩემი სიძეები ძალიან მიყვარს, მათთან ვმეგობრობ. ჩემთვის ძალიან საყვარელი ადამიანები, კარგი მეგობრები არიან. ტიპური სიძე-სიდედრის ურთიერთობა არ გვაქვს. ჩემგან ისინი გრძნობენ კეთილგანწყობას და მე — მათგან. დარწმუნებული ვარ, ბოლომდე ასე იქნება. ვერაფერს ვხედავ ისეთს, რომ ვიჩხუბო. პირიქით, ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ორი არაჩვეულებრივი სიძე მყავს — ირაკლი კუტალაძე და ირაკლი გაბაშვილი. ორივე ძალიან კარგი და სიმპათიური ადამიანია. რაც მთავარია, ჩემი შვილები მათ გვერდით ბედნიერად გრძნობენ თავს.

**— თუმცა მას შემდეგ, რაც ფეხმძიმე ნინი მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა და ქმრისგან შორს ცხოვრობს, ხმა გავრცელდა, რომ ქმარს გაშორდა. ამ სიტუაციამ ხალხი აალაპარაკა.**

— ნინი ხელოვანი ადამიანია, ხან მოსკოვში იქნება, ხან — თბილისში, ხანაც — სხვა ქვეყანაში. ირაკლიმ ეს იცის და ნინის ცხოვრების რეჟიმს შეგუებულია. „რუსთავი 2“-მა ნინის მოსკოვში დაურეკა და შესთავაზა, „საქართველოს ვარსკვლავში“ მიეღო მონაწილეობა. ნინიმ მეუღლეს ჰკითხა, შენ წინააღმდეგი ხომ არ იქნები, რამდენიმე თვე თბილისში რომ ვიყოო და შეთანხმდნენ.

ჯერ იმაზე ატეხეს ერთი ამბავი, ნინი რატომ არ თხოვდებაო, არადა 26 წელი ისეთი ასაკი არ იყო, რომ ამით დაინტერესებულიყვნენ. ახლა გათხოვდა და ვერ გავიგე, რატომ უნდათ, რომ ქმარს გაშორდეს. ნინის მიმართ ყოველთვის არის განსაკუთრებული ინტერესი, ეტყობა, ძალიან მოსწონთ და უყვართ. მინდა, თქვენი ჟურნალის საშუალებით საზოგადოება დავაწყნარო და ვუთხრა, ღვთის წყალობით, ნინის და ირაკლის ცხოვრებაში ყველაფერი კარგად არის. ამ თემაზე ლაპარაკი არც მინდა.

ანასტასიას მეუღლე ახლა კიევშია, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ისინი გაშორდნენ?!

**— თქვენს ოჯახში რამდენიმე თაობაა თავმოყრილი — თქვენი მშობლები, ბებია, თქვენი შვილები, ახლა მათი შვილებიც გაჩნდებიან... პირადად თქვენი როლი როგორია ამ დიდ ოჯახურ წრეში?**

— ჩვენი ოჯახი ყოველთვის ყურადღების ცენტრშია, ფეხს ვერ გადადგამ ისე, რომ სრულიად საქართველოს განსჯის საგანი არ გახდეს. რადგან იმედას შვილი ვარ, ამ პასუხისმგებლობას ყოველთვის ვგრძნობ. ბაბუის მიმართ ჩემს შვილებსაც იგივე განცდა აქვთ. ჩვენ ტრადიციული ქართული წესებით



Cyan Magenta Yellow Black

ვცხოვრობთ.

რაც შეეხება ჩემს როლს ამ ოჯახში, ის არის, რომ ვარ ქართველი მეუღლე და დედა. ვცდილობ, ისე ვიცხოვრო, როგორც ჩემს ოჯახს და თავად მე მეკადრება. რა ასაკშიც უნდა ვიყო, ჩემი მშობლებისთვის ყოველთვის პატარა ვიქნები. ბედნიერი ვარ, რომ ფლორას და იმედას შვილი ვარ.

**— თქვენს საქმიანობაში სიახლეა საბავშვო მუსიკალურ პროექტ „ახალი ხმის" სახით, სადაც მწვრთნელად მიგიწვიეს. ამან ოჯახთან ურთიერთობის დრო ხომ არ წაგართვათ?**

— ფაქტობრივად სულ სახლში ვარ და ვმუშაობ. 24 საათი კომპიუტერთან ვიჯექი და ინტერნეტით რეპერტუარს ვარჩევდი. ასე რომ, ოჯახისთვისაც ვიცლიდი. ქალი მაშინ ხარ, როცა პირად ცხოვრებასაც ახერხებ და საქმესაც. ვცდილობ, არც ერთს დავაკლო რამე. დროს ყველაფრისთვის თანაბრად ვანაწილებ. როგორც მსახიობი, დროებით გაჩერებული ვარ. ამ ეტაპზე ამ პროექტში ვარ ჩართული, მაგრამ ამის ხარჯზე ოჯახს ნამდვილად არ ვაკლებ ყურადღებას და მზრუნველობას.

**— სანამ „ახალ ხმაში" მიგიწვევდნენ, რას ფიქრობდით ამ პროექტზე?**

— მართალი გითხრათ, ამ პროექტს დიდი ხანია ვუყურებ. სანამ საქართველოში გამოჩნდებოდა, უცხოურ ვერსიებს ინტერნეტით ყოველთვის ვადევნებდი თვალყურს. ეს პროექტი მთელ მსოფლიოში ძალიან პოპულარულია. საქართველოშიც მაღალი რეიტინგი აქვს. ერთი თვის წინ პროექტის პროდიუსერმა დათო იმედაშვილმა დამირეკა და საბავშვო „ახალი ხმის" მწვრთნელობა შემომთავაზა. ამ წინადადებამ ძალიან გამახარა. მერე, რომ დავფიქრდი, მივხვდი, ასჯერ უფრო საპასუხისმგებლოა ბავშვებთან მუშაობა, ვიდრე უფროსებთან, თუმცა ჩემი შესაძლებლობების მჯერა და ამიტომაც სიამოვნებით დავთანხმდი.

**„როგორც იქნა, ოჯახში ბიჭი გვეღირსა. მინდოდა, ჩემი რომელიმე შვილისთვის გარდაცვლილი ძმის სახელი დამერქმია, მაგრამ სამი გოგო შემეძინა... მიხარია, რომ ლადო იბადება".**

**— რთული აღმოჩნდა ბავშვების მწვრთნელობა?**

— პირველ რიგში, ხმამაღლა ვიტყვი, რომ არავის ინტერესი არ მაქვს. ობიექტური მწვრთნელი ვიქნები, სხვანაირად არც გამოვა და არც მეპატიება. ჩემი მთავარი მიზანია, ის 15 ბავშვი, რომლებიც ავირჩიე, სცენაზე კარგად წარმოვაჩინო. რამდენიმეზე ძალიან დამწყდა გული, მაგრამ რას ვიზამთ. ასაკობრივი ზღვარი 8 წლიდან 15 წლამდე იყო.

ბრმა კასტინგზე ძალიან ბევრი საფიქრალი იყო. რთული სამუშაოა, ბავშვებს უნდა აურჩიო სწორი რეპერტუარი, გაითვალისწინო მათი ვოკალური შესაძლებლობა, ტონალობა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემს ცხოვრებაში არც ერთ პროექტზე არ მინერვიულია ამდენი, არც ამხელა პასუხისმგებლობა მიგრძვნია. ბავშვებთან მაქვს საქმე და მინდა, ყველაფერს მაღალ დონეზე გავართვა თავი. ამაზე ძალიან ბევრს ვფიქრობ და ვმუშაობ. შეიძლება ითქვას, რომ ღამეებიც აღარ მძინავს.

**— გეთანხმებით, რომ ბავშვებს ძალიან ფაქიზი მიდგომა სჭირდებათ, როცა „ვერდიქტია" გამოსატანი. რა მეთოდებით მუშაობთ მათთან?**

— პატარებს შევხვდი, ველაპარაკე, ავუხსენი, ეს არის კონკურსი, რომ ასეთი რამ ძალიან ბევრჯერ იქნება მათ ცხოვრებაში, კონკურსში კი ვიღაც იმარჯვებს, ვიღაც — ვერა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გული უნდა გაიტეხო. ისიც ვუთხარი, რომ ყველაფერი მათზეა დამოკიდებული. მეც თავისთავად შევეცდები, მათი ნიჭის რეალიზება მოვახდინო, მათი საუკეთესო მხარე მაყურებლამდე მივიტანო. ვასწავლი სცენაზე დგომას. ყველა ტურის წინ ძალიან დიდი მღელვარებაა, კონკურსანტებმა ისიც უნდა ისწავლონ, თუ როგორ მოერიონ ემოციებს. ასე რომ, დიდი სამუშაო მაქვს ჩასატარებელი და არამარტო — სიმღერაში. მათთან ფსიქოლოგიური მუშაობაცაა საჭირო.

**— პატარა კონკურსანტებთან მკაცრი ალბათ არ იქნებით.**

— მკაცრი — არა, ობიექტური ვიქნები. ბავშვებთან ძალიან თბილი და მეგობრული ურთიერთობა მაქვს, დარწმუნებული ვარ, ბოლომდე ასე იქნება. მათი გამოსვლის მიხედვით მივიღებ გადაწყვეტილებას და, მგონი, ჩემ მიმართ წყენა არ ექნებათ.

**— კონკურენტ მწვრთნელებზე რას ფიქრობთ? სამუშაო პროცესში როგორები არიან სტეფანე და დათო ფორჩხიძე?**

— წლებია დათოს და სტეფანეს ვიცნობ, მათთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს, როგორც მუსიკოსებს, დიდ პატივს ვცემ. რა თქმა უნდა, ჩემთვის სასიამოვნოა მათთან მუშაობა და კონკურენციის გაწევა. პროექტში მარტო ბავშვებს შორის კი არ იქნება კონკურენცია, მწვრთნელებს შორისაც. საინტერესოა, ვისი გუნდი უკეთ აჩვენებს შოუს, ვინ უფრო კარგად წარმოაჩენს კონკურსანტებს.

მართალია, ისინი, უკვე მეორე სეზონია, ამ პროექტზე მუშაობენ, მაგრამ მე არ მეშინია. მიმაჩნია, რომ ამ სფეროში და ზოგადად საკონკურსო ცხოვრებაში, დიდი სტაჟი და გამოცდილება მაქვს. როგორც პროდიუსერმაც, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ეს საქმეც გამომდის. ნინი ბადურაშვილის, რომელიც წარმატებული მომღერალია, არაოფიციალური პროდიუსერი ვიყავი. მას მე მოვკიდე ხელი, სცენაზე დავაყენე, ყველანაირად სწორი სვლები გავაკეთე, შევურჩიე სწორი რეპერტუარი, იმიჯი, კლიპები, კონცერტები. შესაბამისად, არც ახლა ვარ დაბნეული და შეშინებული, პირიქით, ეს ჩემთვის საოცრად აზარტულია.

**— „რუსთავი 2"-ის, ასე ვთქვათ, კონკურენტულ პროექტ „საქართველოს ვარსკვლავის" ჟიურიში თქვენი ქალიშვილი ნინი ბადურაშვილი ზის. დედაშვილსაც გაქვთ ერთმანეთთან კონკურენცია თუ პირიქით, ერთმანეთს ეხმარებით?**

— ნინი, ჩემგან განსხვავებით, იოლ პოზიციაზეა. ის არის უბრალოდ ჟიური, მე კი მწვრთნელი ვარ. მისი ფუნქციაა, კონკურსანტი შეაფასოს, მათ რეპერტუარს არ ურჩევს, მათთან არ მუშაობს. იმ პროექტში ვოკალის არაჩვეულებრივი მასწავლებლები არიან, რომლებიც ბავშვებთან მუშაობენ. ერთი-ორჯერ ხუმრობით ვუთხარი, ადგილი გამიცვალე-მეთქი. ჩემი ამპლუა მართლაც რთულია.

რამდენიმე დღის წინ ნინიმ სახლში მოიტანა 80 კონკურსანტის ჩანაწერი, ყველას სათითაოდ არაერთხელ მოუსმინა, ფიქრობდა, რომელი გადაეყვანა შემდეგ ტურში. წარმოიდგინეთ, 80 ბავშვის მოსმენა რა სირთულესთან არის დაკავშირებული. რა თქმა უნდა, მასთან ერთად მეც ვუსმენდი და ჩემს აზრსაც ვუზიარებდი. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ნინი ბავშვებთან ურთიერთობაში დამეხმაროს. მოკლედ, ჩვენ ერთმანეთს ვეხმარებით, სახლში კონკურენტები არ ვართ.

✓ ლანა კიკნაძე

# „დღეს წავიდა ჩემი ბიჭი..." — ნინა წკრიალაშვილმა ყოფილი ქმარი უკანასკნელ გზაზე გააცილა



■ თენგო და ნინა

მომღერალ ნინა წკრიალაშვილის ყოფილი ქმარი, შსს-ს თანამშრომელი თენგო წივწივაძე, მძიმე ავტოავარიაში მოყვა და გარდაიცვალა. ის სამსახურებრივ დავალებაზე მიდიოდა, როცა უბედური შემთხვევა მოხდა.

ნინა წკრიალაშვილი და თენგო წივწივაძე ტრაგედიამდე რამდენიმე თვით ადრე დაშორდნენ ერთმანეთს, თუმცა გრძნობები განელებული არ იყო. ყოფილი ქმრის გარდაცვალება მომღერალმა რთულად გადაიტანა. თავისი მწუხარება „ფეისბუქის" საშუალებით გამოხატა, მისი სტატუსები მხოლოდ თენგოს სიყვარულს ეძღვნებოდა. „მიყვარხარ მთელი ცხოვრება", „შოკში ვარ, სიკვდილი მინდა" — წერდა მომღერალი. თენგოს დაკრძალვის დღეს ნინამ „ფეისბუქის" საკუთარ გვერდზე გამოსამშვიდობებელი სიტყვები დაწერა — „დღეს წავიდა ჩემი ბიჭი...".

მეგობრები და კოლეგები ნინას სოციალური ქსელის საშუალებით უსამძიმრებდნენ და თანაუგრძნობდნენ. მომღერალმა ყოფილ ქმართან ერთად გადაღებული არაერთი სურათი დადო ინტერნეტში.

ნინამ და თენგომ ერთმანეთი წელიწადნახევრის წინ, ლიტვაში გაიცნეს, სადაც საქართველოს კალათბურთის ნაკრების თამაშებზე იყვნენ ჩასული. პირველი პაემანი კი თბილისში ჰქონდათ. ნინაზე ამ სიყვარულმა ძალიან იმოქმედა, მეორედ გათხოვების გადაწყვეტილებაც მალე მიიღო. თენგოს გვერდით თავს ბედნიერად გრძნობდა, ამიტომ მასთან უეცარი განშორება ყველას გაუკვირდა. ერთად რამდენიმე თვე იცხოვრეს. ნინას ქმართან დაშორების შემდეგაც მასზე ცუდი არასოდეს დასცდენია.

თენგოსათვის ნინა მესამე ცოლი იყო. მას ოთხი შვილი და ერთი შვილიშვილი დარჩა.

# მკაცრი დიეტა და ახალი ცოლი — რა ცვლილებებით დაბრუნდა შალვა რამიშვილი ეკრანზე

## „სააკაშვილი ახლა მხოლოდ სიბრალულს იწვევს ჩემში“



ტელეჟურნალისტი შალვა რამიშვილი რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ ეკრანს დაუბრუნდა. ეს უკვე იმდენჯერ მოხდა, მისგან აღარავის უკვირს ტელეკომპანიების ხშირი ცვლა. თავადაც აღიარებს, რომ ერთ ადგილას დიდხანს ვერ ჩერდება. ნაციონალური ხელისუფლება „მაესტროს“ ეთერით გააცილა, ახალ ხელისუფლებას კი „მეცხრე არხის“ ეთერიდან ესალმება შუადღის ეთერში.

ახალ რეალობაში ხელისუფლების მწვავე კრიტიკას აღარ აპირებს, დარწმუნებულია, რომ „ოცნების“ მთავრობა ამას არ იმსახურებს. ამიტომ ეკრანზე უფრო მეტი იუმორითა და მხიარულებით დაბრუნდა.

**„წონაში უნდა დავიკლო და ამიტომ მთელი დღე მწვანე, მჟავე ვაშლებს ვჭამ“.**

სამსახურებრივი ტაიმაუტი შალვამ ნაყოფიერად გამოიყენა. კარგად დაისვენა და საყვარელ ქალთან, ხატია ეკიზაშვილთან, ოჯახი შექმნა. ამით საბოლოოდ გაქრა საზოგადოების იმ ნაწილის იმედი, ვინც შალვასა და მისი პირველი ცოლის, თეა აბაშმაძის ოჯახს გულშემატკივრობდა და ფიქრობდა, რომ ისინი ისევ ერთად იქნებოდნენ.

— **შალვა, ეკრანს აშკარად დააკლდით. თქვენ თუ დაგაკლდათ ეკრანი?**

— პაუზა ჩემთვის აუცილებელი იყო, ბოლო წელიწადნახევარი, რაც „მაესტროზე“ ვმუშაობდი, ძალიან დაძაბული რეჟიმი მქონდა. პრინციპში, არც არასოდეს დამიმალავს, რომ მიხეილ სააკაშვილის მოწინააღმდეგე და ბიძინა ივანიშვილის მომხრე ვიყავი. ეს იმდენად ცხადი იყო, რომ დაფარვას აზრი არც ჰქონდა. კმაყოფილი ვარ, რომ პოლიტიკური სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და, ჩემი აზრით, ქვეყანა გადარჩა, თუმცა ამ ბრძოლამ, რა თქმა უნდა, ძალიან დამღალა. ბოლოს უკვე ვხვდებოდი, რომ გამოფიტული ვიყავი. ფსიქოლოგიური სტრესისგან დასვენება მჭირდებოდა და კარგია, რომ სწორედ ამ პერიოდში შევიცვალე არხი. რამდენიმე თვე ეკრანიდან საერთოდ გავუჩინარდი, კარგად დავისვენე. გარკვეული დრო მჭირდებოდა, ახალ რეალობას მოვრგებოდი, ადაპტირება მომეხდინა. ვფიქრობ, ამ დადებით ცვლილებებს მაყურებელი „მეცხრე არხის“ შუადღეში ნახავს.

— **2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგაც ის ჟურნალისტები, რომლებიც სააკაშვილის ხელისუფლების მოსვლისთვის იბრძოდნენ, გამარჯვებით ტკბობას მიეცნენ და ამას რაც მოჰყვა, ყველამ კარგად ვიცით. სიფრთხილე გმართებთ, რომ თქვენც იგივე არ დაგემართოთ ივანიშვილთან მიმართებაში.**

— დღეს სხვა პოლიტიკური ვითარებაა, იმ განწყობითა და მეთოდებით, რაც ადრე

**„მყავს ახალი მეუღლე, რომელიც ძალიან მიყვარს, ახალ ოჯახში თავს კარგად ვგრძნობ“.**

მქონდა, ახლა ეკრანზე ველარ ვიქნები. კონსტიტუციური ცვლილებების შემდეგ ყველანაირი შიში უნდა დავივიწყოთ, რომ მიშა ოდესმე დაბრუნდება. მის ლექსიკას გამოვიყენებ და ვიტყვი, რომ საბოლოოდ გაფარჩაკებული სააკაშვილი მხოლოდ სიბრალულს იწვევს ჩემში. დარწმუნებული ვარ, რომ მას მალე სისხლის სამართალთანაც ექნება შეხება. შეხედეთ სარკოზის, ჩვენზე გაცილებით დემოკრატიულ ქვეყანაში მასზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. მას მხოლოდ 100 ათასი ევროს გაფლანგვა ედება ბრალად, სააკაშვილს კი გაცილებით უარეს ბრალდებებს წაუყენებენ.

არ იფიქროთ, რომ შუადღის გადაცემიდან პოლიტიკა საერთოდ ამოვარდება, პირიქით, ჩემი ბლოკი პოლიტიკური იქნება. მთავრობამ თავისი საქმე უნდა აკეთოს და სამოქალაქო საზოგადოებამ — თავისი.

— **თუ სწორად გავიგე, თქვენი შუადღე არ არის გადაცემა, სადაც ისაუბრებთ პეპლებზე, დელფინებზე...**

— იქნება პოლიტიკაც, შუადღის ფორმატში გათვალისწინებული სასარგებლო რჩევებიც, კულტურული მოვლენების გაშუქება. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი საპროდიუსერო გუნდი მოიწვევს საინტერესო სტუმრებს, რომლებსაც ასევე საინტერესოდ დაველაპარაკებით, ეს იქნება ჩვენი განმასხვავებელი ნიშნები. თითოეული ჩვენი გადაცემა პატარა სენსაცია უნდა იყოს. სხვა ვარიანტში, დღევანდელი კონკურენციის პირობებში, ძნელი იქნება თავის დამკვიდრება. რაც მთავარია, არ ვულალატებ ჩემს სტილს, იქნება ბევრი ხუმრობა. მიმაჩნია, რომ ჟურნალისტიკაში თემას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, როგორ გადმოსცემ, რამდენად ორიგინალური იქნები ამ ინფორმაციის მიწოდებაში.

— **მაინც როგორია ახლა თქვენი პოლიტიკური მოსაზრებები?**

— დროის ადეკვატური. მიხეილ სააკაშვილმა თეორიული შანსიც კი გაუშვა ხელიდან, ქვეყანაში რამე არიოს, ამით რალაცნაირად უნდა დასრულდეს მისი კრიტიკის ეპოქაც, რადგან სათვალავში ჩასაგდები აღარ არის. კანონით უნდა დაისაჯონ ის ადამიანები, ვინც წლების განმავლობაში დანაშაულს ჩადიოდნენ. ეს არის პროცესი, რომელსაც განსაკუთრებული დაკვირვება სჭირდება და ამას მე გავაკეთებ.

— **ანუ ახალ ხელისუფლებასაც, კარგი გაგებით, ჩაუსაფრდებით?**

— ჩემთვის ფსიქოლოგიურად ძალიან რთულია, ვიყო ჩასაფრებულის პოზიციაში, ეს არც გამომივა. დარწმუნებული ვარ, ეს ხელისუფლება ამას არც დაიმსახურებს. თუ შევცდი, დიდი იმედგაცრუება იქნება ჩემთვის, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ეს არ მოხდება. რა თქმა უნდა, არის შეცდომები, მაგალითად, აგრარული უნივერსიტეტის ამბავი. იურიდიულად ხელისუფლების გადაწყვეტილება სწორი იყო, მაგრამ ეს გაკეთდა ბევრი შეცდომის დაშვებით და ამიტომ მივიღეთ ცუდი შედეგი, ბენდუქიძე რაინდად გამოვიყვანეთ. რა თქმა უნდა, ასეთ შეცდომებზე ჩემს გადაცემაშიც ვიტყვი.

— **მართალია, თქვენი არ ამხელთ თანაწამყვანებს, მაგრამ ცნობილია, რომ ქალებთან მუშაობა მოგიწევთ. მოგწონთ ასეთი სამუშაო გარემო?**

— ჰო, იმედია, იუმორის გრძნობა ყველა ქალს ექნება და ერთად მუშაობა კარგად გამოგვივა. 20 წელია ამ სფეროში ვარ და სულ ქალებთან მიწევს მუშაობა, რასაც ბევრი პლუსი აქვს. უფრო აკურატულები, ერთგულები და შრომისმოყვარეები არიან, ვიდრე მამაკაცები.

— **ეკრანზე, შოუში დასაბრუნებლად გარეგნულ იმიჯზეც იზრუნეთ?**

— წონაში უნდა დავიკლო და ამიტომ მთელი დღე მწვანე, მჟავე ვაშლებს ვჭამ, დიეტაზე ვარ. ყველაზე ეფექტური დიეტა ჩემთვის ის არის, რომ არ უნდა ვჭამო.

**„ბრძოლამ, რა თქმა უნდა, ძალიან დამღალა. ბოლოს უკვე ვხვდებოდი, რომ გამოფიტული ვიყავი. ფსიქოლოგიური სტრესისგან დასვენება მჭირდებოდა და კარგია, რომ სწორედ ამ პერიოდში შევიცვალე არხი. რამდენიმე თვე ეკრანიდან საერთოდ გავუჩინარდი, კარგად დავისვენე“.**

— **ეს პაუზა პირადი ცხოვრების დასალაგებლადაც გამოიყენეთ?**

— ამაზე საუბარი არ მინდა. არ ღირს პირად ცხოვრებაზე ლაპარაკი. ორი სიტყვით გეტყვით, რომ მყავს ახალი მეუღლე, რომელიც ძალიან მიყვარს, ახალ ოჯახში თავს კარგად ვგრძნობ.

— **ოფიციალურად დაქორწინდით?**

— არა, ოფიციალურად — არა, მაგრამ ოჯახი გვაქვს.

— **ანუ ბედნიერება იპოვეთ?**

— ჩემი ცხოვრებით ყოველთვის კმაყოფილი ვარ.

— **როგორია სიყვარული ამ ასაკში?**

— არ მინდა, სიყვარულზე მაინც ვერაფერს მათქმევინებთ.

✓ ავთო ჩიტიძე



Cyan Magenta Yellow Black

# ვინ არის ნანუკას „ჩიტი“ და სად პოულობს მაია ასათიანი ექსკლუზივებს

## მეტი გულწრფელობა, ტელეწამყვანებო!



ამ ჩვენს ტელეშოუებში უცნაური რაღაც ხდება. ერთში თუ „ჩიტებს“ მიაქვთ ამბები, მეორეში ისეთ ცრემლებს აღვარღვარებენ, თითქოს გადაცემაში მოსმენილი ისტორიები იქამდე არსად წაუკითხავთ. აქამდე თუ ნანუკა ჟორჟოლიანი და მაია ასათიანი სხვადასხვა არხიდან იბრძოდნენ პირველობისთვის, ახლა ერთ არხზე ხდება მათი კოაბიტაცია. ეს პროცესი ზუსტად იმის იდენტურია, რაც ჩვენს პოლიტიკურ რეალობაში ნაციონალებსა და „ოცნებას“ შორის ხდება. წამყვანების ღიმილიანი სახეების მიღმა მძაფრი კონკურენციის „სუნი“ აშკარად იგრძნობა, თუმცა ამჯერად ამ თემაზე არ შევჩერდებით, ამ ტოქ შოუებით აფიშირებულ „ექსკლუზივებზე“ გვინდა, ჩვენი სათქმელი გაგიზიაროთ.

### „ექსკლუზივების მაფია"

როდესაც „რუსთავი 2“-ზე დაბრუნებული ნანუკა ჟორჟოლიანი ვანო ჯავახიშვილის შოუში მივიდა, ვანომ „გააფრთხილა“, ამ არხზე ექსკლუზივების მაფია ჩემიაო. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. რეალურად კი ამ „მაფიას“ თურმე დაუნდობელი ბრძოლის წესები აქვს. საერთოდ ბოლო დროს ექსკლუზივის ცნება ტელევიზიაში თავისებურად ესმით. ეტყობა, გადაცემის წამყვანებს მძაფრი კონკურენცია ისე ურევს თავგზას, რომ აღარ იციან, ექსკლუზივები რას დაარქვან. ტელეწამყვანებს აშინებთ ის ფაქტი, რომ, თუ გადაცემის ანონსში სიტყვა „ექსკლუზივი“ ან ფრაზა — „პირველად პირადზე“, მინიმუმი, სამჯერ არ ახსენეს, მაყურებელი არ ეყოლებათ.

ძველებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რისი მაგალითიც უამრავია, სულ ახალი გავიხსენოთ. მაგალითად, მაყურებელმა ნებისმიერ ფასად უნდა დაიჯეროს, რომ თინა ხიდაშელი პირველად „ნანუკას შოუში“ არღვევს დუმილს და ლაპარაკობს თავის პირად ცხოვრებაზე. „სარკეში“ თინა ხიდაშელის პირადზე, მინიმუმი, ხუთი ინტერვიუს წაკითხვა მაინც შეგიძლიათ და, როგორც ჩანს, ეს ინტერვიუები ტოქ შოუს წამყვანსაც ბეჯითად შეუსწავლია. კოლეგიალობის დაუწერელი კანონი მოითხოვს, შენ მიერ გამოყენებული ინფორმაცია „ჩიტს“ კი არ დააბრალო, წყარო დაასახელო.

ექსკლუზივების მითვისებით არც „პროფილი“ ჩამორჩება. შალვა ნათელაშვილის ოჯახი ამ ტოქ შოუში არ გაუცნია პირველად საზოგადოებას. რა საჭიროა თვალებში ნაცრის შეყრა? გადაშალოს მისმა წამყვანმა ჟურნალი „სარკე“ (რომელიც, რა თქმა უნდა, უკვე ათასჯერ აქვს გადაშლილი) ან თუნდაც სხვა ჟურნალები და აუცილებლად წაიკითხავს ლეიბორისტთა ლიდერის სიყვარულით სავსე სიტყვებს ცოლის მისამართით, ასევე თავად ქალბატონი ბელა ალანიას ინტერვიუებს ოჯახური ცხოვრების თემაზე. მაგალითად, რამდენიმე წლის წინ ბატონი შალვა „სარკეში“ ამბობდა, გულის ოპერაცია რომ გამიკეთეს, ექიმმა მითხრა, თქვენს გულზე ბელა ეწერაო. კიდევ კარგი, პირველმა ლეიბორისტმა ეს სიტყვები „პროფილშიც“ არ გაიმეორა, თორემ მაია ასათიანი მედიცინაშიც კი მოახდენდა გადატრიალებას და სენსაციად გამოაცხადებდა. წარმოიდგინეთ, როგორი პრომო ექნებოდა ამ გადაცემას.

ასეთი არაკოლეგიალური დამოკიდებულების ერთეული შემთხვევები რომ იყოს, ალბათ ყურადღებას არც გავამახვილებდით, მაგრამ გადაცემაში მოწვეულ ყოველ მეორე სტუმარზე რომ ამბობენ — „პირველად ლაპარაკობს“, „პირველად მის პირადზე“ და „პირველად საქართველოს ისტორიაში“ — ცოტა უხერხულია. ჟურნალი „სარკე“ 15 წელია ყოველგვარი ექსკლუზიური იარლიყების მიწეპების გარეშე აწვდის მკითხველს ყოველთვის საინტერესო, გულახდილ და ხშირ შემთხვევაში მართლაც ექსკლუზიურ მასალებს. ტელეწამყვანების მხრიდან მეტი მოკრძალებაა საჭირო. ჯობია, თქვენს შემთხვევაში — მაყურებელმა, ჩვენს შემთხვევაში კი მკითხველმა განსაზღვროს, რა არის ექსკლუზივი და სად რა შეიტყო პირველად.





### ჩიტების გადაფიქენა ტოქ შოუებში

„ჩიტმა ამბავი მომიტანა“ — ეს ნანუკა ჟორჟოლიანის საყვარელი ფრაზაა. მაყურებელს თუ აინტერესებს, ვინ და რა არის მისი „ჩიტი“, პასუხი მარტივია. ეს „ჩიტი“ უმეტესწილად თქვენთვის კარგად ნაცნობი ჟურნალის ფურცლებია, რომლებიც კარგი ქრესტომათიაა მათთვის, ვინც ტოქ შოუებს ამზადებს. ყველამ კარგად ვიცით, რომ თითოეული გადაცემისთვის პროდიუსერების სამუშაო მაგიდაზე ჟურნალ-გაზეთების გროვა დგას, რათა იქ წაკითხული საინტერესო ისტორიები და გამზადებული მასალები „ტელეექსკლუზივებად“ აქციონ.

იქნებ ვინმე უკრძალავთ ცნობილი გამოცემების დასახელებას? იქნებ ეს კიდევ ცალკე „მაფიაა“? რისი ეშინიათ? ალბათ პრესტიჟის დაკარგვის. თორემ სხვაგვარად, ჩვენ თუ არ ვერიდებით, დავასახელოთ „ნანუკას შოუ“ და „პროფილი“, თქვენ რა გიშლით ხელს, ცხოვრებაში ერთხელ მაინც თქვათ, ეს ისტორია სად ამოიკითხეთ?

### აქამდე სად იყავით?



ახალმა პოლიტიკურმა რეალობამ ტელესივრცის „ვიზუალიც“ შეცვალა. გასართობ გადაცემებში „ნაციონალური“ სახეები „ოცნების“ წევრებმა ჩაანაცვლეს, თუმცა ხუმარა შოუმენების ტექსტებში ძველი პოლიტიკური კონიუნქტურის კვალი მაინც არის შერჩენილი. როდესაც ვანო ჯავახიშვილს ან ოთარ ტატიშვილს სტუმრად აწ უკვე ოპოზიციად ქცეული ნაციონალები ჰყავთ, მათი იუმორი შემწყნარებლური, დამზოგავი და სევდანარევიც კია, პოლიტიკური რეაბილიტაციის მცდელობის ნიშნებს შეიცავს. აი, ახალი მთავრობის წევრებთან კი შემტევი ტონი და სარკაზმი თვალშისაცემია, მათთან რატომღაც დიდი გული აქვთ. რაო, ბიჭებო, კარგი ყოფილა თავისუფლება და ცენზურის გარეშე ცხოვრება?

პოლიტიკურ პერსონებს ჩვენი დაცვა არ სჭირდებათ, მაგრამ აქ სხვა რამეშია საქმე: შოუების ავტორ-წამყვანები წინა ხელისუფლების პირობებში ირწმუნებოდნენ, რომ პოლიტიკური გავლენისგან სრულიად თავისუფლები იყვნენ, რომ მათთვის არ არსებობდნენ აკრძალული პერსონები, მაშინ გამოდის, თვითცენზურას ემორჩილებოდნენ, თორემ რაღა ახლა გაახსენდათ სახელები „შავი სიიდან“?

მაგალითად, ჯგუფი „ფორტე“ აქამდეც ისევე არსებობდა და ისევე მღეროდა, მაგრამ ოქტომბრის არჩევნებამდე ეკრანისთვის რატომღაც საინტერესოები არ იყვნენ, მათზე მხოლოდ დამოუკიდებელი პრესა წერდა. ახლა ყველა შოუს ერთბაშად გაახსენდა და ყველა გადაცემაში მათი ბენეფისი იმართება. ჯერ მაია ასათიანთან, შემდეგ — ვანო ჯავახიშვილთან, მერე — ოთარ ტატიშვილთან...

ასე აშკარად მაინც ნუ შეეცდებიან იმის მტკიცებას, რომ „დაბლოკილებს“ აქამდე მხოლოდ იმის გამო არ იწვევდნენ, რომ რეიტინგი არ ჰქონდათ. ამ ლოგიკით, მათ ბოლო პერიოდში ისეთი არაფერი გაუკეთებიათ, რომ რეიტინგის პიკი მოეხსნათ. მაყურებელი უფრო მეტ პატივისცემას იმსახურებს და ითხოვს კიდეც და არავითარ შემთხვევაში იმას, რომ ტელევიზია ტოტალური სიყალბის მანქანას ემსახურებოდეს.

✓ გიორგი ბერიძე



Cyan Magenta Yellow Black

# „გაუნათლებელმა რძალმა ჩემს შთამომავლობას დაღი დაასვა“



ყავა, სერიალი, მეზობლებთან ჭორაობა — ასეთია ჩემი რძლის ყოველდღიური ცხოვრება. სამი შვილი ჰყავს, სამივე მე გავაზრდევინე, მის აღზრდასაც შევეცადე, მაგრამ მისმა ასაკმა არ შემიწყო ხელი, უკვე ძალიან დაგვიანებული იყო.

ჩემი ბიჭის არჩევანით ბედნიერი არ ვიყავი, მაგრამ უკმაყოფილება ხმამაღლა არ გამომითქვამს. ჩავთვალე, მის ცხოვრებაში ჩარევის უფლება არ მქონდა. თანაც მეგონა, 19 წლის გოგოს რაღაცეებს შევაგნებინებდი. ვამბობდი, ჩემს ხელში უამრავ მოსწავლეს გაუვლია, მათთვის ბევრი რამ მისწავლებია და ამასაც ჩემს ჭკუაზე გამოვზრდი-მეთქი. შევცდი. ასე მარტივად არ აღმოჩნდა საქმე. სწავლებას შენიშვნად იღებდა, დარიგებას — შეურაცხყოფად. ბოლოს ისე გამითამამდა, უზრდელურად მომმართავდა. მივხვდი, რომ მასთან დისტანცია უნდა დამეჭირა. თავის ნებაზე მივუშვი. ახლა კი ვხვდები, ასე არ უნდა მოვქცეულიყავი. შვილიშვილების გამო მაინც უნდა მებრძოლა.

ორსართულიან სახლში ჩემი კუთხე მოვიწყვე, აბაზანა ტუალეტით. შვილს და რძალს ზედმეტად არ ვაწუხებდი, მათ შვილებს ვიტოვებდი და ბავშვებთან ციბრუტივით ვტრიალებდი. მეგონა, შვილიშვილები მაინც დამიფასებდნენ ამაგს და ისეთი გოგოები გაიზრდებოდნენ, როგორზეც ვოცნებობდი, მაგრამ იმედი ისევ გამიცრუვდა. სამივე შვილიშვილი დედის ალი-კვალია. ყველაფრით მას ჰგვანან — შეხედულებით, საქციელით, აზროვნებით. სანამ მე ვუკითხავდი წიგნებს, მისმენდნენ, მერე კი ერთი წიგნი ვერ წავაკითხე დამოუკიდებლად. ჩემი შვილი დღე და ღამეს ასწორებს, რომ ცოლ-შვილი შეინახოს, ისინი კი აღმა-დაღმა დადიან.

უფროსი შვილიშვილი 17 წლის არის. მეზობლები მეუბნებიან, ყურადღება მიაქციე, ცუდ ბიჭს არის გადაკიდებულიო. ერთ დღეს ორივეს ეზოში შევეჩეხე, ერთმანეთს ტუჩებში კოცნიდნენ. გავოგნდი, აღარ ვიცოდი, სად წავსულიყავი. რძალთან მივედი და ყველაფერი მოვუყევი, ბავშვი ხელიდან წაგვივა, ყავის სმას თავი დაანებე და შვილებს მიხედე-მეთქი. თმაში მწვდა და მომქაჩა. მითხრა, ჩემი შვილების სახელს არ შეგაბღალინებ, ბავშვს შეყვარებული თუ ჰყავს, ამით ქვეყანა არ იქცევაო. არაფრად ჩააგდო, რომ ჩვენ თვალწინ კოცნიდნენ ერთმანეთს, მოფარებულში კი ვინ იცის, რას გააკეთებენ. ჩემმა შვილიშვილმაც ისტერიკები დაიმართა, შენ არავინ არაფერს გეკითხება, შენს „პადვალში“ მიბრძანდიო.

ჰოდა, კი ვარ გამოკეტილი ჩემს ოთახში, მათ არ შევაწუხებ, მაგრამ შვილიშვილების მომავალზე ბევრს ვფიქრობ. გაუნათლებელმა რძალმა ჩემს შთამომავლობას დაღი დაასვა, თავისნაირები გაზარდა. უმცროსი შვილიშვილი 10 წლის არის და ისიც კი არ მცემს ხმას. არ ვიცი, ეს უმანკო ბავშვი მაინც როგორ დაგეშეს ჩემ წინააღმდეგ. არც კი ვიცი, ჩემს ცხოვრებას აზრი აქვს თუ არა.

**თქვენი ერთგული მკითხველი**



# „პირველ სიყვარულს ვერ ვივიწყებ“

გათხოვილი ვარ, მაგრამ პირველ სიყვარულს ვერ ვივიწყებ, ძალიან მენატრება. სულ მასზე ვფიქრობ. მინდა, რომ ჩემ გვერდით იყოს.

**მკითხველი, 23 წლის**

# „ცოლისთვის ყველაფერი გავაკეთე, მაგრამ მაინც მიღალატა“

თქვენს ჟურნალში ქალები ხშირად წერენ, რომ ქართველი მამაკაცები დავჩრლუნგდით, რომ ცოლების კისერზე ვცხოვრობთ. ქალები დაჩაგრულად და საცოდავებად გამოგყავთ. ამიტომაც გადავწყვიტე, ჩემი ამბავი მომეწერა. შეიძლება ბევრმა ამოიცნოს ამ წერილის ავტორი, მაგრამ ჩემთვის სულ ერთია, იმაზე მეტ ტკივილს ვეღარავინ მომაყენებს, რაც უკვე გამოვიარე.

ცოლი სიყვარულით შევირთე. დანახვისთანავე შემიყვარდა და იმდენი მოვახერხე, რომ ცოლობაზე დავითანხმე. ვგრძნობდი, რომ ჩემ მიმართ ისეთივე დიდი სიყვარული არ ჰქონდა, როგორც მე მიყვარდა, მაგრამ ყველაფერს ვაკეთებდი მისი ბედნიერებისთვის. თვალებში შევციცინებდი, უმაღლესდამთავრებულმა კაცმა ხელოსნობა დავიწყე. როცა ობიექტს ჩავაბარებდი, ერთ დღესაც ვერ ვიმეტებდი დასასვენებლად და ისევ რაღაც სამუშაოს გამოვძებნიდი ხოლმე. ერთი პერიოდი ნახირშიც დავდიოდი მწყემსად. შრომა არ მეთაკილებოდა და ჩემს ცოლ-შვილს ლუკმაპური არასოდეს უჭირდა. თავი მომქონდა, რომ პატიოსანი შრომით ვარჩენდი ოჯახს.



ერთ დღესაც სუფრასთან ვისხედით, როცა ერთმა შეზარხოშებულმა კაცმა, სხვათა შორის, მამის ტოლი იყო, მიმანიშნა, რომ ცოლისთვის მიმეხედა. მაშინ თითქოს ყურადღება არ მივაქციე, მაგრამ, როგორც ჩანს, გონებაში მაინც ჩამრჩა. იმის შემდეგ უფრო დაკვირვებული გავხდი, რაღაცეებზე ეჭვიანობა დავიწყე. ერთ დღეს ცოლთან სერიოზული ჩხუბი მომივიდა, მან კი გამომიცხადა, უმაქნისი ხარ, არასოდეს მყვარებიხარ, ერთად ვერ ვიცხოვრებთო. როცა ვუთხარი, ამდენი წელი რატომ დამაკარგვინე, ჩემგან რატომ არ წახვედი-მეთქი, საშინელი პასუხი გამცა — მებრალებოდიო. მერჩივნა, ეთქვა, მძულხარ, მეზიზღებიო, მაგრამ სიბრალული?!

იმ დღესვე წავიდა ჩემგან და განადგურებული დამტოვა. შვილი სიგიჟემდე მენატრება, მაგრამ მის ნახვას ვერ ვახერხებ. არ ვიცი, რა ვუთხრა, თვალებში როგორ ჩავხედო. მასთან საჩუქრებს და ფულს ნათესავის ხელით ვაგზავნი. იმის გაფიქრებაც კი მზარავს, რომ ერთადერთი შვილი დედის საყვარელთან ერთად ცხოვრობს. ვთხოვე, ჩემთან ყოფილიყო მაგრამ ბავშვიც არ გამომყვა და ჩემმა ცოლმაც მითხრა, არ მინდა, ჩემი შვილი შენნაირი საცოდავი გაიზარდოსო. შეიძლება მართალიც არის, იქნებ მართლა არ დავიმსახურე ოჯახი.

მაინტერესებს და იქნებ ვინმემ მითხრას, რა უნდა გააკეთოს კაცმა, რომ ქალის გული მოიგოს. მეტი რა უნდა მელონა, რომ მისთვის ბედნიერება მიმენიჭებინა. ასე რომ, არამხოლოდ ქალები ხდებით უმადური მეუღლეების მსხვერპლი, კაცებიც ხშირად ვვარდებით ასეთ სიტუაციაში.

**თქვენი მკითხველი**

**გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:**
**296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.**

**თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:**
1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დაანქაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 1779 მაგთიდან და ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე:irmchedlidze@mail.ru

**ანონიმურობა დაცულია**



Cyan Magenta Yellow Black

# „ხალხი ისე გვიყურებს, როგორც კეთროვანებს“

## ყოფილი პატიმრის წერილი

ვთვლი, რომ სამართლიანად ვიჯექი ციხეში. ეს იყო სასჯელი, რომელიც დედამიწაზე უნდა მომეხადა, დანარჩენს კი უფალს მივანდობ, იმქვეყნად საკადრისი ადგილი მან მიმიჩინოს. ჩემი დაუდევრობით, იმის გამო, რომ ქეიფზე უარი არ ვთქვი, მერე არავის დავუჯერე და საჭესთან მთვრალი დავჯექი, სამი ოჯახი გავაუბედურე. ჩემი ცხოვრებაც დავანგრიე და სხვებისაც. ბევრი მანუგეშებდა, შემთხვევით მოხდა, თავს ნუ იკლავო, მაგრამ მე ხომ ვიცოდი და ვიცი, რომ ერთადერთი დამნაშავე მე ვიყავი. იმ ადამიანების სახეები, რომლებიც ჩემ გამო ცოცხლები აღარ არიან, ყოველ წამს თვალწინ მიდგას. მათ პატიებას ვთხოვ, ვინანიებ, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ამას აზრი არ აქვს. მოსახდენი მოხდა, წარსულს ველარ შევცვლი.

შეიძლება ბევრმა იფიქროს, ასეთ ადამიანს რა წერილების წერა აუტყდაო, მაგრამ მაინც მინდა, იმ პრობლემაზე მოგწეროთ, რომელიც ყოფილ პატიმრებს გვაქვს. დღე არ გავა, ამნისტია არ ახსენონ. ამას ხელისუფლება თავის ღირსებად თვლის, ოპოზიცია — მთავრობის შეცდომად. მთავარს კი არ ამბობენ, საზოგადოება მზად იყო თუ არა ჩვენ მისაღებად. ჩემი აზრით, არა, ისინი ისე გვიყურებენ, როგორც კეთროვანებს. ხელისუფლებამ კი გამოაცხადა ამნისტია, მაგრამ ხალხმა — არა.

რეციდივისტი რომ არ ვარ, წერილის დასაწყისში უკვე მოგიყევით. წესით, საზოგადოებას არ უნდა ვაშინებდე, მაგრამ რეალობა სხვაა. ისინი გამირბიან. უახლოესი ნათესავებიც კი მემალებიან. ვატყობ, ჩემთან ერთად სუფრასთან დასხდომასაც ერიდებიან. ბიძაშვილებს ბავშვების მოყვანა ვთხოვე, ვუთხარი, დიდი ხანია ისინი არ მინახავს, მაინტერესებს, როგორები არიან-მეთქი. არ მომიყვანეს. მერე, როგორც ბიცოლაჩემმა მითხრა, თურმე შეეშინდათ, ციხიდან გამოსულს ბავშვებისთვის რამე ინფექცია არ გადამედო. კეთროვანი ვარ, აბა, რა ვარ!

ჩემი ცხოვრება იმ დღეს დასრულდა, როცა ის უბედურება შემემთხვა. არც ღმერთისგან ვითხოვ რამეს და არც — ხალხისგან, ამ წერილს სხვების გამო ვწერ. არ მინდა, ყოფილი პატიმრების გეშინოდეთ. მიიღეთ ისინი, თორემ თუ გაუცხოვდნენ, მერე შეიძლება მართლა საშიშ დამნაშავეებად იქცნენ. ცხოვრებას ნუ შეაძულებთ, თორემ მერე არც თქვენს სიცოცხლეს გაუფრთხილდებიან. გთხოვთ, ამნისტია თქვენც გამოუცხადოთ.

**პატივისცემით, ყოფილი პატიმარი**

# „ქმარმა არ მაპატია, რომ ორსული და შევიფარე“



ჟურნალ „სარკეში“ გამოქვეყნდა სტატია, სათაურით „საყვარელმა ბიჭმა ორსული მიმატოვა“. მინდა, ამ გოგოს სულიერი სიმხნევე ვუსურვო, მის ახლობლებს კი ვუთხრა, მიიღეთ და უპატრონეთ.

ჩემი ოჯახის ამბავს მოგიყვებით, რომელიც 34 წლის წინ მოხდა. ჩემს დას შეყვარებული ჰყავდა, მას მიენდო, დაფეხმძიმდა. იმ ბიჭის მშობლებმა რომ გაიგეს, თავი მოიკლეს, ორსულ რძალს სახლში როგორ შემოვუშვებთო. მათი შვილი ამბობდა, რომ ჩემი დისთვის პირველი მამაკაცი იყო, რომ ის ბავშვიც მისი იყო, მაგრამ არაფერმა გაჭრა. დედ-მამამ სასწრაფოდ სხვა ქალი შერთეს ცოლად. ის ბიჭიც სუსტი ნებისყოფის აღმოჩნდა და ჩემი და ადვილად დაივიწყა.

ამ დროს მე უკვე გათხოვილი ვიყავი და ორი შვილიც მყავდა. დის ამბავმა თავზარი დამცა. რა თქმა უნდა, მისთვის ფრთები არ შემისხამს, არ მითქვამს, უი, რა კარგად მოქცეულხარ-მეთქი, მაგრამ ჩხუბსაც აღარ ჰქონდა აზრი. დედაჩვენი ორი წლის გარდაცვლილი იყო. საკუთარ თავს ვეკითხებოდი, ნეტა, დედა ახლა როგორ მოიქცეოდა-მეთქი. დედის გულის კარნახით მოვიქეცი და დას გვერდით დავუდექი. სახლში მოვიყვანე და ვუპატრონე. ხალხმა ჩემი და ხომ გარიყა, მაგრამ მეც ზურგი მაქცია. ქმრის ნათესავები გადამემტერნენ, შეცდენილ ქალს თქვენს ოჯახში რა უნდა, ბავშვებს რა მაგალითს აძლევთო. მეუღლეს იმდენი უჩიჩინეს, რომ ჩემ წინააღმდეგ განაწყვეს. ბოლოს გამომიცხადა, შენი და აქედან უნდა წავიდეს, ოჯახს მირცხვენს, მის გვერდით არ ვიცხოვრებო. რა თქმა უნდა, ჩემს სისხლსა და ხორცს ზურგი არ ვაქციე, ქმარი ჩემგან წავიდა. მე და ჩემი და მშობლების სახლში გადავედით და მარტო შევუდექით ცხოვრებას. ბევრი ტალახი გვესროლეს, ბევრმა გვატკინა გული, მაგრამ ცხოვრებას არ შევუშინდით. განათლებაც გვქონდა და კარგი სამსახურებიც. შვილები გავზარდეთ, მათთვის არაფერი დაგვიკლია.

ჩემი დისშვილი, რომლის შეფარებაც არავის უნდოდა და იბრძოდნენ, რომ არ დაბადებულიყო, საოცარი ქალი დადგა, თითით საჩვენებელია. ახლა თავს ევლებიან ნათესავები, ენის მოჩლექით ელაპარაკებიან, მე და ჩემს დას გულში გვეცინება. ჩვენს გოგონას არ ვეუბნებით, ვინ რას ამბობდა მასზე, არ გვინდა, გული ვატკინოთ, ეს მათ სინდისზე იყოს. ჩემმა დისშვილმა კარგი განათლება მიიღო, უცხოეთშიც ისწავლა სამი წელი, აქ კარგი სამსახურიც აქვს და საუკეთესო ოჯახიც შექმნა. მისი ბიზნესმენი ქმრის კისერზე ლამის მთელი ჩვენი სანათესაოა ჩამოკიდებული, მის მზეს ფიცულობენ, რომ არსებობის საშუალებას აძლევთ.

გთხოვთ, ამ გოგონას ახლობლები ზურგს ნუ აქცევთ, უპატრონეთ, შვილი სიყვარულით და სითბოთი გააზრდევინეთ და მერწმუნეთ, ჩემსავით იამაყებთ, რომ თავის დროზე უსუსურ ქალს უთანაგრძნეთ.

**„სარკის“ ერთგული მკითხველი**

# „მზად ვარ, შენი შვილის მამობა ვიკისრო“

ჟურნალ „სარკის“ მე-13 ნომერში დაიბეჭდა წერილი — „საყვარელმა ბიჭმა ორსული მიმატოვა“. მინდა, ამ გოგონას გამოვეხმაურო და ვუთხრა, რომ თუ ნებას დამრთავს, მის გვერდით დავდგები. კარგად ვიცი, რას ნიშნავს, როცა საყვარელი ადამიანი გტოვებს. მსგავსი რამ მეც გამოვცადე.

სამი წლის განმავლობაში მიყვარდა ქალი და არ ვფიქრობდი, რომ ოდესმე ერთმანეთს დავშორდებოდით. მასთან ბედნიერი ვიყავი და მეგონა, ისიც იმავეს გრძნობდა. ისეთი სამუშაო მაქვს, პირადი ცხოვრების მოსაწყობად საკმარისი დრო ვერ გამოვნახე. მასთან ოჯახის შექმნა მსურდა, მაგრამ დროს ვერ ვპოულობდი საქმეების მოსაგვარებლად. ერთ დღეს კი გამაგებინეს, რომ ჩემი შეყვარებული გათხოვდა. არ ვიჯერებდი, მეგონა, ვიღაც ბოროტად ხუმრობდა. სამწუხაროდ, სიმართლე აღმოჩნდა. მას შემდეგ ტკივილით ვცხოვრობ. ამ გოგონას ამბავი გულთან ახლოს ამიტომაც მივიტანე. მზად ვარ, ყველანაირად ვანუგეშო და მისი შვილის მამობაც ვიკისრო.

**მკითხველი**

# „მინდა, შენ გვერდით მიგულო“

ჟურნალ „სარკეში“ გამოქვეყნდა სტატია, სათაურით „საყვარელმა ბიჭმა ორსული მიმატოვა“. ამ ქალს მივმართავ, მინდა, შენ გვერდით მიგულო. თუ დამიკავშირდები, ყველაფერს გავაკეთებ, რომ შენს მეგობრად ვიქცე. იქნებ მომავალში ისე მოხდეს, რომ ოჯახიც კი შევქმნათ.

ჩემი აზრით, ადამიანმა შეიძლება შეცდომა დაუშვას, მაგრამ ამაზე მთელი ცხოვრება პასუხი არ უნდა აგოს. ამ წერილის წაკითხვის შემდეგ რატომღაც ვიგრძენი, რომ მის დახმარებას შევძლებ. თუ სურვილი ექნება, დამიკავშირდეს.

**მკითხველი**

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ



Cyan Magenta Yellow Black

# საბედისწერო მესიჯები

## ქმარმა ოთხი შვილის დედა მოკლა

„ამ საქმეში მარტო თეა და გიორგი არ არიან დამნაშავეები“

ოთხი შვილის დედის, 35 წლის თეა მეტრეველის მკვლელობის ამბავი ელვისებურად გავრცელდა და ყველას, ვინც შეიტყო, თავზარი დასცა. ახალგაზრდა ქალი ქმარმა, 35 წლის გიორგი ტყავაძემ მოკლა და სამართალდამცავებს თავისი ნებით ჩაბარდა. ეს ტრაგედია 20 მარტს, თბილისში მოხდა.

მკვლელობის მოტივად თავიდანვე ეჭვიანობა დასახელდა. გავრცელებული ინფორმაციით, სამსახურიდან გვიან მოსულმა ქმარმა ცოლის ტელეფონში ღამის საათებში უცხო ნომერზე გაგზავნილი მესიჯი ნახა, რის გამოც მეუღლეებს შორის უსიამოვნება მოხდა. მეორე დღეს თეა ოჯახიდან წავიდა. მას ოჯახის წევრები და სამართალდამცავები თითქმის ერთი თვე ეძებდნენ. მერე გამოჩნდა, ქმართან ისაუბრა და შეხვედრა მეორე დღისთვისაც დათქვეს. გიორგი ცოლს დაჰპირდა, რომ შვილებს აჩვენებდა. ერთმანეთს ვარკეთილის მეტროსთან შეხვდნენ. თეამ სთხოვა, ხალხმრავალ ადგილს მორიდებოდნენ და ისინი აეროპორტის გზას გაუყვნენ. მკვლელობა ორხევის დასახლების მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა. ქალი მანქანაში ყელგამოჭრილი იპოვეს.

თეა მეტრეველი და გიორგი ტყავაძე ერთად 17 წელი ცხოვრობდნენ. მათ 15, 13, 4 და 2 წლის შვილები ჰყავთ. ცოლ-ქმარს დადებითად ახასიათებენ ტყავაძეების ყოფილი მეზობლები, რომელთა გვერდითაც ტყავაძეების ოჯახი 30 წელი ცხოვრობდა. ამბობენ, რომ რძალ-დედამთილს ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ და მათი სახლიდან ხმაური არასოდეს გაუგონიათ. თეა მეტრეველი და მისი დედამთილი, ლია ტყავაძე, თბილისის მე-3 საბავშვო ბაღში ერთად მუშაობდნენ. რძალი აღმზრდელის თანაშემწე იყო, დედამთილი — მზარეული.

მკვლელობიდან რამდენიმე დღეში ძალიან მალე საბავშვო ბაღში ხმაური ატყდა — მშობლების ნაწილი მოითხოვდა დედამთილის, ლია ტყავაძის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას სამსახურიდან, რადგან, მათი თქმით, ის იყო მკვლელობის წამქეზებელი, რადგან მან აჩვენა შვილს ცოლის საეჭვო მესიჯები. ბაღის აღსაზრდელთა მშობლები მისი ფსიქიკური მდგომარეობის შესწავლასაც მოითხოვდნენ. თუმცა იყვნენ ისეთებიც, ვინც ამ სკანდალის აგორებაში ბაღის დირექტორს, თამარ ვაჭრიძეს ადანაშაულებდნენ.

„რამდენიმე მშობელმა დედამთილის აქ მუშაობა გააპროტესტა, რამდენიმემ კი თქვა, რომ დედამთილი არაფერ შუაშია. რამდენი ადამიანიც არის, ყველაფერზე იმდენი აზრი არსებობს. ხელმძღვანელობა აპირებს, ყველაზე კარგი გადაწყვეტილება მიიღოს, რაც, პირველ რიგში, მხოლოდ და მხოლოდ ბავშვებისთვის იქნება საუკეთესო“, — აღნიშნა სატელევიზიო კომენტარში ბაღის დირექტორმა.

გამოძიება მიმდინარეობს, ამიტომ „სარკესთან“ კომენტარისგან თავი შეიკავა მკვლელობაში ბრალდებული გიორგი ტყავაძის ადვოკატმა გივი ბიბილაშვილმა. „მე ადვოკატი ვარ და არა ბრალმდებელი, ამიტომ მეტს ვერაფერს გეტყვით“, — გვიპასუხა მან. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საქმის ძიება სისხლის სამართლის 108-ე, განზრახ მკვლელობის მუხლით მიმდინარეობს.

რაც შეეხება დაზარალებულ მხარეს, ანუ თეა მეტრეველის ოჯახს, მათ ამ ეტაპზე ადვოკატი არ ჰყავთ. „სარკეს“ გარდაცვლილის მშობლები ესაუბრნენ. ისინი ქირით ცხოვრობენ ვარკეთილში საკმაოდ ხელმოკლედ.



■ თეა მეტრეველი

**მევლუდ მეტრეველი — თეას მამა:**

— მათ შორის ეს ამბავი დიდხანს გრძელდებოდა. კამათობდნენ ხოლმე, მაგრამ ყოველთვის ვცდილობდით, ოჯახი შეენარჩუნებინათ. ჩემი თეაც ასეთი იყო, ოჯახს, შვილებს ინარჩუნებდა. ცდილობდა, თავისი ტკივილი არავისთვის გაეგებინებინა. ამ საქმეში მარტო თეა და გიორგი არ არიან დამნაშავეები. ასე მგონია, რომ ეს დაგეგმილი იყო. გიორგისაც და თეასაც მოუწყვეს.

„თეა ოჯახს, შვილებს ინარჩუნებდა. ცდილობდა, თავისი ტკივილი არავისთვის გაეგებინებინა. ამ საქმეში მარტო თეა და გიორგი არ არიან დამნაშავეები. ასე მგონია, რომ ეს დაგეგმილი იყო. გიორგისაც და თეასაც მოუწყვეს".

— **ვის უნდა მოეწყო ან რატომ?**

— ამას გამოძიება დაადგენს.

— **როგორც ვიცით, სანამ ეს შემზარავი ამბავი მოხდებოდა, თეა ოჯახიდან იყო წასული. ის თქვენთან ცხოვრობდა?**

— არა, ჩემს ძმისშვილთან იყო, რადგან თეას არ უნდოდა, მისი აქ ყოფნით მის ძმასა და რძალს შორის სიტუაცია გამწვავებულიყო. სასამართლო დაადგენდა, თუ რა მოხდა, მაგრამ გიორგიმ არ დააცალა. უამრავი მკვლელობა მინახავს, მაგრამ მსგავსი — არა.

ბავშვებს ღამე არ სძინავთ, დილით რომ დგებიან, დედას ეძებენ. ძალიან დიდი ტკივილი გვაქვს. ომის ვეტერანი ვარ და სისხლისგან ყოველთვის შორს მიჭირავს თავი. არც გიორგის დავემუქრები არასოდეს და არც მის ოჯახს. ყველას უფალმა შეუნდოს თავისი საქციელი. ადამიანი ასეთი გამხეცებული არ უნდა იყო! 40 კილო გოგო, ორი კვირის მშიერი, შვილებზე თავგადაკლული დედა, სკამზე მიაბა და მოკლა! ფასდაუდებელი გოგო იყო.

— **თუ ნაჩხუბრები იყვნენ, როგორ აღმოჩნდა თეა მკვლელობის დღეს მეუღლის მანქაში?**

— გიორგი თეას მკვლელობის წინა დღეს შეხვდა. თურმე თავისი საქციელი მოინანია, ხელებზე, თავზე კოცნიდა ჩემს შვილს. უთქვამს, რაც მთელი ცხოვრების განმავლობაში შენთვის ტკივილი მომიყენებია, ამას ქალი ვერ აიტანდა, ყველაფერი უნდა მაპატიოო. თეამ გიორგის ბავშვების ნახვა სთხოვა. ისიც დათანხმდა. იმ საღამოს გიორგი თავის დასთან წასულა, უქეიფია. იქ რა დაიგეგმა, ვერ გეტყვით. იმ ღამესვე თურმე თეას ურეკავდა, შევხვდეთ, სალაპარაკო მაქვსო, მაგრამ ჩემს შვილს უარი უთქვამს, ხვალ ბავშვებთან ერთად ვისაუბროთო. მეორე დილით, დაახლოებით ათის ნახევარზე დაურეკავს. მოუტყუებია, გამოდი და ბავშვებთან წაგიყვანო. როგორც გავიგე, ორხევში წაუყვანია, გაუბორკავს და ყელი გამოუჭრია. მე თვითონ ვნახე, თეას ყელი ნახევრად ჰქონდა გამოჭრილი, რომ მაშინვე კი არა, წამებით მომკვდარიყო.

— **ითქვა, რომ დანაშაული ეჭვიანობის ნიადაგზე მოხდა. თქვენ რას ვარაუდობთ?**

— ყველაფერს გამოძიება დაადგენს.

— **რა იყო მიზეზი, რის გამოც თქვენი ქალიშვილი ოჯახიდან ამდენი ხნით წავიდა?**

— ისინი ხშირად კამათობდნენ. ჩვენთან 10 წელი ცხოვრობდნენ. მთელი ამ ხნის განმავლობაში არ მახსენდება, გიორგი ჩვენთან ცუდად მოქცეულიყო. ხანდახან ჩემს მეუღლესთან კი ჰქონდა უხეში გამოხდომები, მაგრამ პირადად ჩემთან ცუდად არ მოქცეულა. მამამისი ისე მიყვარდა, როგორც ჩემი ძმა. სხვა ძმა არ მყავს-მეთქი, ვამბობდი... ეს მოწყობილი საქმეა, ვიღაცას მათი გაუბედურება უნდოდა. გიორგიმ დიდი შეცდომა დაუშვა, თეას არ დააცალა იმის დამტკიცება, რომ ის ოჯახს და შვილებს არასოდეს უღალატებდა.

**ნანა მეტრეველი — თეას დედა:**

— თეა შვილებზე გადამკვდარი დედა გახლდათ, მაგრამ გიორგი თავისებური ხასიათის ბიჭი იყო, წაკამათება, ჩხუბი უყვარდა, ეჭვიანობაც ახასიათებდა. ცოლს მარტო არსად უშვებდა, არც მამიდაშვილთან, არც ბიძაშვილთან, ყველგან დაჰყვებოდა.

— **ფიქრობთ, რომ ცოლი ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლა?**

ნანა: არ ვიცი, შვილო. ჩემს შვილს ბევრი სიმწარე, უსიამოვნება ჰქონდა გამოვლილი, მაგრამ კონკრეტულს ვერაფერს ვიტყვით. ჩვენ თითქმის არაფერს გვეუბნებოდა, რომ არ ჩავრეულიყავით.

„გიორგი თეას მკვლელობის წინა დღეს შეხვდა. თურმე თავისი საქციელი მოინანია, ხელებზე, თავზე კოცნიდა ჩემს შვილს. უთქვამს, რაც მთელი ცხოვრების განმავლობაში შენთვის ტკივილი მომიყენებია, ამას ქალი ვერ აიტანდა, ყველაფერი უნდა მაპატიოო".

— **ბავშვები ახლა თქვენთან არიან?**

ნანა: ამჟამად ჩემთან არიან. ოთხშაბათ საღამოს თეა რომ მოგვისვენეს, იმის შემდეგ უფროსი შვილები აქ არიან. ბავშვები სურათთან მოდიან, დედას სანთელს უნთებენ და ლოცულობენ.

მევლუდი: ყველანაირად ვცდილობთ, ბავშვებს ტკივილი შევუმსუბუქოთ. იმ ბებიამ უფროს ბავშვებს უთხრა, მამათქვენმა დედათქვენი მოკლაო... ჩვენ ბავშვებთან ამ თემაზე არ ვლაპარაკობთ. სიმართლე უნდა დადგინდეს, რისთვის მოკლა. თეა სხვის და



Cyan Magenta Yellow Black

თავის შვილებს არ არჩევდა, ბაღში ყველას შვილად თვლიდა. უნიკალური იყო როგორც თავისი, ისე სხვისი შვილებისთვის. რაღაცა მოხდა და არ ვიცი, რა.

■

თეას დედამთილი, **ლია ტყავაძე,** „სარკესთან“ ყვება, რომ მკვლელობამდე ერთი თვის წინ ერთი შემთხვევა მოხდა, რამაც შემდგომში ეს დანაშაული გამოიწვია:

— შვილებისათვის ლუკმაპური რომ ეშოვა, გიორგი ტაქსის მძღოლად მუშაობდა. ერთ დღეს ღამის 4 საათზე მოვიდა. ჩემი შვილი ასე გვიან ხშირად ბრუნდებოდა. როცა სახლში გვიან მოდიოდა, მეუღლეს აღვიძებდა, სხდებოდნენ და ვახშმობდნენ. იმ ღამეს გიორგის მობილური დამჯდარი ყოფილა და დამტენს ეძებდა. დაუნახავს, რომ თეას გახსნილ ჩანთაში ტელეფონი იდო.

> **„თეა ჩემს შვილს ძალიან უყვარდა. გიორგი თუ ცუდად ექცეოდა, მასთან 17 წელი ხომ ვერ გაჩერდებოდა? 18 წლის იყვნენ ორივენი, როცა თეა ჩემს ოჯახში შემოვიდა. შვილივით მყავს გაზრდილი".**

თქვა, ეჭვი შემეპარა, ტელეფონი ავიღე და მესიჯები ვნახეო. ერთი მესიჯი, როგორც მახსოვს, ვიღაცასთან ღამის 3-ის 17 წუთზე იყო გაგზავნილი. გიორგიმ თურმე თეა გააღვიძა და ჰკითხა, ეს მესიჯი ვის გაუგზავნეო. მას კი უთქვამს, საღამოს მეზობლის ბავშვმა მთხოვა ტელეფონი და იმან გაგზავნაო, მაგრამ საათები არ დაემთხვა. ღამის საათებში ისეთი შინაარსის შემოსული და გასული მესიჯები იყო... ერთი სიტყვით, იმ დილით 7 საათზე ავდექი, სამზარეულოდან ჩემი შვილის და რძლის ძალიან მშვიდი საუბარი მესმოდა. თეა სამზარეულოდან ჩვეულებრივად გამოვიდა, საძინებელში შევიდა და წამოწვა. ვუთხარი, არ დაგაგვიანდეს, ბავშვებს ჩავაცვათ და წავიდეთ-მეთქი. მანქანაში ჩავსხედით და ბაღში ჩემმა საცოდავმა შვილმა წაგვიყვანა.

— **თქვეს, რომ ეს მესიჯი თქვენ აჩვენეთ გიორგის.**

— არა, შვილო, თეას ტელეფონში ეს მესიჯები თვითონ გიორგიმ ნახა. აგერ ჩემი შვილი ჩვენებას ხომ მისცემს და იტყვის ყველაფერს. როცა დილით გიორგიმ საბავშვო ბაღში მიგვიყვანა, თეასთვის უთქვამს, ბავშვები შეიყვანე და გამოდიო. ჩემს რძალს თურმე ერთ-ერთი თანამშრომლისთვის იმ ნომრის დაწერა უთხოვია, რომელზეც მესიჯი იყო გაგზავნილი, მაგრამ ქმარი კართან რომ დაინახა, თანამშრომლისთვის უთქვამს, გადააგდე ეგ ნომერიო. მოკლედ, ჩემი რძალი გიორგისთან სასაუბროდ გავიდა რამდენიმე საათით. შემდეგ დაბრუნდა, ბაღიდან დაეთხოვა, ტელეფონი უნდა ჩავრთოო და ამის შემდეგ წავიდა და წავიდა. ყველა მას ეძებდა. 5-6 საათამდე ბაღში ჩაცმული ველოდებოდი ბავშვებით.

მოკლედ, ამ კონფლიქტის შემდეგ თეა გაიქცა. 22 თებერვალს წავიდა, მკვლელობა კი 20 მარტს მოხდა. განაცხადი გავაკეთეთ, რომ 4 შვილის დედამ შვილები ბაღში დატოვა და გაიქცა. ეძებდნენ. ის ტყიბულიდან ჩამოიყვანეს. არ ვიცი, ეს რამდენად მართალია. მეგობრის დეიდასთან ვიყავიო, ასე უთქვამს. იმ პერიოდის განმავლობაში ჩემმა შვილმა ხან მესიჯი მისწერა, ხან სხვისი ტელეფონით ურეკავდა, მაგრამ გამორთული ჰქონდა. თეა პირველად დედამისს დაეკონტაქტა. ტელეფონები ისმინებოდა და გამომძიებელმა მას მესიჯი გაუგზავნა, რომ კონტაქტზე გამოსულიყო. ამ ამბიდან მესამე დღეს გამოჩნდა. შვილები არც მოუკითხავს.

— **თქვენი მონაყოლიდან ჩანს, რომ ცოლ-ქმარს შორის უსიამოვნება მესიჯების გამო მომხდარა. იქნებ მართლა მეზობლის ბავშვის მესიჯები იყო, არ გაარკვიეთ?**

— როცა თეამ მეზობლის ბავშვს დააბრალა, გიორგიმ უთხრა, რომ ყველაფერს გაარკვევდა. ჩემს რძალს უთქვამს, თუ ეს ყველაფერი ამ ტელეფონის ბრალია, გავტეხავო და გაუტეხავს. თეამ მესიჯების გაგზავნა ვისაც დააბრალა, იმასთან ჩემმა შვილმა თეას ძმა მიიყვანა და დაუმტკიცა, რომ იმის გაგზავნილი არ იყო.

— **თქვენი შვილი და რძალი ხშირად კამათობდნენ?**

— ცოლ-ქმარს შორის მუდამ არის კამათი, მაგრამ ცემა-ტყეპა, როგორც ეს ტელევიზორში თქვეს, არ ყოფილა. თეა ჩემს შვილს ძალიან უყვარდა. გიორგი თუ ცუდად ექცეოდა, მასთან 17 წელი ხომ ვერ გაჩერდებოდა? 18 წლის იყვნენ ორივენი, როცა თეა ჩემს ოჯახში შემოვიდა. შვილივით მყავს გაზრდილი. მასზე დედასაც კი არ აქვს იმდენი ამაგი, რამდენიც მე. მისი მშობიარობისას ბლოკშიც კი ვიყავი ხოლმე. 17 წელი ჩემი ოჯახის რძალი იყო და ამ ხნის განმავლობაში დედამისთან 17-ჯერ არ დარჩენილა. ჩემს მეუღლეს მუხლზე ეჯდა ხოლმე.

— **რა მოხდა მკვლელობის დღეს, თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?**

— წინა დღეს საღამოს 9 საათი იქნებოდა, გიორგი რომ მოვიდა და მითხრა, თეას ვარკეთილის მეტროსთან შევხვდიო. რატომ შეხვდი, რამეზე არ აგანერვიულოს-მეთქი, ვუთხარი. მეორე დღისთვის შეთანხმებულან, რომ ისევ შეხვდებოდნენ. ჩემს შვილს ზედმეტად ვერაფერს ვეკითხებოდი, თვალებში ვერ ვუყურებდი, თავჩაღუნული დადიოდა. მე და მამამისს გვეუბნებოდა, ნუ ნერვიულობთ, არ მინდა, ასეთს გხედავდეთ, მხოლოდ გვერდში ამომიდექით, ეს შვილები გამაზრდევინეთო.

იმ ავადსახსენებელ დღეს ისევ ვარკეთილის მეტროსთან შეხვდნენ ერთმანეთს. თეას უთქვამს, ისეთ ადგილას წავიდეთ, სადაც ხალხი არ იქნებაო. აეროპორტის გზაზე წასულან. ჩემს შვილს უკითხავს, შვილებზე რას ფიქრობო. უპასუხია, აქ აღარ მეცხოვრება, თურქეთში ან უკრაინაში წავიდეთ, ეს ბავშვები კი გაიზრდებიანო. შენ შვილები არ გინდა და მე გინდივარო, უკითხავს ჩემს შვილს. კიდევ რა მოხდა, არ ვიცი. ალბათ გიორგიმ ცოლს ყველაფერი ათქმევინა. შეიძლება შეპირდა, გაპატიებო და იმან ყველაფერი ჩამოაჭიკჭიკა. ეს ჩემი აზრია. გიორგის მისი მოკვლა თუ უნდოდა, წინა დღეს ვერ მოკლავდა? როგორც ჩანს, იმ ადამიანის ვინაობა ათქმევინა და ალბათ მაშინ გამხეცდა.

ჩემი შვილი მკვლელი არ არის და ეს განზრახული არც ჰქონია. როცა თეა გამოჩნდა, გიორგი მის მშობლებს, ძმას ეუბნებოდა, თეას ამას ვერ ვაპატიებ, თქვენი შვილი მიიღეთ, რომ ამ პატარებს მიხედოს, დედობრივი მზრუნველობა გაუწიოს და მე, როგორც მამა, არაფერს მოვაკლებო. არ ვიცი, მშობლებმა თავიანთი შვილი რატომ აღარ მიიღეს. თურმე ბოლო ერთი კვირა თეა თავის ბიძაშვილთან ცხოვრობდა.

— **საბავშვო ბაღიდან თქვენს დათხოვნას რატომ ითხოვდნენ მშობლები?**

— ერთმა ზნედაცემულმა მშობელმა ეს ამბავი აიტაცა. თავისნაირ 4-5 მშობელს ხელი მოაწერინა, რომ მე სამსახურიდან გავეგდე. ჩემმა შვილმა თუ დააშავა, ის აგებს პასუხს უფლის და კანონის წინაშეც. ოთხი უდედმამოდ დარჩენილი ბავშვის პატრონს სამსახური უნდა დამაკარგვინონ თუ პირიქით, ხელი შემიწყონ, რომ შვილიშვილებს მივხედო?!

— **მშობლების გარკვეული ნაწილი თქვენი ფსიქიკური მდგომარეობის შემოწმებასაც მოითხოვდა, რადგან თითქოს თქვენი შვილის საქციელი გაგიმართლებიათ.**

— ყველანაირად შემამოწმონ, შვილო! თუ აღმოჩნდება, რომ ვინმესთვის რამე საფრთხეს წარმოვადგენ, სამსახურს ჩემი ნებით დავტოვებ. თუ არადა, ვინც ცილი დამწამა, სამსახური იმან უნდა დატოვოს!

— **ასევე გავრცელდა ხმები, თითქოს თქვენმა ქალიშვილმა რძლის ადგილზე მუშაობა ჯერ კიდევ მაშინ მოითხოვა, როცა გარდაცვლილი ჯერ დასაფლავებულიც არ იყო.**

— ეს აბსოლუტური სიცრუეა! ჩემი ქალიშვილი, თეონა, საბავშვო ბაღში მუშაობდა. როცა ის დეკრეტულ შვებულებაში გავიდა, ჩემი რძალი მაშინ მივიდა იქ სამუშაოდ. თეა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როცა თეონამ ბაღში მუშაობაზე განცხადება დაწერა.

— **შვილიშვილები ვისთან დარჩნენ?**

— ჩვენთან. უბრალოდ, ამ მძიმე დღეებში იქით არიან, თან საფლავზეც ხომ უნდა გასულიყვნენ? რძლის დედა ბაზრობაზე

> **„ალბათ გიორგიმ ცოლს ყველაფერი ათქმევინა. შეიძლება შეპირდა, გაპატიებო და იმან ყველაფერი ჩამოაჭიკჭიკა. გიორგის მისი მოკვლა თუ უნდოდა, წინა დღეს ვერ მოკლავდა? თან ღამე შეხვდა. როგორც ჩანს, იმ ადამიანის ვინაობა ათქმევინა და ალბათ მაშინ გამხეცდა".**

მუშაობს, იმ უბედურისთვის არც ზამთარია და არც ზაფხული. სამსახურში დილის 6 საათზე მიდის და საღამოს ბრუნდება. სახლი არ აქვთ, კარი არ აქვთ, ქირით ცხოვრობენ. ჩემს შვილიშვილებს ვის დავუთმობ?!

„სარკეს“ ტყავაძეების ყოფილი მეზობელიც გაესაუბრა.

**ნინელი ბადალაშვილი:**

— ამ ოჯახს დიდი ხანია, ვიცნობ. ჩვენ ერთ ეზოში 30 წელი ვიცხოვრეთ. ლამაზ ოჯახს ეძახდნენ. რძალ-დედამთილს გადასარევი ურთიერთობა ჰქონდათ. როგორც დები, ისე იყვნენ. მამამთილი ახლაც ზის და მოთქვამს. ჩვენი ეზოდან 8 თვეა სხვაგან გადავიდნენ საცხოვრებლად. იქით რა მოხდა, არ ვიცი. გიორგი ძალიან კარგი, მშრომელი ბიჭი იყო. ხან მშენებლობაზე მუშაობდა, ხან — ტაქსის მძღოლად. უბოროტო, წყნარი, მშვიდი იყო. გოგოც გადასარევი გახლდათ. ეს საწყალი ბიჭი ღამე მუშაობდა, დღე ეძინა. მესამე შვილი, ნიკუშა, ამის გაზრდილია, თეა მაშინ ბაღში მუშაობდა.

პირველი ესემესი გარდაცვლილის ქმარმა ნახა და არა — დედამთილმა. როგორც მერე ითქვა, თეა ძმასთან გაქცეულა და უთქვამს, მავიწროებენო. ძმას კი სიძისთვის დაურეკავს, ოთხი შვილის დედასთან რა გინდაო. გიორგიმ ცოლისძმას მესიჯები აჩვენა. თეა გაქცეული იყო, ეძებდნენ. იპოვეს, მაგრამ იმ დღეს რა მოხდა, არ ვიცი. დედამთილს ეს გოგო სიგიჟემდე უყვარდა, მეორე ბიჭი და რძალი ქირით გაუშვა და ეს თავისთან დაიტოვა. დედამთილი ტირის და ამბობს, რომ მის შვილს ცოლი არ უნდა მოეკლა, მაგრამ ეს უბედურება მოხდა.

✓ **მაკა ლემონჯავა**



Cyan Magenta Yellow Black

# გია ხუხაშვილი: „მე უფრო ხშირად ვიღებ პრემიერისგან რჩევებს, ვიდრე ის ჩემგან“



საზოგადოებაში დიდი ინტერესია იმის თაობაზე, თუ ვინ სარგებლობს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის სიმპათიით. ამაზე მმართველ გუნდში ხმამაღლა არავინ საუბრობს, თუმცა კულუარებში არ მალავენ, რომ მილიარდერი პრემიერის თვალში ექსპერტ გია ხუხაშვილის სიტყვა ყველაზე მეტად ფასობს. ამიტომაც უწოდეს მას „რუხი კარდინალი“ და ის „სარკესთან“ მითებსა და რეალობაზე გულწრფელად საუბრობს.

— **ბატონო გია, ბუნებრივია, თქვენც იცით, რომ „რუხ კარდინალად“ შეგრაცხეს. გიფიქრიათ, რატომ?**

— ამას აქვს როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური მიზეზები. საქართველოში უყვართ მითების თხზვა. როცა, ერთი მხრივ, ახლოს ხარ ხელისუფალთან და, მეორე მხრივ, არ გიკავია არანაირი თანამდებობა, რასაკვირველია, ყოველთვის ვიღაცას უნდა, რომ რაღაცა დაინახოს. ეს ჩვეულებრივი ადამიანური დასკვნებია და არ მიკვირს. ვერ ვიტყვი, რომ ეს ხდება მარტო ოპოზიციაში, არიან ადამიანები უმრავლესობაშიც, რომელთაც ამის გამო აქვთ დისკომფორტი. ისეთი ადამიანი მართლაც წარმოადგენს საფრთხეს, რომელიც არ არის რაღაც კონიუნქტურაში, აქვს მოქმედების თავისუფალი დიაპაზონი და არანაირი ვალდებულება სახელისუფლებო ვერტიკალთან.

— **ვის აშინებთ ასე ძალიან?**

— სიმართლე გითხრათ, არც შედის ჩემს ინტერესთა სფეროში ამ ადამიანების იდენტიფიცირება. ლეგენდისგან ჩემი სტატუსი ძალიან შორს არის. უფრო შეზღუდული გავლენა და კომპეტენცია მაქვს. ხანდახან ისეთ საკითხებზე იყო საუბარი, რომ საერთოდ არც მსმენია, თურმე ისეთ ადამიანებს ვნიშნავ სხვადასხვა თანამდებობებზე... ამ საკითხში საერთოდ არ ვერევი, განა იმიტომ, რომ უარს მეტყვიან. არა, უბრალოდ მერე მე შევიზღუდები, ანუ შემეზღუდება ის თავისუფლება, რის გამოც მე სისტემის გარეთ დავრჩი. შიგნით ყოფნა რომ მდომებოდა, გავიკეთებდი პალსტუხს და ვიქნებოდი მინისტრი. ეს არ არის ჩემი ბავშვობის ოცნება. თავიდანვე ვთქვი, როგორც კი დასრულდებოდა არჩევნების პროცესი, გვერდით გავდგებოდი და ვასრულებ კიდეც სიტყვას.

— **მაგრამ მაინც ერთ-ერთ გავლენიან ფიგურად ითვლებით. ეს არაოფიციალური სტატუსი რითი დაიმსახურეთ?**

— არჩევნების შემდეგ როცა მიმდინარეობდა კადრებთან დაკავშირებით კონსულტაციები, მე ვმონაწილეობდი მასში და დღესაც, თუ მკითხავენ რჩევას, რა თქმა უნდა, ვპასუხობ.

— **ბევრჯერ, თუნდაც ჩემთან ინტერვიუში გითქვამთ რაღაც და მერე ზუსტად ისე მომხდარა.**

— დამთხვევა იქნებოდა, თორემ გადაწყვეტილებებს არათუ ვიღებ, კანდიდატურის ინიციატორიც არასოდეს ვყოფილვარ. ჩემი თავისთვის ამის უფლება არასოდეს მიმიცია.მე უფრო ხშირად ვიღებ პრემიერისგან რჩევებს, ვიდრე ის ჩემგან. ამას საპირფეროდ არ ვლაპარაკობ. ჩემს მეუღლესაც ვეკითხები რჩევებს და ეს არ ნიშნავს, რომ ის ჩემი ოჯახის რუხი კარდინალია. ეს ლეგენდაა და, სიმართლე გითხრათ, მეცინება. შევამჩნიე, რომ ვიღაცეებს ჩემი ეშინიათ, ვიღაცეები მიფრთხიან. დამერწმუნეთ, ცოცხალი ხუხაშვილი ბევრად კარგი ადამიანია, ვიდრე მითური.

ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ: არჩევნებშიც ჩემი ფუნქცია იგივე იყო — ვიყავი ადამიანი, რომელსაც არ ჰქონდა პოლიტიკური ამოცანები, ამბიციები და ამის გამო ჩემთან ყველა განიცდიდა დისკომფორტს. არ ვითვალისწინებდი არანაირ ავტორიტეტს და ყოველთვის პირდაპირ ვეუბნებოდი სათქმელს, თუ რამეს სწორად არ აკეთებდნენ. ამიტომაც, როცა დამთავრდა არჩევნები, ყველას ბოდიში მოვუხადე. საკმაოდ ხისტი ხასიათი მაქვს და ჩემი პირდაპირი შეტევებით ბევრს გული ვატკინე.

— **განსაკუთრებით ირაკლი ალასანიას, არა?**

— ალასანიას და ჩემ შორის განსაკუთრებული უთანხმოება არ ყოფილა. მკაცრი საუბრები მქონია ყველასთან, მაგრამ ალასანიასთან — ყველაზე ნაკლებად. ლეგენდა, რომ ეს მერე რაღაც სახელმწიფოებრივ ინტრიგებში გადავიდა, სასაცილოა. ისე, ჩვენ მეზობლები ვართ.

— **მაგრამ ფაქტია, რომ საპრეზიდენტო კანდიდატი ვიცეპრემიერობიდან დაითხოვეს.**

— მე რატომ დამიკავშირეს ეს, არ ვიცი. ამბიცია რომ მქონდეს, კიდევ — ჰო, მაგრამ არ მაქვს. რა ინტერესი შეიძლება ხუხაშვილს ჰქონდეს, ალასანია რომ იყოს პრეზიდენტი ან არ იყოს? რუხი კარდინალი კულისებში თამაშობს, არ ჩანს, მე კი ყოველდღე ინტერვიუებს ვიძლევი. ირაკლის კი ნამდვილად ვთვლი სერიოზულ, მძიმე პოლიტიკურ ფიგურად.

— **მაგრამ არა — პრეზიდენტად.**

— თუ ადამიანური რჩევა გაინტერესებთ ირაკლისადმი, მას პრეზიდენტის სტატუსი არ შეეფერება. ირაკლის ყველაფერი წინ აქვს და აქტიური მენეჯერი უნდა იყოს, პრეზიდენტი კი ოქტომბრის შემდეგ ხდება მედიატორი, კრიზისმენეჯერი და მის ასაკში, ვფიქრობ, ნაადრევია ამ თანამდებობაზე ყოფნა. მე საქართველოს პრეზიდენტი წარმომიდგენია უფრო დალვინებული, დაბრძენებული, რომელსაც შეუძლია დააბალანსოს ხელისუფლების შტოები. ეს არის ჩემი აზრი და დღესაც არ ვარ წინააღმდეგი, თუ მასზე გაკეთდება არჩევანი. ერთი პერიოდი ისეთი ლეგენდები ითქვა ამაზე, რომ... მერე ერთადაც გვნახეს...

> **„შევამჩნიე, რომ ვიღაცეებს ჩემი ეშინიათ, ვიღაცეები მიფრთხიან. დამერწმუნეთ, ცოცხალი ხუხაშვილი ბევრად კარგი ადამიანია, ვიდრე მითური“.**

— **პრემიერის დაბადების დღეზე და ამას დიდი შერიგება უწოდეს. ივანიშვილმაც ალასანია დალვინების ხარისხით დაიწუნა და ვახტანგ ხმალაძისნაირი ისურვა, მაგრამ არა — ხმალაძე. თქვენ რა აზრი გაქვთ ხმალაძეზე?**

— ხმალაძე, როგორც კონსტიტუციის გარანტი, არის ღირსეული კანდიდატი — წესიერი ადამიანი. მოთამაშე არ არის, ძალაუფლების გამოყენების ცდუნება არ ექნება, მაგრამ მასაც აქვს გარკვეული მინუსები. ბევრი სხვა შეიძლება იყოს დასახელებული ამ თანამდებობაზე, მაგრამ პირდაპირ გეტყვით, მე ჩემი კანდიდატი არ მეყოლება. როცა დაასახელებენ და მკითხავენ აზრს, ვეტყვი.

— **როცა პოლიტიკიდან წახვედით, თქვით, რომ იქნებოდით პირველი, ვინც ამ ხელისუფლებას გააკრიტიკებდა. ჯერ მსგავსი თქვენგან არაფერი ყოფილა, თუმცა დიდი დრო გავიდა და არც ისე მომხიბვლელად მიდის საქმე, როგორც ხალხი ელოდა.**

— რაც მთავარია, შიშის სინდრომი დათრგუნულია. მაშინ ცუდი მოლოდინის სუნით იყო გაჟღენთილი ჰაერი და ეს დასრულდა. ეს არის პოზიტივი. ნეგატივს რაც შეეხება, პროცესები ცოტა ნელა მიდის. სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნა ჯერ-ჯერობით არ არის რეალიზებული. ვერ შედგა ამნისტირება იმ ადამიანებისა, რომლებიც რეჟიმმა გახადა დანაშაულის თანამონაწილე. ძნელია, ხელისუფლება დაადანაშაულო, რომ ეს 4-5 თვეში რატომ ვერ გააკეთა. 2-3 თვეში ხელისუფლებამ უნდა აჩვენოს რეალური შედეგები.

საკონსტიტუციო ცვლილებები რომ იქნა მიღებული, შეიძლება ამას პოლიტიკურად დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ ფსიქოლოგიური ბარიერი ნამდვილად გადაილახა. საზოგადოება დაძაბული იყო კრიზისის მოლოდინში, რაც ქვეყანას განვითარების საშუალებას არ აძლევდა.

რაც შეეხება კრიტიკას, ჩვენი ორგანიზაციის (საქართველოს განვითარების ინსტიტუტი. ავტ.) ეგიდით ვაკეთებთ ტელეპროექტს, სადაც ბევრ სიურპრიზს შემოგთავაზებთ, როგორ უნდა წყდებოდეს საკითხები და როგორ უნდა მონაწილეობდეს საზოგადოება სახელმწიფოს ინსტუტიციურ დალაგებაში. ჩვენ ამის მოდელი უნდა შევქმნათ და ეს მოხდება პირდაპირ ეთერში.

— **იქნებ დააკონკრეტოთ.**

— ჯერ არ მინდა ამაზე დეტალურად საუბარი. პროექტს ტელეკომპანია „იმედთან“ ერთად ვაკეთებთ. ეს უფრო რეალითი შოუ გამოვა, წამყვანი არ ეყოლება, მედიატორი რეზო საყევარიშვილი იქნება. იქნებიან ცნობილი ადამიანები, რომლებიც იმსჯელებენ და გამოიტანენ გადაწყვეტილებას, რომლის იმპლემენტაცია უნდა ვაიძულოთ ხელისუფლებას რეალურ ცხოვრებაში. რეჟიმი კი დავამხეთ, მაგრამ სისტემა იბრძვის გადარჩენისთვის. თუ საზოგადოებამ ვერ შეძლო გააქტიურება და უზრუნველყოფა იმისა, რომ ხელისუფლება ხალხზე არ იბატონებს, ისევ დავმარცხდებით სისტემასთან. გვინდა, ვაჩვენოთ ის ტონი, როგორ უნდა საუბრობდეს საზოგადოება სახელმწიფოსთან.

— **რეალითი შოუ როგორი ფორმატის იქნება?**

— მაგიდასთან იქნება 8 ადამიანი — ცნობილი ექსპერტები. მივიღებთ გადაწყვეტილებებს და შევთავაზებთ ხელისუფლებას, ანუ კონკრეტული საკითხების გადაწყვეტის ფორმულას დავდებთ. კვირაში ერთხელ გავა.

— **ბევრი ექსპერტი პრობლემას უკვე ხედავს ძალოვან სისტემაში — პოლიციაში, პროკურატურაში.**

— პოლიციაში დიდ პრობლემას ვერ



Cyan Magenta Yellow Black

ვხედავ, თუ ყურადღებას არ მივაქცევთ ნაციონალების მიერ ატეხილ ქარიშხალს ჭიქაში. სტატისტიკა არ მეტყველებს, რომ რაიმე სისტემური პრობლემაა, თუმცა ნახევარი ციხე თავისუფალია. პოზიტიურია, რომ პოლიცია გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან და ჩადგა სახელმწიფო სამსახურში. თუმცა არის პატარა ხარვეზები.

**— ალბათ ბათუმის ფაქტი, როცა საია-ს წევრსა და პოლიციის მაღალჩინოსანს შორის ინციდენტი მოხდა.**

— ამაზე ცოტას ვიკამათებდი. ღრმად არ ვარ ჩახედული, მაგრამ, რა კადრებიც ვნახე, ზედმეტი ხმაურია ატეხილი. ის საია-ს თანამშრომელი დიდად არ მომეწონა. არც პოლიციელს ვამართლებ. მან კონფლიქტის განახლების პროვოცირება მოახდინა, მაგრამ არც მეორე მხარე გამოიყურება ისე ანგელოზად, როგორც ვიღაცას უნდა წარმოაჩინოს.

**„თუ ადამიანური რჩევა გაინტერესებთ ალასანიასადმი, მას პრეზიდენტის სტატუსი არ შეეფერება".**

მე უფრო მეტი კითხვები შეიძლება სხვა საქმეებზე მქონდეს, მაგალითად, ისევ ის ხალხი გვყავს იქ, ვინც ადრე ადამიანთა პოლიტიკური დევნით იყო დაკავებული.

**— კითხვებია გამოუძიებელ საქმეებზე.**

— პროკურატურაში არის პრობლემები, თუმცა ვფიქრობ, სასამართლოს პრობლემა უფრო მწვავედ დგას, ვიდრე პროკურატურის.

**— მაგრამ ცნობილი საქმეები ჯერ არ გადასულა სასამართლოში, ისევ ძიებაშია.**

— არსებით განხილვაში არ გადასულა, მაგრამ როცა ადამიანს ედავებიან 5 და 10 მილიონს, ჩანს, რომ კორუფციული გარიგებაა და თავდებით უშვებენ. უგულავას შემთხვევაში ესეც არ მოუთხოვიათ, რაც სასაცილოა. აბსურდია ისიც, რომ კეზერაშვილს წინასწარი პატიმრობა მიუსაჯეს, რომელიც ირიბად მონაწილეობდა ამ საქმეში, უგულავა კი, რომელიც პირდაპირი მონაწილეა და ბრალდება გამაგრებულია კონკრეტული ტრანსაქციებით, თავისუფალია. ამ მოსამართლეებს კარგად უნდა ესმოდეთ, რომ ეს ბუმერანგივით უკან მიუბრუნდებათ. იმედია, რეფორმები მალე დაიწყება.

**— სასამართლოების კანონში ცვლილებაზე შეთანხმება თუ არ მოხდა?**

— კანონში ცვლილებები მაინც უნდა მოხდეს.

**— თუნდაც ვენეციის კომისიის რეკომენდაციის საწინააღმდეგოდ რომ იყოს?**

— ყველაფერი შესაბამისობაშია ვენეციის კომისიასთან. იქ არის დავა, დღეს დაიწყოს თუ 5 წლის მერე რეფორმა. აქ არ არის ვენეციის კომისიის უარყოფაზე საუბარი. მან შეიძლება თქვას, ასე უკეთესიაო, მაგრამ ქართულმა სახელმწიფომ უკეთესად იცის, რა სჭირდება. ჩვენ მაქსიმალურად უნდა გავითვალისწინოთ რეკომენდაციები, მაგრამ 100 პროცენტით რომ შევასრულოთ, არ იქნება სწორი. თამაშის წესებს ამ ქვეყანაში კარნახობს საზოგადოება და არა — ვენეციის კომისია.

**— საკონსტიტუციო ცვლილებების დროს ივანიშვილმა დათმო. აქ გამორიცხულია?**

— აქ არ შეიძლება დათმობა, სამართალი არ უნდა იყიდებოდეს და ის ჩვენ გვჭირდება დღეს და არა — 5-10 წლის მერე. უკვე საზოგადოება ითხოვს სამართალს. დავთმოთ იმიტომ, რომ ვიღაცამ რაღაც დაწერა და უნდა თავისი ტყავი შეინარჩუნოს? სასწორზე ორი არაადეკვატური რამ დევს.

**— საქართველოს დღევანდელ საშინაო პოლიტიკაში, განსხვავებით ახლო წარსულისგან, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დაპირისპირება უკიდურეს კონფრონტაციამდე არასოდეს მიდის. ეს რისი ნიშანია?**

— ეს პრემიერის დამსახურებაა. ის არ არის კლასიკური პოლიტიკოსი. ყველამ კარგად იცით, დღეს ყველაფერი ერთ ადამიანზეა მიბმული, მაგრამ ის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს არასოდეს იღებს და არც არავის სწირავს. ყველაში ხედავს ადამიანს, იმათშიც კი, ვინც მას უღალატა, ეძებს მოტივაციას, დაეხმაროს და მისცეს შანსი. თორემ ქორები „ქართულ ოცნებაშიც" არიან, რომლებიც ითხოვენ სისხლს. ივანიშვილის ფაქტორი კი ყოველთვის შემაკავებელია.

**— თუმცა მკაცრი ტონი აქვს დასავლეთთან.**

— მკაცრი — არა, პრინციპული. უსამართლო კრიტიკაზე უნდა უპასუხო. სახალხო პარტიის წერილი უსამართლო იყო. აქ ორი ვარიანტია — ან უნდა გაჩუმდე, ან უბრალოდ უნდა მიუთითო, რომ არ არის მართალი. სხვათა შორის, საკმაოდ კარგად შეირგო ეს კრიტიკა სახალხო პარტიამ, თუმცა ნაციონალები აპოკალიფსურ სურათს გვიხატავდნენ. პრინციპული საუბარი არ ნიშნავს, რომ მეორე მხარე გაბრაზდება, პირიქით, შეიძლება, უფრო დაგამეგობროს მასთან. თუ ნახავს, რომ ხარ პიროვნება და საკუთარ ღირსებას უფრთხილდები, უფრო დაგაფასებს.

**— ვანო მერაბიშვილმა თქვა, ნაციონალური მოძრაობა მკვდარი ჯერ არ არისო და ალბათ ამის დამტკიცებას 19 აპრილს შეეცდებიან. თქვენ რა პროგნოზს აკეთებთ ამ დღისთვის?**

— ეს თვითონ ჰგონიათ, თორემ უკვე მკვდრები არიან. ამ თარიღზე ძალიან მეცინება, მაგრამ, მოდით, მას ნაციონალური მოძრაობის გაცილების დღე დავარქვათ. გამოსათხოვარი დღეა და უნდა მოვეფეროთ, დავემშვიდობოთ. დამთავრდა აგრესიის დრო, ჩაივლიან ერთხელ კიდევ რუსთაველზე, ჩვენ კი ვაშაძის სურათები შეგვიძლია დავახვედროთ. ევროპული არჩევანია მათი ლოზუნგი და შევახსენოთ, რა ორიენტაცია ჰქონდათ, თუნდაც ომის შემდეგ.

**— რუსეთის კულტურის მინისტრისადმი 2008 წელს გაგზავნილ გრიგოლ ვაშაძის წერილს როგორ ახსნით?**

— ამ ყველაფერში ჩემთვის აღმაშფოთებელი გახლდათ ორი რამ: პირველი, ომიდან მესამე თვეს მონური ლაქუცი. ეტყობა, რუსეთის მოქალაქე ვაშაძეს კულტურის მინისტრად დანიშვნა მიულოცეს და ეს იყო სამადლობელი წერილი. და მეორე, მერე ეს ხალხი რომ „ერისიონს" ასე ლანძღავდა.

**— ბიზნესმენები, წერილები მაინცდამაინც თქვენთან რომ „მოდიან", ეს აჩენს გარკვეულ კითხვებს.**

— შემთხვევით მოხდა. მიცნო ვიღაცამ სახეზე და მომცა ეს წერილი. არც ვიცი, ვინ არის. სხვათა შორის, იმ პერიოდში ვაშაძე ამბობდა, ომი არ წაგვიგია, გავიმარჯვეთო. დავრწმუნდი, რომ ვაშაძე გულწრფელი ადამიანია, რადგან რუსეთის მოქალაქე ვაშაძემ მართლა მოიგო ომი. ომი მან — არა, ჩვენ წავაგეთ.

**— ეთანხმებით თუ არა ხელისუფლების, ანუ პაატა ზაქარეიშვილის ხედვას კონფლიქტების მოგვარების კუთხით?**

— ეს არის ერთადერთი გზა. გადავწყვიტოთ ჩვენი პრობლემები დამოუკიდებლად ან რაიმე ძალის მეთოდით — შეუძლებელია. თან გლობალიზაციის ეპოქაში საზღვრები ატარებს პირობით ხასიათს. ერთადერთი მოდელი, რითაც შეგვიძლია აფხაზეთის ინტეგრაცია საქართველოში, არის — ნდობა აღვადგინოთ და ვაჩვენოთ უკეთესი მოდელი სახელმწიფოსი. მათ კარგად ესმით, რომ ამ სივრცეში მარტო ვერ იარსებებენ, არჩევანი კი აქვთ სულ ორი — ან საქართველო, ან რუსეთი. ისინიც წავლენ იქით, სადაც უკეთესი კეთილდღეობა იქნება. ჩვენ თუ შევქმნით კარგ სახელმწიფოს და ნდობა აღდგება, გააკეთებენ ბუნებრივ არჩევანს. ამის მოდელი გვქონდა ერგნეთის ბაზრობა, რომელიც ტრაგიკულად დასრულდა. მართალია, მას დიდი მინუსი ჰქონდა, როგორც ეკონომიკის შავ ხვრელს, მაგრამ იქ ქართველებმა და ოსებმა თავიდან ისწავლეს თანაცხოვრება. საჭირო იყო სამართლებრივ ჩარჩოებში მისი მოქცევა. ეს რომ გაკეთებულიყო, დღეს დიდი ხნის ინტეგრირებული იქნებოდნენ საქართველოში.

აფხაზეთის პრობლემა უფრო სპეციფიკურია, მაგრამ ამის გაკეთება შესაძლებელია. ჩვენ ერთი სისხლის ხალხი ვართ და ბევრად მეტი გვაკავშირებს ერთმანეთთან, ვიდრე აფხაზებსა და რუსებს. მით უმეტეს, იქიდან უფრო მეტი საფრთხეები აქვთ, ასიმილაცია და ა.შ.

**— არის ერთი მაგრამ — რუსეთი, რომელმაც საქართველოსთან დიალოგის პარალელურად მავთულხლართების გაბმა დაიწყო ცხინვალის რეგიონში.**

— პრობლემები იქნება — რეალური მავთულხლართები ცხინვალის რეგიონში თუ მავთულხლართები ჩვენს ცნობიერებაში. ყველაფერი უნდა დავიწყოთ ურთიერთპატივისცემის ფარგლებში. არ უნდა ვსვამდეთ საკითხს, როგორც წინა ხელისუფლება — რომ რუსეთთან მოლაპარაკებით გადაწყდეს აფხაზეთის საკითხი. რუსეთი თანამონაწილეა ამ კონფლიქტის, მაგრამ მხოლოდ მათთან ლაპარაკი აფხაზების შეურაცხყოფაა. ჩვენ გვჭირდება რუსეთის ნეიტრალიტეტი და პრობლემას ჩვენვე მოვაგვარებთ.

**„ქორები „ქართულ ოცნებაშიც" არიან, რომლებიც ითხოვენ სისხლს. ივანიშვილის ფაქტორი კი ყოველთვის შემაკავებელია".**

**— თქვენ რკინიგზის გენდირექტორის მრჩეველიც ხართ. რატომ რკინიგზა?**

— რკინიგზის დირექტორი ვიყავი 2003-04 წლებში. პროტესტის ნიშნად წამოვედი, რადგან სააკაშვილის დირექტივა მოვიდა, გაკეთებულიყო შავი სალარო.

**— ახლა თვითონ მოინდომეთ იქ მუშაობა?**

— კი, მქონდა სურვილი, ინტერესიც. თან იყო საუბრები, რომ ვაკონტროლებ რკინიგზას და ა.შ. ვთქვი, მაინც მაბრალებენ და ბარემ სტატუსიც მექნება-მეთქი. ამ სფეროში კომპეტენციაც მაქვს და გამოცდილებაც.

**— აქტიურად დაირხა ხმები, რომ აკონტროლებთ ბენზინის ბიზნესს.**

— სისულელეა. მთელი ცხოვრება ვმუშაობდი ხელფასზე, თუმცა ყოველთვის იყო საშუალება, მქონოდა ფულიც დაძალაუფლებაც, მაგრამ ამაზე არ წავედი. ახლაც ხელფასზე ვარ საქართველოს განვითარების ინსტიტუტში. თუ რკინიგზაც რამეს გადამიხდის, არ ვიქნები წინააღმდეგი. ჯერ არ მიკითხავს.

✓ **მანანა გეგია**

ნათელმხილველი
სელინა
მკითხაობს ტაროს
კარტზე და ყავაზე
აკეთებს თილისმებს
და ხსნის ჯადოს
230-68-19
599-37-59-58

# რატი მილორავა: „მშობლების გაშორებამ რთული ხასიათი ჩამომიყალიბა“

## ეკა ბესელია შვილის თვალით



„ძალიან მიჭირს იმის გააზრება, რაც შენს მოვლინებას ახლავს თან... ჯერ სულ რაღაც 3 თვის ხარ და 6 თვეში მოევლინები სამყაროს... საოცარი განცდით ველოდები შენს დაბადებას... შენთან საუბარი აქედანვე დავიწყე, რომ უკვე გიგრძნო, უფრო მეტად გაგითავისო და მთელი არსებით შეგიყვარო... მწამს, რომ იქნები ჭკვიანი, კეთილი, სათნო. როცა გაიზრდები, ამ დღიურს გაჩუქებ და გადმოგცემ იმ ემოციას, რომელიც შენს მოლოდინს ახლდა... ჩემო პატარავ, ისეთი ბედნიერებაა შენი ლოდინი, ისეთი საპასუხისმგებლო, რომ არ ვიცი, რას შევადარო...“ — წერდა თავისი პირველი შვილის მოლოდინში მომავალი ცნობილი ავდვოკატი და პოლიტიკოსი ეკა ბესელია. მერე კი ქვეყანას ბიჭი მოევლინა და სახელად რატი დაარქვა. მათ ცხოვრებაში ყოფილა ბევრი განსაცდელი, მაგრამ დედაშვილობაში — არა.

რატი მილორავა, რომელიც ეკა ბესელიას პირველი ქორწინებიდან ჰყავს, 20 წლის არის. მიუხედავად იმისა, რომ ორჯერ იყო ბრალდებული და საკმაოდ მძიმე დღეები გამოიარა, ყველაზე რთულად ის პერიოდი ახსენდება, როცა ხელისუფლების ოპოზიციაში ჩამდგარ დედაზე ცილისწამებებს კითხულობდა. განიცდიდა, რომ მის დაცვას ვერ ახერხებდა.

— **რატი, დედა, როგორც ბიჭს, რას გასწავლიდათ?**

— ეკა ყოველთვის მეუბნებოდა, კაცი რაინდი უნდა იყოსო. მეგონა, რაინდობა ხელში მშვილდისრის დაჭერას ნიშნავდა და ვფიქრობდი, ვერ ვათრევ-მეთქი. გვიან მივხვდი, რომ დედას უნდოდა, ჯენტლმენი ვყოფილიყავი. მეუბნებოდა, თავაზიანი, მიმტევებელი, ქალებთან ურთიერთო-

**„პოლიტიკა უფრო ქალის საქმეა, რადგან მშვენიერი სქესი მეტად ძლიერი და ერთგულია. დედა ოპოზიციაში არ მომწონდა, ყოველთვის მინდოდა, გამარჯვებულისთვის მეყურებინა".**

ბაში ჯენტლმენი იყავიო. მგონია, რომ ჯენტლმენი გამოვედი, ყოველ შემთხვევაში, ქალთან, მეგობარ გოგოსთან კონფლიქტი არასოდეს მქონია. ვიცი, როგორ უნდა დააფასო ქალი.

— **სანამ ჯენტლმენი გახდებოდით, დედა ბევრჯერ ანერვიულეთ?**

— დედაჩემის ერთადერთი მოთხოვნა იყო, სახლში ადრე დავბრუნებულიყავი. ეს დაახლოებით ორი წლის წინ იყო, მაშინ ცოტა სახიფათო ასაკიც მქონდა და თან პოლიტიკურ დევნასაც განვიცდიდი. ეკა სწორედ ამიტომ ნერვიულობდა, ეშინოდა, ჩემთვის ვინმეს რამე არ ევნო.

დამყოლი ხასიათი არ მაქვს. როცა საქართველოში ჩემი დაჭერის ბრძანება იყო გაცემული, ორი წელი პარიზში ვცხოვრობდი. იქ ყოფნა გაუსაძლისი იყო ჩემთვის და ამას მხოლოდ დედის პატივისცემის გამო ვიტანდი. დათმობებზე წასვლა მხოლოდ იმ ადამიანებთან შემიძლია, ვინც მიყვარს, სხვა შემთხვევაში — არა. ალბათ არც ჯიუტი ითქმის ჩემზე.

პარიზში დედა ყოველ თვეში რაღაც თანხას

**„მამასთან კაცური ურთიერთობა მაქვს. ჩავდივარ, ვნახულობ და ისე ვესაუბრები, როგორც კარგ ძმაკაცს".**

მიგზავნიდა, მაგრამ, ჩემი ქართული ხასიათიდან გამომდინარე, მეგობრებთან ზოგჯერ იმაზე მეტს ვხარჯავდი, ვიდრე საჭირო იყო, მეორე დღეზე კი აღარ ვფიქრობდი. არ მინდოდა, ეკასთვის დამერეკა, ფული კიდევ გამომიგზავნე-მეთქი. ამიტომ მერე უკვე ვცდილობდი, რაღაც თანხა გადამენახა. სწორედ საფრანგეთში მივხვდი ფულის ყადრს, ვისწავლე ეკონომია, დამოუკიდებლად ცხოვრება.

— **დედათქვენს სახლში თავისი კანონები აქვს დაწესებული?**

— არა და ეს ყველას უკვირს. მეგობრებსაც უკვირთ, როცა ვამბობ, რომ ეკა მკაცრი არ არის. დედას რომ გაიცნობენ, გაკვირვებული რჩებიან, სულ სხვანაირი ყოფილაო. ძალიან მიყვარს დედაჩემი, ჯიგარია! ეკა კანონმორჩილია. მიუხედავად იმისა, რომ მანქანის ტარება კარგად ვიცოდი, მართვის მოწმობის გარეშე უფლებას არ მაძლევდა, ავტომობილით მესარგებლა. მართვის მოწმობა ახლახან ავიღე. იმაზე კი არ ნერვიულობდა, რომ დამაჯარიმებდნენ, ამბობდა, უხერხულია, შენ რომ გაგაჩერონო.

— **მამა თუ ერევა თქვენს ცხოვრებაში, თუ იცის, როდის სად ხართ, რას აკეთებთ?**

— არა, მამამ არასოდეს იცის, როდის სად ვარ, რას ვაკეთებ, იმიტომ, რომ დედასთან გავიზარდე. მამა ძალიან მიყვარს და სწორედ ამიტომაც მაქვს მასთან ურთიერთობა, მაგრამ ასეთ რაღაცეებს არ ვუყვები. ჩემგან ამას თავადაც არ ითხოვს. დედის გაზრდილი ვარ, ამიტომ მის მიმართ უფრო ვგრძნობ პასუხისმგებლობას. მამასთან კაცური ურთიერთობა მაქვს. ჩავდივარ, ვნახულობ და ისე ვესაუბრები, როგორც კარგ ძმაკაცს.

— **განიცდიდით, თქვენი მშობლების გაშორებას?**

— ამან ცოტა რთული ხასიათი ჩამომიყალიბდა, შეიძლება რაღაცაზე ადვილად გავნერვიულდე. ეს სტრესი ბავშვობიდან გამომყვა და დიდობაში იჩინა თავი. ვიცი მიზეზი, რატომაც ვერ შეინარჩუნეს დედამ და მამამ ოჯახი, მაგრამ ამას არ გეტყვით.

— **მომავალი პროფესია არჩეული გაქვთ?**

— ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე ჩავაბარებ. პატარა რომ ვიყავი, თემქაზე ვცხოვრობდით, ფინანსურად გვიჭირდა. მაშინ მომგებიანი ნაყინები იყიდებოდა. თუ კუპონებს შეაგროვებდი, საჩუქრებს გაძლევდნენ. ჩემი ასაკის ყველა ბავშვი ამით იყო დაკავებული. მე ვერ ვაგროვებდი არა იმიტომ, რომ ეკა ფულს არ მაძლევდა, არამედ საშუალება არ გვქონდა. კვირაში ერთხელ თუ ვყიდულობდი ნაყინს. მაშინ ვისაც ნაყინები დაჰქონდა, იმაზე ვამბობდი, მაგარი ტიპია-მეთქი. ერთხელ მაღაზიაში შევედი, სადაც ძალიან ბევრი ნაყინი იყიდებოდა, მაგრამ გამყიდველი მათ არ ჭამდა. რომ დავფიქრდი, მივხვდი, იმიტომ არ ჭამდა, რომ იმ პიროვნების ზემოთ კიდევ ვიღაც სხვა იყო. მაშინ გამიჩნდა განცდა, რომ ოდესმე მეც იმ „ვიღაც სხვას“ უნდა დავმსგავსებოდი. მაშინ ვიფიქრე, რომ აუცილებლად ამ გზით უნდა წავსულიყავი.

— **დედის დღევანდელ საქმიანობაზე და ზოგადად პოლიტიკოს ქალებზე რას ფიქრობთ?**

— ვთვლი, რომ პოლიტიკა უფრო ქალის საქმეა, რადგან მშვენიერი სქესი მეტად ძლიერი და ერთგულია. დედა ოპოზიციაში არ მომწონდა, ყოველთვის მინდოდა, გამარჯვებულისთვის მეყურებინა. მთელი ცხოვრება წარმატებული გახლდათ, ამიტომ არ მომწონდა, რომ ოპოზიციაში იყო. დედას გამარჯვება უხდება. ახლა უფრო ლაღია, ადვილად ეხმარება ადამიანებს. ოპოზიციონერ ეკას იურისტი ეკა მირჩევნია და იურისტს — გამარჯვებული მთავრობის წევრი.

— **მიტინგების, არჩევნების პერიოდმა თქვენზე როგორ იმოქმედა?**

— ვიცოდი, რომ მიტინგებზე დედასთან ერთად მთელი გუნდი იყო და ამიტომ არ ვნერვიულობდი. ყველაზე მეტად ბინძური რა-



■ დედა-შვილი — ეკა და რატი

**„დარწმუნებული ვარ, ეკას სურვილია, ჩემი ცოლი ნაზი გოგო და წესიერი ოჯახის შვილი იყოს... არ უნდა, ამ ასაკში ცოლი მოვიყვანო და ბებია გახდეს".**

ლაცეების კითხვა მოქმედებდა ჩემზე. როცა საქმე დედას ეხებოდა და ვიცოდი, რომ ვერაფერს მოვიმოქმედებდი, ეს მაგიჟებდა. ასეთ სიტუაციაში მამა რომ ყოფილიყო, იმაზეც ვინერვიულებდი. როცა საქმე ქალს ეხება და თან ის დედაშენია, ძალიან რთულია.

— **ქალბატონ ეკას ვაჟიშვილისგან გამხნევება, მხარდაჭერა ხშირად სჭირდება?**

— დედა ძლიერი ადამიანია, თავის პრობლემებს სხვებს არასოდეს ახვევს თავს, თუმცა არის რაღაცეები, რასაც ვერ დამალავს და ვხვდები, რომ პრობლემა აქვს. ამ დროს მასთან ვსაუბრობ, ვცდილობ, მასთან ერთად სახლში ვიყო. ახლა სულ ქუთაისშია, როცა თბილისში ჩამოდის, მინდა, სახლში დავხვდე, რომ ამით მას პატარა კომფორტი შევუქმნა.

— **გულწრფელად გვითხარით, რა გერჩივნათ — წარმატებული დედა გყოლოდათ თუ დიასახლისი, რომელიც სულ თქვენ გვერდით იქნებოდა?**

— მიუხედავად იმისა, რომ დედა ძალიან მენატრება, მაინც მირჩევნია, ასეთი წარმატებული იყოს. ბევრი დიასახლისი ვიცი, მათ შორის ჩემი მეგობრის დედები, რომლებიც იდეალური

ადამიანები არიან, მაგრამ მაინც მგონია, რომ ქალი რეალიზებული უნდა იყოს.

— **დედ-მამისგან რა თვისებები გამოგყვათ?**

— დედას რომ ფიზიკურად ძალიან ვგავარ, ეგ მეც ვიცი და ყველა აღნიშნავს. მამას იმით დავემსგავსე, რომ მასავით არ ვჭამ იმ საჭმელს, რომელშიც მწვანილი და ხახვია. ბებიაჩემი ჩემთვის კერძებს ცალკე აკეთებს. გენების ამბავია.

— **როგორ შეიცვალა თქვენი ცხოვრება მას შემდეგ, რაც დედა პარლამენტის წევრი გახდა?**

— იმდენად შეზღუდული აღარ ვარ, მეტი თავისუფლება ვიგრძენი. რისპირდნენ, როცა ბიჭობის ასაკში ვიყავი და უმეტეს დროს გარეთ ვატარებდი. ალბათ უფრო ადვილად წამოსაგები ვიყავი. შეიძლება იმიტომაც, რომ ეკა არ ტყდებოდა და სხვები ადვილად გატეხეს.

რაც შეეხება კლუბში მომხდარ ამბავს, ჩემი მეგობრის, სალომეს, დაბადების დღე იყო. სალომეს დედა, ქალბატონი მარიკა ვერულაშვილი, ლიზიკოს ნათლიაა. თქვეს, რომ ვითომ დაბადების დღეზე ეკაც იყო, მაგრამ ეს ტყუილია. ისიც სიცრუეა, რომ დედამ იმ ღამეს ფოთში წამიყვანა. სინამდვილეში მცხეთაში მოძღვრის სანახავად ვიყავი წასული. მესამე ტყუილი ის არის, რომ ვითომ მარიკა ვერულაშვილი იმ კლუბის 50 პროცენტის მფლობელია. ეს დიდი სისულელეა. აი, ამ სამი ტყუილიდან საზოგადოება უნდა მიხვდეს, რომ ის ყველაფერი, რაც ითქვა და დაიწერა, სრული სიცრუეა.

**„თუ ჩემ გვერდით ვინმე არ არის, ვერ ვძლებ. ცანცარა გოგოები არ მიყვარს, დამოუკიდებელი, საინტერესო გოგონები მომწონს და არა — აქტიურები".**

ვიცი, რომ ეკაც ადრინდელივით აღარ ნერვიულობს ჩემზე. მანამდე სულ მეუბნებოდა, რომ შეიძლებოდა, რაღაც საფრთხე შემქმნოდა.

— **სამაგიეროდ ახლა მეტად ხართ ყურადღების ცენტრში და თითოეულ ნაბიჯს გიზომავენ. ამას როგორ ეგუებით?**

— ადამიანი თავმდაბალი უნდა იყოს და ეს თვისება მეტნაკლებად ნამდვილად მაქვს, თუმცა ყოველთვის ისე ვცხოვრობდი და ისე ვაკეთებდი საქმეს, თითქოს ათასი კაცი მიყურებდა. ხალხის ყურადღების მისაქცევად რაღაცეები ხშირად მიკეთებია. შეიძლება ცუდ რამეს ვამბობ, მაგრამ ასეა. ამბიციური ადამიანი ვარ.

— **ძველი ბიჭის სახელი რატომ გაქვთ?**

— აი, ეს კი მართლა არ ვიცი. არ ვარ ძველი ბიჭი. ჩემს სასამართლოზე ეკა წამოდგა და თქვა, მე ისეთი შვილი არ გამიზრდია, რომ ვიღაცას შეურაცხყოფა მიაყენოს, გალანძღოს და არაკაცურად მოექცესო.

ბიჭობის ასაკში დრო ეზოში, მეგობრებთან ერთად გამყავდა. ალბათ ვიღაცეებს ეს ახსოვთ და ამიტომ ამბობენ, ძველი ბიჭიაო. ვფიქრობ, ქუჩისბიჭობა ცუდი ქცევით არ განისაზღვრება.

— **თქვენს სახელს არაერთი კრიმინალური ინციდენტი უკავშირდება. 2008 წელს ბრალად გედებოდათ სუპერმარკეტის დაცვის წევრთან შელაპარაკება და გიჟის სანაცვლოდ გაგათავისუფლეს, 2009 წელს ჯგუფურ ხულიგნობაში დაგადანაშაულეს. ახლახან კი ხმა გავრცელდა, ერთ-ერთ კლუბში მარიკა ვერულაშვილის შვილის დაბადების დღეზე რატომ ვიღაც დაჭრაო. კონფლიქტური ხართ?**

— ამაზე ბევრჯერ მიფიქრია და ეკასთვისაც მიკითხავს, მაინცდამაინც მე რატომ-მეთქი. ამით უნდოდათ, ეკასთვის ევნოთ. იმაზეც დავფიქრებულვარ, სხვა პოლიტიკოსებსაც ხომ ჰყავთ შვილები და მსგავსი რამ მათ რატომ არ ემართებათ-მეთქი, თუმცა ვიღაცეების შვილებსაც შექმნიათ პრობლემები. ეკას ისეთ დროს დაუპი-

— **ანუ კლუბში იმ დაბადების დღეზე ჩხუბი არ მომხდარა და არავინ დაჭრილა?**

— ჩხუბი მართლა მოხდა, ოღონდ გვერდით მაგიდასთან მსხდომმა ხალხმა იჩხუბა. არავინ დაჭრილა. პატრული მოვიდა და წესრიგი დაამყარა. სანამ ისინი მოვიდოდნენ, ჩვენ გარეთ გასაშველებლად გავედით. ალბათ ვიღაცამ ამ შეხლაშემოხლაში მიცნო. სწორედ ამის გამო თქვა ალბათ, რომ მე ვჩხუბობდი. შეიძლება მართლა ეგონა, რომ მე ვჩხუბობდი, მაგრამ ნამდვილად გამშველებლის როლში ვიყავი. იქ მეტი არც არაფერი ყოფილა. დედა მალე დარწმუნდა, რომ არაფერ შუაში ვიყავი და დამშვიდდა.

— **ზემოთ აღნიშნეთ, ქალთან ჯენტლმენი ვარო. არის თქვენ გვერდით გოგონა, ვისთანაც ჯენტლმენზე მეტი ხართ?**

— სერიოზული ურთიერთობა არავისთან მაქვს, მარტივად არავინ მომწონს. სიგიჟემდე სიყვარულში არასოდეს გადავვარდნილვარ, მაგრამ ვიღაცასთან ურთიერთობა ყოველთვის მაქვს. თუ ჩემ გვერდით ვინმე არ არის, ვერ ვძლებ. ცანცარა გოგოები არ მიყვარს, დამოუკიდებელი, საინტერესო გოგონები მომწონს და არა — აქტიურები.

— **როგორ ფიქრობთ, ეკას როგორი რძალი უნდა?**

— დარწმუნებული ვარ, ეკას სურვილია, ჩემი ცოლი ნაზი გოგო და წესიერი ოჯახის შვილი იყოს. ალბათ ენდომება, რომ ამ ყველაფერთან ერთად განათლებულიც იყოს. სხვანაირად არც მე მომეწონება. ვიცი, ცოლთან კონფლიქტი რომ მომივიდეს, მას ქალურ სოლიდარობას გამოუცხადებს. ეკას არ უნდა, რომ ამ ასაკში ცოლი მოვიყვანო და ბებია გახდეს. სულ იმას მეუბნება, 10 წელი მაინც ოჯახი არ შექმნაო. პრინციპში, მეც ვფიქრობ, რომ 30 წლამდე არ დავქორწინდე.

✓ **ქეთი დინოშვილი**

სკანდალი

# თინა ხიდაშელის, რეზო ამაშუკელის და ლაშა ბერულავას მედიაომი, ანუ ვინ უკეთ დაფრინავს

„იელოველი მეზობელი ეუბნება მიხოს, ამაღამ სულების დღეა, მამაშენი გაცოცხლდება, საფლავიდან ამოვა და ჭიშკარი ღიად დატოვე, რომ სახლში უპრობლემოდ შემოვიდესო. შე ოხერო, შენა, იმსიღრმე საფლავიდან თუ ამოძვრა, ჭიშკარს ველარ გამოივლისო" — ეს წვერიანი ანეკდოტი ლტოლვილთა და განსახლების ყოფილ მინისტრს, კობა სუბელიანს მაშინ ამოუტივტივდა მეხსიერებაში და მერე „ფეისბუქის" თავის გვერდზე გამოაქვეყნა, როცა ამავე ქსელში რესპუბლიკელი თინა ხიდაშელის და ჟურნალისტ ლაშა ბერულავას სტატუსები წაიკითხა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: საზოგადოებრივმა მოძრაობა „ლაზარემ", რომლის თავმჯდომარეც პოეტი რეზო ამაშუკელი გახლავთ, ასევე „ფეისბუქის" გვერდზე საკმაოდ სკანდალური განცხადება გამოაქვეყნა:

„მოძრაობა „ლაზარე" საყოველთაო განგაშს ტეხს! როგორც დაზუსტებული ინფორმაციით გვაცნობეს, 7 აპრილს, ხარებადღეს, უმრავლესობის დეპუტატისა და პარლამენტის თავმჯდომარის მეუღლის, თინა ხიდაშელის ხელმძღვანელობით, სპორტის სასახლეში „იელოველთა მსოფლიო კონგრესის" ჩატარება იგეგმებოდა. რამდენადაც მოძრაობა „ლაზარესთვის" ცნობილია, სპორტის სასახლის ადმინისტრაცია ეწინააღმდეგებოდა ამ ღონისძიების ჩატარებას. ამდენად, მისი ჩატარება მარნეულში გადაწყდა.

საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარე" გამოთქვამს უკიდურეს აღშფოთებას და პროტესტს რესპუბლიკური პარტიის ლიდერის, თინა ხიდაშელის მიერ ამ ინიციატივის გამო. თვლის, რომ არც ერთ პოლიტიკურ პარტიას (თუნდაც უმრავლესობით მოსულს), არ აქვს უფლება სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიისა და ქართველ ხალხთან შეთანხმების გარეშე მსგავსი ღონისძიების დაგეგმვისა. 7 აპრილს, ხარებადღეს, ამ ღონისძიების დაგეგმვის მცდელობა სხვა არაფერია, თუ არა რესპუბლიკური პარტიის მხრიდან კიდევ ერთხელ საქართველოს ისტორიული და ტრადიციული რელიგიის ხელყოფის მცდელობა, ხალხის რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა და ქართველი საზოგადოებისათვის მიუღებელი იელოვას მოწმეთა სექტის აღზევების სურვილი!..".

„ლაზარეს" ეს განცხადება იმავე დღესვე აღმოჩნდა საინფორმაციო სააგენტო „ნიუპოსტის" ვებგვერდზე.

**ლაშა ბერულავა: „ხიდაშელისგან მოვითხოვ საჯარო ბოდიშის მოხდას! ხვალ შეიძლება ნებისმიერი ჟურნალისტი აღმოჩნდეს ჩემს ადგილას".**

„მგონი, ვბრაზდები. მეგონა, ასეთ ამბებზე აღარ ვრეაგირებდი. კიდევ კარგი, რომ თბილისში არ ვარ, მაგრამ დღეს ხომ ჩამოვალ და ეს ლაშა ბერულავა მინდა გავიცნო და ვინმე არ დამეხმარებით? ისე, არა მხოლოდ ბერულავა, თავად ეს „ლაზარე" გამომეხმაუროს, ტელეფონის ნომერი, სახელი და გვარები მინდა ამ დასახელების უკან მდგომი ადამიანების. ისე, საღამოობით დავფრინავ ხოლმე და მერიდეთ.

ძონძები. ძალიან ვარ გაბრაზებული. აი, ძალიან, ძალიან ცეცხლებს რომ ყრის, ისეთი სმაილიკი"! — ასე გამოეხმაურა „ფეისბუქის" საკუთარ გვერდზე თინა ხიდაშელი ლაშა ბერულავას და „ლაზარეს".

ცოტა ხანში მას „ნიუპოსტის" რედაქტორმა ლაშა ბერულავამ უპასუხა:

„გამარჯობა, ქალბატონო თინათინ. ლაშა ბერულავა მე გახლავართ. სანამ ძალიან გაბრაზდებით, იქნებ გამარკვიოთ, ეს შეხვედრა იქნება თუ „სტრელკა" და რა შუაშია ლაშა ბერულავა, როცა საიტზე დევს ოფიციალური განცხადება, რომელიც „ლაზარემ" გაავრცელა და რომელიც, სხვათა შორის, წუხელ „ფეისბუქზეც" ვრცელდებოდა. ჩემი მხრიდან გამოვთქვამ მზადყოფნას თქვენთან შესახვედრად. უბრალოდ, იმის გათვალისწინება მოგიწევთ, რომ ფრენა ისეთი უნდა, მე რომ ვიცი. შემიძლია გასწავლოთ კიდეც".

საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარე" 2012 წლის 2 ნოემბერს საქართველოს საპატრიარქოში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაფუძნდა. მისი დაარსების იდეა პოეტ რეზო ამაშუკელს ეკუთვნოდა. მასთან ერთად ორგანიზაციის დამფუძნებელთა სიაში არიან ქართველი მეცნიერები, ჟურნალისტები, ხელოვანები — მარიამ ლორთქიფანიძე, რეზო ჩხეიძე, ჭაბუა ამირეჯიბი, გიგა ლორთქიფანიძე, ოთარ მელვინეთუხუცესი, როინ მეტრეველი, ჯიბსონ ხუნდაძე, ჯემალ აჯიაშვილი, ანზორ მელია, ფრიდონ ინჯია, თამრიკო ჭოხონელიძე, ლაშა ნადარეიშვილი და ა.შ.

მას შემდეგ, რაც მომხდართან დაკავშირებით აჟიოტაჟი ატყდა, საქართველოს საპატრიარქო „ლაზარეს" გაემიჯნა და შესაბამისი განცხადება გაავრცელა.

■

„სარკე" სკანდალის სამივე მხარეს — თინათინ ხიდა- →20



Cyan Magenta Yellow Black

შელს, ლაშა ბერულავას და რეზო ამაშუკელს ესაუბრა.

**ლაშა ბერულავა:**

— „ლაზარეს“ ეს განცხადება ვნახე ჩემი კოლეგის, დარეჯან მეფარიშვილის „ფეისბუქის“ გვერდზე. მერე „ლაზარეს“ გვერდი ვნახე „ფეისბუქში“ და ეს განცხადება ავიღე, „ნიუპოსტზე“ გამოვაქვეყნე და არანაირი პირადი კომენტარი არ დამიფიქსირებია, მედიის არანაირი სტანდარტი არ დამირღვევია.

**— ინფორმაციის შემოწმების და თინათინ ხიდაშელის კომენტარის გაგების სურვილი არ გაგჩენიათ?**

— რადგან გვიანი ღამე იყო, გადავწყვიტე, ამ განცხადებაში ხსენებული პირებისთვის მეორე სამუშაო დღეს მიმემართა. მას მერე, რაც თინა ხიდაშელის არაადეკვატური გამოხმაურება ვნახე „ფეისბუქის“ გვერდზე, მეც ასევე ირონიულად გავეცი პასუხი. შემდეგ ეს დაპირისპირების სახით გაგრძელდა „ფეისბუქში“ და იმავე საღამოს იყო კულმინაცია, როცა აღმოვაჩინე, რომ თურმე ეს ინფორმაცია იყო ჩემი შეთხზული.

რესპუბლიკური პარტიის პრესცენტრის ხელმძღვანელს, თინა ძნელაძეს, პირველივე თხოვნაზე გავუგზავნე დეტალური აღწერა ბმულების მითითებით, თუ საიდან ავიღე. ამის შემდეგ რესპუბლიკურმა პარტიამ გაავრცელა ინფორმაცია, სადაც „ლაზარესგან“ ითხოვდა ბოდიშის მოხდას და იქ არც ლაშა ბერულავაა ნახსენები და არც „ნიუპოსტი“. ეს ინციდენტი ამოწურულად ჩავთვალე, როცა საღამოს გადაცემა „პოზიციაში“ ხიდაშელმა აკაკი მინაშვილს და მიხეილ მაჭავარიანს უთხრა, ეს თქვენმა აქტივისტმა ლაშა ბერულავამ მოიგონაო.

მეორე დღეს, დაახლოებით შუადღისთვის, „ლაზარეს“ „ფეისბუქის“ ოფიციალური გვერდიდან ეს განცხადება გაქრა. მის ნაცვლად გაჩნდა ახალი, სადაც ეწერა, რომ „ლაზარე“ არ იცნობს ლაშა ბერულავას, რომელიც მისი სახელით განცხადებებს აკეთებს. შესაბამისად, თინა ხიდაშელის პრეტენზია „ლაზარეს“ მიმართ შეიცვალა ლაშა ბერულავასადმი, რომელიც ამ სიტუაციაში განტევების ვაცი აღმოჩნდა.

**— ხიდაშელი ფეისბუქელ მეგობრებს სთხოვდა, თქვენს გაცნობაში დახმარებოდნენ. ერთმანეთს არასდროს შეხვედრიხართ?**

— გარკვეული პერიოდი ზუგდიდში ვმუშაობდი და როცა ქალბატონი თინა ჩამობრძანდებოდა ხოლმე, მას სხვა ჟურნალისტებთან ერთად მეც ვხვდებოდი. ახლა აღმოჩნდა, რომ არ მიცნობს და „პოზიციაში“ მომიხსენია, როგორც ვიღაც ბერულავა. 1995 წლიდან ჟურნალისტი ვარ. რაც შეეხება ნაციონალების აქტივისტობას, არასოდეს ვყოფილვარ რომელიმე პარტიის წევრი.

**— აღმოჩნდა, რომ „ლაზარეს“ ამ განცხადების უკან რეზო ამაშუკელი იდგა. მას დაუკავშირდით ან თავად დაგიკავშირდათ?**

— ის ადასტურებს, რომ ინფორმაცია გამოქვეყნდა და შემდეგ წაიშალა. ჩვენ გვედავებოდა, რას ერეოდით, ჩავთვალეთ, რომ უნდა წაშლილიყოო. ეს არის „ლაზარესა“ და რესპუბლიკური პარტიის ერთმანეთში გასარკვევი საკითხი. ჩვენ შეგვეშვან! თინა ხიდაშელისგან მოვითხოვ საჯაროდ ბოდიშის მოხდას! ამასაც იმიტომ ვაკეთებ, რომ ხვალ შეიძლება ნებისმიერი ჟურნალისტი აღმოჩნდეს ჩემს ადგილას. როცა ჟურნალისტი ავრცელებს ხელისუფლების წარმომადგენლისთვის თუნდაც მიუღებელ განცხადებას, ის არ უნდა დაადანაშაულონ, რომ არის რომელიღაც პარტიის აქტივისტი.

■

თინა ხიდაშელი ამბობს, რომ იეღოველების მსოფლიო კონგრესთან არანაირი შეხება არ აქვს და ყველასგან, ვინც ამაში დაადანაშაულა, ბოდიშის მოხდას ითხოვს.

**თინა ხიდაშელი:**

— როცა მედიასაშუალება შენ შესახებ ავრცელებს ინფორმაციას, ელემენტარული წესია, შენი აზრიც იკითხოს, რაც მათ არ გაუკეთებიათ. ამიტომ მოვთხოვ მათ პასუხს. ბოდიშის მოხდას ვითხოვ! ამ საქმეს ბოლომდე მივყვები!

**— განცხადების ტექსტი რეზო ამაშუკელმა შეადგინა.**

— დიახ და სწორედ მისგან ვითხოვ ბოდიშის მოხდას!

**— როგორ ფიქრობთ, რატომ დაუკავშირეს თქვენი სახელი და გვარი იეღოველებს?**

— ეს ჰკითხეთ რეზო ამაშუკელს. მისი გასარკვევია, რატომ თქვა ასეთი რამ.

**— გრცელდება ინფორმაცია, რომ რეზო ამაშუკელს პირადად მოსთხოვეთ, „ლაზარეს“ ოფიციალური გვერდიდან ეს ინფორმაცია წაეშალა.**

— სასაცილოა! მასთან კონტაქტი ნამდვილად არ მქონია. ასეთი ტიპის ურთიერთობები ამ ადამიანებთან არ მაქვს.

**— ისევ გაბრაზებული ხართ?**

— დიახ, უპასუხისმგებლო ადამიანებზე ყოველთვის ასეთი რეაქცია მაქვს.



■ თინა ხიდაშელი

**თინა ხიდაშელი: „როცა მედიასაშუალება შენ შესახებ ავრცელებს ინფორმაციას, ელემენტარული წესია, რომ შენი აზრიც იკითხოს. ამიტომ მოვთხოვ მათ პასუხს. ამ საქმეს ბოლომდე მივყვები!".**

■

რეზო ამაშუკელი უკან იხევს. ამბობს, რომ სარწმუნო წყარომ სწორი ინფორმაცია არ მიაწოდა. ამის მიუხედავად, რესპუბლიკურ პარტიასთან თავისი ანგარიშები აქვს და არც ბოდიშის მოხდას აპირებს.

**რეზო ამაშუკელი:**

— ეს ინფორმაცია მომაწოდა იმ ადამიანმა, ვისაც ვენდობი. ამათი წარსულის გამო კი დავიჯერე, რომ მართალი იყო. მთელი ცხოვრება ლობირებდნენ იეღოველებს. თუ იეღოველები გაბედავენ საქართველოში მსოფლიო კონგრესის ჩატარებას, ამ საქმეს ბოლომდე მივყვები. ვინ მისცა ამის უფლება, ვინ დაარეგისტრირა ეგენი?! ბრალი დამდეს, ჯემალ აჯიაშვილი ორთოდოქსი იუდეველი იყო და არ შევიდოდა ამ ორგანიზაციაშიო. მაშინ ჯემალი საავადმყოფოში იწვა და რომ დავურეკე, სიხარულით დაგვთანხმდა, რადგან ის ქართველი პოეტი და მთარგმნელი იყო. პატრიარქმა მოგვცა კურთხევა, რომ ჩვენს ქვეყანას ვემსახუროთ.

ყველამ თავის ბიოგრაფიას გადახედოს. პოლიტიკური მორგიდან ყინულში ჩაწყობილები ამოიყვანეს! 2 პროცენტის რეიტინგიც არ ჰქონდათ და ახლა თვალებს მიბრიალებენ.

**— რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლებს გულისხმობთ?**

— დიახ! საქართველოში ერთსქესიანი ქორწინებები არ იქნება! ამის ლობირება უნდათ და ამიტომ ვებრძვი მაგათ. ჭკვიანად იყვნენ, თორემ მე მაქვს ადამიანური რესურსი, რომ ერთი ხელი ავიშვირო და მთელი თბილისი გარეთ გამოვიდეს. არ მინდოდა ომის დაწყება, თვითონ დაიწყეს.

**— განცხადება იმიტომ წაშალეთ, რომ ინფორმაცია არასწორი იყო?**

— შეიძლება არასწორი ინფორმაცია იყო და ამიტომაც მოვხსენით. ეს იმის აღიარება იყო, რომ ჩვენ უკან დავიხიეთ. ბოდიშის მოხდას როცა თხოულობენ, დაფიქრდნენ, თორემ აქეთ მოვახდევინებ ბოდიშს მთელი საქართველოს წინაშე! დავდებ მათ ბიოგრაფიებს. თბილისელი კაცი ვარ და არ ვიკადრებ, რომ ის კრიმინალური საქმე გავახმაურო, რომელიც ჯერ კიდევ დაუხურავია. დავით ბერძენიშვილმა ბრძანა, რეზო ამაშუკელი და სააკაშვილი ერთად ძოვდნენო. ამაზე ვინმემ მომიხადა ბოდიში?! მთელი ცხოვრება ჩახუტებულები იყვნენ და მე მარტო ვებრძოდი. მაგათ მოიყვანეს სააკაშვილი. კახა ლომაიამ რომ გამოყარა პროფესორები, 100-დან 80 მკვდარია. ეკლესია რომ შეანგრიეს, რესპუბლიკელები არ იყვნენ?!.. 19 მარტს ჩვენ რუსთაველის თეატრში შეკრება გვქონდა, იმ დროს ეგენი ქუთაისში ერთ-ერთ რესტორანში სადილობდნენ. უსუფაშვილს უთხრეს, ამდენი და ამდენი ხალხია რუსთაველის თეატრშიო. ჩემზე უთქვამს, ბებერი „მარაზმატიკიაო“.

**— ესე იგი რესპუბლიკელებისადმი ჩამოყალიბებული დამოკიდებულება გქონიათ და ინფორმაცია იეღოველების შესახებ სანდოდ მიიჩნიეთ.**

— ხომ გითხარით, ერთმა დამირეკა, მე არ მაქვს საშუალება და თქვენ ატეხეთ განგაშიო. ყველა საფუძველი მაქვს, დავიჯერო, რადგან ეგენი მუდამ იყვნენ იეღოველების ლობისტები.

**— საპატრიარქომ თქვენს ორგანიზაციასთან კავშირი უარყო. ამას როგორ ახსნით?**

— აუფეთქეს საპატრიარქოს ტელეფონი და მათაც ჩვენთან კავშირი უარყვეს. ჩვენთან კავშირი მართლა არ აქვთ, იმის გარდა, რომ პატრიარქმა კურთხევა მოგვცა.



■ რეზო ამაშუკელი

**რეზო ამაშუკელი: „ივანიშვილის ხათრით კიდევ კარგა ხანს შემეძლო გაჩუმება, მაგრამ ვინ არის ბებერი „მარაზმატიკი", მაგასაც ვნახავთ!".**

თურმე საია-ს წევრებს უნდა ვკითხო, ვთქვა თუ არა, რომ ქართველი ვარ. ჩემი ქვეყნის წინაშე მართალი ვარ და ბოლომდე ვიომებ! რესპუბლიკური პარტია და „თავისუფლების ინსტიტუტზე“ აღმოცენებული ბოკერიები და ა.შ. ერთი ცომისგან არიან გაკეთებული. ჩვენ ბოდიში არ გვაქვს მოსახდელი, მაგრამ უკან ვიხევ — ნაჩქარევად დავდე ეს განცხადება... ხომ ამხელა ძალაუფლება აქვთ დღეს, ვნახოთ! ივანიშვილის ხათრით ჩუმად ვიყავი და კიდევ კარგახანს შემეძლო გაჩუმება, მაგრამ ვინ არის ბებერი „მარაზმატიკი“, მაგასაც ვნახავთ!

**— თქვენი წყარო რას გატყობინებთ, ის კონგრესი მაინც ტარდება?**

— ზუსტი ინფორმაცია მაქვს, რომ საქართველოში უნდათ, ჩაატარონ იეღოველების მსოფლიო კონგრესი და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულები ერთი თვე დარჩნენ აქ.

ჩემთვის ერთი მისხალი რამე მაინც მომითხოვია?! 12 სული ვართ ოჯახში და მხოლოდ ერთი მუშაობს. ჩემი წუწუნი ვინმეს გაუგია?! 77 წლის პოეტი ვარ. დაალაგონ წიგნები და ვნახოთ, ვინ ვინ არის. არ მოვისვენებ, სანამ ამათი ჟღურტული იქნება! ერთი სისხლისანი არიან ეგენი და ნაციონალები, ერთნაირად აზროვნებენ.

✓ რუსუდან ადვაძე



Cyan Magenta Yellow Black

# მზრუნველობამოკლებული მოზარდებისთვის გაკეთებული კეთილი საქმე

## ფონდი „ნატახტარის“ ერთი წლის საქმიანობის ანგარიში

**ფონდმა „ნატახტარმა" საზოგადოებას ერთი წლის საქმიანობის ანგარიში წარუდგინა. უკვე ორი წელია, ფონდი „ნატახტარი" ლიმონათი „ნატახტარის" მომხმარებლების მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს „იზრუნე მომავალზე", რომლის ფარგლებშიც 15-დან 18 წლის მზრუნველობამოკლებულ მოზარდებს ეხმარებიან, დაეუფლონ პროფესიას და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის პირველი ნაბიჯები გადადგან.**

კომპანია „ნატახტარი“ ამ პროექტს ასოციაცია „ჩვენი სახლი — საქართველოს“ მხარდაჭერითა და საქართველოს პატრიარქის თანადგომითა და ლოცვა-კურთხევით ახორციელებს. ფონდისათვის თანხის შეგროვების პროცედურა მარტივია. მომხმარებელი, რომელმაც 2012 წლის ნოემბრიდან 2013 წლის თებერვლის ჩათვლით შეიძინა ლიმონათი „ნატახტარი“, ავტომატურად გახდა ქველმოქმედი. ამ პერიოდში თითოეული გაყიდული ბოთლიდან კომპანია თავისი მოგებიდან ფონდში 1, 3 და 5 თეთრს რიცხავდა. ლიმონათის მომხმარებელი ამ საქველმოქმედო აქციაში აქტიურად არის ჩართული, რაზეც გაყიდვების მაღალი მაჩვენებელი და ფონდში შესული სოლიდური თანხა მეტყველებს. ორი წლის განმავლობაში სულ შეგროვდა 240 ათას ლარზე მეტი. ეს თანხა კი საშუალებას იძლევა, პრაქტიკული დახმარება გაეწიოს იმ მოზარდებს, რომლებიც სხვადასხვა ინსტიტუციონალური დაწესებულებებიდან თუ ოჯახური ტიპის სახლებიდან გამოდიან და დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებენ.



მანანა ოამარაშვილი, ლელა მერაბიშვილი, თორნიკე ნიკოლაიშვილი

კანონმდებლობის თანახმად, 18 წლის მოზარდზე სახელმწიფო ყველანაირ ზრუნვას ამთავრებს, ეს ფონდი კი მათ საშუალებას აძლევს, ამ ეტაპისათვის უფრო მომზადებული იყვნენ და ჰქონდეთ კონკრეტული პროფესია, რომელიც მათ დამოუკიდებელ ცხოვრებაში დაეხმარებათ. ამ ფონდის დახმარებით რამდენიმე ათეულ მოზარდს უკვე საშუალება მიეცა, თავიანთი სურვილები რეალობად ექციათ, პროფესიულ ორიენტაციაში გარკვეულიყვნენ და მომავალი დაეგეგმათ.

**მანანა ოამარაშვილი, „ჩვენი სახლი — საქართველოს“ ფსიქოლოგი:**

— ძალიან მნიშვნელოვანია, მოზარდი სწორად გაერკვეს, რა პროფესიის დაუფლება სურს. მზრუნველობამოკლებული მოზარდები 18 წლის ასაკში დამოუკიდებელ ცხოვრებას სრული სიმძიმით იწყებენ. მათ ყველა ვარიანტში უნდა იმუშაონ იმისათვის, რომ ცხოვრების პირობები შეექმნათ. ფონდი „ნატახტარის“ საშუალებით კი ჩვენ თითოეულ მათგანთან ინდივიდუალურად ვმუშაობთ, ვარკვევთ მათ პროფორიენტაციას და ყველანაირად ვეხმარებით, დაეუფლონ ახალ პროფესიას, გაიარონ პრაქტიკა და დამსაქმებელთან ვშუამდგომლობთ.

პირველ რიგში, მათთან ვიწყებთ ფსიქოლოგიურ მუშაობას. 2012 წლის განმავლობაში 72 მოზარდთან ვიმუშავეთ, აქედან 10 მოზარდს უკვე აღარ სჭირდება ჩვენი დახმარება. მათ უკვე სრულად შეძლეს საკუთარი თავის რეალიზება, 9 მოზარდი უკვე მუშაობს, 4 გოგონა გათხოვდა, 10 მოზარდი უშუალოდ ელოდება სამსახურის დაწყებას, 6 მათგანი კი ეროვნული გამოცდებისთვის ემზადება. დანარჩენები პროფესიის დაუფლების პროცესში არიან.

**ლელა მერაბიშვილი, „ჩვენი სახლი — საქართველოს“ ფსიქოლოგი:**

— ფონდის ფინანსები აბსოლუტურად გამჭვირვალეა. თითოეული თეთრი მიმართულია იმისკენ, რომ მუშაობა მაქსიმალურად ეფექტური იყოს. ფსიქოლოგიურ სამსახურში იხარჯება 44 პროცენტი, ადმინისტრაციულ ხარჯში 10 პროცენტი და მოზარდების მომსახურებაში 46 პროცენტი.

ამ ფონდის მუშაობის პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ თითოეულ მოზარდს ვაძლევთ იმას, რაც მას სჭირდება. ვისაც სწავლა უნდა, საგნებში ვამზადებთ, ვისაც მუშაობის დასაწყებად ელემენტარული ბაზა, იმას ვაძლევთ. თითოეულ მოზარდს ძალიან დიდი მოტივაცია აქვს იმისათვის, რომ ჩვენგან დახმარება მიიღოს და საკუთარ ცხოვრებაში გაერკვნენ. კონკრეტული პროფესიის დაუფლების შემდეგ კი მათ სხვადასხვა კომპანიაში სტაჟირებაზე ვუშვებთ და ამასაც ჩვენ ვანაზღაურებთ.

**თორნიკე ნიკოლაიშვილი, კომპანია „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორი:**

— ლიმონათ „ნატახტარის“ მომხმარებლების აქტიურობიდან გამომდინარე, ჩვენს ფონდში გროვდება თანხები, რომლებიც კონკრეტულ ადამიანებს კონკრეტული საქმისთვის ხმარდება. გასულ წელს ჩვენ ვცდილობდით, დავხმარებოდით 16-დან 18 წლის მზრუნველობამოკლებულ მოზარდებს, წელს კი საშუალება მოგვეცა, ასაკი 15 წლიდან განგვესაზღვრა. რაც უფრო ადრე ჩადებ მოზარდში პროფესიულ უნარ-ჩვევებს, მით უფრო კარგ შედეგს მიიღებ.

ფონდის საქმიანობა და საქველმოქმედო აქცია უკვე ტრადიციულია. ამ ეტაპზე შეგროვილი თანხა საკმარისი იქნება, რომ 2014 წლის თებერვლამდე უზრუნველვყოთ 15-18 წლის მოზარდების დახმარება. საქმეში ძალიან დიდი პროფესიონალები არიან ჩართულები და მახარებს, რომ ბევრი შედეგი სახეზე გვაქვს. აქამდე გაწეული მუშაობა უფრო რთული იყო, ახლა უკვე არსებობს კარგი ბაზა იმისათვის, რომ უფრო მეტ მოზარდს გავუწოდოთ დახმარების ხელი. ჩვენ არ ვაძლევთ მათ თევზს, ჩვენ ვასწავლით თევზაობას.

ისიც მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი მომხმარებელი სრულად აცნობიერებს სოციალურ პასუხისმგებლობას და აქციის ფარგლებში შეძენილი ლიმონათის საშუალებით ავტომატურად ხდება ქველმოქმედი.



Cyan Magenta Yellow Black

# მარიამ საჯაია: „პრობლემები მაშინ იწყება, როცა კაცი თავისზე ძლიერ ქალს ვერ ეგუება“

მარიამ საჯაიას გამოჩენას პოლიტიკაში, კერძოდ, ნაციონალთა რიგებში, თავიდანვე დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ამბობდნენ, რომ თავის დროზე საკონსტიტუციო ცვლილებები მის გამო მოხდა და პარლამენტის დეპუტატის ასაკობრივი ცენზი 21 წლის გოგონასთვის დასწიეს დაბლა. პოლიტიკოსობა მისი ბავშვობის ოცნება ყოფილა. ბრძოლის ჟინს მამა, დემურ საჯაია ულვივებდა, ხოლო დამოუკიდებელი, საქმიანი ქალის მაგალითი დედის, ყოფილი დეპუტატის, ნაზი არონიას სახით ჰქონდა.



მარიამი ამ ეტაპზე პირად ცხოვრებას ასაიდუმლოებს. ქმარზე და მასთან გაშორების მიზეზებზე არ ლაპარაკობს. საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაშია გადაშვებული და დროს 3 წლის შვილისთვისაც ველარ პოულობს.

**— მარიამ, თქვენს ასაკში პოლიტიკოსობა ცოტა ნაადრევად არ გეჩვენებათ?**

— ბავშვობიდან მინდოდა, რაც შეიძლებოდა ბევრი მესწავლა და ამის მერე ჩემი განათლება და ცოდნა პოლიტიკისთვის გამომეყენებინა. პოლიტიკაში მოვხვდი იმ დროს, როცა სწავლა არ მაქვს დამთავრებული და არც დიდი გამოცდილება მაქვს. მიუხედავად ამისა, უარი არ ვთქვი ამ შემოთავაზებაზე, რადგან ძალიან სწორად გადმომცეს, რა უნდა ყოფილიყო ჩემი დანიშნულება პარლამენტში და რატომ უნდოდათ 21 წლის ადამიანი იქ.

**— ჩვენც აგვიხსენით, რატომ უნდოდათ.**

— ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, გარდა იმისა, რომ ვყოფილიყავი ახალგაზრდების წარმომადგენელი და მათი ინტერესების გამტარებელი, იყო ის, რომ პოლიტიკაში ახალი სახე და ახალი სისხლი უნდა მოვიდეს. იცით, რომ დღეს ძალიან აქტიური პოლიტიკოსები ისინი არიან, ვინც საბჭოთა კავშირის დროიდან ან შევარდნაძის პერიოდიდან მოდიან. ზოგჯერ მათში არასწორი დამოკიდებულებაა ფესვგადგმული, თუნდაც ის, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა და აქ ბინძური თამაშები „მოსულა“. ახალი თაობა კი ვთვლით, რომ პოლიტიკაში და საერთოდაც მიზანი არ ამართლებს საშუალებას. აქედან გამომდინარე, მეტი ახალი სისხლი უნდა ჩაერთოს, რომ ეს სფერო გასუფთავდეს. ჩემთვის მიუღებელია არაპატიოსნად თამაშის წესები.

**— კონკრეტულად თქვენ რა დამსახურების მიხედვით შეგარჩიეს?**

— იგივე უნივერსიტეტში, იგივე სამსახურებიდან გამომდინარე. სანამ საჯარო სამსახურში დავიწყებდი მუშაობას, ჩემი არასამთავრობო ორგანიზაცია მქონდა, რომელიც უნარშეზღუდულთა უფლებებს იცავდა. მაშინ 19 წლის ვიყავი. ამის შემდეგ ვმუშაობდი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, სტუდენტთა საზაფხულო დასაქმების პროგრამაზე.

**— ამბობენ, რომ პარლამენტის დეპუტატობის ასაკობრივი ცენზი თქვენ გამო დასწია წინა ხელისუფლებამ.**

— ვერ დაგეთანხმებით. ასაკთან დაკავშირებით კონსტიტუციაში ცვლილებები შარშან თებერვალში მიიღეს. ჩემი პარლამენტში მოხვედრის საკითხი კი აგვისტოში გადაწყდა.

**— პარლამენტში უხერხულობას არ გიქმნით თქვენი ასაკი — 22 წელი?**

— ჩემს ასაკზე ხელისუფლების მხრიდან არაერთხელ გაკეთებულა საჯარო განცხადებები. ჩემს კითხვაზე პასუხის გაცემა ასეც დაუწყიათ — თქვენ გამოცდილება არ გაქვთ და იმიტომ სვამთ ალბათ ამ კითხვას და ა.შ. რას ვიზამ! შიგნით, პარტიაში, ასაკის გამო დისკომფორტი არასდროს მიგრძვნია. ყველა თანასწორად განმიხილავს. მათთან ურთიერთობა მსიამოვნებს.

**— ძალიან ბევრი ბრალდება დაუგროვდა ნაციონალურ მოძრაობას 9 წლის განმავლობაში. ამაზე რას ფიქრობთ?**

— პირველ რიგში, მიმაჩნია, რომ ამ 9 წლის განმავლობაში იყო უფრო მეტი მიღწევა, ვიდრე შეცდომა. შეიძლება ბევრი რამ არასწორად გაკეთდა, ან უკეთ შეიძლებოდა გაკეთებულიყო, მაგრამ იმის თქმა, რომ ყველაფერი ცუდადაა, უპასუხისმგებლობაა, რადგან შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს ის ცვლილებები, რაც ქვეყანამ განიცადა. ხელისუფლების არგუმენტი, თქვენს დროს უარესი ხდებოდაო, შურისძიების და ანგარიშსწორების სურვილია, რომელმაც შეიძლება ქვეყანა გადაიყოლოს. ყოველთვის ვსვამ კითხვებს და ამომწურავ პასუხებს ვიღებ თანაგუნდელებისგან. რა საქმეებზეც გამოძიება მიმდინარეობს, უმრავლესობა საფუძველს მოკლებულია.

**— 2007 წლის 7 ნოემბერი, ტელეკომპანია „იმედის“ დარბევა, 26 მაისი, ციხის კადრები... — ეს ყველაფერი თქვენთვის დამაბრკოლებელი არ იყო, როცა პოლიტიკურ არჩევანს აკეთებდით?**

— როდესაც ციხის კადრები გავრცელდა მაშინ აქტუალური იყო სლოგანი — „სისტემა უნდა დაინგრეს“, რაც არასწორად მიმაჩნია. სისტემა ამ ქვეყანაში იყო პატრული, იუსტიციის სახლები, ჯარი, კორუფციასთან და კრიმინალთან ბრძოლა, ინფრასტრუქტურული პროექტები... რა თქმა უნდა, არავინ ამბობს, რომ ნაციონალური პარტია უშეცდომო იყო. ის, რომ ნაცმოძრაობა პატარ-პატარა შეცდომებზე საუბარს თავს არიდებდა, დიდ შეცდომად მიმაჩნია.

იმ აქციების დარბევას საფუძველი ჰქონდა, მაგრამ, რადგან ხალხამდე არ მივიდა ეს ინფორმაცია, დეტალურად არ მოხდა განმარტება, მათთვის გაუგებარ და ძალადობის მომცველ ფაქტებად დარჩა. „იმედი“ ცდილობდა, სახელმწიფო გადატრიალება მოეხდინა. ეს იყო იმის მიზეზი, რომ ტელეკომპანიას რამდენიმე დღით შეუჩერდა მაუწყებლობა.

**— რამდენად თვითკრიტიკული ხართ?**

— მქონია შემთხვევები, როცა მიფიქრია, რომ შეცდომა დავუშვი. ვთქვათ, სიტყვით გამოსვლის დროს რაღაც ისე მითქვამს, რომ მერე მიფიქრია, ცოტა რბილადაც შეიძლებოდა იმავეს თქმა-მეთქი.

**— ყველაზე ხშირად რასთან დაკავშირებით იღებთ შენიშვნას გუნდის წევრებისგან?**

— რომ ძალიან ფიცხი ვარ და ბასრად ვიცი რაღაცაზე ხაზგასმა. პოლიტიკოსი უფრო დიპლომატი უნდა იყოს.

**— გყავთ პოლიტიკოსის იდეალი, ვისაც გსურთ, მიბაძოთ?**

— ვერ ვიტყვი, რომ მიბაძვა მინდა, მაგრამ ძალიან მომწონს უინსტონ ჩერჩილი, რომელიც დამარცხდა, მაგრამ შემდეგ თავისი ჭკუით მოახერხა პოლიტიკაში დაბრუნება და დიდი ბრიტანეთის ისტორიაში გარდამტეხი როლი ითამაშა.

**— ქალისთვის პოლიტიკაში ყოფნა რთულია თუ არა?**

— ჩემთვის არ არის. ამას მამაკაცები უფრო უსვამენ ხაზს, მაგალითად, ამაზე როგორ გიპასუხო, ქალი ხარო და ა.შ. სუსტი არგუმენტია, როცა პასუხი არ აქვთ.

**— რაზე მოგიწიათ უარის თქმა პოლიტიკაში მოსვლის მერე?**

— ბევრი თავისუფალი დრო არასდროს მქონია, მუდამ დაკავებული ვიყავი სწავლით და მუშაობით.დიდად არ მიყვარს კლუბებში სიარული და მანამდეც არ დავდიოდი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ნაკლები დრო მრჩება შვილისთვის და მეგობრებისთვის.

**— გარეგნულ იმიჯს თავად იქმნით?**

— მანამდეც მიყვარდა კლასიკური სტილი, მაგრამ ჯინსებიც მაქვს გარდერობში, რომელიც პარლამენტშიც მაცვია. მომწონს მკვეთრი ფერები. თმა შევიჭერი, რადგან მუდმივად ვისწორებ და გრძელი თმის გასწორებას ბევრი დრო მიჰქონდა.

**— თქვენი გამოჩენისთანავე ათასი ჭორ-მართალი გავრცელდა. ერთ-ერთი ბოლო იყო ის, რომ პრეზიდენტთან ერთად დუბაიში იყავით. რა კომენტარს გააკეთებდით?**

— რა თქმა უნდა, მაღიზიანებს ჭორები, მაგრამ ვცდილობ, ყურადღება არ მივაქციო, რადგან პოლიტიკოსს თმენის ვალდებულებაც აკისრია, მით უმეტეს, როცა იცი, რომ ტყუილია, რეალობასთან არაფერი აქვს საერთო და ვერავინ დაგიმტკიცებს, ნაკლებად ნერვიულობ და ემოციებიც ქრება, თანაც ამაზე ფიქრის დრო თუ არ გაქვს.

**— ძლიერი ქალი ხართ?**

— ვცდილობ, ძლიერი ვიყო. ბავშვობიდან დამოუკიდებელი და მიზანდასახული ვარ, ასე გამზარდეს. ბევრს ვეკითხები აზრს, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ჩემია.

**— ძლიერი ქალისთვის რთულია პირადი ცხოვრების აწყობა?**

— თუ კაცი სუსტი არ არის, მაშინ რთული არაა. პრობლემები მაშინ იწყება, როცა კაცი თავისზე ძლიერ ქალს ვერ ეგუება და ცდილობს, ურთიერთობაში ხელოვნურად მოიპოვოს დომინანტის როლი.

**— როგორი დედა ხართ?**

— ჩემი შვილი,ბუკა სამარგულიანი, 3 წლისაა. ახლა ქუთაისშია, დედაჩემთან ერთად. დედა იქ მუშაობს. სამწუხაროდ, შვილისთვის ნაკლები დრო მრჩება და ეს არის ჩემი ყველაზე დიდი პრობლემა. როცა ქუთაისში ვარ, მცირე თავისუფალ დროს აუცილებლად მასთან ვატარებ. სულ ვცდილობ, სახლიდან ისე წავიდე, რომ ვერ შემამჩნიოს, რადგან უნდა, რომ წამომყვეს.

**— დედის, ყოფილი დეპუტატის ნაზი არონიას გავლენაც ხომ არ არის, რომ პოლიტიკაში ხართ?**

— დედას გავლენა ჩემზე იყო ის, რომ ბავშვობიდან ძალიან მომწონდა ძლიერი, დამოუკიდებელი, საქმიანი ქალი. აქედან წამოვიდა ის სურვილიც, რომ მინდოდა დამოუკიდებლობა და ა.შ. სახლში მშობლების საქმიანი საუბრები მომწონდა. შესაძლოა პოლიტიკით ამიტომაც დავინტერესდი. ამას დისკომფორტიც ახლდა — დედას ყველაზე გვიან გამოვუყვანივარ ბაღიდან, ან მასწავლებელს მივუყვანივარ სახლში, მაგრამ მაშინაც კი მესმოდა, რომ ეს საჭირო იყო და პროტესტის გრძნობა არ მიჩნდებოდა. ეს ყველაფერი ისევ მე წამადგა, რომ დამოუკიდებელ ადამიანად ჩამოვყალიბდი. მეც მაკლდა დედასთან უფრო აქტიური კონტაქტი, რაც შედარებით მამშვიდებს, როცა ვნერვიულობ, რომ ჩემ შვილს ვაკლივარ.

**— მამა განებივრებდათ?**

— მე დამოუკიდებელი რომ ვარ, მამაჩემის დამსახურებაა. მას ლიბერალური ღირებულებები ჰქონდა. ერთი პერიოდი დედა უმუშევარი დარჩა სამი თვით. ამას მამაჩემი შინაგანად ვერ ეგუებოდა, უნდოდა საქმიანი ქალი ოჯახში.

მამა შარშან გარდაიცვალა. ისეთი ტიპი იყო, რომ არასოდეს მაქებდა. ეს მაძლევდა სტიმულს, მეტი წარმატებისთვის მიმეღწია. ხშირად ვამბობ, რომ მამაჩემის ჯიბრით ვსწავლობდი. უნივერსიტეტში რეიტინგში პირველი ვიყავი. ამას რომ ვეტყოდი ხოლმე მამას, პასუხად ვიღებდი: „მერე მე რა?“. ბოლოს გარდაცვალებამდე ორი კვირით ადრებრიფინგი მქონდა. რომ ნახა ,მითხრა ერთ-ერთ წარმატებულ პროექტთან დაკავშირებით, კარგი იყო, მაგრამ უკეთესად შეგიძლიაო. ეს არის სიტყვები, რომლებიც მამაჩემისგან დამრჩა.

✓ მანანა ნოდია





Cyan Magenta Yellow Black

# ვის უნდა მიმართოთ, თუკი ავადმყოფობამ თავი მოგაბეზრათ და გამოჯანმრთელების იმედი დაკარგეთ

ცნობილი მკურნალი, საერთაშორისო კატეგორიის, უმაღლესი კლასის ბიოენერგოთერაპევტი, ექიმი **თინათინ მაჩაიძე** წლების განმავლობაში მუშაობდა მიწვევით: რუსეთში, ბულგარეთში, თურქეთში, გერმანიასა და სხვა ქვეყნებში. ის ბიოენერგოთერაპევტთა ამერიკა-კანადის საერთაშორისო ასოციაციის წევრია. ქალბატონი თინა უამრავ დაავადებას არჩენს; მის მიერვე შემუშავებული უნიკალური კომპლექსური სამკურნალო მეთოდებით სვამს სწორ დიაგნოზს. საქვეყნოდ აღიარებული მკურნალის მოსაცდელში მუდამ ცოცხალი რიგია. პაციენტები მასთან უცხოეთიდანაც ჩამოდიან.



*— ქალბატონო თინა, რა მეთოდებს იყენებთ მუშაობის დროს? ცნობილია, რომ თქვენი ფენომენური ნიჭის წყალობით ფსიქოლოგიც ბრძანდებით.*

— როგორც ერთი გასაღები სხვადასხვა კარს ვერ გააღებს, ასევე სხვადასხვა ორგანიზმში დაავადებებს ინდივიდუალური მეთოდი უნდა მოარგო. ხშირად ვიყენებ ბიოენერგოთერაპიას, ვინაიდან ჩემი დადებითი სამკურნალო ბიოველით მკურნალობის შემთხვევაში არაჩვეულებრივ და ზოგჯერ დაუჯერებელ შედეგებს ვაღწევ. საჭიროების შემთხვევაში, გააჩნია, რა დაავადებასთან გვაქვს საქმე, ვიყენებ წინაპართა მეთოდებს, მანუალურ და ფსიქოთერაპიას, გარდა ქიმიური მედიკამენტებისა და ქირურგიული ჩარევისა. ჩემი პაციენტები, გარდა იმისა, რომ იკურნებიან, მათ ბიოენერგოთერაპიული სეანსების კურსის დასრულების შემდეგ ემატებათ ენერგია, ხალისი, საკუთარი თავის რწმენა და სიცოცხლის სიყვარული. მინდა, ყველამ იცოდეს, რომ ორგანიზმის სიჯანსაღე ცხოვრებისადმი ოპტიმისტურ დამოკიდებულებასა და კარგ განწყობაზეა დამოკიდებული.

*— თქვენ უნიკალური ნიჭით ხართ დაჯილდოებული და საკუთარ ენერგიას ექსტრასენსული მეთოდით მკურნალობაში იყენებთ. საინტერესოა, აქვს თუ არა უკუჩვენება ამ მეთოდს?*

— პირიქით, ჩემი სამკურნალო ენერგია დადებითად მოქმედებს პაციენტებზე. ამ მეთოდს არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

*— სამწუხაროდ, სულ უფრო იზრდება ნევროზით დაავადებულ ადამიანთა რიცხვი. მედიკამენტური მკურნალობა ხშირად სასურველ შედეგს არ იძლევა, თქვენ როგორ უმკლავდებით ამ სენს?*

— უმძიმესი შემთხვევები მქონია... ცოტა უხერხულია საკუთარ თავზე ლაპარაკი, მაგრამ, რადგანაც სიტყვამ მოიტანა, გეტყვით: უცხოეთში „ნევროზების დედოფალი“ შემარქვეს. მახსოვს, ერთი ქალბატონი მომიყვანეს, რომელსაც კლიმაქსის ფონზე მწვავე ნევროზი განუვითარდა. იმდენად მძიმე მდგომარეობა ჰქონდა, რომ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უნდა დაეწვინათ. ოთხი სეანსის შემდეგ სრულიად გამოჯანმრთელდა — დაწყნარდა, დამშვიდდა, გაიღიმა. მისი ოჯახის წევრები თვალებს არ უჯერებდნენ. სასწაულმოქმედი ყოფილხარო, მითხრეს. პაციენტის მეუღლე ისე იყო გახარებული, რომ ხელები დამიკოცნა მადლიერების ნიშნად. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩემთან ხშირად მოდიან ადამიანები, რომელთაც ჰგონიათ, რომ ვიღაცამ ჯადო გაუკეთა და ამის გამო არიან ცუდად, არადა, სინამდვილეში ნევროზი აქვთ. სწორედ მათ გასაგონად ვამბობ: სანამ ყველა უბედურებას ჯადოს მიაწერდეთ, უმჯობესია, ექიმთან მიხვიდეთ და დროზე მოხდეს დიაგნოზის დასმა. ნევროზს ხშირად ჯადოზე უფრო დიდი უბედურების მოტანა შეუძლია.

## თინათინ მაჩაიძის ყოფილი პაციენტები:

### ნანა სიხარულიძე:

— უმძიმესი მდგომარეობა მქონდა, ცოცხალ-მკვდარი ვიყავი. უკვე აღარ მჯეროდა, თუ ვინმე მომარჩენდა.

*— რა გჭირდათ?*

— აუტანელმა თავის ტკივილმა სიცოცხლე გამიმწარა. მაწუხებდა გულის არითმია, უძილობა, მაღალი წნევა. დეპრესიაში ჩავვარდი, სიცოცხლე აღარ მინდოდა.

*— ქალბატონ თინასთან როგორ მოხვდით?*

— მე გერმანიის მოქალაქე ვარ. საქართველოდან 15 წლის წინათ წავედი. ქალბატონი თინას შესახებ სწორედ იქ შევიტყვე. ჩემი მეგობრებიდან ერთ-ერთი მისი პაციენტი იყო. მითხრა, თინა ახლა თბილისშია, რომ ჩახვალ, აუცილებლად მიდი, მის გარდა ვერავინ მოგარჩენსო.

*— გამართლდა თქვენი მოლოდინი?*

— ის, რაც გერმანიაში ექიმებმა ვერ მოახერხეს, ქალბატონმა თინამ შეძლო, რისთვისაც ულრმეს მადლობას ვუხდი ამ ღვთისნიერ ქალბატონს და ვლოცავ. მისი წყალობით ხელმეორედ დავიბადე.

### ეკა ლობჟანიძე:

— ქალბატონ თინასთან ჩემსავით წლების განმავლობაში უშედეგო მკურნალობით დაღლილი და ხელჩაქნეული ადამიანები მიდიან.

*— რას უჩიოდით?*

— მქონდა ოსტეოქონდროზი. თავი ისე მტკიოდა, თვალებს ვერ ვახელდი, დავბარბაცებდი, რადგანაც თავბრუ მეხვეოდა. საშინლად მტკიოდა წელიც.

*— ვინ გირჩიათ თინა მაჩაიძესთან მისვლა?*

— ჩემს ბედზე, დედაჩემის მეგობარი გვესტუმრა. მნახა, რა მდგომარეობაშიც ვიყავი, შევეცოდე და ქალბატონ თინას კოორდინატები ჩამაწერინა. თუ გინდა, შენს წამებას ბოლო მოეღოს, აუცილებლად მიდიო, მითხრა. მასაც უმძიმესი მდგომარეობა ჰქონია და ქალბატონ თინას განუკურნავს. მისი ბიოენერგეტიკული სეანსების წყალობით, პაციენტი შეიძლება, ერთდროულად რამდენიმე დაავადებისგანაც განიკურნოს. ჩემთვის ეს ნამდვილი სასწაული იყო.

*— ახლა როგორ გრძნობთ თავს?*

— სრულიად განვიკურნე, გარდა ამისა, ენერგიის მოზღვავებას ვგრძნობ, სიცოცხლის ხალისი მომემატა, მუშაობა დავიწყე. გულით ვლოცავ ქალბატონ თინიკოს — მკურნალს, რომელიც სასწაულებს ახდენს. ღმერთს ვთხოვ, დიდხანს აცოცხლოს, რათა თავისი ჯადოსნური ხელებით ჩემსავით გაჭირვებულ ადამიანებს შველა მოუტანოს.

### დავით სართანია:

— საშინელი თავის ტკივილი და უძილობა მტანჯავდა, დამჩემდა შიში, რის გამოც სახლიდან გარეთ აღარ გავდიოდი.

*— ექიმთან არ მიხვედით?*

— მივედი, მაგრამ მედიკამენტურმა მკურნალობამ სასურველი შედეგი არ გამოიღო... მუჭებით ვსვამდი წამლებს.

*— ვისი რეკომენდაციით მიხვედით ქალბატონ თინასთან?*

— მისი ინტერვიუ ვნახე შემთხვევით. ჩემმა მეუღლემ მოიტანა ჟურნალი. რატომღაც საოცარი ნდობა გამიჩნდა ამ ქალბატონის მიმართ. რწმენა ჩამესახა, უთუოდ მომარჩენს-მეთქი და ცოლს ვთხოვე, მაჩაიძის ოფისში დაერეკა.

*— კმაყოფილი ხართ მკურნალობის შედეგით?*

— თქვენ წარმოიდგინეთ, ისე მძიმედ ვიყავი, რომ თვითმკვლელობაც ვცადე. ამ სატანჯველისგან ქალბატონი თინას გარდა ვერავინ მიხსნა, სიცოცხლისკენ შემომაბრუნა. მის სიკეთეს ვერასოდეს დავივიწყებ.

### ხათუნა დიდია:

— ნევროზმა ლოგინად ჩამაგდო. გამოჯანმრთელების იმედი აღარ მქონდა. ექიმებთან სიარულმა და წამლების სმამ შედეგი არ გამოიღო, პირიქით, უარესად გავხდი.

*— რის გამო დაგემართათ ნევროზი?*

— გვიან გავთხოვდი, სამწუხაროდ, შვილი აღარ მეყოლა, სამაგიეროდ, მყავდა მოსიყვარულე მეუღლე. ასაკში რომ შევედით, კიდევ უფრო გაგვიტკბა ერთმანეთი. მისმა სიკვდილმა დიდი ტკივილი მომაყენა. ვერ შევეგუე მარტოობას და ჯანმრთელი ქალი ნევროზმა ლოგინად ჩამაგდო, 7 წლის განმავლობაში საწოლს ვიყავი მიჯაჭვული.

*— ახლა როგორ ხართ?*

— თინათინ მაჩაიძესთან ჩემმა მეზობელმა მომიყვანა. არ ვიცი, რა სასწაული მოახდინა ამ ქალბატონმა, მაგრამ ფაქტი სახეზეა — ლოგინიდან წამოვდექი, თავს თვითონ ვუვლი, სხვისი დახმარება აღარ მჭირდება. სტუმრად დავდივარ მეგობრებთან, ნათესავებთან, მოკლედ, სიკვდილს აღარ ვნატრობ, სიცოცხლე მიხარია.

**P.S.** *თუ გაწუხებთ უძილობა, თავის ტკივილები, ნერვული სისტემის მოშლილობა და მასთან დაკავშირებული პრობლემები, ოსტეოქონდროზი, რადიკულიტი, სახსრებისა და ნერვის ანთება, მარილები, ნაღვლის ბუშტის, კუჭ-ნაწლავის და გინეკოლოგიური დაავადებები, ქრონიკული ბრონქიტი, უნებლიე და ხშირი შარდვა, პროსტატიტი, იმპოტენცია, მიმართეთ ქალბატონ თინათინ მაჩაიძეს. გარდა ამისა, ის წმენდს დაბინძურებულ აურას და ასუფთავებს ბიოველს.*

**თინათინ მაჩაიძის სამკურნალო კაბინეტი მუშაობს ყოველდღე, კვირის გარდა.**

**მისამართი: წერეთლის გამზირი, №71-ის მოპირდაპირედ, გზის მეორე მხარეს, „ბანკი რესპუბლიკის“ კორპუსი, მე-2 სადარბაზო, 1-ლი სართული.**

**ტელ.: 599-58-69-47, 555-12-78-30, 555-96-44-21, 593-38-26-13, 235-18-68 (ოფისი).**

**პაციენტების მიღება წარმოებს წინასწარი ჩაწერით.**



Cyan Magenta Yellow Black

# ნინო მუმლაძეს ცოლიან კაცთან რომანის გამო მაყურებელი აუჯანყდა



„სპეციალურად შემიყვანეს სერიალში, რომ ხალხი ანერვიულონ“

„როგორ ბედავს, რომ ამ კარგ ოჯახს ანგრევს!“ „ცოლიან კაცზე თვალი როგორ უჭირავს!“, „ნუთუ იდეალური წყვილი არ არსებობს?!“... — სოციალურ ქსელებში ასეთი მღელვარება მსახიობ ნინო მუმლაძის პერსონაჟის, ნათიას გამოჩენამ გამოიწვია სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“. იდეალური ოჯახური წყვილის, ნინას და დათოს ცოლქმრულ ცხოვრებაში კრიზისია, ამის მიზეზი კი სტომატოლოგი ნათიაა, რომელიც ცოლქმარს შორის ჩადგა.

ეს მაცდური ქალი მსახიობ ნინო მუმლაძისთვის სრულიად განსხვავებული ამპლუაა იმ გმირის ფონზე, რომელიც მას მანამდე სერიალ „ჩვენს ოფისში“ აქვს ნათამაშევი — მისი ნუნუკა სიწმინდისა და უმანკოების ფანატიკური დამცველი იყო. ახალ როლში ის საგრძნობლად წონადაკლებულიც გამოგვეცხადა. კიდევ რა მოხდა მის ცხოვრებაში სერიალიდან სერიალამდე, 28 წლის მსახიობი თავად გვიამბობს.

**— ნინო, თქვენს ახლა პერსონაჟზე რა აზრის ხართ?**

— ნათია უჭკუო ქალი არ არის, მას საკმაოდ მძიმე ცხოვრება ჰქონდა, რამაც დამოუკიდებელი გახადა. პირადი ცხოვრება ვერააწყო, ჰყავდა ქმარი, რომელმაც სისხლი გაუშრო. ის აღარ ეძებს იდეალურ მამაკაცს, რომელიც ოჯახურ სიმყუდროვეს შეუქმნის, არამედ — ისეთს, ვისთანაც თავს კომფორტულად იგრძნობს. ასეთი კი დათო აღმოჩნდა. ნათია საკმაოდ ძლიერია, ამიტომ არ აპირებს, ვიღაცას კისერზე დააწვეს, მხოლოდ თავისი სიამოვნებისთვის ცხოვრობს. ეს ყველაფერი ქართული მენტალიტეტისთვის რთულად მისაღებია. სცენარისტებმა ჩემი გმირი სპეციალურად შეიყვანეს სერიალში, რომ ხალხი ანერვიულონ. ნათიას გამოჩენას დიდი აურზაური მოჰყვა.

**— თქვენი გმირისადმი ნეგატიური დამოკიდებულება თქვენზეც ხომ არ ვრცელდება?**

— პირადად არავინ არაფერს მეუბნება, მაგრამ „ფეისბუქზე“ დიდი ამბავია ატეხილი. ამბობენ, ხომ შეიძლება სერიალში მაინც არსებობდეს იდეალური ოჯახი და იდეალური კაცი, რატომ შეიყვანეთ ეს გოგო, ნერვებს გვიშლისო. მაგრამ ეს სერიალი ხომ ჩვენი რეალური ცხოვრების ასახვაა. სამწუხაროდ, თითქმის ყველა ოჯახში დგება კრიზისული პერიოდი და დათოს და ნინას ოჯახშიც ეს ეტაპია.

**— ნათია თქვენ რაიმეთი გგავთ, თქვენი თვისება ჩადეთ ამ გმირში?**

— მისნაირი ცხოვრება არ გამომივლია, ღმერთმა დამიფაროს! ჩემი ალბათ ის აქვს, რომ მეც საკმაოდ დამოუკიდებელი ვარ. უკვე ბევრი წელია, არავის კისერზე არ ვცხოვრობ. ყოველთვის მარტო ვაღწევ ყველაფერს. ნათიასავით არც მე ვეძებ მამაკაცს, რომელიც შემინახავს. ალბათ ამდენ ხანს სწორედ ამიტომაც არ შევქმენი ოჯახი. ვისთანაც ვიქნები, მინდა, მასთან ცხოვრება დიდი სიამოვნება იყოს ჩემთვის. ასეთს კი ჯერჯერობით ვერ შევხვდი.

**— ზოგადად რას ფიქრობთ ქალებზე, რომლებიც ცოლიან მამაკაცებთან აბამენ რომანს?**

— ამის წინააღმდეგი ვარ. არ შეიძლება შენი ბედნიერება სხვის ხარჯზე შექმნა. მადლობა ღმერთს, ასეთი რაღაც ცხოვრებაში არ დამმართნია.

**— ეს ყველაფერი ხომ შეიძლება სიყვარულით ახსნა?**

— როდესაც რაღაცაში შეტოპავ, მერე ფიქრობ, თავი რითი გაიმართლო. ნათიასაც ძალიან აწუხებს ნამუსი და ასევე — დათოსაც. ისინი ნამუსგარეცხილი ადამიანები ნამდვილად არ არიან, უბრალოდ ვერ უარყოფენ იმ გრძნობებს, რაც ერთმანეთის მიმართ გაუჩნდათ. ასეთი შემთხვევა არასოდეს მქონია და დიდი იმედი მაქვს, რომ არც მექნება. ვთვლი, რომ, როდესაც ოჯახში პრობლემა იქმნება, ჯობს, ორმა ადამიანმა ერთმანეთში გაარკვიოს. ღალატი საშინელებაა. ნინას ადგილას რომ ვიყო, ვამჯობინებდი, ჩემს ქმარს სიმართლე ეთქვა, ერთმანეთს დავშორდებოდით და ვიღაც სხვა მერე მოეძებნა. მისი ცოლი ვიყო და სხვასთან მღალატობდეს? საშინელებაა! ამიტომ ამ პერსონაჟებს არ ვამართლებ. მათ ადგილას საკუთარი თავის წარმოდგენა არ მინდა. ვერც კი ვიტყვი, ამ შემთხვევაში როგორ მოვიქცეოდი.

„არც მე ვეძებ მამაკაცს, რომელიც შემინახავს. ალბათ ამდენ ხანს სწორედ ამიტომაც არ შევქმენი ოჯახი. ვისთანაც ვიქნები, მინდა, მასთან ცხოვრება დიდი სიამოვნება იყოს ჩემთვის".

**— წლებია სტუდია „ფორმულა კრეატივთან“ თანამშრომლობთ. იქ მისულს უკვე კარგად ნაცნობი გარემო დაგხვდებოდათ.**

— კი, ჩვენი ურთიერთობა ტელეკომპანია „მზეზე“ დაიწყო, როდესაც სერიალი „ბიჭები და გოგოები“ კეთდებოდა. მერე „რუსთავი 2“-ზე სერიალ „ჩიფსების თაობის“ გაკეთება დავიწყეთ, რომელსაც შემდეგ „ჩვენი ოფისი“ ერქვა. ამ სერიალმა 3 წელი გასტანა. შეიძლება ითქვას, რომ 5 წელი „ფორმულა კრეატივთან“ ერთად ვცხოვრობდი. ოჯახის წევრებივით ვიყავით, პარალელურად სხვადასხვა თეატრში ვმუშაობდი. ტელეკომპანია „რეალ ტივის“ დილის ეთერის წამყვანად წელიწადნახევარი ვიმუშავე, მერე ეს არხი დაიხურა. გამიხარდა, როცა „ფორმულა კრეატივიდან“ დამირეკეს, მათ წინადადებას სიამოვნებით დავთანხმდი.

**— როგორია რეჟისორ გიორგი ლიფონავას მუშაობის სტილი, მსახიობებთან როგორი ურთიერთობა აქვს?**

— სერიალს „ჩემი ცოლის დაქალები“ ორი რეჟისორი ჰყავს. რატომღაც ხალხი ფიქრობს, რომ „ფორმულა კრეატივში“ გიორგი ლიფონავაა ყველაფერი, სინამდვილეში ასე არ არის. გვყავს სცენარისტი, პროდიუსერები... თითოეულ კადრზე ბევრი ადამიანი მუშაობს. გიორგი მთავარი რეჟისორია, გვყავს რატი რამიშვილი, რომელიც ასევე ძალიან კარგი რეჟისორია. ორივე კრეატიულია. გიორგის შეუძლია უცებ ისეთი დეტალი გითხრას, რაც დასკვნების გაკეთებაში დაგეხმარება. თავისი საქმის ოსტატია.

**— როცა იმ შედეგს ვერ იღებს მსახიობისგან, რაც უნდა, უკმაყოფილებას რა ფორმით გამოხატავს?**

— არიან ადამიანები, მათ შორის — ჩემი კოლეგებიც, რომლებიც აღნიშნავენ, რომ გიორგის უჟმური ხასიათი აქვს, მაგრამ მე მსგავსი რამის თქმა არ შემიძლია. ადრე, გადაღებების დროს, უყვირია, მაგრამ ჩემთან მსგავსი შემთხვევა არ ყოფილა. ერთმანეთს ყოველთვის კარგად ვუგებდით. მასთან





Cyan Magenta Yellow Black

მუშაობით კმაყოფილი ვარ. როცა ხედავ, რომ რეჟისორი შემოქმედებით პროცესშია, რაღაცას აკეთებს, შენ თვითონაც ინთები და გინდა, მისი მოლოდინი გაამართლო. ჩვენ მეგობრები საქმის დამთავრების შემდეგ ვართ. არ შეიძლება საქმე ძმაკაცობას და მეგობრობას გადააყოლო.

**— თქვენი პირადი ცხოვრება რა ფაზაშია — აქტიურში თუ პასიურში?**

— ჩემი პირადი ცხოვრება არ შედგა, ეს ალბათ უკვე ბედისწერის ამბავია.

**— ამჟამად თქვენ გვერდით არავინ არის?**

— სამწუხაროდ, ახლა ჩემ გვერდით არავინ არის.

**— რატომ, ზედმეტს ითხოვთ მამაკაცებისგან თუ წუნია ხართ?**

— არ ვიცი. ხანდახან ურთიერთობა დაწყებულა, მაგრამ მერე აღარ შემდგარა. ალბათ წუნიაც ვარ. შეიძლება ეგოისტურად და ხმამაღალ ნათქვამად გამომივიდეს, მაგრამ, ვფიქრობ, რომ კარგი გოგო ვარ და კარგი ბიჭის ღირსი ვარ. არ მინდა, „ისე რა“ ბიჭები და რა გავაკეთო?!

**— ისეთი ძალით არასოდეს გყვარებიათ, რომ ნაკლზე თვალები დაგეხუჭათ?**

— ძალიან შეყვარებული არასოდეს ვყოფილვარ. არ ვიცი, ეს ჩემი ნაკლია თუ შესაფერის ადამიანს ვერ შევხვდი.

**— ოჯახის წევრები არ გაჩქარებენ, რომ გათხოვდეთ?**

— 22 წლის შემდეგ ყველა მეუბნება, რომ ჩემი გათხოვების დროა, მაგრამ ამაზე ძალიან მეცინება. ბევრი ქართული ტრადიცია მიყვარს, მაგრამ ქართულ მენტალობაში ბევრი რამ არსებობს ისეთი, რაც ძალიან მაღიზიანებს.

**— მაგალითად?**

— ყველაფრის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. იმის გამო, რომ ვიღაცის დიდმა ბაბუამ რაღაც თქვა, ჰგონიათ, რომ სულ ასე უნდა ვიცხოვროთ. ვიცავთ ტრადიციებს, რომლებიც, არც კი ვიცით, რაში გვჭირდება. როცა ბრმად მისდევ რაღაცას, ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ინტელექტი გაკლია.

განათლებული ადამიანების, ხელოვანების ოჯახში გავიზარდე. ჩემს ბაბუაზე — გრიშა ქსოვრელზე ტრადიციული ქართველი კაცი ცხოვრებაში არ შემხვედრია, მაგრამ ამ თვისებამ მას სულაც არ შეუშალა ხელი, რომ შვილები საზღვარგარეთ წაეყვანა და მათთვის კარგი განათლება მიეცა. იმ განათლებულმა ქალმა კი შემდეგ მე გამზარდა. იმედი მაქვს, ჩემს შვილებსაც შესაბამის განათლებას მივცემ.

**— „ჩემი ცოლის დაქალებში“ წონაში მკვეთრად დაკლებული გამოეცხადეთ მაყურებელს. ეს როგორ მოახერხეთ?**

— სერიალი „ჩვენი ოფისი“ რომ დამთავრდა, წონაში ძალიან ვიყავი მომატებული. ერთხელ ჩემთან გადაცემაში ცნობილი ენდოკრინოლოგი, ელენე გიორგაძე მოვიდა. მან ბევრი ისაუბრა სწორ კვებაზე, მერე ჩემკენ მოტრიალდა და მითხრა, ხალხს რომ აძლევ რჩევებს, შენ არ გინდა, ჩემთან მოხვიდეო. მეორე დღეს მივედი. დაახლოებით ექვსი თვე უმკაცრეს დიეტაზე ვიყავი.

ფორმას რომ დაიბრუნებ, მერე თავი უნდა აკონტროლო, დაძინებამდე 4 საათით ადრე უნდა ჭამო. დღის განმავლობაში, მინიმუმი, ლიტრნახევარი წყალი უნდა მიიღო. ისეთ ცომეულზე უნდა თქვა უარი, სადაც საფუარია გამოყენებული. არც ტკბილი შეიძლება. დიეტის დროს თაფლს, იოგურტს და ტკბილ ხაჭოს ვიღებდი, მაგრამ გადაჭარბებით — არა. როცა სუფრასთან ხარ, საკუთარ თავს არაფერიუნდა აუკრძალო, მეორე დღეს კი შეგიძლია განტვირთვის დღე მოიწყო. გეტყვით, ეს როგორ უნდა გააკეთოთ: ერთი კილო ხილი — არ უნდა იყოს კარალიოკი, ლეღვი, ყურძენი, არც ბანანია სასურველი, კარგია ვაშლი, ფორთოხალი, ფეიხოა, კივი, 200 გრამი ხაჭო და ერთი ლიტრი მაწონი მთელი დღე უნდა გამოიზოგო და 2 ლიტრამდე წყალი დალიო. თუ ამას მოახერხებ, ჩათვალე, რომ წინა დღეს მიღებული კალორიები განეიტრალებული გაქვს.

**„ვამჯობინებდი, ჩემს ქმარს სიმართლე ეთქვა, ერთმანეთს დავშორებოდით და ვიღაც სხვა მერე მოეძებნა. მისი ცოლი ვიყო და სხვასთან მღალატობდეს? საშინელებაა! ამიტომ ამ პერსონაჟებს არ ვამართლებ".**

✓ ქეთი დინოშვილი




# მაშო მელქაძე: „ჩემი გათხოვებით ეკას ტრავმა მივაყენე“

მსახიობი მაშო მელქაძე მაისში პირველი შვილის დედა გახდება. ახლა მისი გული და გონება მხოლოდ ამ პატარა არსებას ეკუთვნის და განუყრელი მეგობრისთვის, მსახიობ ეკა აბშილავასთვისაც კი ცოტა დრო რჩება. ისინი განსხვავებული ნატურები არიან. მაშო — აქტიური და თამამი, ეკა — მორიდებული და ჩაკეტილი. ამ ორი პოლუსის დამეგობრება სრულიად სპონტანურად, ჭიქა ყავასთან მოხდა და მას შემდეგ ერთად მოდიან. მათი აზრით, განსხვავებული თვისებებით ერთმანეთს ავსებენ.

**— მოგვიყევით, როგორ გახდით მეგობრები.**

**ეკა**: თეატრალურ უნივერსიტეტში ერთად ვსწავლობდით, ჯგუფელები ვიყავით, მაგრამ თავიდან ერთმანეთის მიმართ ანტიპათიით ვიყავით განწყობილი. არანაირი კონტაქტი არ გვქონდა. ნახევარი წლის შემდეგ ჩვენი დამეგობრება ერთ დღეში მოხდა. შესვენებაზე ბუფეტში ჩავედით ყავის დასალევად და მას შემდეგ ერთად ვართ.

**მაშო**: მეორე დღეს კიკეთში აგარაკზე ერთი კვირით წავედით. მაშინ მოვუყევით ერთმანეთს, როგორ ვცხოვრობდით უერთმანეთოდ. არც ვფიქრობდით, რომ ასეთი ახლობლები გავხდებოდით. ბოლო პერიოდში უკვე ერთნაირად დავიწყეთ აზროვნება.

**ეკა**: ერთმანეთის თვისებები გადავიღეთ, მაგრამ ხასიათით მაინც ძალიან განვსხვავდებით.

**მაშო**: ერთნაირები რომ ვიყოთ, ასე კარგად ალბათ ველარ გავუგებდით ერთმანეთს. როცა ვკამათობთ, ერთი დღე გვჭირდება იმის გასაანალიზებლად, რა გვეწყინა.

**— რაზე კამათობთ, რომელიმეს რთული ხასიათი ხომ არ გაქვთ?**

**მაშო**: ორივეს ძალიან რთული ხასიათი გვაქვს.

**ეკა**: ჩემი ხასიათის სირთულე იმით გამოიხატება, რომ თუ რამე მწყინს, კი არ ვამბობ, ვიბუტები.

**მაშო**: ეკას მინუსი ისაა, შეიძლება წამში ხასიათი ისე გაუფუჭდეს, რომ არავისთან კონტაქტი აღარ უნდოდეს. თავისთვის ჩაიკეტება და სახლში უნდა. ამას სხვა ვერავინ ხვდება, მე სამ-ოთხ კითხვაში ვარკვევ, რა მოუვიდა და რა უშველის. ეკამაც კარგად იცის ჩემი ხასიათი. უცებ ვიცი აფეთქება, შეიძლება საშინელებები ვთქვა.

**ეკა**: რასაც ფიქრობს, უცებ ყველაფერს მოგაყრის, მაგრამ ყოველთვის სიმართლეს ამბობს. სულ ვეუბნები, რომ ჯობს, თავი შეიკავოს, რადგან ამის გამო შეიძლება ვიღაც ნაწყენი დარჩეს. ვერ ვეჩვევი მის უცაბედ აფეთქებებს.

**მაშო**: ეკა ცდილობს, ეს ყველაფერი განმუხტოს. ჩემი წამიერი აფეთქების გამო ხშირად ვვარდები უხერხულ სიტუაციაში.

**— ეკა, მაშოს გათხოვებას როგორ შეხვდით?**

**მაშო**: ეს ეკას ტრავმაა.

**ეკა**: ძალიან განვიცადე, მაგრამ ვცდილობდი, არ გამომეხატა. როცა მაშომ გათხოვების ამბავი მითხრა, ავტირდი, როცა გავიგე, შვილს ელოდებოდა, მაშინაც ვიტირე.

**მაშო**: ეკა რომ გათხოვილიყო, შეიძლებოდა დეპრესია დამმართნოდა. ჩემი გათხოვება მართლა განიცადა. რომ დამინახავდა, თვალები ცრემლებით ევსებოდა.ეკას რომ ჩემთვის ეთქვა, იმიტომ არ მცალია, ქმართან ერთად სადღაც მივდივარო, სერიოზულ ტრავმას მივიღებდი.



■ მაშო და ეკა

**ეკა აბშილავა: „როცა მაშომ გათხოვების ამბავი მითხრა, ავტირდი, როცა გავიგე, შვილს ელოდებოდა, მაშინაც ვიტირე".**

**— ეკა, ასე რატომ განიცადეთ მაშოს დაოჯახება, იეჭვიანეთ, რომ თქვენთვის ნაკლები დრო დარჩებოდა?**

**ეკა**: ალბათ გულის სიღრმეში ეგოისტი ვარ.

**მაშო**: სიყვარული ხომ ეგოიზმია. სანამ ქმარი მეყოლებოდა, ეკას ვურეკავდი, ვაიმე, თითი გავიჭერი-მეთქი და მამშვიდებდა.

**ეკა**: ახლა ასეთ რამეებზე მე აღარ მირეკავს.

**მაშო**: ახლა რომ ვფიქრობ, ვხვდები, რომ მაშინ მაგრად ვაწუხებდი.

**— ეტყობა, თქვენ შორის მაშო უფრო ემოციური.**

**მაშო**: რა თქმა უნდა, ლაპარაკზეც ხომ მეტყობა? ეკა ძალიან გაწონასწორებულია.

**— ეკა, მაშო გათხოვებამ შეცვალა?**

**ეკა**: მაშო მართლა შეიცვალა, განსაკუთრებით ორსულობისას და ამას თავადაც აღნიშნავს. უკვირს, როგორი სხვანაირი ვარო. მეუბნება, შენ ვერ აღიქვამ, ახლა მე რა მჭირს და რა მწყინსო. ადრე ამბობდა, ბავშვი აქეთ-იქით სიარულში ხელს არ შემიშლისო. ახლა კი სულ იმაზე ფიქრობს, პატარას როგორ გააჩენს, როგორ მოუვლის. დედობისთვის ძალიან ემზადება.

**მაშო**: გართობის ინიციატორი მე აღარ ვარ. შესვენება რომ მქონდა, მეგობრებს ჩამოვურეკავდი და ვეუბნებოდი, ყავის დასალევად წავიდეთ-მეთქი. ახლა კი ყველას სახლში ვეპატიჟები. მგონი, ჩემნაირი სხარტი ორსული ჯერ არავინ ყოფილა, მაგრამ რაღაცნაირად სიმშვიდე და სიწყნარე მინდა. არც კი მეგონა, ასეთი რაღაცეები თუ დამემართებოდა. ჩემი შვილი უკვე ყველაზე მეტად მიყვარს, ჩემს ქმარზე, დედაზე, ეკაზე მეტადაც კი.

**ეკა**: და მე ამას შეგუებული ვარ.

**მაშო**: ალბათ გადამივლის. ეკა, შენ დამშვიდდი, ჩვენს მეგობრობას ხელს არაფერი შეუშლის. ეკა ჩემი შვილის ნათლია იქნება, ჩემი მეჯვარეცაა.

**— როდის ელოდებით შვილს?**

**მაშო**: მაისის დასაწყისში გოგოს ველოდები. სახელიც შერჩეული გვაქვს, მაგრამ ამას ჯერ არ გეტყვით. ჩემი მეუღლეც ძალიან ელოდება. ვეუბნები, დაელაპარაკე-მეთქი, მაგრამ მარტო იმას ეუბნება, მამიკო, მალე გამოდიო. სულ ვეჩხუბები, მართალი არ ეგონოს და დროზე ადრე არ დაიბადოს-მეთქი.

**— ნათლიაც მოუთმენლად ელოდება ნათლულის დაბადებას?**

**მაშო**: ელოდები თუ ვერც აღიქვამ?

**ეკა**: ვერ აღვიქვამ. ვიცი, რომ უნდა გაჩნდეს, ალბათ რომ დავინახავ, კარგად მერე გავიაზრებ.

**— ეკა, მაშოს მომავალი ქმარი რა ვითარებაში გაიცანით?**

**მაშო**: თავიდან დათოს ეკას ვურიგებდი.

**ეკა**: მეუბნებოდა, კარგი ბიჭია, დაეკონტაქტეო. პირველ კურსზე ვიყავით, როცა დათო გავიცანით და მას შემდეგ მასთან ვმეგობრობდით. მერე მათი შეყვარებულობის პერიოდიც დაიწყო.

**— მაშოს საქმროსთან აუცილებლად გექნებოდათ რაღაც მოთხოვნები.**

**ეკა**: კი და მაშო სულ მეუბნებოდა, წესიერად ელაპარაკეო.

**მაშო**: ეკა ეჭვიანობდა და მის მიმართ აგრესიული იყო. ჩემი ქმარიც სასაცილო ბიჭია, ესეც სასაცილოა და ასეთივე სასაცილო ურთიერთობა აქვთ. კარგი მეგობრები არიან.

**— მაშო, ეკას თაყვანისმცემლებთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?**

**მაშო**: ეკას უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს, მათ წინააღმდეგ სულ ვიბრძვი.

**ეკა**: ჩემი თაყვანისმცემლები მაშოს უფრო აღიზიანებს, ვიდრე მე.

**მაშო**: ეკა მორიდებულია. ვიღაცამ რეპეტიციის დროს უთვალავჯერ რომ დაურეკოს და შეაწუხოს, შეუძლია ხმა არ ამოიღოს. ჰყავს ფანები, ოღონდ ამას მართლა ვამბობ. მე არ მყავს, სულ ალბათ ორი ზარია ჩემს ტელეფონზე შემოსული და რამდენჯერმე „ფეისბუქზე“ თუ მოუწერიათ. გოგოები უფრო მეკონტაქტებიან. ეკას კი ურეკავენ და ეს ჩვეულებრივად ელაპარაკება. ამ დროს მე ტელეფონს ვართმევ და ბოლო ხმაზე ვყვირი. ბევრი თაყვანისმცემელი ჩამოვაშორე. თუ ერთად ვართ და ტვინს უჭამენ, ვანიშნებ, მობილური მე გადმომეცი და ნახავ, პრობლემას ორ წუთში მოვაგვარებ-მეთქი. თუ ვიღაც ღირსეულია, ვცდილობ, ხელი შევუწყო.

ეკა ძალიან თავდაჭერილია. იმდენად, რომ თუ ვიღაც მოსწონს, შეიძლება ეს არც კი გამოხატოს. საკმაოდ მკაცრიცაა. ისეთი არ არის, როგორსაც ტელევიზიით იცნობენ. ღრმა ადამიანია და შეიძლება ვერც მიხვდე, შენ მიმართ რა ემოცია აქვს. არ უყვარს ემოციების სააშკარაოზე გამოტანა.

**— ეკა, არ ხართ შეყვარებული?**

**ეკა**: არა. პრეტენზიული არ ვარ, უბრალოდ ბევრს ვფიქრობ.

**მაშო**: სანამ ეს ბევრს ფიქრობს, ის ბიჭი ისეთ თვისებებს გამოავლენს ხოლმე, რომ ვხვდები, ეკა მართალი ყოფილა. ამიტომ ველარაფერს ვეუბნები.

✓ **ქეთი დინოშვილი**



Cyan Magenta Yellow Black

VIDATOX® 30CH

სუბლინგვალური წვეთები

ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება

სიმპტომური გაუმჯობესება

ტკივილების შემცირება

სიცოცხლის გახანგრძლივება

# ვიდატოქსი

## მორიელის შხამის აქტიური გამოყენება სიმსივნური დაავადებების მკურნალობაში დღევანდელი მედიცინის აქტუალური თემაა

CH VIDATOX R 30

წარმოადგენს ჰომეოპათიურ პროდუქტს. მისი აქტიური მოქმედი ნივთიერებაა Rhopalurus junceus მორიელის შხამი პროპორციით 30/100 ერთეული. პროდუქტი პოტენციურად არატოქსიურია ხსნარის ფორმაში. მისი გამოყენება არ გამორიცხავს და არ ზღუდავს კიბოს მკურნალობის სხვა ტრადიციულ მეთოდებს, უფრო მეტიც, მათ ერთდროულ გამოყენებას შიძლება ჰქონდეს სინერგიული ან პოტენციური ეფექტი.




ჯი პი სი -ს აფთიაქების ქსელი:

ხიზანიშვილის ქ. 37
ჭავჭავაძის გამზ. 50
ყაზბეგის გამზ. 10
წერეთლის გამზ. 55
გამსახურდიას გამზ. 2
ვაჟა ფშაველას გამზ. 17
ვაჟა ფშაველას გამზ. 48
გამსახურდიას გამზ. 23/25

ფარმადეპოს აფთიაქების ქსელი:

წინანდლის №9 (არამიანცის ტერიტორია, №64 ცენტრალური აფთიაქი);
ირაკლი აბაშიძის ქ. №41;
სანაპიროს ქ. №10ა;
ც. დადიანის ქ. №2 (გადას. ხიდთან);
ჭიაურელის ქ. №11. (დიღმის მასივი)

ჯი პი სი–ს საინფორმაციო სამსახური
27 10 07

ფარმადეპოს საინფორმაციო სამსახური
2 400 004

# „ჩემი მოძღვრის ვაჟი შემიყვარდა“



16 წლის ვარ. ცხოვრებაში უამრავი რამის გადატანა მომიხდა. დედა ავად ხშირად ხდება. იმის შიშით ვიღვიძებ და ვიძინებ, ცუდი არაფერი დაემართოს. წლებია, რაც მძიმე სენს ებრძვის. ექიმები იმედს კი გვაძლევენ, მაგრამ ზოგჯერ სასოწარკვეთილებაში ვვარდები. იმის წარმოდგენაც არ მინდა, რომ ერთ დღეს ჩემ გვერდით აღარ იქნება. ეს აუტანელი შიშია, ყველას აშოროს ღმერთმა. ამისთვის მტერსაც კი ვერ გავიმეტებ. ამ სენთან ბრძოლამ ბევრი რამ შეიწირა, მათ შორის ჩვენი მატერიალური კეთილდღეობაც. ბევრი რამის გაყიდვა მოგვიხდა, ვალებიც ბლომად დაგვიგროვდა.

ერთ დღეს მეზობელმა ეკლესიაში წამიყვანა. ეს იყო ნამდვილი სასწაული, რადგან საოცარი სიმშვიდე დამეუფლა. მივხვდი, რომ უფალი ჩემთან იყო და არაფრის უნდა შემშინებოდა. ღვთისმშობლის ხატთან რომ მივედი, თითქოს დამელაპარაკა, მანუგეშა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა. იმ დღის შემდეგ ეკლესიის მრევლი გავხდი. მოძღვარს აღსარება ჩავაბარე და ვეზიარე კიდეც. ვცდილობ, მისი ყველა კურთხევა შევასრულო. ეკლესიის კარამდე დედაჩემიც მივიყვანე, მაზიარებელი მართლმადიდებელი გახდა, ლოცვებს ერთად ვკითხულობთ და იმედით ვართ სავსე.

ჩემი მოძღვარი საოცარი ადამიანია. მგონია, რომ ასეთი მღვდელი მთელ მართლმადიდებლურ სამყაროში არ არსებობს. ყველას ტკივილი გულთან ახლოს მიაქვს, მე საკუთარი შვილივით მექცევა. რომ დამინახავს, შუბლზე მკოცნის. წირვისას ამბიონზე რომ გამოდის, მისგან მაშინაც კი ვგრძნობ მამობრივ სითბოს. მისთვის ვლოცულობ, რომ თავის მრევლს დიდხანს გაუძლევს წინ.

ახლა კი ჩემს ერთ პრობლემაზე უნდა მოგიყვეთ, რომელიც ძალიან მაწუხებს. ჩემს მოძღვარს ვაჟიშვილი ჰყავს, რომელიც ეკლესიაში სტიქაროსანია. იმ ბიჭთან ყველას კარგი ურთიერთობა აქვს, რადგან საოცრად თბილი და ყურადღებიანი ადამიანია. მეგონა, რომ მე განსაკუთრებული სითბოთი მექცეოდა, ამიტომ ძალიან შემიყვარდა. თავიდან ვფიქრობდი, რომ ეს მხოლოდ მეგობრული ურთიერთობა იყო, მაგრამ მერე მივხვდი, მასთან სხვანაირი გრძნობა მაკავშირებდა. თავს ცუდად ვგრძნობ, რადგან ეკლესიაში უკვე იმისთვის მივრბივარ, რომ ის ვნახო. მეშინია, ამის გამო ღმერთი არ გამიწყრეს და განსაცდელი არ მომივლინოს. კარგად ვიცი, რომ ეკლესიაში ლოცვისთვის და უფლის სადიდებლად უნდა იარო, მაგრამ მთელი გზა გული ჩქარ-ჩქარა მიცემს, რადგან მას ვნახავ, მის ხმას გავიგონებ.

არ ვიცი, ჩემი ამბავი ვის გავუმხილო. მოძღვარს ვერ ვეტყვი, რომ მისი შვილი მიყვარს, ვერც იმ ბიჭს გამოვუტყდები სიყვარულში. ყველა გოგოზე ვეჭვიანობ, ვინც კი მასთან ახლოს მიდის. ეკლესიაში კი იმდენი გოგო დადის და იმდენს მოსწონს ის...

უარ ვიცი, ამ გრძნობას როგორ მოვერიო. რა გავაკეთო, რომ ტაძარში მშვიდად ლოცვა შევძლო.

**„სარკის“ ერთგული მკითხველი**

**გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:**
**296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე ან ია ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.**
**თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:**
1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 1779 მაგთიდან და ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru **ანონიმურობა დაცულია**

# „მშობლებმა მასწავლებლებთან არ მომამზადეს, ახლა კი მაღალ ქულებს მთხოვენ“

ჩემი კლასელები სხვადასხვა საგანში კერძოდ ემზადებიან. ზოგი ექვს საგანში დადის რეპეტიტორთან. მეც დიდი სიამოვნებით ვივლიდი, მაგრამ მშობლებმა გამომიცხადეს, ამდენი ფული არ გვაქვს, ამიტომ თვითონ უნდა ისწავლოო.

წელს აბიტურიენტი ვარ, სკოლის გამოცდებიც ჩასაბარებელი მაქვს და ამის გამო დღე და ღამე არ მძინავს, საშინლად ვნერვიულობ. ჩემი კლასელები, რომლებიც მართლაც კარგი მომზადებულები არიან, ამბობენ, შეიძლება ვერ ჩავაბაროთო, ძალიან ნერვიულობენ და ხომ წარმოგიდგენიათ, მე რა დღეში ვიქნები. მშობლები კი მთხოვენ, მაღალი ქულები მივიღო.



ამას წინათ დედაჩემმა მთელი ლექცია ჩამიტარა, როგორი კარგი მშობლები არიან, რომ არაფერი მოუკლიათ ჩემთვის, ამიტომ მეც კარგი გოგო უნდა ვიყო და მათ იმედები არ უნდა გავუცრუო. პრეტენზიას მიყენებენ, რომ ყველას უნდა ვაჯობო, იმას კი არ ფიქრობენ, ეს როგორ მოვახერხო.

ზუსტად ვიცი, მშობლების იმედებს ვერ გავამართლებ. ჩემი ცოდნის დონე ისეთი არ არის, რომ ყველა გამოცდას გავუმკლავდე. არც კი ვიცი, რა მეშველება. ზუსტად ვიცი, ჩემი მშობლების პრეტენზიების მოსმენა მომიწევს და ამაზე წინასწარ ვნერვიულობ.

**თქვენი ერთგული მკითხველი**



# „ინტერნეტით გაცნობილ ბიჭთან პაემანზე წასვლის მეშინია“

თითქმის ერთი წელია, ინტერნეტით გავიცანი ადამიანი, რომელიც ძალიან მომწონს, უფრო სწორად, მიყვარს. ადრე, როცა მიყვებოდნენ, რომ ვიღაცას ვიღაც ინტერნეტით შეუყვარდა, არ მჯეროდა. მეგონა, რომ იტყუებოდნენ, მაგრამ მერე ეს საკუთარ თავზე ვიწვნიე. ყოველდღე ველოდები, როდის შემოვა ონლაინში, რომ დაველაპარაკო, რაღაცეები მივწერო. ხშირად ტელეფონითაც ველაპარაკები, მოკლედ, გამუდმებით ვეკონტაქტებით ერთმანეთს. დიდი ხანია, რაც შეხვედრას მთხოვს, მაგრამ უარს ვეუბნები.

მისი ნახვა ძალიან მინდა, მაგრამ მეშინია, ვაითუ, არ მოვეწონო და იმედები გაუცრუვდეს. ჩემი ფოტოები ნანახი აქვს და ამბობს, რომ ძალიან ლამაზი ვარ. ამის მიუხედავად, მაინც ვფიქრობ, რომ არ მოვეწონები, თავს დამანებებს, მერე კი რა მეშველება? მის გარეშე როგორ უნდა გავძლო?

ჩემი ორი დაქალი მეუბნება, ფოტოგენური ხარო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფოტოებზე უკეთესად გამოვიყურები, ვიდრე სინამდვილეში ვარ. მათმა სიტყვებმა კიდევ უფრო დამაკომპლექსა. იმ ბიჭმა ამას წინათ მითხრა, რომ ასეთ ურთიერთობას აზრი აღარ ჰქონდა და გამომიცხადა, თუ არ შემხვდები, მაშინ ჯობია, ერთმანეთს აღარ დავეკონტაქტოთო. ძალიან მინდა, ვნახო, მაგრამ იმის გაფიქრებაზე, რომ არ მოვეწონები, საშინელი შიში მიპყრობს. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე!

**თქვენი მკითხველი, 16 წლის**





Cyan Magenta Yellow Black

# „საკუთარმა დამ „ფეისბუქში“ ჩემზე სიბინძურეები დაწერა“

ორი წლით უფროსი და მყავს, შემოდგომაზე 17 წლის უნდა გახდეს. სულ ამტკიცებდა, რომ მშობლებს მე უფრო ვუყვარდი, მაგრამ ამას ყურადღებას არ ვაქცევდი. რამეს რომ მიყიდდნენ, ტირილის იწყებდა. ვთქვათ, მას ათი წყვილი კედი ჰქონდა და ჩემთვის ერთს იყიდნენ, ისტერიკაში ვარდებოდა, იმდენს იზამდა, რომ მეთერთმეტე წყვილს მასაც უყიდდნენ. მის ხასიათს მიჩვეული ვიყავი, მაგრამ ამ ბოლო დროს სულ გადაირია.

მის კლასელ ბიჭს შევუყვარდი, რომლის მიმართ სიმპათიები მეც გამიჩნდა, რაღაც პერიოდის შემდეგ კი შემიყვარდა. ის ბიჭი მართლაც გამორჩეულია, ვიცი, რომ კლასელ გოგოებშიც ჰყავს თაყვანისმცემლები. ჩემმა დამ ეს რომ გაიგო, გაგიჟდა. თავიდან ვფიქრობდი, რომ უბრალოდ არ უნდოდა, ვინმე შემყვარებოდა. მერე კი დავრწმუნდი, რომ ჩემი შურდა.

იმ ბიჭს „ფეისბუქით“ ვიღაც ანონიმი პიროვნება ჩემზე ათას საშინელებას სწერდა. ჩემი შეყვარებული ამაზე ძალიან ბევრს იცინოდა. მის მიწერილ წერილებს მერე მე მიგზავნიდა და ერთად ვიცინოდით.

ცოტა ხანში ყველაფერი აირია. ჩემი შეყვარებული სხვანაირი გახდა, სულ გაღიზიანებული იყო, ეჭვიანობდა. ერთ დღეს ჩემთან ინტიმური კავშირის დამყარება მოინდომა, მაგრამ მე სასტიკი წინააღმდეგობა გავუწიე. ის კი გამხეცებული იყო, ბოლოს სილა გამაწნა და მითხრა, ისე იქცევი, თითქოს შენთვის პირველი მამაკაცი ვიყოო. ამაზე გადავირიე, ტირილი დავიწყე. ვუთხარი, ამის თქმას როგორ მიბედავ-მეთქი. მან კი წამომაძახა, რომ ჩემ შესახებ ყველაფერი იცოდა და მისთვის სიმართლე უნდა მეთქვა.

გაკვირვებული ვუყურებდი, ვერ ვხვდებოდი, ჩემგან რას ითხოვდა. ბოლოს გავარკვიე, რომ იმ ანონიმმა ჩემზე მისწერა, ქალიშვილი არ არის, ერთმა ბიჭმა მოიტაცა და გააუპატიურა, მაგრამ მშობლებმა სახლში წამოიყვანესო. ყურებს არ ვუჯერებდი, ისეთ ისტორიებს მიყვებოდა. ის ბიჭიც დამისახელა, ვინც ვითომ მომიტაცა. მას მართლაც ვიცნობ, სოფელში ბებიაჩემის მეზობელია. ის რომ დამისახელა, დავუდასტურე, მართლა ვიცნობ-მეთქი. მას ჩემ მიმართ გრძნობაც ჰქონდა, მაგრამ სულ ეს იყო, ჩვენ შორის არაფერი მომხდარა. შეყვარებულმა ჩემი ნათქვამი სწორად ვერ გაიგო, აიჩემა, ესე იგი, რასაც ის ადამიანი მწერდა „ფეისბუქზე“, ყველაფერი მართალი ყოფილა, სიმართლეს მიმალავო...

მე და ჩემს დას პერსონალური კომპიუტერები გვაქვს. ერთ დღეს ჩემმა ვინდოუსმა „დაყვინთა“, ამიტომ დის ლეპტოპს მივუჯექი. „ფეისბუქის“ გვერდი რომ გავხსენი, ავტომატურად იმ ანონიმის გვერდზე შევვარდი. არ მინდოდა დაჯერება, რომ იმ სიბინძურეებს ჩემი და წერდა. ჩემს შეყვარებულთან მიმოწერა რომ წავიკითხე, გადავირიე. იმ ჩვენი თანასოფლელი ბიჭის სურათიც კი უჩვენებია. მოკლედ, ყველაფერი რეალურად ჰქონდა აღწერილი, გარდა იმისა, რომ იმ ბიჭმა მომიტაცა და თანაც გამაუპატიურა.

საშინელ მდგომარეობაში ჩავვარდი. ჩემს დას მივვარდი, აღარც კი მახსოვს, რა და როგორ ვუთხარი. ყვირილისგან ორი დღე ხმა მქონდა ჩახლეჩილი. ჩემმა დამ არ უარყო, რომ ამ საშინელებებს თავად იგონებდა, მაგრამ ეს კეთილშობილური მიზნებით ახსნა. თურმე არ უნდა, მისი უმცროსი და ვიღაც ბიჭს აქეთ-იქით დაჰყვებოდეს. ჩვენი დაშორება კი ამ გზით სცადა, ვითომ ამით დამიცვა. მისი ერთი სიტყვისაც არ მჯერა!

როგორ შეიძლება ჩემი დის ვირწმუნო, როცა ჩემი სახელი შეარცხვინა?! ხომ შეიძლება ჩემმა შეყვარებულმა სხვებთანაც ილაპარაკოს, რომ მე ქალიშვილი არ ვარ, ასე ხომ თავი მომეჭრება. ჩემმა დამ ეს ყველაფერი ძალიან კარგად იცის, მაგრამ მისთვის სულ ერთია. ერთადერთი მიზანი, რას ამოძრავებდა, ჩვენი დაშორება იყო, რადგან ჩემი ძალიან შეშურდა.

შეყვარებულს ყველაფერი მოვუყევი და ურთიერთობა აღვადგინეთ, მაგრამ თითქოს ისე ვეღარ ვართ ერთმანეთთან, როგორც ადრე. ჩემმა დამ მაინც მოახერხა, ჩვენ შორის ჩამდგარიყო. სულ ვფიქრობ, ნუთუ შეიძლება საკუთარ დას ასე სძულდე. მის ბოროტებაზე მშობლებს ვერაფერს ვეუბნები, რადგან დამემუქრა, თუ ამ ყველაფერს იტყვი, დედას და მამას ვუამბობ, იმ ბიჭთან პაემანზე რომ იპარებიო.

არ მინდა, დასთან ასეთი მტრული დამოკიდებულება მქონდეს, მაგრამ სხვა გზას არ მიტოვებს.

**მკითხველი**

# „ძალიან მინდა, მოწევას გადავეჩვიო“



16 წლის გოგო უკვე ჩამოყალიბებული მწეველი ვარ. პირველად სიგარეტი კლასელის დაბადების დღეზე მოვწიე. მაშინ პატარები ვიყავით, გოგოებმა ვიხუმრეთ და გემო გავუსინჯეთ. იმის შემდეგ სადმე რომ მივდიოდით, ისევ, ვითომ გასართობად ვეწეოდით, ამასობაში კი „სტაჟიანი“ მწეველები გავხდით.

მშობლებს, რა თქმა უნდა, ვუმალავდი, მაგრამ ამას წინათ დედამ ტუალეტში შემომისწრო. მართალია, სიგარეტი არ მეჭირა ხელში, მაგრამ საშინელი ბოლი იდგა და მეც სუნი ამდიოდა. საშინელ დღეში ჩამაგდო, ჯერ მცემა და მერე ტირილი დაიწყო. მივხვდი, რომ მის წინაშე მართალი არ ვიყავი. მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ შვილები კარგად ვყოფილიყავით, ჩვენ გამო სამსახურსაც კი დაანება თავი. ჩემგან ამის ღირსი ნამდვილად არ იყო.

ძალიან მრცხვენია, გული რომ ვატკინე. მინდა, მოწევას გადავეჩვიო, მაგრამ ასე მარტივი არ ყოფილა. დედა მპირდება, რომ ხელს შემიწყობს და ალბათ გამომივა კიდეც. ჩემი თავის იმედი მაქვს.

ყველა ჩემს თანატოლს ვურჩევ, ცნობისმოყვარეობის გამო მოწევას ნუ დაიწყებენ. სიგარეტი ნამდვილად არ ღირს იმად, რომ მშობლები ვანერვიულოთ. ჩემი საქციელის მართლა ძალიან მრცხვენია.

**მკითხველი**



# „მამა საშინელ დღეში გვაგდებს“

შემზარა ჟურნალ „სარკეში“ გამოქვეყნებულმა წერილმა — „მამამ ბავშვობა წამართვა“, რადგან ჩემი მომავალი დავინახე. ზუსტად ვიცი, რომ მაგ ასაკში მეც ვიტყვი, მამამ ბავშვობა წამართვა-მეთქი.

მე 17 წლის ვარ. მამა სასტიკად მექცევა. არც კი ვიცი, ასე რატომ მიმეტებს. მცემს, მაგინებს. მარტო მე კი არ მიბრიყვებს, დედას და ბებოსაც ამ დღეში აგდებს. დაუნდობელი ადამიანია. როცა დედას და ბებოს ვესარჩლები, მერე ჩემზე გადმოდის და მცემს.

იანვარში ჩემი ბიძაშვილის ქორწილი იყო. მთელი ოჯახი განსაკუთრებულად მოვემზადეთ. ნათხოვარ კაბაშიც კი თავს ძალიან კარგად ვგრძნობდი, ვფიქრობდი, რომ ლამაზი დღე იქნებოდა. მამაჩემიც კარგ ხასიათზე იყო, თავისი ძმისშვილის ბედნიერება უხაროდა. უკვე სახლიდან გავდიოდით, რომ შემომხედა და მითხრა, ეს რა კაბა ჩაგიცვამს, მხრები მოშიშვლებული გაქვსო. თმაზე მეტაკა, ვარცხნილობაც დამიშალა და ის ნათხოვარი კაბაც ლამის შემომახია. მერე მიბრძანა, სახლში დარჩიო. ქორწილში მართლაც აღარ წავსულვარ, ის დღე ტირილში გავატარე.

სიცოცხლე არ მინდა, ყველაფერი მომბეზრდა. ვნატრობ, სახლიდან გავიქცე. დარწმუნებული ვარ, ასეთი ჯოჯოხეთი არსად დამხვდება.

**მკითხველი**

# „ფეისბუქით“ გაცნობილმა 17 წლით უფროსმა კაცმა შემაცდინა“

თქვენი დახმარება ძალიან მჭირდება. ერთხელ „ფეისბუქში“ დავძვრებოდი და ერთ მამაკაცს წავაწყდი. ძალიან მომეწონა, დავეკონტაქტე, ტელეფონის ნომრები გავცვალეთ და ხშირად ვსაუბრობდით. ერთმანეთი შეგვიყვარდა.

ერთხელ ამ კაცმა თავის სახლში წამიყვანა და მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო — 17 წლით უფროსი მამაკაცი ჩემი სექსუალური პარტნიორი გახდა. მე კი მე-10 კლასში ვარ. აღარ ვიცი, რა ვქნა. მირჩიეთ რამე!

**თქვენი მკითხველი**

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძე



Cyan Magenta Yellow Black

ეტაპი

# „მე და ოთომ დაბრკოლებებს ვერ გავუძელით“

## ნუკი კოშკელიშვილი შეყვარებულთან განშორებისა და შეწყვეტილი ტელეკარიერის შესახებ



ნუკი კოშკელიშვილის ტელეკარიერა ზიგზაგებით ვითარდება, თავბრუდამხვევ პოპულარობას და აჩქარებულ რიტმს პაუზა ან დროებითი უმუშევრობა ცვლის. ხან რამდენიმე პროექტშია ერთდროულად დაკავებული, ხან მხოლოდ ერთგან ჩანს. ასე უკვე რამდენჯერმე მოხდა. ამჯერადაც ტელეკომპანია „იმედის“ ახალმა მფლობელებმა „ნუკის დილის“ გაგრძელება საჭიროდ არ ჩათვალეს, რამაც გული ძალიან დასწყვიტა.

22 წლის ტელესახის პირადი ცხოვრებაც არ მიედინება აღმართ-დაღმართების გარეშე. ნუკისა და და ოთო მარგოშვილის სიყვარული ყველას თვალწინ ვითარდებოდა, მათი ინტერვიუები და ფოტოები პრესაში ქვეყნდებოდა, იდეალური წყვილის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ... არც ისე დიდიხნის წინ კი მათ ორწლიან ურთიერთობასაც დაესვა წერტილი.

იმის შესახებ, თუ რა ეტაპი დგას ახლა მის კარიერასა და პირად ცხოვრებაში, ნუკი „სარკეს“ უამბობს.

**— ნუკი, ტელეკარიერის თვალსაზრისით, შეიძლება ჩაითვალოს, რომ კრიზისი გაქვთ?**

— არა, მუშაობას ვაგრძელებ. სერიალში „შუა ქალაქში“ ვთამაშობ, რადიო „აფხაზეთის ხმაში“ გიორგი ნაზღაიძესთან ერთად მიმყავს გადაცემა „ცოტა ყავა და ბევრი ჭორი“. ახლა ყველაფერი თითქოს დაპაუზებულია. ადრე რადიოდან ვინმეს რომ დავურეკავდი და მასზე მოგონილ ჭორზე დავუწყებდი საუბარს, დიდ აგრესიას ავლენდა. ახლა პირიქითაა, ძალიან ახარებთ, რომ ესა თუ ის პიროვნება საზოგადოებას კვლავ ახსოვს.

არასოდეს მიმუშავია იმისთვის, რომ ქუჩაში ვილაცას ვეცნე, პოპულარობის პიკზე ვყოფილაყავი, უბრალოდ ეს არის ჩემი საქმე, რომელიც მიყვარს. იმედი მაქვს, მომავალშიც ისეთივე აქტიური ვიქნები, როგორიც ადრე ვიყავი. სამწუხაროდ, ქვეყანაში ისეთი მდგომარეობაა, რომ საზოგადოებას ნაკლებად ადარდებს გართობა. ტელევიზორში გასართობი გადაცემები აღარ არის, მხოლოდ პოლიტიკაზე ლაპარაკობენ. როცა ისევ გამოჩნდება გასართობი გადაცემები, იმედია, მეც აქტიურად ჩავერთვები. ბოლო პერიოდში „იმედზე“ ბევრი პროექტი დაიხურა — „ცეკვავენ ვარსკვლავები“, „თბილისი ლაივი“, „დღის შოუ“, „ნანუკა ჟორჟოლიანის შოუ“, „100 გრადუსი ცელსიუსი“. ეს სამწუხარო ფაქტია. მომღერლები აღარ მღერიან, გასართობი გადაცემები აღარ არის...

**— ესე იგი გართობის პოლიტიკაზე მოთხოვნილება აღარ არის თუ სხვა მიზეზია, თქვენი აზრით?**

— ამ თემაზე სწორი ანალიზის გაკეთებას ვერ შევძლებ. შეგიძლიათ მკითხოთ, როგორი გადაცემები მომწონს, მაგრამ პოლიტიკა და დღევანდელი რეალობა არ მესმის, ამ სფეროში საინტერესო მოსაუბრედ ვერ გამოვდგები. ჩემი მხრიდან უზრდელობა იქნება, რომ ამაზე ვილაპარაკო.

**— სერიალში თქვენს პერსონაჟზე რას გვეტყვით?**

— „შუა ქალაქში“ ჩემი გმირი კრეტინი გოგოა, მაგრამ ძალიან მომწონს.

**— რა გხიბლავთ მასში?**

— დავიწყებ იქიდან, რომ, პირველ რიგში, სერიალის შემოქმედებით ჯგუფთან ერთად მუშაობა მომწონს. ძალიან ორგანიზებული გუნდია. „ღამის შოუს სტუდიას“ მადლობას ვუხდი, რომ სერიალში დამაკავა. რაც შეეხება ჩემს გმირ სოფის, მისნაირი სულელი გოგოები ჩვენს რეალობაში ბევრჯერ მინახავს. მის საქციელზე მეცინება ხოლმე და ამის გამო გადაღების სცენა ხშირად გამიფუჭებია. ჩემი პერსონაჟი ნელნელა გამოიკვეთა. მიუხედავად იმისა, რომ მსახიობი არ ვარ, ძალიან მომწონს ის, რასაც ვაკეთებ. ამ ყველაფერს სერიოზულად ვუდგები და საკუთარ თავზე სულ ვმუშაობ. რამდენიმე ხნის წინ მსახიობმა მანანა კოზაკოვამ მითხრა, თანდათან იხვეწები, უკვე ხმამაღლა და გარკვევით ლაპარაკობო. იმედი მქონდა, იმასაც მეტყოდა, იმ ეპიზოდში ძალიან მართალი იყავი ან რაღაცის თქმა კარგად გამოგივიდაო, მაგრამ, როგორც ჩანს, აქამდე ჯერ არ მივსულვარ.

**— ახლა, როცა გადაცემები დაგიხურეს, მათ შორის „ნუკის დილაც“, ალბათ აანალიზებთ, რა იყო თქვენი, როგორც ტელეწამყვანის პლუს-მინუსები.**

— ეთერში ყოფნის დროს ყოველთვის ბუნებრივად ვიქცეოდი, ჩემი აზრით, მთავა-

**„იმედის“ მფლობელებს შევხვდი, მათთან გულთბილი და ამავე დროს საქმიანი საუბარი მქონდა, მაგრამ ერთ დასკვნამდე ვერ მივედით. ისინი ჯერჯერობით არ არიან ჩამოყალიბებული, როგორი ტიპის გადაცემა სჭირდებათ. მითხრეს, ჩვენც არ ვიცით, რა გვინდაო“.**

რი ეს არის, რადგან ამ დროს მაყურებელს უჩნდება განცდა, რომ მისი ოჯახის წევრი ხარ. ბევრ პროექტში ვმონაწილეობდი — „კოდი“, სერიალი „კლინიკა“, სამი თუ ოთხი სეზონი „იმედის“ დილის გადაცემა მიმყავდა, იყო „ყოფილი ცოლების კლუბი“, „ფლეშ მობი“, მაგრამ ყველაფერი ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა. ყველაზე მეტად „ნუკის დილის“ დახურვამ დამწყვიტა გული, რადგან ამ გადაცემაში ყველაზე მეტი შრომა ჩავდე. სწორედ იქ მომეცა საშუალება, საკუთარი თავის რეალიზება მომეხდინა. ამ გადაცემას მაღალი რეიტინგი ჰქონდა, მაგრამ მაინც არ გაგრძელდა.

**— არც სხვა პროექტი შემოგთავაზეს ან თავად შესთავაზეთ?**

— ტელეკომპანია „იმედის“ მფლობელებს შევხვდი, მათთან გულთბილი და ამავე დროს საქმიანი საუბარი მქონდა, მაგრამ ერთ დასკვნამდე ვერ მივედით. ისინი ჯერჯერობით არ არიან ჩამოყალიბებული, როგორი ტიპის გადაცემა სჭირდებათ. მითხრეს, ჩვენც არ ვიცით, რა გვინდაო. ეს ძალიან ჩვეულებრივად მივიღე, მათი მესმის.

**„მსახიობმა მანანა კოზაკოვამ მითხრა, თანდათან იხვეწები, უკვე ხმამაღლა და გარკვევით ლაპარაკობო. იმედი მქონდა, იმასაც მეტყოდა, იმ ეპიზოდში ძალიან მართალი იყავი ან რაღაცის თქმა კარგად გამოგივიდაო, მაგრამ, როგორც ჩანს, აქამდე ჯერ არ მივსულვარ“.**

ჯგუფი წლების განმავლობაში უნდა ჩამოაყალიბო, რომ ტელევიზიის მართვას გაუმკლავდე. „იმედი“ ასე უცებ ისეთი ვერ გახდება, როგორიც მანამდე იყო.

**— უყურებთ ახლანდელ დილის გადაცემას?**

— აღარ ვუყურებ, მაგრამ ვგულშემატკივრობ. ყველა წამყვანი ჩემი მეგობარია. იმდენი წელი ვიღვიძებდი დილაუთენია, რომ ახლა თავს ძალას ველარ ვატან.

**— ახლა მუშაობის თვალსაზრისით რა ეტაპი გაქვთ?**

— ალბათ გარდამავალი პერიოდია. ეს ის შემთხვევაა, როცა არ ვიცი, რა მინდა. არც ის ვიცი, ჩემს ცხოვრებაში რა და როგორ იქნება.

**— იმედგაცრუებული ხომ არ ხართ?**

— არა, ეს ყველაფერი გაზაფხულის ბრალია. წელიწადის ამ დროს გადაწყვეტილებას ადვილად ვერ ვიღებ. ამ სეზონზე ყველა დაბნეული დადის, ყველა შეყვარებულია.

**— თქვენ კი აღარ ხართ შეყვარებული. ცნობილია, რომ ოთო მარგოშვილს სწორედ ამ გაზაფხულზე დაშორდით.**

— მე და ოთო 2 წელი ვიყავით შეყვარებულები, მაგრამ დადგა ეტაპი, როცა ორივე მივხვდით, რომ ეს ურთიერთობა უნდა დასრულებულიყო.

**— ასე მარტივად თქვით ერთმანეთზე უარი?**

— ორივეს ჩვენ-ჩვენი პრობლემები გვქონდა, არც მე გამოვდექი ძლიერი და არც — ოთო. დაბრკოლებებს ვერ გავუძელით, კრიზისი ვერ დავძლიეთ. ერთ დღეს მანქანაში ვისხედით და საუბრის შემდეგ ორივემ ვთქვით, რომ დაშორება აჯობებდა.

**— ამ საუბრის შემდეგ არ იყო შეგირების მცდელობა?**

— კი, ორივეს მხრიდან იყო ამის ინიციატივა, მაგრამ... ჩემი აზრით, ადამიანს ერთხელ რომ დაშორდები, მასთან ურთიერთობის ხელმეორედ დაწყება არასწორია. ასე აღდგენილი კავშირი საბოლოოდ ყოველთვის ცუდად სრულდება. დღეს ოთოსთან გატარებული დრო ფანტასტიკურად მახსენდება, მასთან საოცარი ორი წელი გავატარე.



Cyan Magenta Yellow Black

# ლევან ფაცაცია: „ჩემი დის ქორწილზე ცრემლები წამსკდა“

## რისთვის ემადლიერება კალათბურთელი თავის სიმეს



25 წლის უცოლო კალათბურთელი, ლევან ფაცაცია, რომელიც გოგონების ფავორიტია, წლების განმავლობაში ჯერ ესპანეთში თამაშობდა, შემდეგ — ამერიკაში, ახლა საქართველოს ნაკრებში და გუნდ „ოლიმპშია“. მისი პოპულარობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რა თქმა უნდა, ისიცაა, რომ მომღერლისა და ტელეწამყვანის, თიკა ფაცაციას ძმაა. ყველაზე ხშირად სწორედ ასე მოიხსენებენ. ლევანს ეს არათუ აბრაზებს, პირიქით, სიამოვნებს. უფროსი და მას ყურადღებით, ზრუნვით ყოველთვის ანებივრებდა და დღესაც ასეა. ლევანი ამბობს, რომ თიკა მისთვის ქალის იდეალია.

„ძნელია, ლამაზი ქალები არ შეამჩნიო. შეიძლება თამაშში ჩართული იყო, მაგრამ უცებ გოგო თვალში მოგხვდეს".

**— ლევან, საუბარი ცოტა შორიდან, თქვენი ბავშვობიდან დავიწყოთ. როგორ იზრდებოდით თქვენ და თიკა, როგორი დაძმობა გქონდათ?**

— თიკა ბავშვობიდან მშრომელი იყო, თან ადრეულ ასაკშივე ეწვია წარმატება. მას რომ ვუყურებდი, სურვილი გამიჩნდა, მეც რაღაცისთვის მიმეღწია. როცა ვხედავდი, რომ თიკა შრომობდა და უფასდებოდა, ეს ჩემთვის მოტივაცია იყო. ბავშვობიდან მინდოდა, მისნაირი ვყოფილიყავი. მომავალში იქნებ დავეწიო კიდეც. ვხუმრობთ ხოლმე, რომ საქართველოში ყოველთვის თიკას ძმა ვიქნები. ერთხელ ამერიკაში თიკა ჩემთან ჩამოვიდა და იქ კი უკვე ჩემი და იყო, როლები გავცვალეთ და ამაზე კარგად ვიხალისეთ.

თიკა ჩემზე 5 წლით უფროსია, ამიტომ ყოველთვის მისი ფრთის ქვეშ ვიყავი, მივყავდი სკოლაში, მასწავლებლებთან, ვარჯიშზე, თვითონაც ბევრ რამეს მასწავლიდა. ბავშვობიდან ზრუნავს ჩემზე. თავისი კარიერის, შვილების აღზრდის პარალელურად მაინც ახერხებს, რომ ჩემზე, დედაჩემზე, მამაჩემზე იზრუნოს.

**— ალბათ არასდროს გიჩხუბიათ.**

— სხვათა შორის, მხოლოდ ერთხელ ვიჩხუბეთ და, მგონი, მაშინ მიმიჩინა ჩემი ადგილი. თიკა სალექი რეზინის დასაკრობ ქაღალდებს აგროვებდა, ძალიან დიდი კოლექცია ჰქონდა. რაღაცაზე გამაბრაზა და სახლიდან რომ წავიდა, დრო ვიხელთე და ყველა ქაღალდი დავუხიე. რომ მოვიდა, ისე მცემა, „ბოევიკების“ ფილმებშიც კი არ მინახავს.

**— როცა და წარმატებული, ლამაზია, ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს, ეს კი ძმებს მაინცდამაინც დიდად არ მოსდით თვალში. თქვენც ეჭვიანობდით?**

— თიკა 15-16 წლის ასაკიდან სილამაზის კონკურსებში მონაწილეობდა, მაშინ მე პატარა ვიყავი. თაყვანისმცემლები ბავშვობიდან ჰყავდა, მაგრამ მათზე ნაკლებად ვრეაგირებდი. ამ საქმეს მისი მეგობრები, მოზრდილი ბიჭები აგვარებდნენ. როცა წამოვიზარდე, მის დაცვაში მეც ჩავერიე, უფრო სწორად, ეს საქმე მე ჩავიბარე. თანაც, თიკა 18 თუ 19 წლისა გათხოვდა და უკვე მეუღლეც ჰყავდა.

**— დის გათხოვება განიცადეთ?**

— კი. სახლში ქორწილის დღეს გადაღებული სურათი გვაქვს, სადაც ჩანს, რომ იმ დღეს ცრემლები წამსკდა. საქორწინო მოგზაურობაში უნდა წასულიყვნენ. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს მარტო ვრჩებოდი და ცრემლები წამომივიდა. თიკას გათხოვებამ ჩემზე ძალიან იმოქმედა, მაგრამ, როცა დაბრუნდა, ჩემზე ზრუნვა გააგრძელა.

**— თიკა ყოველთვის ინფორმირებული იყო, თქვენს პირად ცხოვრებაში რა ხდებოდა?**

— თუ არ ვცდები, 15 წლის ვიყავი, როცა საქართველოდან წავედი და თითქმის 8 წელი არ ჩამოვსულვარ. ამიტომ თიკა ჩემს პირადში უკვე ველარ იხედებოდა, რადგან მანძილი გვაშორებდა, მაგრამ თუ ვინმესთან რაიმე სერიოზული ურთიერთობა მქონდა, ჩემმა ოჯახმა ყოველთვის ყველაფერი იცოდა.

**— თიკა მრავალმხრივ არის ცნობილი — მოდელი, მომღერალი, ტელეწამყვანი, შოუს წამყვანი. თქვენი აზრით, ყველაზე კარგად რა გამოსდის?**

— თიკას მართლა ბევრი ამპლუა აქვს, მაგრამ ყველაფერს ისე თანაბრად და კარგად ერგება, ვერც ერთს გამოვყოფ, თუმცა, მგონი, ყველაზე კარგად დედობა გამოსდის. ძალიან ცოტა დრო აქვს, მაგრამ შვილებისთვის მაქსიმუმს აკეთებს. დედაჩემის და მამაჩემის შემდეგ თიკა ჩემთვის მაგალითია, თუ როგორი მშობელი უნდა იყო. შეიძლება საღამო წაიყვანოს, დღისით რადი-

→32

ჩვენ რომ მაშინ დაშორების გადაწყვეტილება არ მიგვეღო, ყველაფერი ცუდად დასრულდებოდა, მეგობრობის სურვილი არც ერთს გვექნებოდა. მართალია, იშვიათად, მაგრამ დღეს მაინც ვკითხულობთ ერთმანეთს.

**— თქვენი დაშორების მიზეზი მესამე პირი ხომ არ გახდა?**

— ოთო ძალიან ერთგულია. მის ცხოვრებაში ჩემ გარდა არავინ იყო, საკუთარ თავზეც იგივე შემიძლია ვთქვა.

**— ნანობთ დაშორებას?**

— საერთოდ არაფერს ვნანობ. არ ვთვლი, რომ მარტო ვარ, რადგან მყავს ოჯახი, მეგობრები და მაქვს საქმე, რომელიც მიყვარს. ახლა თავისუფლების ხანა მაქვს.

**— ოთო არ გენატრებათ?**

— როცა ადამიანთან ორი წელი გაკავშირებს, რა თქმა უნდა, მონატრება გარდაუვალია.

**— მძიმედ შეეგუეთ ამ განშორებას?**

— კი, ამ დაშორებას ყველაფერი ახლდა — ცრემლებიც, უხასიათობაც... რთული გადასატანი იყო, მაგრამ რას ვიზამთ. მიტირია, რაღაც პერიოდი დაშორებაც გადამიფიქრებია. ნებისმიერ შეყვარებულ გოგოს თავში რომ წამოარტყა, ცრემლები წამოსცვივდება და არც მე ვარ გამონაკლისი... მოკლედ, ყველაფერი დამთავრდა.

**— როცა რაღაც მთავრდება, რაღაც იწყება კიდეც. თქვენს ცხოვრებაშიც ხომ არ გამოჩნდა ჰორიზონტზე ვინმე?**

— ვინც უნდა გამოჩნდეს, მაინც არავინ დამაინტერესებს. იმიტომ კი არა, რომ ისევ ოთოზე ვფიქრობ, არა, უბრალოდ არავინ მაინტერესებს. თავისუფლება ნიშნავს არა-

„ამ დაშორებას ყველაფერი ახლდა — ცრემლებიც, უხასიათობაც... რთული გადასატანი იყო, მაგრამ რას ვიზამთ. მიტირია, რაღაც პერიოდი დაშორებაც გადამიფიქრებია".

ვისთან ურთიერთობას და არა — სხვადასხვა პარტნიორთან კავშირის გაბმას.

**— თქვენი რომანის შესახებ ოჯახმაც იცოდა და მეგობრებმაც. დაშორების შემდეგ მათ რა გითხრეს?**

— მნიშვნელოვანი არაფერი. დედამ მითხრა, რასაც შენ გადაწყვეტ, იმას მივესალმებიო.

**— სოციალურ ქსელში წერდნენ, ოთო მარგოშვილი მომღერალ ნინა წკრიალაშვილის შეყვარებული გახდაო. როცა წაიკითხეთ, რა რეაქცია გქონდათ?**

— ეს არის საშინელი სისულელე! ნინა წკრიალაშვილი ოთოს თვალით არ უნახავს. ჩვენს შოუბიზნესში ნინა ერთადერთი ადამიანია, რომელიც მხიბლავს, მის ვიზუალურ მხარეზე არ მაქვს საუბარი, შინაგან სამყაროს ვგულისხმობ. ნინა ძალიან კარგი, დადებითი, გულწრფელი პიროვნებაა. ვერ ვიტყვი, რომ ამ ამბავმა გამაბრაზა, რადგან ერთი წუთით არ მიფიქრია, რომ სიმართლე იყო. უბრალოდ, გამეცინა და ვთქვი, დაე, ხალხმა ილაპარაკოს, გაერთონ-მეთქი.

**— უბრალოდ დასრულდა თქვენი რომანი, აღარ მიგყავთ გადაცემები... თავს როგორ გრძნობთ?**

— მინდა გითხრათ, რომ თავს არაჩვეულებრივად ვგრძნობ. დუტა სხირტლაძე იღებს ფილმს, სადაც ერთ-ერთ გმირს ვთამაშობ, მაგრამ ყველა „კოზირს“ არ გაგიხსნით. ასე რომ, არცთუ ბევრი თავისუფალი დრო მექნება.

✓ ლანა კიკნაძე

ოში იყოს, იმღეროს, ბევრი საქმე ჰქონდეს, მაგრამ სახლში როცა მიდის, იმის ენერგია მაინც აქვს, რომ ბავშვები გაასეირნოს, ყურადღება არ მოაკლოს.

— **ერთი სიტყვით, თიკა თქვენთვის ქალის იდეალია.**

— კი, ნამდვილად არის. ისეთ ცოლზე ვოცნებობ, როგორიც ჩემი და არის.

— **კითხვის დასმას ვაპირებდი, თიკასნაირი გოგონები თუ მოგწონთ-მეთქი...**

— თიკასნაირი გოგონები არ არსებობენ, ყოველ შემთხვევაში, მე არ ვიცი, თორემ

**„რადგან ძმა არ მყავს, დათო ჩემი უფროსი ძმა, მენტორია. ყველაფერში დამეხმარა. რომ არა თიკა და დათო, დღეს მე კალათბურთელი არ ვიქნებოდი".**

ხელიდან ნამდვილად არ გავუშვებდი. იმედია, ოდესმე გადავეყრები.

— **ზოგადად რა თვისებებით აფასებთ ქალს?**

— პირველი შთაბეჭდილება ვიზუალით გექმნება. ადამიანი ამით იხიბლები, ამის შემდეგ კი ხასიათია. ადამიანში უბრალოება და მზრუნველობა მომწონს. შინაგანი თვისებები ძალიან მნიშვნელოვანია.

— **ურთიერთობაში მომთხოვნი, მკაცრი ხართ თუ დამთმობი?**

— არც ჩემს თავს ჩავსვამ რაღაც ჩარჩოებში და არც ჩემს პარტნიორს. ყველა ადამიანი ინდივიდია, ყველას თავისი შეხედულებები აქვს და მათ პატივს ვცემ. „მოკლე კაბა არ ჩაიცვა" და მსგავსი რაღაცეები არ მახასიათებს.

— **სპორტსმენი ბიჭები გოგონებში ძალიან პოპულარულები არიან, თქვენც ბევრი თაყვანისმცემელი გეყოლებათ. ამ ამბებში თიკა რჩევებს გაძლევთ?**

— ძირითადად ერთნაირი გემოვნება გვაქვს. ვინც მე მომწონებია, თიკასაც მოსწონებია. ჯერ არ ყოფილა, მეთქვას, რომ კარგი გოგოა და თიკას სხვანაირი შეხედულება ჰქონოდა. საერთოდ, ჩემების აზრი ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის, გოგო ჩემს ოჯახს უნდა მოერგოს. თუმცა ჩვენ ვთვლით, რომ მე თუ მომერგება, ჩემს ოჯახსაც მოერგება.

რჩევებს რაც შეეხება, რა თქმა უნდა, ვეკითხები. თიკა გამოცდილია, როგორც კარიერაში, ისე პირად ცხოვრებაში.

— **მაგალითად, რაზე შეიძლება რჩევა ჰკითხოთ?**

— ბევრჯერ მიკითხავს, რომელ გუნდში წავსულიყავი. დადებითი და უარყოფითი მხარეები შეგვიფასებია, მას თავისი აზრი გამოუთქვამს, ხშირად დავთანხმებივარ კიდეც. პირადს რაც შეეხება, თიკა მირჩევს, როგორი ხასიათის გოგო შეიძლება მე მომერგოს.

— **რას ამბობს, როგორი ხასიათი უნდა ჰქონდეს?**

— თიკამ იცის, რომ მზრუნველი გოგო მჭირდება. სპორტსმენი ბევრ დროს სხვაგან ატარებს, სხვა ქალაქშია, თითქმის მთელ დროს სავარჯიშო დარბაზშია. ურთიერთობა რომ დაბალანსდეს, მეორე ადამიანისგან მზრუნველობა, ყურადღება ყოველთვის საჭიროა.

— **არის ასეთი ადამიანი თქვენს ცხოვრებაში?**

— ასეთი სერიოზული ურთიერთობა არავისთან მაქვს. შეყვარებულიც არ ვარ.

— **ცნობილია, რომ კალათბურთელების თამაშებზე სამოდელო სააგენტოს გოგონები დადიან. ამჩნევთ ხოლმე მათ?**

— ძნელია, ლამაზი ქალები არ შეამჩნიო. ასეთი ფაქტები ძირითადად ნაკრების თამაშებზე ხდება ხოლმე. შეიძლება თამაშში ჩართული იყო, მაგრამ უცებ გოგო თვალში მოგხვდეს.

— **როგორი გოგო მოგხვდებათ თვალში? ამბობენ, მაღალ ბიჭებს პატარა ტანის გოგონები მოსწონთო.**

— შეიძლება გამონაკლისი ვიყო, მაგრამ მაღალი გოგონები უფრო მომწონს. შავგრემანსა და ქერას მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ ქალის ფიგურას და მაღალ გოგონებს უპირატესობას ვანიჭებ.

— **და-ძმა ხშირად ახერხებთ ერთად ყოფნას?**

— უცხოეთში ყოფნამ ოჯახი ძალიან შემაყვარა და მათთან გატარებული დრო ძალიან დამაფასებინა. თუ თავისუფალი



და-ძმა — თიკა და ლევანი

**„თიკასნაირი გოგონები არ არსებობენ, ყოველ შემთხვევაში, მე არ ვიცი, თორემ ხელიდან ნამდვილად არ გავუშვებდი. იმედია, ოდესმე გადავეყრები".**

ვარ, ვცდილობ, თიკას ბავშვებთან, დედაჩემთან, მამაჩემთან ერთად გავატარო დრო. ოჯახურ ატმოსფეროს ძალიან ვაფასებ.

— **დღეს წარმატებული კალათბურთელი ხართ. როდის აღმოაჩინეთ თქვენში სპორტის ნიჭი თუ უბრალოდ ფიზიკური მონაცემებიდან გამომდინარე მიხვდნენ, რომ კალათბურთზე უნდა გევლოთ?**

— საკმაოდ მაღალი მშობლები მყავს. ბავშვობაში ცოტა ჭარბი წონა მქონდა, პუტკუნა ვიყავი. დედაჩემმა თქვა, იქნებ კალათბურთში გეცადა ბედიო. ასე აღმოვჩნდი სპორტის ამ სახეობაში მწვრთნელ ვაჟა კვარაცხელიასთან. მისი მადლიერი ვარ. დედაჩემმა მიმიყვანა, მაგრამ კალათბურთის გზაზე ვაჟამ დამაყენა. პირველად სოხუმის გუნდ „კოლხაში" დავიწყე თამაში.

— **თავიდანვე სერიოზული მონაცემები გამოამჟღავნეთ?**

— სხვათა შორის, თავიდან მოყვარულის დონეზე ვიყავი. იყო პერიოდი, როცა დავიჩაგრე, რადგან ამ სპორტში თავიდან არანაირი ტალანტი არ აღმომაჩნდა. მერე ისე შემიყვარდა კალათბურთი და იმდენად მონდომებული ვიყავი, მთელ დღეებს დარბაზში ვატარებდი. ამ სპორტის სიყვარულმა ის ტალანტი განმივითარა, რაც თანდაყოლილი არ მაქვს. დღევანდელ წარმატებამდე მხოლოდ შრომისმოყვარეობამ მომიყვანა.

— **15 წლის ბიჭი საზღვარგარეთ წახვედით. ეს ის ასაკია, როცა მოზარდს ყველაზე მეტად სჭირდება ოჯახის გვერდში დგომა. რა სირთულეებს შეხვდით დამოუკიდებელ ცხოვრებაში?**

— 15 წლის ასაკში ესპანეთში ვიყავი, იქ 3 წელი დავრჩი. 18 წლიდან კი უკვე ამერიკაში გადავედი. გამიმართლა, რომ ესპანეთში ქართველ მეგობართან ერთად მომიწია წასვლა. ამან ერთმანეთი გაგვატანინა და ის განსაცდელი გადაგვატანინა, რაც მარტო ყოფნას შეიძლებოდა მოჰყოლოდა. რა თქმა უნდა, მშობლების, ოჯახის გარეშე ყოფნას მიუჩვეველი ვიყავი, მაგრამ იმდენად მიზანდასახული გახლდით, იმდენად მინდოდა, კალათბურთელი ვყოფილიყავი, მონატრება გვერდით გადავდე. ოჯახის წევრებიც ხელს მიწყობდნენ. თიკა მეუღლესთან ერთად რამდენჯერმე მესტუმრა და ოჯახის მონატრება ასე გადამატანინეს. ამერიკაში უნივერსიტეტში ვსწავლობდი და იმავე გუნდში ვირიცხებოდი. იქაც თიკა მესტუმრა. საქართველოში ჩამოსვლის დრო არ მქონდა. იმ დროის განმავლობაში თიკა მეხმარებოდა, რომ ეს ოჯახური სითბო არ მომკლებოდა.

— **როგორი ურთიერთობა გაქვთ სიძესთან — თიკას ქმართან, თავიდანვე შეეწყვეთ ერთმანეთს თუ გაგიჭირდათ?**

— დათო ძალიან დადებითი ადამიანია. ჩვენი ურთიერთობა თავიდანვე კარგად აეწყო და ნელ-ნელა ძმურ სიყვარულში გადავიდა. რადგან ძმა არ მყავს, დათო ჩემი უფროსი ძმა, მენტორია. ყველაფერში დამეხმარა. რომ არა თიკა და დათო, დღეს მე კალათბურთელი არ ვიქნებოდი.

— **რას გულისხმობთ?**

— დათო ყველაფერში ძალიან მეხმარებოდა, თუნდაც ფინანსურად, მეგობრულად, მწვრთნელის ამპლუაშიც კი... ყველნაირად ცდილობდა, რომ ამ წარმატებისთვის მიმეღწია. რამდენიმე წლის წინ საქართველოში ის პირობები არ იყო, რომ ვარჯიში შემძლებოდა. დათო კი ყველანაირად გვერდში მედგა, დარბაზებს ვქირაობდით, რომ ინდივიდუალურად მევარჯიშა. თიკა ყველა ჩემს მნიშვნელოვან თამაშზე თავის ოჯახთან, შვილებთან, მეუღლესთან ერთად დადის.

— **გარდა იმისა, რომ საქართველოს ნაკრებში თამაშობთ, კიდევ რა გეგმები გაქვთ?**

— „ოლიმპში" ვთამაშობ, ჩვენს ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ვართ. საქართველოს ნაკრებისექტემბერში ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს. მინდა, რომ ოცნება ავისრულო და საქართველოს ჩემპიონატი მოვიგო. სანაკრებო კარიერაში კი, მინდა, ნაკრებს დავეხმარო. საქართველოს ჩემპიონატის დასრულებას დაველოდები, რადგან სხვა ქვეყნებიდან რამდენიმე წინადადება მაქვს. ყველაფერს განვიხილავ, შევაჯამებ და გადაწყვეტილებას ამის მიხედვით მივიღებ.

✓ ეკა ლემონჯავა



Cyan Magenta Yellow Black

# ნინო ცქიტიშვილი: „ქართველი მოდელების პრობლემა კომპლექსები და მუცელია“

## სალომე ღვინიაშვილმა ფინანსური გაუგებრობის გამო პროექტთან თანამშრომლობა აღარ ისურვა



■ ნინო ცქიტიშვილი

ტელეშოუ „ტოპ-გოგოს“ პირველი სეზონი სკანდალით დასრულდა, გამარჯვებულმა მოდელმა პროექტის შემქმნელები კონტრაქტის დარღვევაში დაადანაშაულა. ჟიურის თავმჯდომარემ, მოდელმა სალომე ღვინიაშვილმა, თავის დროზე ამ თემაზე საუბრისგან თავი შეიკავა, ახლა კი „სარკესთან“ მოკლე კომენტარი გააკეთა, რომ მასა და პროექტის ხელმძღვანელობას შორის ფინანსურ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი.

შოუ გაგრძელდა და ამჯერად სალომეს ნაცვლად მისი კოლეგა, ყოფილი მოდელი და ერთ-ერთი სამოდელო სააგენტოს ხელმძღვანელი ნინო ცქიტიშვილი გამოჩნდა. ნინომ პროექტი ოპტიმისტური განწყობით და დიდი მოლოდინებით დაიწყო, ეგონა, ახალ და საინტერესო სახეებს აღმოაჩენდა, რომლებსაც უცხოეთის სააგენტოებისკენ გზას გაუკვალავდა. იმედს არც ახლა კარგავს, მაგრამ ჯერჯერობით თავისი ფავორიტები ვერ აარჩია.

თავის ახალ ამპლუასა და იმ პრობლემებზე, რაც სამოდელო ბიზნესში არსებობს, ნინო ცქიტიშვილმა „სარკესთან“ ისაუბრა.

— **ნინო, როგორ მიიღეთ შემოთავაზება, პროექტ „ტოპ-გოგოს“ ჟიურის თავმჯდომარე გამხდარიყავით?**

— დამირეკეს და ცოტა ფიქრის მერე დავთანხმდი. პირველ სეზონს ვერ ვუყურე, სულ ერთი-ორი გადაცემა მაქვს ნანახი, რადგან დრო არ მქონდა. ახლაც კი ვერ ვუყურებ. თუ დროს ვიპოვი, გადაცემას მეორე დღეს ვახვევ ხოლმე.

— **ალბათ იცოდით, რა სკანდალიც მოჰყვა პროექტის პირველ სეზონს. ამან ვერ შეგაშინათ?**

— რადგან არ ვუყურებდი, ამის შესახებ არც ვიცოდი. ვერ გეტყვით, რა როგორ იყო. მეც გავიგე, რომ წინა სეზონი სკანდალით დამთავრდა. პირადად ჩემთვის ეს პროექტი საინტერესოა, რადგან ახალი სახეების აღმოჩენა მომწონს. სულ ახალი სახის ძიებაში ვარ. საქართველოში მოდის სფეროში არაფერი ხდება, მით უმეტეს, ბოლო ხუთი თვის განმავლობაში, ამიტომ მაქსიმალურად ვცდილობ, ახალი სახეები მოვიძიო. მინდა, ისინი დავასაქმო, უცხოეთში გავუშვა და პერსპექტივა გავუჩინო. ამ პროექტში ვინც ჩემი ფავორიტი გახდება, ჩემს სააგენტოსთან კონტრაქტს გავუფორმებ და უცხოურ სააგენტოებთან ურთიერთობაში მივეხმარები, თუმცა კონკურსანტებისგან ჯერ იმ შედეგს ვერ ვხედავ, რაც მე დამაკმაყოფილებს. ვნახოთ, წინ კიდევ სამი თვეა და ჩემი ფავორიტიც გამოვლინდება.

**„ვაღიაროთ, რომ საქართველოში მასობრივად შხვართი გოგონები არ გვყავს. ასე რომ, არ გამიკვირდება, თუ მესამე სეზონი აღარ იქნება“.**

— **პირველ სეზონში ჟიურის თავმჯდომარე სალომე ღვინიაშვილი იყო, რომელსაც გარკვეული გამოცდილება უკვე აქვს. მას თუ გაესაუბრეთ, რჩევა თუ ჰკითხეთ?**

— არა, ეს არ გამიკეთებია.

— **ითქვა, რომ სალომე ღვინიაშვილმა მეორე სეზონში მონაწილეობაზე უარი იმიტომ თქვა, რომ უკმაყოფილო დარჩა კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობით. არც ამის შემსახებ იცოდით?**

— არაფერი ვიცი. თუ ჩემთან დაირღვევა პირობები, რა თქმა უნდა, მეც უკმაყოფილო დავრჩები. ჯერ კი სანერვიულოს ვერაფერს ვხედავ.

— **სალომე ღვინიაშვილთან როგორი ურთიერთობა გაქვთ, მეგობრობთ თუ მხოლოდ პროფესია გაკავშირებთ ერთმანეთთან?**

— კოლეგიალობის ფარგლებში ვმეგობრობთ. პროექტ „ტოპ-გოგოზე“ ნამდვილად არ გვისაუბრია.

— **როგორ ფიქრობთ, მასთან შედარებით რა განსხვავებული შტრიხები შეიტანეთ პროექტში, რაც მანამდე არ იყო?**

— ამაზე მე ვერაფერს გეტყვით, სხვამ უნდა შეაფასოს. შემიძლია ვთქვა, მე როგორი წამყვანი ვარ — სადაც საჭიროა, იქ მკაცრი ვარ და კონკურსანტებთან ვმეგობრობ კიდეც.

**„კასტინგზე ზოგი ისეთი სხეულით მოვიდა, აღარ ვიცოდი, რა მეთქვა... ერთი-ორმა ძლივს გამასწრო“.**

— **როდის დაგჭირდათ განსაკუთრებული სიმკაცრის გამოჩენა?**

— კასტინგზე, რადგან ზოგიერთი ისეთი სხეულით მოვიდა, აღარ ვიცოდი, რა მეთქვა. მართლა ვერ ვხვდები, ასეთ დროს რას ფიქრობენ ან მშობლები არ ჰყავთ... ერთი-ორმა ძლივს გამასწრო. პროექტის მონაწილეები კი ძალიან შემიყვარდა. მათი გაგდება ძალიან მიჭირს, მაგრამ ეს შოუს კანონია.

— **როგორ ფიქრობთ, გაამართლა ამ პროექტმა ქართულ ტელესივრცეში?**

— უნდა გაამართლოს! თუმცა ამ პროექტმა ისეთ ქვეყანაშიც ვერ აკრიფა მაღალი რეიტინგი, როგორიც სლოვენიაა, სადაც ულამაზესი გოგონები ჰყავთ და აქ რომ ვერ გაამართლოს, გასაკვირი არც იქნება. ვაღიაროთ, რომ საქართველოში მასობრივად შხვართი გოგონები არ გვყავს. ასე რომ, არ გამიკვირდება, თუ მესამე სეზონი აღარ იქნება.

— **ცნობილია, როგორი კონკურენცია და დაპირისპირებებია ზოგადად მოდელებს შორის. საქართველოში ამ მხრივ რა სურათია?**

— საზღვარგარეთ ბევრი ცუდი რამ ხდება. როცა ორი მოდელი ერთ ბინაში ცხოვრობს, არის შემთხვევები, ფეხსაცმელში წებოს უსხამენ ერთმანეთს, რაღაცეებს აბრალებენ და ა.შ. ჩვენთან ასეთი სიბოროტე მართლა არ ყოფილა.

— **მაგრამ არც „ტოპ-გოგოსაც“ აკლია კონფლიქტები.**

— ეს შოუს სჭირდება კიდეც, ასეთ დროს მეტი მაყურებელი ჰყავს. თან, რა თქმა უნდა, როცა ამდენი გოგოა ერთად, ჩხუბი და კამათი ხდება.

— **ქართველი კონკურსანტები მენტალურ სხვაობაზე საუბრობდნენ.**

— კი, უცხოელები ძალიან თავისუფლად აზროვნებენ. ქართველი გოგონებისთვის ეს ცოტა მიუღებელია.

— **რა არის ქართველი მოდელების მთავარი პრობლემა?**

— მოდელს კომპლექსები არ უნდა ჰქონდეს. ჩვენთან კი ეს თითქმის ყველას აწუხებს. ამბობენ, რომ ვერ გაიხდიან ან ისე ვერ გადაიღებენ სურათებს და ა.შ. ჰგონიათ, რომ მოდელობისთვის მზად არიან, მაგრამ რეალურად ასე არ არის. უნდათ, რომ „ვოგის“, „ელის“ და სხვა მსოფლიო ჟურნალების ყდებზე მოხვდნენ, მაგრამ არ ითვალისწინებენ, რომ სხვა მოდელებს წარმატებისთვის კომპლექსებით ნამდვილად არ მიუღწევიათ. როცა ვხედავ, მოდელს ასეთი პრობლემები აქვს, არც ვცდილობ, ის საზღვარგარეთ გავუშვა, რადგან იქ უკვე მე შემიქმნის პრობლემებს.

ადრე ასეთი შემთხვევა მქონდა: ერთი მოდელი (მის ვინაობას არ გეტყვით, ის დღესაც ამ სფეროში მუშაობს და ძალიან მიყვარს) საზღვარგარეთ გავუშვი. მილანში ფოტოსესია უნდა ჰქონოდა „დოლჩე და გაბანას“ საცვლებში და ამ გადაღებაზე უარი თქვა. იქიდან მირეკავდნენ და მთელი ახსნა-განმარტების მიცემა დამჭირდა, უარს რატომ ამბობდა. ბოლოს როგორღაც დავითანხმე, რომ გადაეღო.

თუ კომპლექსები აქვს, მოდელმა საერთოდ უარი უნდა თქვას ამ პროფესიაზე. არ ვამბობ, რომ უნდა გაშიშვლდნენ, მაგრამ ელემენტარულს თუ ვერ გააკეთებენ, იმ ტოტს მოჭრიან, რაზეც სხედან.

— **როგორ ფიქრობთ, რა უნდათ ქართველ გოგონებს, როცა ამ სფეროში მოდიან?**

— ვაიმე, არ ვიცი, გამაგიჟეს! ერთხელ ორი მოდელი გავუშვი საზღვარგარეთ და ორივე გათხოვდა. გადავირიე! ახლავამბობ, რომ აღარავის გავუშვებ, რადგან ეგრევე თხოვდებიან. ადრე, როცა ამბობდნენ, მოდელობას საქართველოში სარფიანად გათხოვებისთვის იწყებენო, სასტიკად ვეწინააღმდეგებოდი, მაგრამ ახლა ლამისაა, დავიჯერო, რომ მართლა ასეა.

— **მოდელის პროფესია შორიდან საინტერესო და ლამაზი ჩანს — პოდიუმზე გადიან, ლამაზი სამოსი აცვიათ... რეალურად რა ხდება პოდიუმის მიღმა?**

— ეს ძალიან შრომატევადი საქმეა. თუ ამ სფეროში ხარ, ფაქტობრივად ყველაფერი გვერდზე უნდა გადადო. ხშირად დილის 5 საათზეა გადაღებები. დიეტასა და ვარჯიშზე აღარაფერს ვამბობ. თუ მოდელმა ორი სანტიმეტრითაც მოიმატა, მთელი დღეები სატრენაჟორო დარბაზში უნდა გაატაროს... ჩემთვის დღის ასეთი რეჟიმი დამღლელი არ არის. ენერგიული გახლავართ და →34



Cyan Magenta Yellow Black

რაც უფრო დაკავებული ვარ, მით უფრო კარგად გამომდის ყველაფერი.

— **როგორ შეაფასებთ ქართველი მოდელების ახლანდელ თაობას?**

— საკმაოდ მიძინებული თაობა მოდის. არ ვიცი, რა სჭირთ. თავით არიან კომპიუტერში შევარდნილი.

ერთი რამ მიკვირს — მოდიან თხელი კიდურებით და ამ დროს აქვთ მუცელი. ეს სწრაფი კვების ბრალია. ადრე თუ წონაში ვიმატებდით, მთლიანად ვსუქდებოდით, ახლა სხვანაირად ხდება. საჭიროა სწორი კვება, ვარჯიში, რასაც თითქმის არავინ აკეთებს. კარგი, არ გაქვს საშუალება, სპორტდარბაზში იარო, ამდენი ბალია და იქაც ვერ ირბენ?

— **მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მოდელისთვის ადვილი არ არის წარმატების მიღწევა, თქვენ ეს შეძელით. რითი მიაღწიეთ ამას?**

— მთავარია, საკუთარი თავის გჯეროდეს და მიზანი დაისახო. ძალიან მინდოდა, ამ სფეროში წარმატებისთვის მიმეღწია, ჩემი ადგილი დამემკვიდრებინა და ალბათ გავართვი კიდეც თავი.

**„ადრე, როცა ამბობდნენ, მოდელობას საქართველოში სარფიანად გათხოვებისთვის იწყებენო, სასტიკად ვეწინააღმდეგებოდი, მაგრამ ახლა ლამისაა, დავიჯერო, რომ მართლა ასეა“.**

— **როგორ გახსენდებათ თქვენი პირველი ნაბიჯები?**

— 14 წლის ვიყავი, როცა ამ სფეროში მოვედი. ვარჯიშებზე სიარული არ მეზარებოდა, ძალიან მოტივირებული ვიყავი.

— **ქართველი მოდელებისთვის დამახასიათებელი კომპლექსები თქვენც გქონდათ?**

— კი, ასე იყო. მით უმეტეს, იმ დროში, როცა მე დავიწყე მოდელობა, ბევრად რთული იყო სითამამის გამოჩენა. მე რომ საზღვარგარეთ დავბადებულიყავი, კომპლექსები არ მექნებოდა. ჩვენთან, საქართველოში, მაინც სხვანაირად უყურებენ ყველაფერს.

— **ვისარგებლებ შემთხვევით და გკითხავთ, მეორე შვილის გაჩენაზე ხომ არ ფიქრობთ? ამბობენ, რომ ორსულად ხართ.**

— სხვათა შორის, მეორე ბავშვის გაჩენა მინდა, მაგრამ ორსულად ჯერ არ ვარ, როგორც ერთ-ერთ გამოცემაში დაიბეჭდა.

— **თქვენი ქმარი, ვატო ნაცვლიშვილი თუ უყურებს „ტოპ-გოგოს“, როგორ გაფასებთ?**

— თუ დრო აქვს, უყურებს. ერთი-ორჯერ მითხრა, ისეთი მკაცრი არ ხარ, როგორც იმიჯსაც ირგებო.

■



■ სალომე ღვინიაშვილი

მოდელ სალომე ღვინიაშვილს კომენტარისთვის სოციალური ქსელით დავუკავშირდით, რადგან ინტერვიუს მომზადების პერიოდში პარიზში იმყოფებოდა.

— **სალომე, რატომ არ ხართ პროექტ „ტოპ-გოგოს“ მეორე სეზონში ჟიურის თავმჯდომარე?**

— მეორე სეზონში მონაწილეობაზე მე თვითონ ვთქვი უარი.

— **ამბობდნენ, რომ კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობის გამო იყავით უკმაყოფილო. ასეა?**

— ჩემთან მიმართებაში ფინანსური გაუგებრობა ნამდვილად იყო. შესაბამისად, მუშაობას ვერ გავაგრძელებდი. ყველაფერთან ერთად, ჩემი რეჟიმიდან გამომდინარე, რთული იყო ამ პროექტში ყოფნა. მოგეხსენებათ, ხშირად მიწევს საზღვარგარეთ წასვლა.

— **რა რჩევას მისცემდით თქვენს კოლეგას, ნინო ცქიტიშვილს?**

— მეორე სეზონს არ ვუყურებ, მხოლოდ ერთი გადაცემა ვნახე. ნინო ძალიან ობიექტური და კარგი ჟიურია, რაც მთავარია, პროფესიონალია და თავისი საქმე კარგად იცის. არა მგონია, ჩემი რჩევა სჭირდებოდეს.

✓ **მანანა ნოდია**

# გია სურამელაშვილი: „შვილიშვილმა საყვარელ ადამიანთან დაშორება გადამატანინა“



მომღერალ გია სურამელაშვილს სადმე თუ ხელში პამპერსებით ან საწოვარათი ნახავთ, მაღაზიებში წააწყდებით, არ გაგიკვირდეთ, რადგან ის უკვე პაპა გახდა — მის ვაჟს, ნუგას, გოგონა შეეძინა. ლიკა სურამელაშვილი 25 მარტს დაიბადა. მისი მომღერალი პაპა ამბობს, რომ როცა ჩვილი ხელში აიყვანა, მიხვდა, ასეთი ბედნიერი არასოდეს ყოფილა....

— **ბატონო გია, გილოცავთ შვილიშვილის შეძენას! როგორი ემოციები გაქვთ?**

— მილოცვისთვის დიდი მადლობა! როგორც ბაბუა, გაოგნებული ვარ, ჯერ ვერაფერს ვაანალიზებ. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან გაწონასწორებული ვარ, ახლა საოცარ ქაოსში ვიმყოფები. პირველ მარტს მე, ლელა წურწუმია და ნინო ჩხეიძე ანტალიაში გასტროლზე ვიყავით. შვილიშვილის მოლოდინში ისე ვნერვიულობდი, 4 დღე მეძინა. დედაჩემი 8 მარტს დაიბადა და 8 მარტს გარდაიცვალა. მე და ნუგო ვფიქრობდით, რომ პატარაც 8 მარტს დაიბადებოდა, მაგრამ 25 მარტს გაჩნდა, მისი ლოდინით საშინლად გადავიღალეთ. ჩემმა შვილმა თქვა, მატყუარა გოგო მიჩნდება, ახლავე მატყუებს და იმედია, რომ დაიბადება, შენ კარგად დაიჭერო. ჩემი ოჯახის პატარა პრინცესა დაიბადა, წონით 3 კილო და 600 გრამია. ჩემი რძალი, სოფო, ძალიან ჭკვიანი გოგოა, ფიზიოლოგიურად იმშობიარა და თან ძალიან ადვილად. თურმე ნუგა სულ რამდენიმე წუთით ჩავიდა დაბლა და პატარა სწორედ ამ დროს, წამებში დაიბადა.

**„დაშორება ალბათ უფრო მეტად ჩემი ბრალია. ცემა-ტყეპა არ გვქონია და არც გვიჩხუბია, უბრალოდ მე აღარ მიყვარს, ალბათ რაღაცამ მატკინა გული“.**

— **სამშობიაროში თქვენ არ იყავით?**

— ვერ წავედი, რადგან ზუსტად იმ დღეს ცუდად ვიყავი. ძალიან გადაღლილი გახლდით, დამამშვიდებელი აბები მქონდა მიღებული და მეძინა. ყველამ იცოდა, რომ ჩემი პატარა იბადებოდა და მე გათიშული ვიყავი.

— **დაბადებიდან მალევე ნახეთ?**

— ნახვა მაშინვე ვერ გავბედე. ყველაზე მეტად ცხვირის შემეშინდა, მითხრეს, გაბუშტული ცხვირი აქვსო და ლამის ჭკუიდან გადავედი! მამამისს ბარაქიანი ცხვირი აქვს და ვიფიქრე, მას დაემსგავსა-მეთქი. თუ საჭირო გახდება, რომ წამოიზრდება, ცხვირის ოპერაციასაც გავუკეთებ. გაჩენიდან მესამე დღეს სახლში მივედი და ვნახე.

— **როგორი გოგო დაგხვდათ?**

— ჩემნაირი შხვართია. სასწაული ბავშვია, ახალშობილი და უკვე ასეთი ლამაზი, ჯერ არ მინახავს. ლიკა რომ ხელში ავიყვანე, შვილიც დამავიწყდა, რძალიც და თუ კიდევ ვინმე არსებობდა, ისიც. ეს ბავშვი ჩემს ცხოვრებაში პირველ ადგილზე დადგა. დამინახა თუ არა, დამათვალიერა. მერე გვერდითაც მოვიწვინე. გაოგნებული ვარ! ლამაზი თითები და ფეხები აქვს. ცხვირიც ნელ-ნელა უცხრება.

— **პატარას ვისი სახელი დაარქვით?**

— დედაჩემის. ის დიდებული ქალი იყო, ნუგა მან გაზარდა. შვილი და რძალი ცალკე ცხოვრობენ და პატარას მარტო უვლიან.

— **სანამ შვილიშვილის დაბადებას ელოდებოდით, ალბათ საფუძვლიანად მოემზადეთ მის დასახვედრად.**

— წინასწარ არაფერი შემიძენია. ლიკა დაიბადა თუ არა, საჩუქრების საყიდლად ჩემი პროდიუსერი და თანაშემწე გავუშვი, ეტლი, საწოლი და სხვა საჭირო ნივთები კი საკუთარ თავზე ავიღე. ამოვიჩემე და



Cyan Magenta Yellow Black

პატარასთვის თავზე გადასაჭერ გიპიურის ხილაბანდს ვაძებნინებ, თანაც წითელი ვარდით, მაგრამ ვერსად მიაგნეს.

— **ხომ არ გიჭირთ პაპის სტატუსთან შეგუება?**

— ხალხი რომ მილოცავს, თან ძალიან მიხარია და თან ჯერ გონს ვერ მოვსულვარ. შვილიშვილმა რაც უნდა, ის დამიძახოს, გინდა ბაბუა და გინდა გიო. ლიკა 15 წლის რომ გახდება, მე ისევ ასეთი ვიქნები. ლიკა ჩემი მეთვალყურეობის ქვეშ გაიზრდება, ლამაზად და კოხტად. მთავარი მე ვარ!

— **მშობლები როგორ ემზადებოდნენ შვილის დაბადებისთვის?**

— ძალიან გაწონასწორებული რძალი მყავს, ვგრძნობ, რომ თავის შვილს ლამაზად აღზრდის. ბანკში მუშაობს, ამჟამად დეკრეტშია.

— **თქვენთან რომ გაზრდილიყო, ამის სურვილი არ გქონდათ?**

— მე მარტო უნდა ვცხოვრობდე, ჩემთვის. მეგობრები როცა უნდათ, მოვლენ და წავლენ. სულ წასვლა-მოსვლაში ვარ, ხშირ შემთხვევაში კი ეს შუაღამეს ხდება. ხან ნასვამი და ხანაც ნაბახუსევი პატარასთან ვერ ვიცხოვრებ, მაგრამ, როცა მომინდება, ლიკა მაშინ იქნება ჩემთან.



ლიკა

**„ლიკა რომ ხელში ავიყვანე, შვილიც დამავიწყდა, რძალიც და თუ კიდევ ვინმე არსებობდა, ისიც... გაოგნებული ვარ! ლამაზი თითები და ფეხები აქვს“.**

— **შვილიშვილთან უფრო სხვანაირი იქნებით, ვიდრე შვილთან იყავით?**

— ლიკა მთლიანად შემცვლის, ასეთი ფეთქებადი ალბათ აღარ ვიქნები, ლმობიერი გავხდები და ასეთი „ისტერიკა“ აღარ ვიქნები. როგორი მკაცრიც ნუგასთან ვარ, ლიკასთან ასეთი არასდროს ვიქნები.



სოფო და ნუგა

— **თქვენს ყოფილ მეუღლეს, ნუგას დედას, შვილიშვილის შეძენა მიულოცეთ?**

— მასთან არანაირი ურთიერთობა არ მაქვს. ალბათ ნუგას აქვს დედასთან ურთიერთობა, მაგრამ ამ თემაზე არ ვსაუბრობთ. არავინ იცოდა, რა წუთში დამარტყამდა თავში და სამშობიაროში მივიდოდი, ამიტომ ნუგას დედა იქ ვერ მივიდოდა, არ მინდოდა, იქ წავწყდომოდი. იცის, რომ შვილიშვილი შეეძინა. როცა იქნება, ალბათ ნახავს, მაგრამ ამის სურვილი არ მაქვს.

**„ჩემი შვილი ძალიან თბილი ადამიანია, მე კი უხეში და მძიმე ვარ. როცა ვბრაზობ, ვერ გაიგებ, სად დოქები მიფრინავს, სად — ჭიქები და სად — ბრილიანტები“.**

— **ცნობილია, რომ შვილის დაოჯახების წინააღმდეგიც იყავით. ეს პრობლემა მშვიდობიანად მოგვარდა?**

— უბრალოდ მათ დაოჯახებამდე ჩემსა და ნუგას შორის პატარა გაუგებრობა მოხდა და გაბუტული ვიყავი. აგრესიული ხასიათი მაქვს, ბუტია ვარ. ჩემი შვილი არაფერ შუაში იყო, რაღაც მიზეზების გამო მე გავებუტე. ჩემი რძალი უჭკვიანესი, ლამაზი, ცისფერთვალება გოგოა. მეც ვუყვარვარ და ჩემი სიმღერებიც. მასთან იდეალური ურთიერთობა მაქვს.

— **ახლა როგორი ურთიერთობა გაქვთ შვილთან?**

— მე და ჩემს შვილს ცუდი ურთიერთობა არასდროს გვქონია, პირიქით, ასეთი ურთიერთობა იშვიათია. ამხელა ორმეტრიანმა კაცმა შეიძლება ხელში ამიყვანოს და მკოცნოს. ნუგა არის ადამიანი, რომელიც სულ იცინის, დაღვრემილი და აგრესიული არ მინახავს. ჩვენ უერთმანეთოდ არ გვიცხოვრია. ნუგა ეკრანზე გამოჩენას ყოველთვის ერიდებოდა. კამერებსა და ჟურნალისტებს ახლაც არ იკარებს. შეიძლება შვილმა შეცვალოს და ერთ მშვენიერ დღეს რომელიმე სატელევიზიო შოუში ერთად დავსხდეთ.

— **მკაცრი მამა ხართ?**

— კი, საკმაოდ, მაგრამ, სხვათა შორის, ნუგა ჩემგან სიმკაცრეს არ იმსახურებს. როცა დრო იყო, მაშინ ვეფერებოდი და გათამამებული პრინცი იყო. ის ვაჟკაცური, მოქეიფე და ძმაკაცების მოყვარულია.

— **თქვენ რითი გგავთ?**

— სიცილით. თითქოს ორი სხვადასხვა ადამიანი ვართ, მაგრამ მაინც მგავს. ნუგა ჩემზე მეტად კაცთმოყვარეა. მასზე ყველა ჩემს მეგობარს ჭკუა ეკეტება, ისე უყვართ. მისგან სულ დადებითი მუხტი მოდის. ძალიან კომუნიკაბელურია, ყველასთან ძმაკაცობს. ძალიან თბილი ადამიანია, მე კი უხეში და მძიმე ვარ. როცა ვბრაზობ, ვერ გაიგებ, სად დოქები მიფრინავს, სად — ჭიქები და სად — ბრილიანტები.

— **გარკვეული პერიოდი თქვენმა შვილმა ციხეში გაატარა. იქ გატარებულმა დრომ მის ხასიათზე გავლენა არ მოახდინა?**

— არა, ის ყოველთვის სერიოზული ბიჭი იყო და ციხეს მასზე გავლენა არ მოუხდენია. შეიძლებოდა დროზე ადრე გამოსულიყო, მაგრამ შეწყალებაზე ხელი არ მოაწერა. ციხეში ბევრი მეგობარიც გაიჩინა. სხვადასხვა წყაროდან ვიცი, რომ ციხეში მას ძალიან სერიოზული სახელი ჰქონდა, „მაყურებელიც“ კი იყო...

— **თქვენს პირად ცხოვრებაში რაიმე სიახლე არის?**

— არაფერი... მასთან ორი წელი ვიყავი და დავშორდი, ოღონდ ლამაზად შეიცვალა ცხოვრება, ლიკამ გაანეიტრალა.

— **ვინ იყო თქვენი რჩეული?**

— მის ვინაობას ვერ გაგიმხელთ, რადგან ძალიან პირადულია. სიყვარული შეიძლება არის კიდევ, მაგრამ... დაშორება ალბათ უფრო მეტად ჩემი ბრალია. ცემა-ტყეპა არ გვქონია და არც გვიჩხუბია, უბრალოდ მე აღარ მიყვარს, ალბათ რაღაცამ მატკინა გული... ჩემს ცხოვრებაში რაღაც ხდება.

— **სხვა ვინმე გამოჩნდა?**

— ალბათ ამის ბრალიც არის. დღე და ღამე ბიჭი ხან სად ვმღერი და ხან — სად და დამიჯერებს ვინმე, რომ ჩემს ცხოვრებაში არავინ ჩანს ან არ გამოჩნდება?

— **თქვენი დღევანდელი საქმიანობით კმაყოფილი ხართ?**

— ყველაფერი ძალიან კარგად მიმდის. ჩემს რესტორანშიც ვმღერი და ძალიან ბევრი გასტროლიც მაქვს, სულ ჰაერში ვარ. ბოლოს, როგორც გითხარით, ანტალიაში გახლდით, რაღაც ზღაპარი იყო. მე სასტუმროს თავში ვცხოვრობდი, ლელა და მამულიჩა — ბოლოში. ჩემს თანაშემწეს სასტუმროს რუკა ეჭირა და იზეპირებდა, დაბლა რა გზებით უნდა ჩავეყვანე. ბოლოს ეს საქმე მამულიჩამ ითავა და იმას ჩავყავდი ხოლმე, თან ჩემს ნომრამდე მოსასვლელად 15 წუთი მაინც სჭირდებოდა.

იქაც ისეთ ცუდ ხასიათზე დავდექი, მაგრამ ლელამ ბევრი ფსიქოსეანსი ჩამიტარა, თვალი ბევრ რამეზე ამიხილა. მანამდე ბომბივით ვიყავი, სიმღერის გაგონება არ მინდოდა, ვიწექი. ლელა მეუბნებოდა, გიო, შენ ყველაზე მაგარი ხარ, ხომ ხედავ, რა ამბავია შენზე და რა გჭირსო. ფსიქოლოგიურ თანადგომას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მით უმეტეს, მაშინ, როცა იმ ადამიანის გჯერა.

✓ სოფიო ბოჭორიძე

„ლიგა“ სამკურნალო გაერთიანება
ლიგა
სექსოპათოლოგია
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა

თბილისი, თაბუკაშვილის ქ. 19ა. ☎ 232 21 21, 8 790 32 21 21. www.league.ge

# თაკო ჩარკვიანს მაკიაჟის გაკეთება ნიცაში ასწავლეს

## „ქმრის დაბრუნების დროს მოწესრიგებული უნდა ვიყო“



ჟურნალისტი, მუსიკათმცოდნე, პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანის ქალიშვილი და პატარა, მაგრამ უკვე საკმაოდ ცნობილი პიანისტის, ირმა გიგანის დედა, თაკო ჩარკვიანი, დილას ყავით იწყებს. შემდეგ 20 წუთს უთმობს სარკის წინ თავის მოწესრიგებას და სახლიდან გადის.

თაკო ჩარკვიანის სტილი მუქი ფერის პიჯაკებია. ცნობილი ოჯახის წარმომადგენელი უბრალოებით გამოირჩევა, პატივს სცემს ბუნებრიობას და პლასტიკურ ქირურგებთან ვიზიტებს არ აპირებს, ყოველ შემთხვევაში — ახლო მომავალში. მისთვის ნაოჭის გაჩენა ტრაგედია ნამდვილად არ არის, რადგან ყველა ასაკში სილამაზეს ხედავს.

„შეშუპებული ქუთუთოები თავის დროზე ძალიან მიხდებოდა, ახლა მიხედვა სჭირდება".

— **ქალბატონო თაკო, აგვიწერეთ, რითი იწყება თქვენი ჩვეულებრივი დილა.**

— ეს არის ყავა. ასევე დილით აუცილებლად ცოტა უნდა ვივარჯიშო. მრავალი წელია, ეს უკვე ჩვევად მაქვს. თუ დარბაზში ვერ ვახერხებ, სახლში აუცილებლად ვვარჯიშობ.

— **რატომ და როგორ აქციეთ ვარჯიში თქვენი ცხოვრების წესად?**

— ირმა პატარა იყო, წლინახევრის, როცა მივხვდი, რომ ფორმის შესანარჩუნებლად ვარჯიში მჭირდებოდა. მე არ შემიძლია დიეტის დაცვა, 20 წუთი ვარჯიში ჩემთვის უფრო მისაღებია. ჯანსაღად, ენერგიულად ვგრძნობ თავს და უფრო მეტი დადებითი ემოცია მაქვს. ვარჯიში ყველაფრისთვის კარგი მგონია, რადგან ამ დროს სისხლის სწორი ცირკულაცია მიმდინარეობს.

— **დიეტას არ იცავთ, მაგრამ კვების სწორი რეჟიმის დაცვას თუ ცდილობთ?**

— დიდი ხანია, ყველაფრით არ ვიკვებები. ცომეულში თავს ვიზღუდავ. თუ ხაჭაპურს შევჭამ, არაფრით დავაყოლებ ნამცხვარს და პირიქით. სწრაფი კვების ობიექტების კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. მირჩევნია, ერთი ჭიქა ყავა დავლიო და ამგვარად მომზადებული არაფერი ვჭამო. ვხუმრობ ხოლმე, ყავა რომ კლავდეს, დიდი ხნის მკვდარი უნდა ვიყო-მეთქი. არასოდეს მომიწევია სიგარეტი, ალკოჰოლს არ ვეკარები, მაგრამ ყავაზე უარს ვერ ვამბობ. დღეში 8 ჭიქას მაინც ვსვამ.

„თითოეულ ნაოჭს პატივი უნდა სცე. საკმაოდ არაბუნებრივია, როცა 70 წლის ასაკში გაშეშებული სახე გაქვს".

— **ასაკი, გარემო პირობები, არაჯანსაღი საკვები... ეს ყველაფერი კანის სტრუქტურაზე მოქმედებს. თქვენ როგორ უვლით კანს ან ვინმესგან რჩევებს თუ იღებთ?**

— რჩევებს დედისგან, ირმა ჩხეიძისგან ვიღებ. 5 წლის წინ ძალიან კარგი კოსმეტოლოგი მყავდა, ვმეგობრობთ, მაგრამ დროის უქონლობის გამო ახლა ველარ ვახერხებ მასთან სიარულს. ძვირადღირებულ საშუალებებს ვიყენებ კანის მოსავლელად, მაგრამ ხანდახან ხალხური რეცეპტებითაც ვუვლი თავს. მაგალითად, არაჟნის ან ხაჭოს ნიღაბს ვიკეთებ.

— **დედისგან რა ისწავლეთ?**

— დედაჩემის დროს ბრენდული პროდუქცია არ არსებობდა, მაგრამ, მინდა გითხრათ, რომ დღესაც მშვენივრად გამოიყურება. არ მახსოვს, დედას სილამაზის სალონებზე გართულება ჰქონოდა და ეს ჩვევა მეც მომდევს. თავად ახერხებდა თავის მოვლას. ვთქვათ, ზეითუნის ზეთს ვიტამინს შეურევდა ან მეგობრის დამზადებულ საცხს იყენებდა. როცა დრო გაქვს, ასე დღესაც შეიძლება მოუარო თავს, შენთვის ჩაიკეტო ოთახში 15 წუთით, რომ არავინ დაგინახოს ნიღაბწასმული და კარგი ეფექტიც მიიღო.

— **თქვენს გოგონას, 16 წლის ირმა გიგანს, რა რჩევებს აძლევთ თავის მოვლასთან დაკავშირებით?**

— ჯერ პატარაა, მაგრამ მან იცის გემოვნებით ჩაცმა. ხანდახან არის, რომ ვიღაცას გარკვეული სტილი უხდება და მოგწონს, მაგრამ შენ არ გიხდება, ამიტომ გარჩევა უნდა შეგეძლოს, შენ რა მოგიხდება. ირმას გემოვნების ჩამოყალიბებაში წვლილი მიმიძღვის. მას არაფერს ვუკრძალავ. რამდენჯერმე შევამჩნიე, რომ ჩემი ჩანთიდან თვალის ფანქარი გაქრა და 15 წუთში „დაბრუნდა“. მივხვდი, რომ შეიძლება უკვე მაკიაჟზე იფიქროს, მაგრამ, ასაკიდან გამომდინარე, კოსმეტიკას ჯერჯერობით არ ეტანება. რაც უფრო გვიან დაიწყებს მაკიაჟის გამოყენებას, მით უკეთესი. ზომიერების მომხრე ვარ.

— **როგორც ვხედავ, თქვენს მაკიაჟში მთავარი აქცენტი თვალებზეა გაკეთებული.**

— თეთრ ფანქარს თვალების დასაწყისში ოდნავ ვიყენებ, შემდეგ ზემოდან ყავისფერ ჩრდილებს ვისვამ, შავ ფანქარს და ტუშს. ეს ნიცაში მოგზაურობისას ვისწავლე ათი წლის წინ, როცა ერთმა ქალმა გამიკეთა მაკიაჟი სალონში. მომეწონა და მას შემდეგ ასე ვიღებავ.

— **ვარცხნილობას თავად ირჩევთ თუ სტილისტს ენდობით?**

— არასოდეს ვყოფილვარ სტილისტთან. მე სულ შუაზე გაყოფილ თმას ვატარებდი. ერთ დღესაც ჩემი მეგობარი, ნანა გერასიმოვა, ძალიან კარგი მხატვარი, ჩემს პორტრეტს ხატავდა. უცებ მითხრა, თმა გვერდზე გადაიწიეო და ეს სტილი ორივეს ძალიან მოგვეწონა. იმის მერე გვერდზე გადაწეულ თმას ვატარებ.

— **როგორ უვლით თმას?**

— ხარისხიან შამპუნს ვიყენებ. თმას არ ვიღებავ, გენეტიკურად არ ვარ ჭაღარა — მამაჩემის დედა ძალიან გვიან ასაკში გაჭაღარავდა. შეშუპებული ქუთუთოებიც გენეტიკურად მაქვს დედაჩემის მხრიდან. ალბათ ამას ცოტა ხანში მიხედვა დასჭირდება, თავის დროზე კი ძალიან მიხდებოდა.

— **თქვენი ჩაცმის სტილი როგორია?**

— მიყვარს პიჯაკები და არ ვიცვამ გრძელ კაბებს. მაღალ ქუსლებსაც კარგად ვიყენებ.

— **რომელია თქვენი ფერი?**

— დიდი ხანია შავს, ლურჯსა და კრემისფერს შევეჩვიე. სხვაზე მომწონს წითელი, მაგრამ მე მაინც მუქი ფერები მირჩევნია. ზაფხულში თეთრზე უარს არ ვამბობ.

— **რას ფიქრობთ პლასტიკურ ქირურგიაზე და ზოგადად მედიცინაზე, რომელიც ქალის გაახალგაზრდავებისკენ არის მიმართული?**

— სხვაზე მომწონს, მაგრამ ჯერ ამ ნაბიჯის გადადგმაზე არ მიფიქრია. შეიძლება დროთა განმავლობაში მეც მომინდეს, მათ მივმართო. კარგად არც ვიცი, რა არის, მაგალითად, ბოტოქსი, ამიტომ ცოტა სკეპტიკურადაც ვუყურებ. გამიგია, რომ ბოტოქსი ტოქსიკურია, მაგრამ ვიტამინიზირებულ საშუალებებზე, იგივე მეზოთერაპიაზე, უარს არ ვიტყვი, ოღონდ მოგვიანებით. არ მიყვარს, ძალიან რომ არიან ამით დაკავებული და გულწრფელად მეცოდებიან კიდეც ისინი, რადგან ვიცი, რომ დამოკიდებული ხდებიან.

— **მამათქვენი, ბატონი ჯანსუღ ჩარკვიანი, რამდენდა ერეოდა შვილების ჩაცმულობის ან თუნდაც თქვენი გარეგნული სტილის საკითხებში?**

— არ მახსოვს, მამას გარეგნობასთან დაკავშირებით რჩევა მოეცა. თვითონ ყოველთვის ძალიან საინტერესოდ იცვამდა. ბევრად თამამი იყო ფერში, ვიდრე მე ან მამუკა. ისე სხვანაირად მოირგებდა ყელსახვევს, ბევრჯერ შემშურებია. მასაც ხშირად უთქვამს ჩემთვის, ეკრანზე რა კარგად ჩანდა შენი ყელსახვევიო. არასოდეს არაფერი დაუშლია ჩაცმასთან დაკავშირებით. ჩვენს ოჯახში ამაზე აქცენტი არც კეთდებოდა. ირმაც ასე იზრდება.

„მამა ყოველთვის ძალიან საინტერესოდ იცვამდა. ბევრად თამამი იყო ფერში, ვიდრე მე ან მამუკა. ისე სხვანაირად მოირგებდა ყელსახვევს, ბევრჯერ შემშურებია".

— **თქვენს ძმას, ცნობილ მუსიკოს მამუკა ჩარკვიანს, ასევე დამახასიათებელი სტილი აქვს. მას თუ მოუცია თქვენთვის რჩევები?**

— ის ენდობა ჩემს გემოვნებას. მისთვის ტანსაცმელს ხანდახან მეც ვყიდულობ და ყოველთვის ძალიან მოსწონს. მამუკას უყვარს სპორტული სტილი. მასაც კარგი გემოვნება აქვს, ლამაზად იცვამს.

— **მაგრამ ყველაზე კარგი მრჩეველი მაინც საკუთარი თვალებია. გიყვართ სარკის წინ დგომა?**

— რა დროც მაკიაჟის გაკეთებას სჭირდება, იმ დროს ვატარებ სარკის წინ. დღის განმავლობაში ხშირად არ ვდგავარ სარკესთან. ერთი ჩვევა მაქვს — რაც უნდა ხდებოდეს, სახლში მეუღლის დაბრუნების დროს მოწესრიგებული უნდა ვიყო.

— **როგორი ქალი გიყურებთ სარკიდან?**

— ამაზე არ მიფიქრია. არასოდეს მქონია გარეგნობის კომპლექსი. მიმაჩნია, რომ არც ძალიან ლამაზი ვარ და არც შეუხედავი.

— **ახლა უფრო მოგწონთ საკუთარი თავი თუ რამდენიმე წლის წინანდელი?**

— რა თქმა უნდა, 17 წლის ასაკში უფრო მომწონდა ჩემი თავი, მაგრამ ყველა ასაკს აქვს თავისი მომხიბვლელობა. თითოეულ ნაოჭს პატივი უნდა სცე. საკმაოდ არაბუნებრივია, როცა 70 წლის ასაკში გაშეშებული სახე გაქვს.

— **როგორ გგონიათ, ვის ან რის გამო უვლის ქალი თავს?**

— არავინ დაიჯეროს, რომ ქალი ამას საწინააღმდეგო სქესის გამო აკეთებს. პირველ რიგში, ქალი საკუთარი თავისთვის არის ფორმაში.

— **ძლიერი ქალის სტატუსის მიღმა შესაძლებელია ქალურობის შენარჩუნება?**

— აბსოლუტურად შესაძლებელია. სულ 20 წუთის გამონახვაა საჭირო, რომ თავს მიხედო.

✓ **მანანა ნოდია**





Cyan Magenta Yellow Black

# კეფენტეკი

კეტოპროფენი 30 მგ



## ანთების საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელი პლასტირი



## დაიკარი პლასტირი – დაივიწყე ტკივილი!

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 296-72-27

Brupharmexport

ტანდემი

# დიმა ობოლაძე და აჩიკო სოლოღაშვილი ქალურ საიდუმლოებებს ჩასწვდნენ



„ვიხვეწებით, ორსულების სტრიებზე და მეან–გინეკოლოგიაზე ნუ გველაპარაკებით–თქო!“

ორი მამაკაცი და ხუთი ქალი — გადაცემაში „შუადღე“ გოლები ძირითადად მშვენიერ სქესს გააქვს, მათ ფონზე სპორტული კომენტატორი დიმა ობოლაძე და მსახიობი აჩიკო სოლოღაშვილი აშკარად დაჩაგრულად გამოიყურებიან. ეს განსაკუთრებით მაშინ არის შესამჩნევი, როცა ეთერში სამი მეგრელი ქალია — გვანცა დარასელია, ნინო ხოშტარია და თიკა ფაცაცია. ამ დროს ძირითადად ისინი ლაპარაკობენ, ძლიერი სქესი კი დუმს. ასეთ შემთხვევებში დიმას და აჩიკოს მამაკაცური სოლიდარობა შველით. იუმორით და თანადგომით ისეთ ქალურ თემებსაც უმკლავდებიან, როგორიც არის მეან-გინეკოლოგია, ორსულობის შემდეგ გაჩენილი სტრიები და ა.შ. თუ როგორ შედგა დიმას და აჩიკოს ტანდემი, ამაზე თავად გვიამბობენ.

**— ხუთი ქალის გარემოცვაში თავს როგორ გრძნობთ?**

**დიმა**: ძალიან კარგად ვგრძნობ თავს, თანაც მე ეთერში ყოველდღე ვარ. განსაკუთრებით მაშინ ვარ კარგად, როცა გადაცემაში სამი მეგრელია — დარასელია, ხოშტარია და ფაცაცია. ამ დროს თუ რაღაც არ ვთქვი, შეიძლება მთელი გადაცემა არც გამომხედონ. ერთხელ ეთერში მეოთხე მეგრელიც, ვერა ქობალია იჯდა და მე ფაქტობრივად იქ არც ვიყავი.

**— ანუ გამოდის, რომ ქალები გჩაგრავენ.**

**დიმა**: რომ მოვინდომო, დაჩაგვრას ვუჩვენებ მაგათ!.. თავიდან, ცოტა არ იყოს, მეშინოდა, ეს ნაბიჯი ჩემი კარიერისთვის, იმიჯისთვის, პროფესიისთვის სარისკო არ ყოფილიყო, მაგრამ ვთვლი, რომ გაამართლა. ჩემი აზრით, ადამიანი ერთ რაღაცაზე „ჩაციკლული“ არ უნდა იყოს. ძალიან დიდი სამეგობრო წრე მყავს, ამ გადაცემის გამო ზოგი მეხუმრება, ზოგი დამცინის, მაგრამ მთლიანობაში ვფიქრობ, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე, მით უმეტეს, ამდენ ქალში ძალიან კარგად ვგრძნობ თავს.

**აჩიკო**: მეც გადასარევად ვგრძნობდი თავს, როცა ეთერში ყოველდღე ვიყავი, ახლა ორი დღე ვარ. ამათთან ყოფნა ძალიან მენატრება. მიუხედავად იმისა, რომ ორი მამაკაცი ვართ, გადაცემის მსვლელობისას არანაირი დისკომფორტი არ მაქვს, მაგრამ ქალები თუ ამოიქოქებიან, მათი გაჩერება ძნელია.

**დიმა**: როცა სტუდიაში ორი მამაკაცი, მე და აჩიკო ვართ, ამის პრობლემა არ გვაქვს, მაგრამ მარტო რომ ვრჩები, მერე არ მკითხოთ!..

**აჩიკო**: დიმას გარეშე თუ ვარ, ძალიან მიჭირს და სულ ვახსენებ, ობოლაძე, სად ხარ-მეთქი. ისეთი იმიჯი გვაქვს, თითქოს ერთმანეთს ვერჩით, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. დიმას გარეშე მოწყენილი ვარ და ამ დროს ვცდილობ, თავი ძალით გავირთო.

**— ქალების გარემოცვას რომ თავი დავანებოთ, ხანდახან ძალიან ქალურ თემებზეც გიწევთ საუბარი. ამ დროს უხერხულობას არ გრძნობთ?**

**დიმა**: ვცდილობთ, რაც ხალხს დააინტერესებს, იმაზე ვისაუბროთ და სტუმრები ვალაპარაკოთ. მაგალითად, ერთ გადაცემაში თემა იყო ორსულობის შემდეგ გაჩენილი სტრიები. შევეხვეწე, ასეთ თემებზე სალაპარაკოდ ნუ დამსვამთ-მეთქი, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მითხრეს, არა, იჯექი, თუ გინდა, რამე თქვი, თუ გინდა, ჩუმად იყავიო.

> **აჩიკო: „როგორც დიმამ სტადიონზე ვერ მიმიტყუა, ისე მე თეატრში ვერ წავიყვანე".**

**აჩიკო**: როცა მეან-გინეკოლოგიაზეა საუბარი, ძალიან ძნელია, ამ ყველაფერში ჩაერთო.

**— ამ დროს სტუდიიდან გაქცევის სურვილი ხომ არ გიჩნდებათ?**

**დიმა**: გავქცეულვარ კიდეც, მაგრამ ისე არის ხოლმე, ვაის გავეყარე და უის შევეყარეო. ერთხელ სტილისტი გვყავდა სტუმრად, რომელიც თან თმას ჭრიდა, თან ცეკვავდა. მასზე ცუდს კი არაფერს ვამბობ, მაგრამ შოკში ვიყავი, ხან თმის ჟელეს გადმომიგდებდა, ობოლაძე, მომეხმარეო, ხანაც —




რას. არადა წინა ეთერში გინეკოლოგიის თემა იყო და არ დავჯდექი. მესმის, რომ სამსახურია და იქ უნდა ვიყო, მაგრამ ხანდახან ისეთი თემაა, ჩემს იქ ყოფნას აზრი არ აქვს.

**აჩიკო:** მეც იმავე დღეში ვარ. როცა ასეთ თემებზეა საუბარი, ვცდილობ, ყველაფერი გავიხსენო, რაც კი მეგობარი გოგონებისგან მსმენია, რომ რამენაირად საუბარში ჩავერთო, თუმცა, როცა ეთერში სამი გამოცდილი ქალბატონი ზის, ციკლის არევაზე მე რაღა უნდა ვთქვა?!

**დიმა:** როცა ბავშვის აღზრდასა და მამის როლზეა ლაპარაკი, ამაში ჩაერთვები, მაგრამ სუფთა ქალური თემები ლაპარაკი ცოტა ისეთი მომენტია... ვთვლი, რომ სასაცილოა, ამაზე ეთერში მე რომ ვთქვა რამე. ოჯახები ყველას გვყავს და ყველაფერი ვიცით, მაგრამ ჩემი მხრიდან ამაზე ლაპარაკი რაღაც ისეთია, რა... საერთოდაც, ჩემთვის „შუადღეში“ მისვლა იყო უცხო. მანამდე ჩემი გადაცემა „საფეხბურთო ღამე“ დაიხურა და „კურიერის“ ამარა დავრჩი. დამიბარეს და მკითხეს, შუადღის გადაცემაში ხომ არ დაჯდებოდი და აქ ასე აღმოვჩნდი. როცა 1995 წლიდან ერთ ადგილზე მუშაობ, ვთვლი, რომ შენს არხზე ბევრი რამის გაკეთების უფლება გაქვს, თუნდაც ექსპერიმენტის ჩატარების. საბედნიეროდ, ჩემს ამ ნაბიჯს მაყურებელთა მხრიდან დადებითი შეფასებები მოჰყვა. საყოველთაო აგრესია რომ გამოეწვია, ამას არ გავაკეთებდი.

**აჩიკო:** დიმა სინამდვილეში უფრო მაგარი ტიპია, ვიდრე ტელევიზორში ჩანს. ძალიან განათლებულია. როცა ფეხბურთის რეპორტაჟი მიგყავს, ძნელია, შენი ინტელექტი წარმოაჩინო. დიმას ბევრად უფრო დიდი იუმორი აქვს, ვიდრე ეკრანზე ეტყობა.

**— როგორც მამაკაცებს, ამ გადაცემაში რა თემები გაკლიათ?**

**დიმა:** თითქმის ყველა თემას შევეხებივართ.

**აჩიკო:** ორი წლის თავზე ყველა თემა ამოვწურეთ.

**— ეთერისთვის როგორ ემზადებით?**

**აჩიკო:** განსაკუთრებულად არ ვემზადებით. თუ ჩვენგან, წამყვანებისგან, კონკრეტული რამეა სათქმელი, პროდიუსერები ცალკე გვეუბნებიან. თუ არადა, სცენარი იმეილზე მოგვდის და ვკითხულობთ. ეთერში გასვლამდე თუ რაიმე კითხვა გაგვიჩნდება, ვარკვევთ.

**დიმა:** როცა აქ მუშაობაზე დავთანხმდი, იმედი გამოვთქვი, რომ დაშტამპული თემები არ გვექნებოდა. არის საკითხები, რომლებიც აუცილებლად წინასწარ უნდა მოამზადო, რადგან საფრთხილოა. ძალიან ბევრი თეატრის პრობლემაზეც კი მირეკავს. მეუბნებიან, დიმა, იქნებ შენს პროდიუსერებს უთხრა და თქვენს ეთერში მოვიდეთ.

**— მამაკაცებს სულ აინტერესებთ, რა სურთ ქალებს. თქვენმა გადაცემამ ამ კითხვაზე პასუხი გაპოვნინათ?**

**აჩიკო:** ძალიან ბევრი ისეთი რამ გავიგე, რაც აქამდე არ ვიცოდი — სახის მოვლის საშუალებებიდან დაწყებული, ტანის მოვლის საშუალებებით დამთავრებული. ასევე ბევრი რამე გავიგე ჯანმრთელობაზე, კვებაზე. საუბარს ქალებით იწყებენ და მერე კითხვას მაინც ჩავაგდებთ ხოლმე, კაცებმა რა გამოვიყენოთ-თქო. ასე რომ, არამარტო ქალებზე ვიგებთ რაღაცეებს.

**დიმა: „ძალიან დიდი სამეგობრო წრე მყავს, ამ გადაცემის გამო ზოგი მეხუმრება, ზოგი დამცინის, მაგრამ მთლიანობაში ვფიქრობ, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე“.**

**დიმა:** ამ დროს ქალები გაგიჟებული თვალებით გადმოგვხედავენ ხოლმე, რას კითხულობთო.

**აჩიკო:** მთავარია, ქალებმა გაიგონ, რა უნდათ, თორემ ჩვენ რა გვინდა, ვიცით!

**— ხუთ განსხვავებულ ქალთან ერთად მუშაობთ პირდაპირ ეთერში. მოკლედ როგორ დაახასიათებდით თითოეულ მათგანს?**

**დიმა:** ბაია დვალიშვილი საოცარი ქალია, ეგეთი გულწრფელი ადამიანი ცხოვრებაში არ მინახავს. დღე არ გავა, ძალიან მაგარ განწყობაზე რომ არ დაგვაყენოს.

**აჩიკო:** ბაია სცენაზე გავიცანი. საოცარი პარტნიორი და მსახიობია.

**დიმა:** ვერ ვგრძნობთ, რომ ხასიათებით განვსხვავდებით. გასვლითი გადაღებებიც გვქონია, რასაც ქეიფი, ცეკვა, სიმღერაც მოჰყოლია. ამის გარეშე წარმოუდგენელია. თუ გასვლითი გადაცემა იგეგმება, ერთმანეთს ვასწრებთ, კარში პირველი რომელი გავა. ეთერში რაც ხდება, დაგეგმილი არაფერია. იქ იდეალურად ვგრძნობთ თავს.

**აჩიკო: „ვცდილობ, ყველაფერი გავიხსენო, რაც კი მეგობარი გოგონებისგან მსმენია, რომ რამენაირად საუბარში ჩავერთო, თუმცა, როცა ეთერში სამი გამოცდილი ქალბატონი ზის, ციკლის არევაზე მე რაღა უნდა ვთქვა?!“.**

**აჩიკო:** ვერ წარმომიდგენია მამაკაცი, რომელსაც ასეთი ლამაზი ქალების გარემოცვაში ჩასვამ და რამეთი უკმაყოფილო იქნება. ერთი ლამაზი ქალბატონი სახლში მყავს, დანარჩენები აქ არიან. ნინო ხოშტარია ტელევიზიაში გავიცანი. ბაიკოს, როგორც გითხარით, მანამ-

→40




დეც გადასარევად ვიცნობდი, გვანცა დარასელიას და თიკა ფაცაციას ბავშვობიდან ვიცნობ და მათთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს. მერიკო გუბელაძეც აქ გავიცანი და ნეტავ, არ გამეცნო! ჭამაზე მეტად ამქვეყნად ძალიან ცოტა რამ მიყვარს. იმდენს ვჭამ, ვსკდები, მერიკო ჯადოქარია!


■ აჩიკო და დიმა

**დიმა**: მერიკო ყველაფერს თავისი გემოვნებით აკეთებს. ხან მეგრელები გვეჩხუბებიან, ღომს რა უქენითო, ხან — სხვები, მაგრამ მერიკო სიახლეებს ეძებს, ნამდვილი პროფესიონალია. რაც შეეხება დანარჩენ წამყვანებს, თიკას და ჩემი პირველი შეხვედრა 6 წლის წინ, გადაცემა „მხიარულ სტარტებში“ შედგა. მაშინვე ვთქვი, ასეთი კარგი ადამიანი, როგორც ფიზიკურად, ასევე შინაგანად, იშვიათად შემხვედრია-მეთქი. ნინო ხოშტარია და მე ერთ-ერთი პირველები ვართ, ვინც „რუსთავი 2“-ში მოვედით. რაც შეეხება გვანცას, ის ძალიან უშუალოა, ჩემი შვილივითაა.

**— თქვენ, მამაკაცებმა, თუ გაიცანით ერთმანეთი კარგად?**

**დიმა**: კი, აჩიკო ძალიან კარგად გავიცანი. სხვათა შორის, ერთმანეთს შრომისმოყვარეობით ვგავართ. არც ამას ეზარება რამე და არც — მე. ეს მთელი ცხოვრება ცეკვავს, მე კი დამცინის ჩემი დაგრეხილი, მომტვრეული ფეხების გამო.

**— ჩაცმის სტილით ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებით. აჩიკოს მხიარული, ნათელი ფერების, ულტრამოდური სამოსი უყვარს, დიმა, თქვენ ნაკლებადგამორჩეული, მუქი ფერის ტანსაცმელი გირჩევნიათ.**

**დიმა**: ტანსაცმელი სანამ არ დამეხევა, არ ვყიდულობ.

**აჩიკო**: დიმას ისეთი ფერი აქვს, ყველაფერი უხდება.

**დიმა**: ხო, ზოგიერთებივით გარუჯვა არ მჭირდება. მე და აჩიკოს როცა მალაზიაში ერთად გვიწევს წასვლა, სულ მხიარულ ფერებს მირჩევს. სხვათა შორის, ბავშვობაში სულ ნათელი ფერებით ვიმოსებოდი. ყვითელი, წითელი, იასამნისფერი მეცვა.

**აჩიკო**: დიმას ნათელი ფერები მართლა ძალიან უხდება. თუ ცუდ ხასიათზეა, ყველაზე მაგარი სამოსიც რომ ჩააცვა, არ მინდაო, იტყვის და მორჩა.

**დიმა**: აჩიკოს ჩაცმა უყვარს და კარგადაც იცვამს. როგორც გითხარით, მე ტანსაცმელი სანამ არ შემომეხევა და არ გადამეფცქვნება, მანამდე არ ვყიდულობ.

**დიმა: „გადაცემაში სამი მეგრელია — დარასელია, ხოშტარია და ფაცაცია. ამ დროს თუ რაღაც არ ვთქვი, შეიძლება მთელი გადაცემა არც გამომხედონ. ერთხელ ეთერში მეოთხე მეგრელიც, ვერა ქობალია იჯდა და მე ფაქტობრივად იქ არც ვიყავი".**

ამ დილით გავიღვიძე და მივხვდი, რომ ტანსაცმელი აღარ მაქვს. თან წონაში მოვიმატე და...

**— ერთმანეთის სფეროებს რამდენად კარგად იცნობთ, ანუ თეატრსა და სპორტში როგორ ერკვევით?**

**დიმა**: აჩიკო ფეხბურთის აზრზეც არ არის.

**აჩიკო**: ამ საკითხში მამაჩემი და დიმა უგებენ ერთმანეთს. ის დიმას გულშემატკივრობს და არა — მე.

**დიმა**: მამამისი ორჯერ ვნახე და უკვე ჩემი ძმაკაცია.

**— დიმა, აჩიკოს სპექტაკლები ნანახი გაქვთ?**

**დიმა**: აჩიკო სცენაზე ნანახი არ მყავდა.

**აჩიკო**: ახლაც არ ვყავვარ. სპექტაკლებზე ძირითადად თავისი ოჯახის წევრებს უშვებს ხოლმე.

**დიმა**: როცა ბილეთებს მაძლევენ, ჩემი ოჯახი მიდის, მე — ვერა.

**აჩიკო**: როგორც დიმამ სტადიონზე ვერ მიმიტყუა, ისე მე თეატრში ვერ წავიყვანე.

**— აჩიკო ბოლოს სტადიონზე როდის იყავით?**

**აჩიკო**: დაახლოებით 4 წლის ასაკში, ნათესავმა ხელში აყვანილი წამიყვანა. ჩემით არადროს წავსულვარ.

**— დიმა, თქვენ თეატრში როდის იყავით?**

**დიმა**: 4-5 თვის წინ ვიყავი, უბრალოდ ამის სპექტაკლზე ვერ მოვხვდი. ისე, მართლა რა სირცხვილია, შენი სპექტაკლი ნანახი არ მაქვს.

**აჩიკო**: ჩემი სტადიონზე წაყვანა უფრო ძნელია, ვიდრე დიმას თეატრში მოხვედრა.

**დიმა**: იმიტომ, რომ მე უფრო მეტი მყავს ისეთი ადამიანი, ვინც თეატრში წამიყვანს, თუმცა, აჩიკო, მაინც ვთვლი, რომ ესპანეთის და საქართველოს თამაშზე უნდა წამოსულიყავი.

**— საქმეში ყოჩაღები ხართ, ოჯახს როგორ უძღვებით?**

**აჩიკო**: დიმა გადასარევიმეოჯახეა. მისგან სულ მესმის, ოჯახში ის მაქვს გასაკეთებელი, ეს მაქვს გასაკეთებელიო.

**დიმა**: მე კიდევ აჩიკოს და ნუცას წყვილზე ვგიჟდები. ორივე ძალიან მიყვარს. მათ ურთიერთობებში რაღაც მონაწილეობა მეც მაქვს მიღებული. აჩიკო აქამდე ჩვენს სიძედ მიმაჩნდა და ახლა ნუცა მიმაჩნია რძლად (აჩიკოს ცოლი „რუსთავი 2“-დან „იმედზე“ გადავიდა. ავტ.). როცა ოჯახი მყარი და ძლიერია, გარეთ ყველაფერი მოგვარდება.

**— „შუადღის“ სამზარეულოში მიღებულ ცოდნას სახლში თუ იყენებთ?**

**დიმა**: სახლში მარტო თუ ვარ, მაქსიმუმი, კვერცხი შევიწვა. თურმე ხალხს ილუზიები აქვს, რომ რაღაცეების კეთება ვიცი, არადა არაფრის აზრზე არ ვარ. შემიძლია მერიკოს რეცეპტი დავიდო და გავაკეთო, უფრო სწორად, ვცადო.

**აჩიკო**: ჩვენი გრაფიკის გადამკიდე, ძნელია, სახლში კიდევ რაღაცეები ამზადო. ჩვენი მეუღლეებიც მუშაობენ, ამიტომ, თუ თავისუფალი დრო დაგვრჩება, ერთმანეთს ვუთმობთ და არა — სამზარეულოს.

✓ ეკა ლემონჯავა



# ლაქტაციდი

*ის, რაც ყველა ქალს სჭირდება!*

**ჰიგიენა მედიცინის დარგია, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკულ ღონისძიებებს შეისწავლის. იგი ასევე დაავადებათა პროფილაქტიკის გზებს და ჯანმრთელობის შენარჩუნების მეთოდებს გულისხმობს. უფრო დაწვრილებით ამის შესახებ მედიცინის დოქტორი, ექიმი-რეპროდუქტოლოგი მაკა გეგეჭკორი გვესაუბრება.**

**რას გულისხმობს ქალის ინტიმური ჰიგიენა?**

ჰიგიენა არის გარკვეულ ღონისძიებათა ნუსხა, რომელშიც შეიძლება მოვიაზროთ დღის წესრიგი, ელემენტარული ქცევის წესები, კვების რეჟიმი და მათ შორის სისუფთავის დაცვა.

დღეს ჩვენ ინფექციების ერაში ვცხოვრობთ და ინფექციის ინიციაცია, გარდა სქესობრივი ცხოვრებისა, ჰიგიენურ თავისებურებებთანაც ასოცირდება. პირადი ჰიგიენა დასაცავია არა მხოლოდ სქესობრივად აქტიურ ადამიანებში, არამედ ბავშვებში, მოზარდებში, გვიან რეპროდუქციულ ასაკშიც.

მოზარდობის პერიოდში ჰიგიენას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, რადგან ის სისტემები, რომლებიც ორგანიზმის მიერ გამომუშავებულ დამცავ ორგანიზმებს გულისხმობს, ამ დროს ყალიბდება. ასევე ბიოლოგიურად აქტიური პერიოდია მენსტრუაცია, როცა ცვლილებებს განიცდის დამცავი სისტემები, ორსულობა, მშობიარობა და, რა თქმა უნდა, გვიანი რეპროდუქციული ასაკი და მენოპაუზა, როცა ორგანიზმი უკუგანვითარებას განიცდის და ქალი ინფექციის პირისპირ აღმოჩნდება ხოლმე.

**რატომ არის მნიშვნელოვანი ჰიგიენის დაცვა?**

ქალის ცხოვრების ბევრი მნიშვნელოვანი ეტაპი ამ სფეროს უკავშირდება. ეს არის მისი მენსტრუაციული ფუნქცია, ორსულობა, მშობიარობა და გვიანი რეპროდუქციული ასაკი. ქალის პირველი შეხება ზედაპირი ინფექციასთან ანატომიურად, ეს არის საშოს კარიბჭე, რომელიც აღჭურვილია დამცავი სისტემებით.

**შეიძლება თუ არა, არასწორმა ჰიგიენურმა პროცედურამ დააზიანოს საშოს მიკროფლორა?**

რა თქმა უნდა. ქალი უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ დაბანით და არა გამორეცხვით.

**რა შეიძლება გააკეთოს ქალმა ამ ყველაფრის თავიდან ასაცილებლად?**

ითვლება, რომ ყველაზე კარგი ხარისხის საპონიც კი ქალის გენიტალიების მტერია. ის ქმნის ისეთ გარემო პირობებს, რომელიც ხელს უწყობს მთვლემარე მიკროორგანიზმების გაღვიძებას. ამიტომაც არსებობს ინტიმური ტერიტორიების დასაბანი ძალიან მრავალფეროვანი ასორტიმენტი, რომლებიც შეიცავენ სწორედ იმ ნივთიერებებს, რაც დამცავ მექანიზმს ქმნის. ერთ-ერთი ასეთი იდეალურია ფრანგული წარმოების ლაქტაციდი.

ლაქტაციდი არის ინტიმური ტერიტორიების დასაბანი საშუალება, რომელიც შეიცავს რძის ექსტრაქტებს და ჩვეულებრივი საპნისაგან განსხვავებით ინარჩუნებს ბუნებრივ ინტიმურ ბალანსსა და უზრუნველყოფს არამხოლოდ სისუფთავეს, არამედ დაცვას გაღიზიანებისა და უსიამოვნო სუნისაგან. ლაქტაციდი დამზადებულია რძის მჟავასა და რძის შრატისგან, რომელსაც შეიცავს ქალის ორგანიზმი, ამიტომ, ფაქტობრივად, ბუნებრივ დასაბან საშუალებას მოვიხმართ.

**როგორ უნდა მოვიხმაროთ ლაქტაციდი?**

ლაქტაციდი არ არის წამალი, რომელსაც მოხმარების წესები და დოზები აქვს. შეგვიძლია გამოვიყენოთ იმდენჯერ, რამდენჯერაც დაგვჭირდება. მოზარდობის პერიოდში, როცა საოფლე ჯირკვლები გაძლიერებულად მუშაობს, შესაძლებელია სხეულის სხვა ტერიტორიებზე მოხმარებაც. ასევე რეკომენდებულია კაცებისთვის გარეთა სასქესო ორგანოების დასაბანად.





GE.LAC.13.02.01

SANOFI

სანოფი-ავენტისის წარმომადგენლობა საქართველოში

მის.: მეტეხის ქ. N 22 ტელ.: 227 36 91 ფაქსი: 277 16 02

# იუნა შაფათავა: „ქართველ ცოლებს დიდი საფრთხე ვგონივარ“



ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ ეთერში სკანდალური იუნა შაფათავა გამოჩნდა. 38 წლის ქერა, მაცდური გარეგნობის იუნა პირველად ორი წლის წინ კომედიურ-ეროტიკულ ფილმ „მამაჩემის გერლფრენდში“ ნახა მაყურებელმა. მას ეკრანზე არც გახდა გასჭირვებია და არც ინტიმური სცენების თამაში. მას შემდეგ იუნა სკანდალურ ქალთან ასოცირდება. „მეცხრე არხზე“ ის შუადღის გადაცემაში კვირაში ერთხელ საკუთარ ბლოკს წაიყვანს და ადამიანების საინტერესო პორტრეტებს შექმნის. მანამდე კი იუნას პორტრეტს ყოველგვარი „მაკიაჟის“ გარეშე „სარკე“ გთავაზობთ.

იუნა სამი დიდან ერთ-ერთია. მისი ტყუპისცალი, დეა, ამჟამად პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილის ბიზნესასისტენტად მუშაობს. უმცროსი და, სოფო შაფათავა, საქართველოს ნაკრების ჩოგბურთელია. იუნას ნამდვილი გვარი მაკაროვაა. როცა მისი ბაბუა გადაასახლეს, ბებიამ შვილები თავის გვარზე, შაფათავაზე გადაიყვანა. დედის მხრიდან კი მისი გენეტიკა უფრო მრავალფეროვანია. მასში უკრაინელის, სომეხისა და პოლონელის სისხლიც ჩქეფს.

მისი გზა ეკრანამდე რთული და დრამატულია. ერთი პერიოდი დიპლომატიურ სფეროში მუშაობდა. იქ შექმნილი გარკვეული ვითარების გამო წამოვიდა. 23 წლის იყო, როცა გათხოვდა, მაგრამ ცოლქმრული თანაცხოვრება ძალადობით იყო სავსე. მას შემდეგ არავინ ჰყვარებია. როგორც თავად ამბობს, ეძებს სიყვარულს, მაგრამ პოულობს მხოლოდ ვნებას და მამაკაცების ფუტლიარებს. იუნას სურს, დაამსხვრიოს სტერეოტიპი და ყველას დაუმტკიცოს, რომ სექსუალური გარეგნობის მიღმა ძალიან საინტერესო და მრავალფეროვანი ქალია. სხვათა შორის, ახალგამომცხვარი ტელესახე რომანებსაც წერს. მისი პირველი რომანი წლების წინ პირველად „სარკეში“ დაიბეჭდა.

## „ქმართან ჩხუბის შედეგი სხეულზე მაქვს — იარა ფეხზე"

**იუნა შაფათავა:**

— ზუსტად 11 წლის წინ პირველად დავწერე რომანი „მომენატრები“, ჟურნალ „სარკეში“ მოვიტანე და, ჩემდა გასაკვირად, გამოქვეყნდა, ოღონდ სახელშეცვლილი — „თეთრი ვარდები უკანასკნელად“. ეს იყო ჩემი პირველი დიდი წარმატება. თვალებს არ ვუჯერებდი, რომ ჩემი რომანი ნომერ პირველ ჟურნალში დაიბეჭდა! ყველას ეგონა, რომ ავტობიოგრაფიული იყო, ალბათ იმიტომ, რომ მთავარი გმირი რუს-ქართველი გოგო იყო. მაშინ დიპლომატიურ სამსახურში ვიყავი და ამ რომანის წაკითხვისას ჩემი თანამშრომელი მამაკაცებიც კი ტიროდნენ. ამის შემდეგ წერა გავაგრძელე, ძირითადად — სასიყვარულო ისტორიებზე.

**„ეს იყო ჩემი პირველი დიდი წარმატება. თვალებს არ ვუჯერებდი, რომ ჩემი რომანი ნომერ პირველ ჟურნალში დაიბეჭდა!".**

**— მაყურებელმა კი პირველად ფილმში „მამაჩემის გერლფრენდი“ გნახათ და მაშინვე სკანდალურობის იარლიყიც „დაიმსახურეთ“.**

— სკანდალისთვის არასდროს მიმუშავია, ყოველთვის იმას ვლაპარაკობ, რასაც ვფიქრობ, ვცხოვრობ ისე, როგორც საჭიროდ ვთვლი და არავის ვაძლევ მითითებებს, თუ როგორ იცხოვროს. ყველაზე მეტად ის მაღიზიანებს, როცა ტოქ შოუებში ისეთი ადამიანები დასხდებიან და მორალს წაგიკითხავენ, რომლებსაც ამის უფლება არ აქვთ. ძალიან კარგად ვიცი, თბილისში ვინ როგორ ცხოვრობს. ეკრანზე კი ხალხს ისე აჩვენებენ თავს, თითქოს ანგელოზები იყვნენ. მე ძალიან ტრადიციული ოჯახიდან მოვდივარ. მსახიობობა ყოველთვის მინდოდა, მაგრამ ოჯახმა ამის უფლება არ მომცა. დედაჩემს არ სურდა, რომელიმე შვილი საჯარო და პოპულარული პერსონა ყოფილიყო. ამიტომ მე და ჩემი ტყუპისცალი და, დეა, დიპლომატიურ სამსახურში წავედით.

**„ცოლიანი მამაკაცი ჩემთვის მკვდარი კაცია. უნდა ვაღიარო, რომ მქონია რომანი ცოლიან მამაკაცთან, მაგრამ ვნანობ. ამას მეორედ აღარ გავაკეთებ".**

**— მართალია, რომ დიპლომატიურ სამსახურში გარკვეული ჯაშუშური სამუშაოს შესრულება გევალებოდათ?**

— დიპლომატიას თავისი წყალქვეშა დინებები აქვს. როდესაც ამ სფეროში მუშაობ, იძულებული ხარ, ბევრი ისეთი რამ გააკეთო, რაც შენს პიროვნებას ეწინააღმდეგება. მე და ჩემი და ვიყავით ახალგაზრდები, გამომწვევები და მიმზიდველები, ამიტომ ჩვენი გადაბირება ბევრ სპეცსამსახურს უნდოდა. საბედნიეროდ, ეს ნაბიჯი არც ერთმა გადავდგით და პატრიოტებად დავრჩით. ჩემგან ქალი აგენტი ვერ შედგა, არადა ყველა გიჟდებოდა, რადგან ქართულად, რუსულად და ინგლისურად თავისუფლად ვსაუბრობ, ფრანგული და სომხური ენებიც ვიცი. ჩემნაირი კოსმოპოლიტური გარეგნობის ადამიანებზე სპეცსამსახურები ნადირობენ, მაგრამ მე ამაზე არ წავედი.

დიპლომატიურ სამსახურში, ბუღალტერიის გარდა, ყველა განყოფილება მოვიარე, რადგან რიცხვებს და ფულის თვლას ვერ ვიტან. ბოლოს საერთაშორისო საპროტოკოლო განყოფილებაში ვმუშაობდი. აგენტების ბედი საბოლოოდ ყოველთვის ტყვიაა შუბლში. საბედნიეროდ, მე და ჩემს დას თავის დროზე კარგად აგვიხილეს თვალი ამ სფეროზე და აგენტობის ხაზით ამიტომაც არ წავედით. ერთი ამბავი გამახსენდა: ერთ-ერთი საკონსულოდან ძალიან მაღალი თანამდებობის პირი დაჟინებით მოითხოვდა ჩემთან შეხვედრას. მე კი ასევე დაჟინებით უარს ვეუბნებოდი, რადგან პაემნები არ მაინტერესებდა. წლების შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ ის მამაკაცი ძალიან სერიოზული აგენტი იყო. მე ინტუიციით მივხვდი, რომ მას არ უნდა შევხვედროდი, არადა


ყელი გტკივა? გაშინებს?
ჩვენ გიშველით მაშინვე!!!

საწუწნი ტაბლეტები
**ჰექსალიზი**
ბიკლოთიმოლი, ლიზოციმი, ენოქსოლონი



№რ 004727

აეროზოლი ადგილობრივი გამოყენებისთვის
**ჰექსასპრეი**
ბიკლოთიმოლი



№რ 004728

პირის ღრუს, ხახის, ხორხის ინფექციურ-ანთებითი დაავადებები (*მწვავე და ქრონიკული ფარინგიტი, ფარინგოლარინგიტი, ტონზილიტი, სტომატიტი, გინგივიტი, პაროდონტიტი, ტონზილექტომიის შემდგომი პერიოდი, გლოსიტი*).

- მოზრდილებში 1 ტაბლეტი ყოველ 2 საათში. მაქსიმალური დღიური დოზა 8 ტაბლეტი. ბავშვებში 6 წლის ზევით 1 ტაბლეტი ყოველ 4 საათში. მკურნალობის კურსი არ უნდა აღემატებოდეს 10 დღეს.

- 6 წლის ასაკიდან 2 შესხურება 3-ჯერ დღეში კვებისგან დამოუკიდებლად. მკურნალობის კურსი არ უნდა აღემატებოდეს 10 დღეს.
- შესაძლებელია გამოყენება ორსულობისა და ძუძუთი კვების დროს.

**გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.**

**იკითხეთ “ჯი პი სი”-ს აფთიაქებში**

BOUCHARA RECORDATI

მწარმოებელი: ლაბორატორია “ბუშარა რეკორდატი” (საფრანგეთი), “ფიკ მედიკალი”-ს წარმომადგენლობა საქართველოში. ტელ/ფაქსი: 995 (32) 255 20 59. E-mail: ficmedical_georgia@yahoo.com www.ficmedical.ru

ისეთი სიმპათიური იყო, თავისი გარეგნობით თბილისში პირველი თუ არა, მეორე მაინც იქნებოდა.

**სკანდალური იმიჯი**

**— დიპლომატ მამაკაცებს შორის ალბათ ბევრი თაყვანისმცემელი გყავდათ.**

— დიპლომატი კაცები არიან ერუდირებული, აქვთ გლობალური აზროვნება, იციან ბევრი ენა, ბევრს მოგზაურობენ, ქალებთან ურთიერთობაში ძალიან დახვეწილები არიან. მიუხედავად ამდენი ღირსებისა, დიპლომატი კაცის გვერდით ცხოვრებაზე არასოდეს მიოცნებია, რადგან, პროფესიიდან გამომდინარე, მათ ხშირად უწევთ შინაგან პრინციპებზე უარის თქმა.

მხოლოდ ერთხელ მქონდა ძალიან მაღალი რანგის დიპლომატთან სასიყვარულო ურთიერთობა. ის დღეს საქართველოში აღარ არის და რომ დარჩენილიყო, ალბათ მისი ცოლი ვიქნებოდი. რამდენიმე ხანი ვიყავით ერთად და შემდეგ ის უკან გაიწვიეს. ყოველგვარი გულისტკენის გარეშე გავშორდით ერთმანეთს. მივხვდი, რომ უცხოელ მამაკაცთან სიყვარული არასოდეს გამომივა. შეიძლება ბევრი თვლიდეს, რომ ჩემში ძალიან ცოტა რამ არის ქართული, მაგრამ თავიდან ფეხებამდე ქართველი აზიატი ვარ.

**— სიყვარულში იმედგაცრუებული ხართ?**

— ყოველთვის ისინი მიყვარდა, ვინც ამას არ იმსახურებდნენ. ადამიანში რაღაცას მოვძებნი და ჯიუტად მიყვარს. ძალიან უცნაური და მძიმე ხასიათი მაქვს. შეიძლება მამაკაცი ჩემ გვერდით იდეალური იყოს, მაგრამ თუ მეზობელთან გააკეთებს ისეთ რამეს, რაც არ მომეწონება ან თუნდაც ძაღლს მოექცევა უხეშად, შეიძლება მის მიმართ სიყვარული მაშინვე გამიქრეს.

**— ოჯახიც ამის გამო დაგენგრათ?**

— 23 წლის ვიყავი და ჩემს სამსახურში ყველას გაუკვირდა, რომ ცოლად არა — დიპლომატს, არამედ მოკრივეს გავყევი. ის იყო ჩემი პირველი მამაკაცი და ერთადერთი ნამდვილი სიყვარული. ყველაფერი გააკეთა, სანამ თავი არ შემაყვარა. ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ მთელი ცხოვრება ჩემ გვერდით არ იქნებოდა. მთლიანობაში 8 წელი ვიყავით ერთად. პირველივე ეტაპზე

**„ყველაზე მეტად ის მაღიზიანებს, როცა ტოქ შოუებში ისეთი ადამიანები დასხდებიან და მორალს წაგიკითხავენ, რომლებსაც ამის უფლება არ აქვთ. ძალიან კარგად ვიცი, თბილისში ვინ როგორ ცხოვრობს. ეკრანზე კი ხალხს ისე აჩვენებენ თავს, თითქოს ანგელოზები იყვნენ".**

პრობლემები იყო, მაგრამ ძალიან გამოუცდელი ვიყავი და სულ კომპრომისებზე მივდიოდი. ჩვენი უთანხმოების ძირითადი მიზეზი გარშემომყოფთა დამოკიდებულება იყო. ჩემი ქმრის ოჯახისთვის ბოლომდე დავრჩი, როგორც რუსი რძალი, არ მოსწონდათ ჩემი გრაფიკი, რომ დილის 10 საათიდან ხანდახან ღამის 12 საათამდე მიწევდა მუშაობა. ყველას უნდოდა, რომ ვყოფილიყავი სახლში ჩაკეტილი კატა და სამზარეულოში მებზრიალა. როგორც ჩანს, ჩემმა ქმარმა სამეზობლოს ამდენ ლაპარაკს ვერ გაუძლო. ჩვენი სიყვარული ნელ-ნელა გაუსაძლის ურთიერთობაში გადაიზარდა. მისი მხრიდან იყო ფიზიკური ძალადობაც...

დაშორების შემდეგაც კი მპატრონობდა, ძალიან კარგ მეგობრობას მიწევდა. დღეს ციხეშია და ამიტომ ვერ ახერხებს იყოს ჩემ გვერდით, თუნდაც — სულიერად.

**— ქმარს აპატიეთ, როცა მან თქვენზე ხელი ასწია?**

— კი, ამის შემდეგაც დიდხანს ვცხოვრობდი მის გვერდით. უნდა ვაღიარო, რომ ჩემი პირველი და ერთადერთი ქმარი, მიუხედავად ყველაფრისა, ძალიან მიყვარს. მასთან ჩხუბის შედეგი სხეულზე მაქვს — იარა ფეხზე. სარკეს მიმაჯახა და ნატეხებმა ფეხი გადამიჭრა. არტერია დამიზიანდა და ლამის სისხლისგან დავიცალე.

ძალიან აქტიურად ვარ ჩართული, რომ ჩვენს ქვეყანაში ძალადობა არ იყოს. თუ ამას პირად ურთიერთობებში ვერ ვახერხებთ, მაშინ საჯაროდ შეურაცხყოფა მაინც უნდა აიკრძალოს. მაგალითად, თუ ვინმე საჯაროდ ჩემზე იტყვის, რომ ვარ გათახსირებული ქალი, მან კანონის წინაშე პასუხი უნდა აგოს. ეს სურვილი განსაკუთრებით მას შემდეგ გამიმძაფრდა, რაც ჩემი უმცროსი დაიკოს მიმართაც გაჩნდა შეურაცხმყოფელი ტექსტები. სოფო მთელ დღეებს ვარჯიშში ატარებს, თავს არ ზოგავს, რომ ჩოგბურთის ეროვნულ ნაკრებში კარგი შედეგები აჩვენოს, საქართველო ასახელოს და მასზე საშინელებებს წერენ. სოციალურ ქსელში მუდმივად შეურაცხყოფას აყენებენ.

**— ქმართან დაშორების შემდეგ სერიოზული სიყვარული აღარ გწვევიათ?**

— სიყვარული არ ყოფილა, გატაცებები — კი. ურთიერთობები ყოფილა მხოლოდ ვნებაზე აგებული, ვნება კი მალე ქრება. ჩემი ქმრის შემდეგ არც ერთ მამაკაცთან ერთ ჭერქვეშ არ მიცხოვრია.

**— ცოლიან მამაკაცთან რომანი გქონიათ?**

— ცოლიანი მამაკაცი ჩემთვის მკვდარი კაცია. მეც ვიყავი ოდესღაც ცოლი და არ მინდა, ვინმეს ოჯახის დანგრევის მიზეზი გავხდე. უნდა ვაღიარო, რომ მქონია რომანი ცოლიან მამაკაცთან, მაგრამ ვნანობ. ამას მეორედ აღარ გავაკეთებ. მას შემდეგ ცოლიან მამაკაცებთან ყველაზე დიდი დისტანცია მაქვს. რა-

→44



გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.
მწარმოებელი: Bayer Consumer Care AG (Switzerland)

ტომლაც ქართველი ცოლები ჩემში ყოველთვის დიდ საფრთხეს ხედავენ, ქორწილებში არასდროს მეპატიჟებიან. სულ ორ-სამ ქორწილში ვარ ნამყოფი. შემდეგ თავადაც უარს ვამბობდი, რადგან რამდენჯერაც ვიყავი, იმდენჯერ პრობლემა წარმოიქმნა.

**— ამბობენ, რომ ხშირი რომანები თქვენთვის უცხო არ არის.**

— გააჩნია, ვინ რას ეძახის რომანს. შეიძლება მამაკაცთან ვიჯდე კაფეში, ვსვამდე ჩაის და არაფერი ხდებოდეს, ჩემ გვერდით კი იყოს წყვილი, რომელსაც ნამდვილი რომანი აქვთ გაჩაღებული, მაგრამ ამ დროს მაინც ყველა ჩემზე ილაპარაკებს. ჩემს რომანებზე საუბარი გადამეტებულია. კი, ვაღიარებ, რომ მქონია ხანგრძლივი და ხანმოკლე რომანები, მაგრამ არა — იმ სიხშირით, როგორც ბევრს ამ ქალაქში. ქალი ნებისმიერ მამაკაცში ეძებს ცხოვრების თანამგზავრს, მე კი ურთიერთობების ფსიქოლოგია უფრო მაინტერესებს და არა — ფიზიკა. მამაკაცთან ერთჯერადი ურთიერთობა ჩემთვის იგივეა, რაც კონცერტზე ან თეატრში კარგ სპექტაკლზე წასვლა. მამაკაცს სანამ ახლოს არ მოუშვებ, მანამდე ვერ მიხვდები, რა ტიპაჟია. ხშირად მაგარი კაციდან ხელში ფუტლიარი შემრჩენია, ამ დროს, რა თქმა უნდა, იქვე ვამთავრებ ყველაფერს. ვიტყვი ხოლმე, კარგი სპექტაკლი იყო და მორჩა.



**„მე სტერეოტიპული ტიპაჟი ვარ, რომელიც გარყვნილ ქალთან ასოცირდება და ქვა უნდა ესროლონ. დაე, ვიყო მათთვის ასეთი, მაგრამ ვიღაცისთვის ვიქნები თავისუფალი აზროვნების სიმბოლო".**

ერთხელ საფრანგეთის მატარებელში არაჩვეულებრივი შავკანიანი მამაკაცი გავიცანი. მეგობრებად დავშორდით, არანაირი სექსი არ გვქონია, მაგრამ დღემდე მახსოვს პარიზი, მონპელიეს გზა. ის გიტარაზე უკრავდა, მე ვმღეროდი...

**— რა ტიპის მამაკაცები ირევიან თქვენ გარშემო?**

— რატომღაც ყველაზე მეტად 10-15 წლით უმცროს მამაკაცებს მოვწონვარ. ვთვლი, რომ კაცებად იბადებიან და ასაკს არ აქვს მნიშვნელობა. ზოგი 50 წლის კაცი უფრო ბავშვია, ვიდრე 25 წლის ბიჭი. მე კი ყოველთვის მამაკაცები მაინტერესებს და არა — ბავშვები.

**— მახსენდება თქვენი ერთ-ერთი ინტერვიუ, სადაც ამბობდით, რომ ბისექსუალი ხართ.**

— მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ლამაზი ქალი ყველასთვის მოსაწონია. ქალი მაინტერესებს, როგორც ესთეტიკური სილამაზე, სექსუალური კუთხით კი ნატურალური ვარ. ვიცი, ჩემზე არასდროს იტყვიან, რომ ვარ სათნო. მე სტერეოტიპული ტიპაჟი ვარ, რომელიც გარყვნილ ქალთან ასოცირდება და ქვა უნდა ესროლონ. დაე, ვიყო მათთვის ასეთი, მაგრამ ვიღაცისთვის ვიქნები თავისუფალი აზროვნების სიმბოლო. მირჩევნია, ვიყო რთული ტექსტი, ძნელად გასაშიფრი, ვიდრე მარტივად მისართმევი მარწყვი. სულ არ მანაღვლებს, ვინ რას იფიქრებს ჩემზე, ვიყო ვიღაცისთვის ბისექსუალი, ვიღაცისათვის გათახსირებული. მთავარია, მე როგორი ვარ და ადამიანების გარკვეული წრე ამას ხედავს.

**— როგორ ოჯახში გაიზარდეთ? თქვენს მშობლებზე მოგვიყევით.**

— მამაჩემი სკოლის დირექტორი იყო. როცა ქვეყანა აირია, საცხოვრებლად მოსკოვში წავედით. იქ ბიზნესის აწყობის იმედი ჰქონდა, მაგრამ ინტელიგენტმა კაცმა ამ სფეროში ვერაფერი მოახერხა. თბილისში ყველანაირი ქონების გარეშე ჩამოვედით, აქ სახლიც კი არ გვქონდა. ცოტა ფული შევაგროვეთ და პატარა სახლი ვიყიდეთ ვარკეთილში. მამისგან განებივრებული გოგოები გასული საუკუნის 90-იანი წლების თბილისში, ჩაბნელებულ ვარკეთილში აღმოვჩნდით. როგორც კი ქუჩაში გამოვდიოდით, მთელი ვარკეთილი ჩვენზე იწყებდა ლაპარაკს, ნაცრისფერ ქალაქში ყვითელი თმით, წითელი პომადითა და სექსუალური სამოსით დავდიოდით. დღეს რომ ვფიქრობ, ვერ ვხვდები, იმ წლებში მე და ჩემი და როგორ გადავურჩით სექსუალურ ძალადობას. ალბათ იმან გვიშველა, რომ ქუჩაში ბიჭებს არასოდეს ველაპარაკებოდით.

დედა ძალიან ლამაზი ქალია. წითელი ფეხსაცმელი ეცვა, წითელი ტუჩსაცხი ესვა, წითელი ჩანთა ეჭირა და ქერა თმა ჰქონდა. ერთხელ გაჩერებაზე რომ იდგა, მანქანა გაჩერდა და ჩატენეს. 44 წლის ქალი მოიტაცეს. როგორც გაირკვა, ჩვენ, ტყუპებიდან ერთ-ერთი ვეგონეთ. მანქანაში კიოდა, ქმარი და სამი შვილი მყავსო. კარგად რომ დააკვირდნენ და მიხვდნენ, შეეშალათ, ავტომობილიდან გადმოაგდეს.

პლეხანოველი ბიჭები ახლაც მწერენ, დავიბრალებთ, რომ შენი საყვარელი ვიყავითო. ვპასუხობ, კი ბატონო, დაიბრალე, თუ ეს ბედნიერს გაგხდის-მეთქი.

✓ ავთო ჩიტიძე



# სად გრძნობენ თავს უსასრულო ზღაპარში ავთანდილ ცქვიტინიძე და მისი ცოლ-შვილი

## „პარიზში რომ ჩავდივარ, მეგობრები მეხუმრებიან, უკვე სახლში ხარო“



დიზაინერ ავთანდილ ცქვიტინიძის ცხოვრებაში ბოლო პერიოდში იმატა სხვადასხვა ქვეყნიდან შეთავაზებებმა და შესაბამისად მოგზაურობებმა. თუ მოახერხა და ოჯახიც თან გაიყოლა, უბედნიერესია. მისთვის უსაყვარლესი ქალაქები, როგორც ჭეშმარიტ დიზაინერს შეეფერება, პარიზი და რომია, რომელთა ქუჩებში სიარულით, უფრო სწორად „ბოდიალით“ — როგორც თავად ამბობს, არასოდეს იღლება. აინტერესებს მისთვის ნაცნობი ქვეყნებიდან სრულიად განსხვავებული სამყაროები — იაპონია და აფრიკა და ოდესმე ალბათ იქაც ამოყოფს თავს.

— **ავთანდილ, ცნობილია, რომ, თქვენი საქმიანობიდან გამომდინარე, ხშირად მოგზაურობთ. ბოლოს სად იყავით?**

— ქვეყნიდან გასვლა ცხოვრების რეჟიმად მექცა. საზღვარგარეთ ძირითადად საქმიანი შეხვედრებისა და ევროპის ბაზარზე თავის დამკვიდრების პროცესია. პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან ურთიერთობები, სხვადასხვა ქვეყნების ჩემი კოლექციით დაინტერესება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ჩემს ნამუშევრებს მხოლოდ ინტერნეტსივრცე არ ჰყოფნის.

ახლახან დავბრუნდი მილანიდან. იქ ჩვენ გვყავს პარტნიორი „ბუტიკი 30“. საკმაოდ კონცეპტუალური მაღაზიაა, სადაც ნინა რიჩის, ჟივანშისა და სხვა სერიოზული კოლექციები იყიდება. ამ ბუტიკში ჩემი ვიტრინა უკვე გააკეთეს, სადაც გაზაფხული-ზაფხულის კოლექცია შევიდა. ეს ყველაფერი კი გრანდიოზული წვეულებით აღვნიშნეთ. სანამ მილანში წავიდოდი, პარიზში 2013-2014 წლის შემოდგომა-ზამთრის ახალი კოლექცია წარმოვადგინე და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან შეკვეთებიც მივიღეთ. ჩემს ბაზას კუვეიტი და დუბაიც შეემატა, რაც ჩემთვის კიდევ ერთი პლუსია. ჩინეთი უმაღლესი კლასის ბრენდების მაღაზიების გრანდიოზულ ქსელს აკეთებს. იქიდანაც უკვე მივიღეთ შემოთავაზება და საკმაოდ სერიოზული ნაწილიც შეგვიკვეთეს. ვნახოთ, როგორ აეწყობა ეს ურთიერთობა. 4 წელია, რაც ჩინეთში არ ვყოფილვარ და ახლა უნდა ჩავიდე, რომ ყველაფერს ადგილზე გავეცნო.

— **მოგზაურობა ძირითადად მარტოს გიწევთ?**

— საქმიან მოლაპარაკებებზე ძირითადად მარტო ან ცოლთან (ხათუნა თოთლაძე. ავტ.) ერთად დავდივარ. უცხო ენა კი ვიცი, მაგრამ თუ მეტად სერიოზულ მოლაპარაკებაზე მივდივარ, აუცილებლად ხათუნაც მიმყავს, რადგან უცხო ენები ძალიან კარგად იცის.

— **ოჯახთან ერთად დასვენებას რამდენად ახერხებთ?**

— ასეთი დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, მე, ანასტასია (შვილი. ავტ.) და ხათუნა ვახერხებთ, აქაურობას რამდენიმე დღით მაინც მოვწყდეთ და პერიოდულად ხან მხოლოდ ჩვენ ვიმოგზაუროთ, ხან მეგობრებთან ერთადაც. ანასტასიასაც არანაკლებ გადატვირთული გრაფიკი აქვს, ამიტომ მისთვის ჩვენთან ერთად დასვენება ძალიან მნიშვნელოვანია. წინასწარ ვგეგმავთ, არდადეგები როგორ გამოვიყენოთ.

შარშან მეგობრებთან ერთად დუბაიში წავედი. ზამთარში ზაფხულის კურორტზე პირველად ვიყავით და ძალიან ვისიამოვნეთ. დუბაისთან ადრე საქმიანი ურთიერთობა მქონდა, დასვენებას 3-4 დღე თუ ვახერხებდი, ახლა კი თითქოს თავიდან აღმოვაჩინე. აზიისა და ევროპის კულტურის შერწყმა



■ ხათუნა და ანასტასია რომში

„ანასტასიას თავისი სია აქვს, ვისთვის რა უნდა ჩამოიტანოს. იმდენ რაღაცას ყიდულობს, აღარ ვიცით, ამდენი „ჯინჯილები" სად წავიღოთ".

იქ ხშირად ჩასვლის სურვილს გიჩენს. ჩემი ანასტასია და ხათუნა ჟორდანიას შვილი ანასტასია მეგობრობენ და დუბაიში ერთად დასვენებით ძალიან ისიამოვნეს. მომავალ ზაფხულსაც იქ წავალ. ანასტასიას დუბაი ძალიან მოეწონა, მაგრამ დასვენება ყველაზე მეტად თურქეთში უყვარს. ალპებში სრიალიც დიდ სიამოვნებას ანიჭებს.

— **დასვენებასთან ერთად „კულტურული პროგრამებიც“ თუ გაქვთ, მაგალითად, ღირსშესანიშნაობების დათვალიერება?**

— უცხო ქვეყნების დათვალიერება თავის დროზე მოვითავე. რომში, პარიზსა და მილანში ყველა ღირსშესანიშნაობა ნანახი მაქვს. თუ თავისუფალი დღე გვაქვს, რა თქმა უნდა, ხელახლა ვათვალიერებთ, მით უმეტეს, თუ ანასტასია რომელიმე ქვეყანაში პირველად არის. ცოტა ვღლით ხოლმე, მაგრამ მაინც. მასზე ყველაფერი პირველი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. მისთვის ლონდონიც, პარიზიც და რომიც განსაკუთრებულია და ინფორმაციასაც მაქსიმალურად ვაწვდით. პარიზი განსაკუთრებულად მიყვარს. იქ რომ ჩავდივარ, მეგობრები მეხუმრებიან, უკვე სახლში ხარო.

— **ანუ პარიზის ხშირი სტუმარი ხართ?**

— დიახ. სასტუმრო „კოსტი“ ავირჩიე, რადგან ძალიან მიყვარს. იქ მოდის კვირეულების დროს ჩავდივარ, როცა ყველა განსაკუთრებულად ემზადება. ამ პერიოდში პარიზში ყოფნა ძალიან საინტერესოა, რადგან მუდმივად საოცარ

„მე, ხათუნასა და ანასტასიას რომში უსასრულო სიარული გვიყვარს, არასოდეს ვიღლებით. შეგრძნებაა, რომ ზღაპარში ხარ, რომელიც არასოდეს დამთავრდება, რადგან ყველა კუთხე-კუნჭული და ნიუანსი ისტორიული, საოცარი და დასამახსოვრებელია, ყველგან დიდი ემოცია დევს".

ადამიანებს ხვდები და მათთან რაღაც ურთიერთობა გაქვს. იქ „ტუსოვკებიც“ რაღაც განსაკუთრებულია.

— **გასართობად სად დადიხართ ხოლმე?**

— კლუბების მოყვარული არ ვარ, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ საზღვარგარეთ ამის გარეშე ვარ. სადაც მეგობრები წავლენ, მეც იქ დავდივარ. რესტორნებში ხშირად შევდივართ. პარიზში ძალიან რთულია, რესტორანში პირდაპირ შეხვიდე და დაჯდე, ამიტომ წინასწარ ვჯავშნით. გურმანი ვარ, მიყვარს გემრიელად ჭამა, ოღონდ ზომიერად.

— **რომელი ქვეყნის სამზარეულო მოგწონთ ყველაზე მეტად?**

— როგორც გითხარით, ჭამა ძალიან მიყვარს, ეს ჩემი დიდი მინუსია, რის გამოც მუდმივად წონის კონტროლი მიწევს. ყველა ქვეყნის კერძებს გეახლებით. ბაყაყიც მიჭამია და გველიც. სიმართლე გითხრათ, ჭიანჭველა არ გამისინჯავს, მაგრამ შეიძლება არც ამაზე ვთქვა უარი.

— **ყველაზე დასამახსოვრებელი, გამორჩეული მოგზაურობა რომელი** →46



Cyan Magenta Yellow Black

**იყო?**

— მეგობრებთან ერთად მოგზაურობა ყოველთვის შთამბეჭდავია. რამდენიმე წლის წინ მე, ხათუნა, ლელა წურწუმია, მამულიჩა, მაია დარსმელიძე და სტეფანე პარიზში წავედით. ეს მოგზაურობა ყველას განსაკუთრებულად დაგვამახსოვრდა. ერთობლივი მოგზაურობის დროს წინასწარ ვიგებთ, სად არის კარგი საბოდიალო ადგილები და კვების ობიექტები. როცა ერთად ვართ, ყველაფრით ვერთობით, რადგან, როცა პოზიტივია, სულ ერთია, ეიფელის კოშკზე ახვალ და იქ იცინებ თუ სასტუმროს წინ დადგები და იქ გაერთობი.

— **თქვენთვის ყველაზე კარგი „საბოდიალო“ ქალაქი რომელია?**

— რომი საოცრებაა! მე, ხათუნასა და ანასტასიას რომში უსასრულოდ სიარული გვიყვარს, არასოდეს ვიღლებით. შეგრძნებაა, რომ ზღაპარში ხარ, რომელიც არასოდეს დამთავრდება, რადგან ყველა კუთხე-კუნჭული და ნიუანსი ისტორიული, საოცარი და დასამახსოვრებელია, ყველგან დიდი ემოცია დევს.

მე და ჩემი ცოლი არც პრაღაში ბოდიალით დავღლილვართ. პირველად იქ მე და ხათუნა მოდის კვირეულზე ჩავედით. ამ ქალაქის სილამაზემ გამაოგნა! ადამიანმა თავი კარგად რომ იგრძნოს, ყველანაირი კომფორტია შექმნილი.

სასიამოვნოა, როცა საზღვარგარეთ საქმიანი ვიზიტით არ ხარ. ყველა მეუბნება, შენ რა გენაღვლება, სულ საზღვარგარეთ ხარო, მაგრამ ამ ბოდიალში ბევრს ვმუშაობ და აქ რომ ჩამოვდივარ, ვაგრძელებ. რა თქმა უნდა, ეს ძალიან დამღლელი პროცესია.

— **უცხო ადგილებში გზის გაკვლევა არ გიჭირთ?**

— არა და არც არასდროს დავკარგულვართ, რადგან რუკა ყოველთვის თან გვაქვს. ძალიან გვიყვარს ფეხით სიარული და იმ ქალაქის შეგრძნება, სადაც ვართ. რუკა ტუსიასაც (ანასტასია. ავტ.) უჭირავს ხოლმე და ამოწმებს, ნამდვილად სწორად მივდივართ თუ არა სასურველ ადგილას.

— **ბუნებრივია, საზღვარგარეთ საყიდლებზეც ივლით. ხომ გაინტერესებთ, პროფესიული თვალსაზრისით მაინც, ადგილობრივ მაღაზიებში რა იყიდება?**

— გადამკვდარი შოპოგოლიკები არ ვართ. რაღაცეებს კი ვყიდულობთ ხოლმე,



ლონდონში

„ალბათ ესეც დამჭირდება და ამასაც წავიღებ" — არ მჭირს. როცა დიზაინერი ხარ, იცი, რასთან რა შეახამო და მაქსიმალურად ცოტა ბარგით შეგიძლია შენი გარდერობის გადანაწილება".

მაგრამ სპეციალურად არც საყიდლებზე დავდივართ და პირველ ადგილზე შოპინგი არ დგას. ვისვენებდე და კიდევ სამოსს ვუყურებდე, ძალიან რთულია. სიამოვნებას ურთიერთობებით ვიღებ. საზღვარგარეთ ძირითადად სუვენირებს ვყიდულობთ. ანასტასიას თავისი სია აქვს, ვისთვის რა უნდა ჩამოიტანოს. ნაციონალურ სუვენირებზე, საკიდებზე, ჭიქებზე, მაისურებზე გიჟდება. იმდენ რაღაცას ყიდულობს, აღარ ვიცით, ამდენი „ჯინჯილები“ სად წავიღოთ. ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, ტუსიას რომ ვუყურებ, ვისთვის რას და როგორ არჩევს.

— **ყველაზე გემოვნებიანად ჩაცმული ქალები სად ნახეთ?**

— პარიზში. მინდა, გითხრათ, რომ ზოგადად ფრანგი ქალები კი არა, პარიზელი ქალები არიან ძალიან ლამაზები.

— **სამოგზაურო სამზადისის დროს უმთავრესი რა არის თქვენთვის?**

— ამ დროს ინტერნეტი ძალიან მნიშვნელოვანია და მაქსიმალურ ინფორმაციას ვიღებ, ან იმ მეგობრებს ვუკავშირდები, რომლებიც ბოლო დროს იმ ქვეყანაში იყვნენ, სადაც გამგზავრებას ვაპირებ. ინტერნეტის რჩევა სხვაა და ჩემთვის მნიშვნელოვანი ადამიანების რჩევა — სულ სხვა. რაც შეეხება ჩალაგებას, ყოველთვის საჭირო ნივთები მიგვაქვს. ადრე გაცილებით მეტი ბარგი მიმქონდა, ახლა კი ზუსტად ვიცი, დღის განმავლობაში ან საღამოს რა გასვლები მექნება. „ალბათ ესეც დამჭირდება და ამასაც წავიღებ“ — არ მჭირს. როცა დიზაინერი ხარ, იცი, რასთან რა შეახამო და მაქსიმალურად ცოტა ბარგით შეგიძლია შენი გარდერობის გადანაწილება.

ჩაცმა-დახურვის მხრივ არც ძალიან პრეტენზიული ვარ და არც პრანჭია. პრაქტიკული და სადა ჩაცმა მიყვარს. ჩემი ფერები ძირითადად შავით და ნაცრისფრით შემოიფარგლება.

— **იმდენს მოგზაურობთ, თვითმფრინავი თქვენთვის სახლივით იქნება.**

— თვითმფრინავში იმდენად ხშირად ვზივარ, უკვე ჩვეულებრივი მანქანა მგონია. ჩემთვის საძინებელიც არის, ჩავჯდები თუ არა, მაშინვე მეძინება. ტურბულენტურ ზონაში მოხვედრა ძალიან საშიშია, მაგრამ ამ დროს თავს ვერაფერს ვუშველი და არც განსაკუთრებულ ზომებს ვიღებ — დამამშვიდებელ აბებსა და ალკოჰოლს არ ვსვამ. ღვთის წყალობით, ჯერჯერობით თვითმფრინავის შიში არ მაქვს.

— **სად იმოგზაურებდით სიამოვნებით?**

— ძალიან მაინტერესებს იაპონია. იქაურობა ჩემთვის ყველაფრით საინტერესოა. ცხოვრება წამებში ვითარდება. კარგი იქნებოდა, იაპონიაში წასვლა იქ მომხდარ სტიქიამდე მომესწრო, მაგრამ არც ახლა იქნება ურიგო. აფრიკაშიც მინდა ერთხელ მაინც წავიდე, მიუხედავად იმისა, რომ ამდენი ნემსის გაკეთების, წამლების დალევისა და თავდასაცავად წინასწარი მზადების ნერვები არ მაქვს.

✓ სოფიო ბოჭორიძე



კუნძული ბალი

# ბალი — მარგალიტი ვულკანებშორის

კუნძული ბალი მარადმწვანე და ერთ-ერთი ყველაზე საოცარი კუნძულია დედამიწაზე. ის ინდონეზიის არქიპელაგის კუნძულთა ჯგუფში შედის. მისი ადმინისტრაციული ცენტრი დენპასარია.

ბალი ვულკანური წარმოშობისაა და მისი უმაღლესი წერტილი მოქმედი ვულკანი გურუნგ აგუნგი გახლავთ. ის იმდენად პატარა კუნძულია, რომ შეგიძლიათ ერთ დღეში დაათვალიეროთ. კუნძულს ტროპიკების მარგალიტს უწოდებენ, რადგან იქ მუდამ ზაფხულია. უსაზღვრო სანაპიროები, ვულკანური მთები, გამჭვირვალე ტბები და მრავალი სამკურნალო წყარო ყოველწლიურად მილიონობით ტურისტს იზიდავს.

## კლიმატი

კუნძულზე ტროპიკული კლიმატია გამეფებული. საშუალო



Cyan Magenta Yellow Black

წლიური ტემპერატურა 28-32 გრადუსია. ტურისტული სეზონი მთელი წლის განმავლობაში გრძელდება, მაგრამ მაისის შუა რიცხვებიდან სექტემბრის ბოლომდე ტურისტების რაოდენობა, ფასებთან ერთად, პიკს აღწევს.

ამინდი ან წვიმიანია, ან მშრალი. გაითვალისწინეთ, რომ კუნძულზე ძლიერი ქარები სექტემბრიდან იწყება და ნოემბრის ბოლომდე გრძელდება.

### ფული

კუნძულ ბალის ეროვნულ ვალუტას ინდონეზიური რუპია წარმოადგენს. იმის გამო, რომ ეს ვალუტა სტაბილურობით არასოდეს გამოირჩეოდა, დაწესებულებებში გადახდა ძირითადად დოლარებით ან საკრედიტო ბარათებით ხდება. 1 ამერიკული დოლარი 11 000 რუპიას შეადგენს.

გაცრეცილი რუპიის გასაღება დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, ამიტომ ეცადეთ, არავინ შემოგაპაროთ.

### ენა

კუნძულ ბალის ოფიციალური ენა ინდონეზიურია, რომელიც მალაიურის დიალექტს წარმოადგენს. კუნძულზე განათლების სისტემა ოფიციალურ ენაზეა დაფუძნებული. ის პრაქტიკულად ხელოვნურად შექმნილი ენაა, რომელზედაც სხვადასხვა ხარისხით 150 მლნ ადამიანი ლაპარაკობს.

რაც შეეხება დამწერლობას, ლათინური ანბანი გამოიყენება. ინდონეზიურის შემდეგ ყველაზე გავრცელებულია ინგლისური. ასე რომ, ტურისტულ ადგილებში თავის გატანა არ უნდა გაგიჭირდეთ.



ტაძარი ტანაჰ ლოტი



ქალაქი დენპასარი

### რელიგია

ბალის რელიგია ჰინდუ გახლავთ და ეს მაშინ, როცა დანარჩენი ინდონეზია ისლამის მიმდევარია. ჰინდუ ბუდიზმის, ინდუიზმისა და ადგილობრივი უძველესი კულტურების ნაზავია. მოსახლეობის ცხოვრების განუყოფელ ნაწილს ტაძრები და რელიგიური რიტუალები შეადგენს.

### გადაადგილება

მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან კუნძულ ბალიზე მოხვედრა თვითმფრინავით შეგიძლიათ. ნგურაჰ რაის საერთაშორისო აეროპორტი დენპასარიდან 30 წუთის სავალზე მდებარეობს. ის რიგით მესამე ყველაზე გადატვირთული აეროპორტია მთელ ინდონეზიაში.

იავადან და ლომბოკიდან ბალის მიმართულებით ყოველდღიურად გადიან ავტობუსები, ხოლო 15 წუთში ერთხელ გემები, რომლითაც მგზავრობა 30 წუთს გასტანს და ერთობ სასიამოვნოა.

კუნძულის შიგნით გადაადგილება გაცილებით ადვილია, ვიდრე იქ ჩასვლა. ბალიზე ტრანსპორტის ძირითადი სახეობა მოპედია. თუ დროში შეზღუდული არ ხართ, მაშინ მინი ავტობუსით გირჩევთ ამ საოცრად ლამაზი კუნძულის დათვალიერებას. იმ შემთხვევაში, თუ მართვის მოწმობა გაქვთ, კუნძულის შემოვლას სპეციალურ სააგენტოში დაქირავებული ჯიპის ტიპის მანქანით შეძლებთ, რომლის ღირებულება ერთი დღის განმავლობაში 50 დოლარს შეადგენს. ტაქსით მგზავრობის ფასი კილომეტრებით განისაზღვრება და ერთი კილომეტრი 5 000 ინდონეზიური რუპია ღირს.

### სამზარეულო

ინდონეზიური ტრადიციული კერძები ძირითადად ინდურ და ჩინურ სამზარეულოზეა დაფუძნებული. საჭმელების უმრავლესობა ბრინჯით მზადდება. ბრინჯის შემდეგ კი პოპულარობით სარგებლობს ხორცი და ბოსტნეული. რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე, ღორის ხორცს ადგილობრივები არ ეკარებიან. კუნძულზე მცხოვრებთ განსაკუთრებით უყვართ ცხარე კერძები, რის გამოც ბევრი ტურისტი ჩასვლიდან რამდენიმე დღის განმავლობაში თითქმის მშიერია.

ბალიზე სხვა ქვეყნების ნაციონალური რესტორნები ნაკლებადაა. ტრადიციული კერძებიდან აღსანიშნავია ნასი გორენგი, რომელიც ქათმის ხორცითა და შემწვარი ბრინჯით მზადდება. მის დაგემოვნებას ნებისმიერი დონის რესტორანში შეძლებთ 10-15 დოლარად. ოკეანისპირა ქუჩებზე განლაგებული კაფე-ბარები ყოველთვის გადავსებულია ზღვის პროდუქტების მოყვარული ტურისტებით.

ყავის შემდეგ სასმელებს შორის ყველაზე მოხმარებადია ტეჰ ტალაუ — შავი ჩაი კვერცხითა და რძით. მას ნებისმიერ კაფესა და რესტორანში უშაქროდ მოგართმევენ.

### ღირსშესანიშნაობები

შეიძლება ითქვას, რომ კუნძული ბალი მოშორებულ ადგილასაა, ამიტომ უძველესი დროიდანვე ეს საიდუმლო ადგილი იყო მათთვის, ვისაც მშვიდად დასვენება სურდა. მოგვიანებით კუნძულზე ძვირფასი ვილები და სასტუმროები აშენდა, რადგან მისი სილამაზე შეუმჩნეველი არ დარჩენილა და ხალხის ნაკადი დღითიდღე იზრდებოდა. ყველას სურდა პატარა და მშვიდი ადგილის მონახულება.

ახლა უკვე კუნძული ბალი მთელ მსოფლიოში სახელგანთქმულია თავისი ტურისტული ღირსშესანიშნაობებით, მაღალგანვითარებული ხელოვნებით, სკულპტურებითა და მუსიკით. აქ უამრავი ჩანჩქერი, ხელოვნური აუზი და, რა თქმა უნდა, სუფთა, კამკამა ზღვაა.

ტურისტების უდიდესი ნაწილი ბალის ხავერდოვან სეზონზე სტუმრობს. მათ საყვარელ ადგილს ქვიშიანი სანაპიროები წარმოადგენს.

კულტურული ძეგლების დათვალიერებისას, უპირველეს ყოვლისა, ბალის უმთავრესი ტაძარი ტანაჰ ლოტი უნდა მოინახულოთ, შემდეგ კი თირთჰა ემპულის ტაძართან უნდა გადაინაცვლოთ, სადაც ადგილობრივები განსაწმენდად მიდიან, მისი წმინდა წყალი უამრავ ტურისტსაც იზიდავს.

ტურისტებს შორის საკმაოდ პოპულარულია პურა ტამან აუუნის ტაძარი, აგრეთვე მე-14 საუკუნეში აგებული ბალის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინდუისტური ტაძარი ბესაკიჰი.

კუნძულის ტერიტორია გამოირჩევა ბუნებრივი ლანდშაფტის მრავალფეროვნებით — სამხრეთით თეთრი, ჩრდილოეთით კი უნიკალური შავი ქვიშის პლაჟებით, მაღალი კლდეებით, ვულკანებითა და ტბებით, ხშირი ტროპიკული ტყეებითა და მდინარეებით.

საოცარი შეგრძნება დაგეუფლებათ კუნძულ ბალის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე შოკოლადის პატარა ქარხნის მონახულებისას. როდესაც ოკეანის პირას განლაგებულ ამ სილამაზეს უყურებ, თავი ზღაპარში გგონია. პირდაპირ ჯუნგლებში მოწყობილი საწარმო არამხოლოდ ბავშვების, უფროსების აღტაცებასაც იწვევს.

### უსაფრთხოების წესები

ბალის მოსახლეობა სტუმართმოყვარე და კეთილია. კრიმინალური თვალსაზრისით ეს ყველაზე უსაფრთხო კუნძულია. ერთადერთი, ვისაც უნდა უფრთხილდეთ, ჯიბის ქურდები არიან.

ადგილობრივები საკმაოდ ხმამაღლა ლაპარაკობენ და ყვირილიც არაფრად მიაჩნიათ. შეიძლება ქუჩაში მიმავალი უცებ გაგაჩერონ და საუბარი გაგიბან. არ დაიბნეთ და გამოელაპარაკეთ, თორემ თავს შეურაცხყოფილად იგრძნობენ.

### უბის წიგნაკი

**სახელმწიფო — ინდონეზია;**
**კუნძული — ბალი;**
**უდიდესი ქალაქი — დენპასარი;**
**სახელმწიფო ენა — ინდონეზიური;**
**ვალუტა — რუპია;**
**ფართობი — 5.632,86 კვ.კმ;**
**მოსახლეობა — 3.551.000.**

✓ მოამზადა თათია ბოჭორიძემ



Cyan Magenta Yellow Black

# სამი ქალი, სამი ხასიათი, სამი ბედი



ჩვენ ირგვლივ მრავალი მშვენიერი ქალია თითქოსდა ბედისგან ბეჭედდასმული, რომლებიც ცხოვრებას მარტოხელა ყოფისთვის გაუმეტებია. ზოგი მათგანი ამ მდგომარეობას ძალიან მწვავედ განიცდის, ზოგი კი ეგუება და მარტოობაშიც ხედავს თავისებურ პოზიტივს. გააჩნია, ვინ როგორი ხასიათისა და ტემპერამენტისაა, ვინ არის თვითკმარი და ვინ — მუდმივად სხვაზე დამოკიდებული.

ჩვენი სტატიის გმირები ბავშვობის მეგობრები არიან, პიროვნულად განსხვავებული სამი ქალი, თითოეული თავისებურად ლამაზი და თან გაფურჩქვნის ხანაში — 35 წლის. ვერც ერთმა ააწყო პირადი ცხოვრება. მათი ხასიათი რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან, ისე როგორც მათი პირადი ისტორიები და მაინც, ერთად არიან, ავად თუ კარგად, მეგობრობენ, რადგან ორ უკიდურესობას შორის მაშველი რგოლივით დგას ჩვენი რესპონდენტი ქეთა.

**ქეთა:**

— სამი მეგობარი ვართ, სამი დაქალი. ბავშვობიდან ერთად მოვდივართ. ნინი და მაკო ხასიათით ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულები არიან, გაცნობის დღიდან ერთმანეთთან მუდმივ წინააღმდეგობასა და აზრთა ჭიდილში იყვნენ. მე ყოველთვის შუაში ვედექი და მათ ურთიერთობას ვაბალანსებდი. ალბათ ჩემ გარეშე ვერც შეძლებდნენ დამეგობრებას.

— **თქვენი მეგობრები რა თვისებებით განსხვავდებიან ერთმანეთისგან?**

— ნინი ძალიან მოკრძალებული და ზრდილობიანია, მაკო კი თავაზიანობისგან შორს დგას; ნინი აკადემიური და ტრადიციულია თავისი მენტალობით, მაკო თავისუფალი და თანამედროვეა; ნინი ზედმეტად მგრძნობიარე და თანამგრძნობია, სხვის მწუხარებას ითავისებს და ძალიან განიცდის, პასუხისმგებლობის გრძნობაც დიდი აქვს; მაკო კი „ფეხზემკიდიაა“, მთავარია, თვითონ იყოს კარგად; ნინი ალტრუისტია, მაკო — ეგოისტი; ნინი თავმდაბალია და მისი თვითშეფასება ძალიან დაბალია, სულ ჰგონია, რომ არაფერი იცის, არადა ნაკითხი და მოაზროვნეა; მაკოს კი ზედმეტი წარმოდგენები აქვს საკუთარ თავზე და საზოგადოებაში იმაზე ალმატებულად წარმოაჩენს თავს, ვიდრე სინამდვილეშია...

— **ასეთი საპირისპირო ხასიათის მქონე ადამიანების დამეგობრება როგორ მოხდა ან თქვენ მათ დაბალანსებას როგორ ახერხებთ?**

— ჩემი ხასიათით და ბუნებით მათ შორის ვდგავარ, შეიძლება ითქვას, შუალედური რგოლი ვარ, ორივეს ვიზიდავ და გარკვეულწილად ჩემს ტალღაზე გადმომყავს. მე რომ დამკარგონ, საეჭვოა, ერთმანეთთან გულითადი ურთიერთობა გააგრძელონ.

ერთი ასეთი შემთხვევა იყო: ნინი მოსწონდა ერთ მამაკაცს, მათი ურთიერთობა ჩანასახის სტადიაში იყო და შეიძლებოდა შემდგარიყო, მაგრამ...

— **რამ შეუშალა ხელი?**

— ის კაცი ხედავდა, ნინი რა აუღებელი ციხესიმაგრე იყო და ამიტომ პირველ პაემანზე დაქალებთან ერთად მიიწვია. საუკეთესო ბარ-რესტორანში დაპატიჟა. ნინი ძალიან განიცდიდა, სულ იმის შეგრძნება ჰქონდა, რომ იმ კაცზე ბევრად დაბლა იდგა და მასთან ახლო ურთიერთობას ვერ შეძლებდა. ბევრი ჩიჩინი დამჭირდა, რომ მისთვის ეს კომპლექსი მომეშორებინა. ჩემი იმედი ჰქონდა, რომ შეხვედრაზე ზურგს გავუმაგრებდი, მაგრამ დავაღალატე, გრიპი დამემართა. წასვლამდე 2 საათით ადრე ტემპერატურამ ამიწია, ფეხზე ვერ ვდგებოდი, ასე რომ, ნინი და მაკო უჩემოდ წავიდნენ.

— **შეხვედრამ როგორ ჩაიარა?**

— ნინი ისე ღელავდა, რომ იმ კაცის წინაშე საერთოდ ენა ჩაუვარდა, სამაგიეროდ მაკო გაილექსა, ამოიფრქვა და დაიღვარა. დიალოგი შედგა იმ კაცსა და მაკოს შორის, ნინი კი საერთოდ ჩრდილქვეშ აღმოჩნდა. არც იმ კაცს ახსოვდა, რომ ნინის ეპრანჭებოდა, არც მაკოს გაახსენდა, რომ მოცემულ შემთხვევაში მეგობრის თანმხლები პირი იყო და მისთვის ინიციატივა არ უნდა წაერთმია. იმის ნაცვლად, რომ ნინის ღირსებები წარმოეჩინა, მეგობრისთვის დაეთმო ყურადღების ცენტრში ყოფნა, ის კაცი საკუთარ თავზე საუბრით გააბრუა. თან თუ დავუმატებთ იმას, რომ თავისი გრძელი ფეხების და მოშიშვლებული სხეულის (მოკლე სარაფანი ეცვა) დემონსტრირებასაც ახდენდა, ძნელად სარწმუნოა, რომ იმ კაცს ნინის აკადემიური ჩაცმულობა და სხვა ღირსებები დაეფასებინა.

**„არც იმ კაცს ახსოვდა, რომ ნინის ეპრანჭებოდა, არც მაკოს გაახსენდა, რომ მეგობრისთვის ინიციატივა არ უნდა წაერთმია. იმის ნაცვლად, რომ ნინიზე ელაპარაკა და მისი ღირსებები წარმოეჩინა, ნინის თაყვანისმცემელი საკუთარ თავზე საუბრით გააბრუა".**

— **მაკოს ასეთ ქცევას რა შედეგი მოჰყვა?**

— იმ საღამოს შემდეგ თაყვანისმცემელს ნინისთან აღარ დაურეკავს, მაგრამ არც მაკოსთან ურთიერთობით დაინტერესებულა. იმ შეხვედრაზე მაკოსგან გაბრუებული დარჩა, ხოლო მეორე დღეს, რომ გააანალიზა, ალბათ მაკოს საქციელი აღარ მოიწონა.

— **მასთან ურთიერთობის გაგრძელება რომც მოენდომებინა, თქვენი აზრით, მაკო დათანხმდებოდა? მეგობარს თაყვანისმცემელს წაართმევდა?**

— არა, ამას არ გააკეთებდა. იმ კაცს მასთან საქმის დაჭერა რომ ეცადა, გამოლანძღავდა და თავის ადგილს მიუჩენდა. ამაში დარწმუნებული ვარ.

— **თუმცა ფაქტია, რომ ნინის ურთიერთობა დაუნგრია.**

— ეს თავისდაუნებურად დაემართა, წინასწარი გათვლა არ ჰქონია. საერთოდ ასეთი ტიპია: საკუთარი თავით ტკბობა უყვარს და ამ მხრივ სხვების წინაშეც არ იხევს უკან, ვერ ხვდება, რამდენად უტაქტოა მისი საქციელი მოცემულ სიტუაციაში. იმ საღამოსაც ასე მოხდა — ოღონდ პირადი ღირსებები წარმოეჩინა და მეგობრის კეთილდღეობა აღარც ახსოვდა. მეორეხარისხოვან როლს არ დასჯერდა და საკუთარი თავი წამოსწია წინ.

— **ნინიმაც ასე შეაფასა მისი მოქმედება?**

— თავიდან ნინიმ სერიოზულად იეჭვიანა. იმ კაცის დაკარგვა ისე განიცადა, თითქოს თავდავიწყებით უყვარდა და მისი წასვლით ცა თავზე ჩამოექცა. როცა ეს ცეცხლი გაუნელდა, ყველაფერი თავის უხეირობას გადააბრალა და მაკოს დიდსულოვნად მიუტევა.

— **სხვა უფრო სერიოზული შეთავაზება ნინის არავისგან მიუღია?**

— ჰქონდა ერთი ხანგრძლივი, გაუმხელელი სიყვარულის ისტორია. მთელი არსებით უყვარდა, მაგრამ ჯიუტად არ უტყდებოდა საკუთარ თავსაც კი, არც მე მიმხელდა. ჩემთან რომ ეღიარებინა, გვერდში დავუდგებოდი და სიმორცხვეს დავაძლევინებდი. იმას მაინც გავაკეთებდი, იმ კაცისთვის მეთქვა, რომ ჩემი დაქალი მის გრძნობას იზიარებდა.

— **იმ კაცსაც უყვარდა?**

— იმ კაცს ძალიან მოსწონდა. არ გამოვრიცხავ, შეიძლება უყვარდა კიდეც, მაგრამ ნინიმ მას მოქმედების საშუალება არ მისცა.

— **თუ ორმხრივი სურვილი იყო, ეს რატომ გააკეთა, რა მიზეზით?**

— არ ვიცი. ასეთი უცნაურობები სჩვევია, ზოგჯერ მეც მიჭირს მისი გაგება. ეგონა, ის კაცი მთელი ცხოვრება დაელოდებოდა მის გადაწყვეტილებას?

— **იმ კაცმა სხვა ქალი შეიყვარა?**

— სამი წლის შემდეგ ცოლი მოიყვანა. მე თუ მკითხავთ, კიდევ დიდხანს ელოდა ნინის... ის კაცი რომ დაკარგა, ნინი მერე მოეგო გონს და ისეთ დღეში ჩავარდა, ვერ გადმოგცემთ!

— **მაკო ხომ კარდინალურად განსხვავებულია — თამამი, აქტიური, მან რატომღა ვერ ააწყო პირადი ცხოვრება?**

— არ შეიძლება ქალი ყველა მამრზე



Cyan Magenta Yellow Black

გიჟდებოდე. ვინც დაგელაპარაკება და ფლირტს გაგიბამს, ყველას ყველგან გაჰყვე და ყველასთან თავგადასავალს ეძებდე. ეს ძალიან არასერიოზულია, ნორმალური და ჩამოყალიბებული მამაკაცის თვალში ფასს კარგავ.

**— ყველა მათგანი უყვარდა ან მოსწონდა?**

— რომ ჰკითხო, უყვარდა მხოლოდ იმ დროს, როცა მათთან ურთიერთობა ჰქონდა. ბოლოს ერთი პიროვნება შეუყვარდა, დაქორწინებასაც აპირებდნენ, მაგრამ ის კაცი ძალიან ტრადიციული მენტალობის აღმოჩნდა. მაკოს ფოტოალბომი ნახა, ასე ვთქვათ, მისი თაყვანისმცემელი კაცების „კოლექცია", განრისხდა და თავზე გადააxია, სიტყვიერი შეურაცხყოფაც მიაყენა და მიატოვა.

**— ფოტოალბომი იმ კაცმა შემთხვევით ნახა თუ მაკომ თავად აჩვენა?**

— როგორც მაკო ამბობს, თვითონ აჩვენა იმ მიზნით, რომ მათ შორის დაფარული არაფერი ყოფილიყო... მაკოს ის კაცი განსაკუთრებით უყვარდა, ყოველმხრივ ცდილობდა, მისი ნდობა დაებრუნებინა. მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ, ყველაფრის მიუხედავად, მაკო ბუნებით მოღალატე არ არის. ადვილად ჰყვება გრძნობებს და სიყვარულში არ უმართლებს. ეს არის და ეს... ერთი წლის შემდეგ ურთიერთობა აღადგინეს, მაგრამ იმ კაცმა ეჭვიანობით დატანჯა, ცხოვრება ჯოჯოხეთად უქცია. წლები დასჭირდა, რომ ჩემს მეგობარს ის კაცი თავიდან მოეშორებინა.

**— საკუთარ თავზეც გვითხარით, თავად რამ შეგიშალათ ხელი, პირადი ცხოვრება აგეწყოთ?**

— გაუმართლებლობამ და ალბათ ჩემმა ხასიათმაც. 20 წლის ასაკში უგონოდ შეუყვარებული ვიყავი, ცოლადაც გავყევი, მაგრამ მიღალატა, სხვა გოგოსთან გაისეირნა. ეს რომ შევიტყვე, გავგიჟდი და გაყრა გადავწყვიტე. პატიება მთხოვა. ჩემთან განშორება არ უნდოდა, მიმტკიცებდა, რაც დამემართა, შეცდომა იყო, მიყვარხარ და შენი დაკარგვა არ მინდაო, მაგრამ აღარ ვენდე. ვერ ვაპატიე და მისგან წამოვედი.

**— მძიმედ გადაიტანეთ?**

— საყვარელი ადამიანის დაკარგვა ძალიან ძნელია, მით უფრო მაშინ, როცა ბედნიერების ზენიტში იმყოფები და ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადადიხარ.

**— ახლა ნანობთ, რომ პატიება ვერ შეძელით?**

— იმ ასაკში მეგონა, მართალი ვიყავი. ახლანდელი გადმოსახედიდან ვხვდები, რომ

**„სიყვარულს ჩემთვის მხოლოდ ტანჯვა მოაქვს. ბედნიერება ჩემი ხვედრი არ არის. უსიყვარულოდ თავს უფრო მშვიდად და უმტკივნეულოდ ვგრძნობ".**

უნდა მომეთმინა და საყვარელი ადამიანისთვის თვითგამორკვევის საშუალება მიმეცა. ცხოვრება ია-ვარდებით მოფენილი არ არის, ადამიანს განსაცდელებთან გამკლავება უნდა შეეძლოს და არა — გაქცევა. საკუთარ თავს მაინც ვერ გაექცევი.

**— დღემდე ვერ აპატიეთ?**

— მხოლოდ მაშინ მივუტევე ჩემს გულში, როცა მის მიმართ გრძნობა გამიქრა და სხვა შემიყვარდა.

**— მაგრამ ამ სიყვარულშიც არ გაგიმართლათ. მიზეზი რა იყო?**

— ცოლშვილიანი იყო, რომ გავიცანი, თუმცა მეუღლესთან კონფლიქტი ჰქონდა. ერთმანეთს ვერ ეგუებოდნენ. მანამდე ჩემს ცნობიერებაში ცოლიან კაცს ტაბუ ედო, პრინციპულად არ ვეკარებოდი. არ ვიცი, მასთან მიმართებაში რა დამემართა, პრინციპები დავთმე. ერთმანეთს კარგად ვუგებდით, გვერდიგვერდ თავს მშვენივრად ვგრძნობდით. ეს ურთიერთობა წლობით გაგრძელდა.

**— და როგორ დამთავრდა?**

— მისმა მეუღლემ შეიტყო და მწვავე რეაქცია ჰქონდა, ჩემთან უნდოდა შეხვედრა, მაგრამ ქმარმა არ მოუშვა, ისე მოაგვარა საქმე... ძლიერი მამაკაცი იყო, მაგრამ მეორე მომენტიც ჰქონდა: ვერც ცოლ-შვილს შეელია და არც მე მთმობდა, არადა როდემდე ვიქნებოდით ასე? გადამწყვეტ დროს საპასუხისმგებლო ნაბიჯი ვერ გადადგა.

**— თქვენი აზრით, რა უნდა გაეკეთებინა?**

— დადგა კრიტიკული მომენტი, როცა ჩვენ ორიდან ერთი უნდა აერჩია, მაგრამ არჩევანი ვერ გააკეთა, ისევ იმ ყოფაში დარჩენა ამჯობინა. ამან გამოიწვია ის, რომ საბოლოოდ მეც დამკარგა და ვეღარც ცოლთან დაალაგა ურთიერთობა, იმ ქალსაც გაშორდა.

**— მას შემდეგ თქვენს გზაზე სხვა არავინ გამოჩნდა, ვინც ცხოვრებას შეგიცვლიდათ?**

— მართალი გითხრათ, ამის სურვილი აღარც მაქვს. მეყო, რაც განვიცადე და გადავიტანე. როგორც ჩანს, სიყვარულს ჩემთვის მხოლოდ ტანჯვა მოაქვს. ბედნიერება ჩემი ხვედრი არ არის. უსიყვარულოდ თავს უფრო მშვიდად და უმტკივნეულოდ ვგრძნობ.

✓ **ნანა კობახიძე**

## ეს იცოდით?

❖ ამერიკის მე-16 პრეზიდენტი აბრაამ ლინკოლნი ყოველთვის ატარებდა მაღალ, შავ ცილინდრს, რომლის შიდა მხარეზე გაკეთებული იყო სპეციალური მცირე ზომის სათავსო. პრეზიდენტი იქ განსაკუთრებული მნიშვნელობის წერილებს, ფინანსურ დოკუმენტებსა და კანონპროექტებს ინახავდა.

❖ ამერიკის პრეზიდენტი ჯონ კენედი უკმაყოფილო იყო იმით, რომ რუსებმა კოსმოსში პირველებმა გაუშვეს ძაღლები, ბელკა და სტრელკა. აღსანიშნავია, რომ როდესაც ნიკიტა ხრუშჩოვი კენედის შეხვდა, მის ცოლს, ჟაკლინს, სწორედ სტრელკას ლეკვი აჩუქა.

❖ ამერიკის შეერთებული შტატების მე-13 პრეზიდენტმა, მილარდ ფილმორმა, უარი განაცხადა, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორის ხარისხი მიეღო. მან თქვა, რომ უნივერსიტეტისგან ასეთ პატივს არ იმსახურებდა, რადგან არასოდეს არაფერი გაუკეთებია მეცნიერებისათვის.

❖ მწერები პირველი ცოცხალი არსებები არიან, რომლებიც 400 მილიონი წლის წინ გაჩნდნენ დედამიწაზე.

❖ აზიაში არსებობს მცენარე, რომელიც ყოველთვის მოძრაობაშია. ის მაშინაც კი ირხევა, როდესაც ქარი არ ქრის.

❖ მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ ოქროს თევზი სიბნელეში თეთრდება.

❖ ტაილანდის ეროვნული ჰიმნი რუსი კომპოზიტორის, პეტრე შუროვსკის მიერაა დაწერილი 1902 წელს.

❖ ერთადერთი შემთხვევა ისტორიაში, როდესაც იაპონელებმა უფრო მეტი პური მიირთვეს, ვიდრე ბრინჯი, 1995 წელს დაფიქსირდა.

❖ ხელოვნური კუნძული მექსკატიტანი მექსიკაში, შტატ ნაიარიტის სანაპიროსთან მდებარეობს. კუნძულზე ქალაქია გაშენებული და იქ დაახლოებით 800 ადამიანი ცხოვრობს. ქალაქის მოსახლეობა თევზჭერითაა დაკავებული. კუნძულზე რამდენიმე სასტუმრო, მუზეუმი და რესტორანია.

❖ მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ლოს ანჯელესი ყოველწლიურად აღმოსავლეთით მიცოცავს.

❖ საუდის არაბეთის სამეფო სახლს 10 000 პრინცი და პრინცესა ჰყავს.

❖ ფილიპინები 7100 კუნძულისგან შედგება.

❖ ქარის წისქვილი პირველად ირანში შეიქმნა.

❖ პირველი ავტოკატასტროფა პარიზში მოხდა 1898 წელს.

❖ აშშ-ს არ აქვს ოფიციალური ენა. ინგლისური ოფიციალურ ენად მხოლოდ რამდენიმე შტატშია გამოცხადებული.

❖ ერთ ადამიანს წუთში 6,6 ლიტრი ჰაერი სჭირდება.

❖ ადამიანის ტვინი ზრდას 18 წლის ასაკში წყვეტს.

❖ ძველ ეგვიპტეში სჯეროდათ, რომ ჟღალთმიანი ადამიანი სიკვდილის შემდეგ ვამპირად გადაიქცეოდა.

❖ პონტოს მეფე მითრიდატე ევპატორი 54 ენას ფლობდა და თავისუფლად მართავდა 18 ცხენშებმულ საბრძოლო ეტლს.

❖ ყველაზეადრეულ ქრისტიანულ სიმბოლოებად მიჩნეულია თევზი და მწყემსი. მათ ჯერ კიდევ I საუკუნეში ხატავდნენ რომის კატაკომბებში — პირველ ქრისტიანთა თავშეყრის ადგილებში.

❖ სადამ ჰუსეინს ჰქონდა ყურანი, რომელიც მისი სისხლით იყო დაწერილი.

❖ ახალგაზრდობაში ადოლფ ჰიტლერი, როგორც მხატვარი, მაღაზიების ვიტრინებისა და სარეკლამო ფირნიშების გაფორმებით ირჩენდა თავს.

❖ ჯარისკაცები საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონს შენობით მიმართავდნენ.

❖ ასტროფობია უამინდობის შიშია.

❖ ცნობილი განგსტერის, ალ კაპონეს უფროსი ძმა პოლიციელი იყო.

❖ 1911 წელს პაბლო პიკასო „მონა ლიზას" პორტრეტის მოპარვაში იყო ეჭვმიტანილი.



Cyan Magenta Yellow Black



# ბროკოლის დიეტა

გახდომის პრობლემა შეიძლება აქტიური გახდეს სხვადასხვა მიზეზით, მაგალითად, დღესასწაულის, რომანტიკული შეხვედრის ან რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენის წინ. სრულიად ბუნებრივია, რომ ნებისმიერი ქალი, რომელსაც სწრაფად გახდომა ესაჭიროება, ცდილობს, მიზანს ყველანაირი საშუალებებითა და მეთოდებით მიაღწიოს. ზოგიერთი ფიზიკური დატვირთვის მოცულობას ზრდის, ზოგიც რაციონს კარდინალურად ცვლის. ერთ-ერთი მეტად ეფექტური და დამზოგველი დიეტა — ეს არის ბროკოლის დიეტა. მისი დახმარებით 10 დღეში შეიძლება 5-7 კგ დაიკლოთ.

ბროკოლის ძირითადი მოქმედი ნივთიერება არის ინდოლ-3-კარბინოლი, რომელიც მეტაბოლიზმს (გაცვლით პროცესებს) ააქტიურებს. ხშირად სწორედ მეტაბოლიზმის შენელება იწვევს სიმსუქნეს და ზედმეტ კილოგრამებთან დაკავშირებულ სხვადასხვა დაავადებებს.

ყოველ ადამიანს შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს თავის მეტაბოლიზმზე. კვების რაციონის რამდენადმე შეცვლით გაცვლითი პროცესების მნიშვნელოვნად გაზრდა შეიძლება. ეს კი, საბოლოო ჯამში, ზედმეტ კილოგრამებს აქრობს. ამ საქმეში ბროკოლი შეუცვლელი დამხმარეა. მასში არსებული განსაკუთრებული მჟავა ტარტრონი ნახშირწყლების ცხიმებად გარდაქმნას აბრკოლებს და ზედმეტი კილოგრამების დაგროვებას თავიდან აგაცილებთ.

ყურადღება: გახდომა მიიღწევა მხოლოდ მითითებული რაციონის მკაცრად დაცვით. ყოველი ორი დღე მიყოლებით მენიუ უცვლელია. ყოველ კვებაზე ბროკოლის ულუფა (ორთქლზე მომზადებული ან ოდნავ მარილიან წყალში მოხარშული) უნდა ჭამოთ. ეს დიეტის აუცილებელი პირობაა.

და კიდევ: გახსოვდეთ, წონის მნიშვნელოვანი დაკლება დიეტის ბოლო დღეებში ხდება, ამიტომ დიეტა არ შეწყვიტოთ. თუ ძლიერ შიმშილს იგრძნობთ, 250 მლ ნატურალური იოგურტი ჭამეთ დანამატებისა და არომატიზატორების გარეშე ან რამდენიმე ცალი ხილი. წახემსებისთვის გამოდგება მსხალი, ვაშლი, ანანასი.

### მიღწეული ხომ შეინარჩუნოთ

ტკბილის მოყვარულებმა, რა თქმა უნდა, დიეტის განმავლობაში უარი უნდა თქვან შოკოლადზე, შაქარზე, ფუნთუშეულსა და ცომეულზე. მიღწეული წონის შენარჩუნებაში ბალანსირებული კვება და ზომიერი ფიზიკური აქტივობა დაგეხმარებათ.

### დიეტა

**1-ლი-მე-2 დღე**

საუზმე: 200 გრამი ბროკოლი, 1 მოხარშული კვერცხი, ჩაი ან ყავა. სადილი: 150 გრამი მოხარშული ქათმის ხორცი და 250 მლ ბულიონი, 100 გრამი ბროკოლი, წვენი. ვახშამი: 250 გრამი ბროკოლი, 2 ვაშლი, მწვანე ჩაი.

**მე-3-4 დღე**

საუზმე: 200 გრამი ბროკოლი, ულუფა ბოსტნეულის რაგუ, წვენი. სადილი: 150 გრამი ბროკოლი, 2 პომიდვრისა და 1 კიტრის სალათა ზეითუნის ზეთით შეზავებული, წვენი. ვახშამი: 200 გრამი ბროკოლი, ჩაი, 1 ჩაის კოვზი თაფლით.

**მე-5-6 დღე**

საუზმე: 100 გრამი ბროკოლი, 100 გრამი მოხარშული საქონლის ხორცი, 1 ჭიქა კეფირი. სადილი: 200 გრამი ბროკოლი, ულუფა ბრინჯის ფაფა, წვენი. ვახშამი: 150 გრამი მოხარშული საქონლის ხორცი, ჩაი 1 ჩაის კოვზი თაფლით.

**მე-7-8 დღე**

საუზმე: 100 გრამი ბროკოლი, 2 კვერცხი, ყავა. სადილი: 300 მლ ქათმის ბულიონი, 100 გრამი ბროკოლი, ჩაი. ვახშამი: 100 გრამი ბროკოლი, 2 ნაჭერი ჭვავის პური, 1 ჭიქა პომიდვრის წვენი.

**მე-9-10 დღე**

საუზმე: 100 გრამი ბროკოლი, 100 გრამი გახეხილი ქორფა სტაფილო 1 სუფრის კოვზი არაჟნით, ჩაი. სადილი: 100 გრამი ბროკოლი, 100 გრამი მოხარშული თევზი, წვენი. ვახშამი: 200 გრამი ბროკოლი, 2 პომიდორი ან 1 მოხარშული კარტოფილი, ჩაი 1 ჩაის კოვზი თაფლით.

# მცენარე-ადაპტოგენები — ახალგაზრდობის დაუშრეტელი წყარო

მცენარე-ადაპტოგენები იმუნიტეტს ამაღლებენ და სტრესის დაძლევაში გვეხმარებიან. ბიოლოგიურად უნიკალურ აქტიურ ნივთიერებებს შეიცავენ, რომლებიც გვალამაზებენ. ამიტომ კოსმეტიკაში გამოიყენებიან. დამტკიცებულია, რომ ადაპტოგენები ცილების ბიოსინთეზს აუმჯობესებს, კანში გაცვლით პროცესებს ააქტიურებს და კანს აახალგაზრდავებს.

ჟენშენი ნაოჭების გაჩენას თავიდან აგაცილებთ, ეპიდერმისის უჯრედებს განაახლებს და დაბერებისგან იცავს. კანს ნორმალურ ტენიანობას უნარჩუნებს, სისხლის დინებასა და ქსოვილის კვებას აუმჯობესებს. კოსმეტიკური საშუალებების მოსამზადებლად გამოიყენება როგორც ფესვები, ასევე მცენარის მიწისზედა ნაწილიც.

ვარდისფერი როდიოლას მთავარი ღირსება ისაა, რომ კანს აბრეშუმივით რბილსა და გლუვს ხდის, დაბერებას ეწინააღმდეგება.

ელეუტეროკოკი კანის ცხიმოვანი სებორეის და ნაადრევი თმის ცვენის დროს დადებითად მოქმედებს. ყველაზე მთავარი — ელეუტეროკოკი ცხიმის ცვლას არეგულირებს, ამიტომ მისი გამოყენება ცელულიტის დროსაც შეიძლება.

ყველა ადაპტოგენი შეიცავს ანტიმჟანგავებს. ეს ნიშნავს, რომ შეგვიძლია ისინი სიბერესთან ბრძოლაში გამოვიყენოთ. გთავაზობთ ეფექტურ რეცეპტებს.

### ნაოჭების საწინააღმდეგო კრემი მოწიფული კანისთვის

აფთიაქში შეიძინეთ ნებისმიერი ადაპტოგენის: ჟენშენის, ელეუტეროკოკის ან როდიოლას ნაყენი. კიდევ დაგჭირდებათ უწყლო ლანოლინი, კაკაოს ცხიმი და 1 სუფრის კოვზი ზეითუნის ზეთი. წყლის აბაზანაზე 20 გრამი ლანოლინი და 1/2 ჩაის კოვზი კაკაოს ცხიმი გაალღვეთ. დაუმატეთ 1 სუფრის კოვზი ზეითუნის ზეთი, 1 სუფრის კოვზი წყალი და ათქვიფეთ. შემდეგ 15 წვეთი სამკურნალო ნაყენი ჩაუმატეთ და ისევ ათქვიფეთ. გამოიყენეთ, როგორც ღამის მკვებავი კრემი.



რეცეპტი 2. წყლის აბაზანაზე 1 სუფრის კოვზი ნალების კარაქი გაალღვეთ, 1 ჩაის კოვზი წყალი შეურიეთ, 10 წვეთი რომელიმე ადაპტოგენის ნაყენი ჩააწვეთეთ, გულმოდგინედ აურიეთ და მაცივარში შეინახეთ.

შეგიძლიათ რომელიმე ადაპტოგენის რამდენიმე წვეთი მზა კრემში ან ტონიკში დაუმატოთ. ყველა კოსმეტიკური საშუალება ადაპტოგენის დანამატით, გამოიყენება კურსობით.

### შესაშური თმა

#### თმის ცვენის საწინააღმდეგო

ელეუტეროკოკის 200 გრამ ფესვებს 1 ლიტრი არაყი დაასხით და 15 დღე დადგით. ნაყენი მუქი ფერის მინის ჭურჭელში შეინახეთ. ყოველ საღამოს თმის ძირებში ერთსა და იმავე დროს შეიზილეთ. 14 დღის შემდეგ აუცილებლად შეისვენეთ. მკურნალობის კურსი 1,5-2 თვეა.

### ვარდისფერი როდიოლა ფრჩხილებს ამაგრებს

#### მტვრევადი და აშრევებული ფრჩხილებისთვის

100 გრამი ხარისხიანი თაფლი, 2 ჩაის კოვზი როდიოლას ნაყენი და 1 ლიმონის წვენი ერთგვაროვანი მასის მიღებამდე აურიეთ. კრემი გამოიყენეთ ძილის წინ, ფრჩხილებსა და ხელის კანში შეიზილეთ. არ ჩამოიბანოთ. ვინაიდან თაფლი იწებება, გამოიყენეთ ბამბის სპეციალური ხელთათმანი (აფთიაქში მოიკითხეთ). თუ მთელი ღამით ხელთათმანებში დაძინება არ შეგიძლიათ, ყოველ საღამოს ხელზე კრემი 1 საათი გაიჩერეთ. გააკეთეთ მანამ, სანამ ფრჩხილები არ გამაგრდება.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ





Cyan Magenta Yellow Black

# როგორ გავუმკლავდეთ ბავშვურ აგრესიას



გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ ბავშვის მხრიდან აგრესიისა და სიჯიუტის გამოვლენა, განსაკუთრებით 2-3 წლის ასაკში, ერთ-ერთი მთავარი დამხმარე საშუალებაა მისი ნორმალური განვითარებისათვის. ამ ასაკში პატარა ნელ-ნელა აცნობიერებს, რომ სამყაროს ნაწილია. შვილების მხრიდან აგრესიისა და სიჯიუტის დროს მშობლებს სპეციალისტების რჩევების გათვალისწინებას ვურჩევთ.

### პირველი რჩევა — შეინარჩუნეთ სიმშვიდე.

თუ შვილმა ქცევის წესები დაარღვია, აგრესიულად მოიქცა, ამას მშვიდად შეხვდით და ასევე მშვიდად აუხსენით, რატომ არ მოიქცა სწორად. გააგებინეთ, რომ არ შეიძლება თანატოლს სათამაშო წაართვას, დაუკითხავად აიღოს სხვისი ნივთები, დაარტყას, უკბინოს ან სცემოს. მისთვის გასაგებ ენაზე აუხსენით, რომ ეს მარტო ცუდი საქციელი კი არ არის, არამედ შეიძლება მეგობრების გარეშეც დარჩეს და მასთან თამაშის სურვილი აღარავის გაუჩნდეს. თუ ყველაფერს სათანადოდ განუმარტავთ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ პატარა ნელ-ნელა „გამოსწორდება“.

### მეორე რჩევა — ბავშვის შეცდომები მშობელმა ისე უნდა აღიქვას, როგორც სწავლის პროცესის თანმდევი.

შეუძლებელია, სწავლის პროცესში ბავშვმა შეცდომა არ დაუშვას, ამიტომ ამას გაგებით უნდა მოეკიდოთ. სანერვიულო არაფერია, უბრალოდ მოთმინებით აღიჭურვეთ, აუხსენით, კონკრეტულ შემთხვევაში რა შეცდომა დაუშვა და დაელოდეთ, როგორ მოიქცევა. მიეცით საშუალება, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება. თუ დახმარებას გთხოვთ, უარი არ უთხრათ. გახსოვდეთ, პატარებისთვის მშობელი ყველაზე დიდი იმედია. არ მისცეთ წყენისა და ბრაზის გულში ჩადების უფლება. ეს ის ცუდი ჩვევაა, რომელიც მომავალში სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის.

### მესამე რჩევა — ეცადეთ, შვილს ინტერესების სფერო გაუფართოვოთ.

მთავარია, ბავშვს დამოუკიდებლად მოქმედებისადმი შიში არ გაუჩნდეს. ამისათვის მუდმივად უნდა ცდილობდეთ მისი ინტერესების გაფართოებას. რაც უფრო მეტით იქნება დაინტერესებული, მით ნაკლებად გაუჩნდება სიახლისადმი და დამოუკიდებლად მოქმედებისადმი შიში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პატარებისგან ერთბაშად ყველაფრის მოთხოვნა არ შეიძლება. დააკვირდით, რისი კეთება მოსწონს, რა სიამოვნებს, რისი უნარი აქვს და ისეთ წრეზე მიიყვანეთ ან ისეთი სათამაშოები უყიდეთ, რომლებიც მის უნარ-ჩვევებს კიდევ უფრო განავითარებს.

### მეოთხე რჩევა — შვილს სახლში გარკვეული ვალდებულებები დააკისრეთ.

ეს ერთგვარი ფორმაა, რომ პატარას პასუხისმგებლობის გრძნობა განუვითაროთ და შრომის ფასი ასწავლოთ. მაგალითად, ასწავლეთ მაგიდის ლამაზად გაწყობა, აგრძნობინეთ, რომ მისი დახმარების გარეშე ოჯახის წევრები მშივრები დარჩებიან. ამ შემთხვევაში ბავშვი თავს საჭიროდ იგრძნობს და მოვალეობის გრძნობაც განუვითარდება.

### მეხუთე რჩევა — შინაგანად ყოველთვის შვილის მხარეს იყავით.

ბუნებრივია, შვილის მიერ გამოთქმული მოსაზრებები ყოველთვის მართალი ვერ იქნება, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში მშობელი ვალდებულია, ამოიცნოს, რატომ მოიქცა ბავშვი კონკრეტულ სიტუაციაში ასე, რატომ გაჯიუტდა. შესაძლოა, პატარას გარკვეული ქცევები ერთგვარი სიგნალი იყოს, რომ ამა თუ იმ საკითხში სათანადოდ არაა ინფორმირებული და სწორედ ეს იწვევდეს მასში აგრესიასა და სიჯიუტეს.

## ბავშვს ნაადრევად ნუ გამოაზაფხულებთ



გაზაფხული წელიწადის ის დროს, როცა გაციება ყველაზე ადვილია. ამიტომაა მნიშვნელოვანი, რომ პატარებს ყოველთვის ამინდის შესაბამისად ეცვათ. ნაადრევად გამოზაფხულება ნამდვილად არ ვარგა.

იმისათვის, რომ შვილები მაქსიმალურად დავიცვათ, კარგი იქნება, თუ აპრობირებულ მალამოებს გამოვიყენებთ და ცხვირის არეში წავუსვამთ. გაზაფხულზე სასურველია, პატარები მაქსიმალურად მოვარიდოთ ხალხმრავალ ადგილებს. თბილ და მზიან ამინდში აუცილებლად უნდა ვასეირნოთ სუფთა ჰაერზე. ეს კარგია როგორც ბავშვის, ისე დიდებისთვისაც. მონატრებული მზის სხივები და მათი სითბო განსაკუთრებით სასარგებლოა პატარების ორგანიზმისთვის.

ვირუსები ჭუჭყიანი ხელებით გადაეცემა, ამიტომ, რაც უფრო ხშირად დავბანთ პატარას ხელებს და მივაჩვევთ ამას, მით უკეთესია. პროფილაქტიკისათვის კარგია დილას და საღმოს გვირილას, სალბის ნაყენის ყელში გამოვლება.

გარდა ამისა, მიკრობები და ვირუსები სწრაფად მრავლდებიან დახურულ სივრცეში, ამიტომ სახლი ხშირად უნდა ვანიავოთ, განსაკუთრებით, ბავშვების ოთახი.

დაბოლოს, ვირუსებისაგან საუკეთესო თავდაცვაა ცე ვიტამინის მიღება, ასევე კარგი იქნება ბავშვისთვის ყოველდღიურად პატარა ზომის ლიმონის დესერტის მიცემაც. გაციებისა და ვირუსების წინააღმდეგ არაჩვეულებრივია ასეთი დესერტიც: 1 ჭიქა ქიშმიში, 1 ჭიქა ნიგოზი, 0,5 ჭიქა ნუში და 2 ცალი ლიმონი ხორცსაკეპში გავატაროთ და დღეში 1-2 კოვზი ვაჭამოთ ბავშვს.

## ჭარხალი პატარების ჯანმრთელობის სამსახურში

ჭარხალში ბავშვის ჯანმრთელობისთვის აუცილებელი ბევრი ნივთიერებაა — ასკორბინის მჟავა, ბე ჯგუფის ვიტამინები, კაროტინი, ნატრიუმი, კალციუმი, რკინა, მაგნიუმი, ბეტაინი და ბეტადინი — ცილოვანი ნაერთები, რომლებიც ცხიმოვანი ცვლის პროცესს აუმჯობესებენ, კაპილარებს ამაგრებენ და სისხლძარღვების კედლებს აძლიერებენ.

ახლახან ჭარხალში კიდევ ერთი უნიკალური ვიტამინი აღმოაჩინეს, რომელიც იმით გამოირჩევა, რომ ორგანიზმს კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის განვითარებისაგან იცავს. რაც მთავარია, ჭარხალი ანტიალერგიული თვისებებით გამოირჩევა. ამას კი პატარებისთვის (და არამარტო მათთვის) დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჭარხლის ნაყენი იმუნიტეტს აძლიერებს. 2 ს.კ. გახეხილ ჭარხალს დაასხით 1 ჩ.ჭ. ანადუღარი, ოთახის ტემპერატურის წყალი, დააყოვნეთ, გადაწურეთ და პატარებს 1 ს.კ. დღეში 3-4-ჯერ მიეცით.

ჭარხლის ნატურალური წვენი არანაკლებ სასარგებლოა. განსხვავებით სხვა ბოსტნეულის ნატურალური წვენებისაგან, რომელთა დალევაც უშუალოდ გაწურვის შემდეგაა საჭირო, ჭარხლის წვენი შეგიძლიათ მაცივარში 1 დღითაც შეინახოთ. პატარებს ის წყალში გაზავებული უნდა მისცეთ. გაითვალისწინეთ, ჭარხლის წვენთან მიმართებაში ზომიერების დაცვა აუცილებელია, რადგან ჭარბმა რაოდენობამ შესაძლოა თავბრუ და ღებინება გამოიწვიოს.

ჭარხლის წვენს თაფლით ხალხური მედიცინა განსაკუთრებით აქტიურად იყენებს. ექიმები მის დალევას ჰიპერტონიკებს ურჩევენ.

თუ პატარას რინიტის დროს ცხვირში ლორწო დაუგროვდა, გაჭედილი ცხვირის გათავისუფლება შესაძლებელია ჭარხლის რამდენიმე წვეთის ცხვირში ჩაწვეთებით.

✓ მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა



Cyan Magenta Yellow Black

# კახა ახვლედიანი: „ია სუხიტაშვილი ჩემი შეყვარებული იყო, ცოლი — არა“



მსახიობი კახა ახვლედიანი ხმამაღლა ამბობს, რომ მექალთანეა და ამაში საჩოთიროს ვერაფერს ხედავს. ამის შესახებ საკუთარი თეორიაც აქვს, თვლის, რომ „ჭეშმარიტი მექალთანე“ ყველაზე ერთგული მამაკაცია. 32 წლის მსახიობი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე ჩამოყალიბებული, როგორი ქალები მოსწონს ან რა სურს მათგან. მსახიობ ია სუხიტაშვილთან შვილი, ლუკა აკავშირებს, რომელიც ახლა 5 წლის არის. ამ რომანის შემდეგ კახას ცხოვრებაში ბევრი ქალი იყო, მაგრამ უღლის დადგმა არავისთან მოინდომა. ამბობს, რომ საქართველოში ვერ ნახა ქალი, ვისთანაც თავს ბოლომდე კარგად იგრძნობდა და ამიტომაც დადის უცოლოდ.

— **კახა, თქვენს პირად ცხოვრებაზე დიდი ხანია აღარაფერი გვსმენია. ამ მხრივ რაიმე სიახლე ხომ არ არის?**

— პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვანი არაფერი ხდება. ბედნიერად, „ხალასტოი“ ცხოვრებით ვცხოვრობ. ფლირტის დონეზე ბევრ ქალთან მაქვს ურთიერთობა, მაგრამ დაოჯახებამდე ჯერ სიყვარულია საჭირო. მე კი სიყვარულს სხვანაირად ვხედავ.

— **„სხვანაირად ხედვაში“ რას გულისხმობთ, იქნებ დაგვიკონკრეტოთ?**

— როგორ ვხედავ და არაქართულად. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ვარ, თანაც ყაზბეგში გავიზარდე და ვაჟკაცური ჩემში ბევრი რამ არის, ცოტა სხვანაირად ვცხოვრობ და ვფიქრობ. გოგოსთან ურთიერთობასაც სხვანაირად ვიწყებ. ქართველი ქალები ურთიერთობაში ვერ მოგყვებიან, რადგან ყველას სტანდარტული აზროვნება აქვს.

— **სტანდარტულ აზროვნებად რას მიიჩნევთ ან რა არ მოგწონთ მასში?**

— გაცილებით ბევრს ფიქრობენ იმაზე, რაზეც არ უნდა იფიქრონ ან პირიქით, ბევრ რამეს არ ითვალისწინებენ. როცა მამაკაცთან ურთიერთობა ფლირტის დონეზე აქვთ, ეგრევე ოჯახის შექმნაზე არ უნდა იფიქრონ. ზოგი ზედმეტად აქტიურია, ზოგიც პირიქით — პასიური, შუალედის დაჭერა უჭირთ, რაც ისევ მათ უქმნით დიდ დისკომფორტს. ნაკლებად ლაღები და თავისუფლები არიან. ჩვენთან რატომღაც ასეთი ცნებაა დამკვიდრებული, მამაკაცი გოგოს თუ თავისუფალს უწოდებს, ის მაინცდამაინც ევროპული აზროვნების უნდა იყოს და მასთან სექსი ადვილია. ასე ნამდვილად არ არის.

**„ვფიქრობ, ჩემსა და იას შორის სიყვარული იყო, თუმცა შეიძლება არც იყო... 24 საათი ერთად ვიყავით, ახლა კი არანაირი ურთიერთობა არ მაქვს“.**

— **თქვენი გაგებით, როგორია თავისუფალი ქალი?**

— ლაღი და თავისუფალი ქალი ორი სხვადასხვა ცნებაა. ლაღი ქალი ძალიან მომხიბვლელია. ზოგჯერ გოგო ფიზიკურად ძალიან ლამაზი არ არის, მაგრამ მუდამ ყურადღების ცენტრშია და უფრო მეტი თაყვანისმცემელიც ჰყავს, ვიდრე მის ულამაზეს მეგობარს. ეს კი იმიტომ ხდება, რომ თავს რაღაც უაზრობებით არ ითრგუნავს და ცდილობს, მომხიბვლელი იყოს. შეიძლება ქალმა რაღაც მომენტში კომპლექსები სადღაც გადააგდოს და ორი თვის გაცნობილთან სექსიც ჰქონდეს, მაგრამ ფიზიკური თავისუფლება არ ნიშნავს, რომ შინაგანადაც ასეთია. „უტყდებათ“, ბიჭის მიმართ ინიციატივა პირველებმა გამოიჩინონ. გოგომ რომ ზედმეტი ინიციატივა გამოიჩინოს, გამორიცხული არ არის, შესანიშნავი ურთიერთობა ავაწყოთ და ეს ოჯახის შექმნით დასრულდეს. როცა პიროვნება ხარ, სხვების, თუნდაც მეზობლების აზრები შენზე ზეგავლენას არ უნდა ახდენდეს. „ჩემს სადაქალოში ეს არ მოსულა“ ან „ეს ტეხავს“ არ უნდა არსებობდეს.

— **რა არის ის მთავარი, რითიც ქალი მამაკაცის გულს და გონებას იპყრობს?**

— ქალში ამბიცია თუ არ არის, მამაკაცს ვერ „დააბამს“, უამბიციო ქალებს ქმრები ღალატობენ. მერე ცოლი დაჯდება თავის დაქალებთან და სხვა ყმაწვილკაცებს გაეპრანჭება. მამაკაცი ისე უნდა მოქოქოს ქალმა, რომ სხვისკენ აღარ გაიხედოს. უნდა დამთავრდეს ის, რომ ქართველი კაცის ღალატი არ „ტეხავს“. როგორ არ „ტეხავს“?! მე და ია შეყვარებულები რომ ვიყავით, მისთვის არ მიღალატია. მამაკაცი უფრო ადვილი დასამორჩილებელია, მთავარია, მას სითბო და ყურადღება არ მოაკლდეს.

**„ქართველი ქალები ურთიერთობაში ვერ მოგყვებიან, რადგან ყველას სტანდარტული აზროვნება აქვს... როცა მამაკაცთან ურთიერთობა ფლირტის დონეზე აქვთ, ეგრევე ოჯახის შექმნაზე არ უნდა იფიქრონ“.**

— **თქვენი თინეიჯერობის პერიოდში გოგონები როგორები იყვნენ?**

— ჩემი თავი ახლაც თინეიჯერი მგონია, მაგრამ, როცა 16-17 წლის ვიყავი, გოგოები გაცილებით სხვანაირები, უფრო დაკომპლექსებულები იყვნენ. ჩემს ბავშვობაში მეგობრობის დღიურები იყო და გოგონები სულ დამდევდნენ, კახა, შემივსეო. ერთ-ერთი შეკითხვა იყო, გოგომ სიყვარული პირველმა რომ აგიხსნას, როგორც ქალი, შენს თვალში დაეცემა თუ არაო. ამაზე მეცინებოდა და, რა თქმა უნდა, ვპასუხობდი, რომ ეს ჩემთვის სასიამოვნო იქნებოდა.

— **აუხსნიათ კიდეც თქვენთვის სიყვარული?**

— კი. საქართველოში დაქალძმაკაცობის არ მჯერა. მამაკაცი ვარ და ამ ყველაფერს ჩემებურად ვხედავ. იმასთან ვმეგობრობ, ვისთანაც თავს კარგად ვგრძნობ. ეს კომფორტი კი შეიძლება გრძნობებში გადაიზარდოს. ასეთი შემთხვევა მეც მქონია. სხვათა შორის, გოგო, რომელმაც ჩემ მიმართ ინიციატივა პირველმა გამოიჩინა, მეც მომეწონა და ერთმანეთს წელიწადნახევრის განმავლობაში ვხვდებოდით. სექსიც გვქონდა, აბა, წელიწადნახევარი პეპლებს ხომ არ დავიჭერდით! არ მესმის, როგორ შეიძლება შემიყვარდეს ქალი, ვისთანაც სექსი არ მქონია... იდეალურად ვეწყობოდით ერთმანეთს, კვირაში ერთხელ ვხვდებოდით, მაგრამ შემდეგ დავშორდით. მასთან დღემდე ვმეგობრობ. ის ქალი გათხოვდა და ორი შვილი ჰყავს.

— **თუ იდეალურად ეწყობოდით ერთმანეთს, რატომ დაშორდით?**

— წყვილის დაშორება ჩვეულებრივი მოვლენაა. საზღვარგარეთ რატომ ხდება, რომ წყვილები წლების განმავლობაში ერთად ცხოვრობენ, მაგრამ დაოჯახებას ვერ წყვეტენ? უნდა მიხვდნენ, ერთმანეთს როგორ უგებენ. შეიძლება წყვილს იდეალური სექსი ჰქონდეს, მაგრამ პიროვნულად სხვადასხვანაირები იყვნენ. ხშირად მსმენია, სხვადასხვა ტიპები ვართ და ერთმანეთს ვერ გავუგებთო. სხვადასხვა ადამიანმა უნდა იცხოვროს ერთად, აბა, ორი ერთნაირის ერთად ცხოვრება როგორ შეიძლება?! ორი ადამიანის სინთეზი სხვადასხვა თვისებებით ხდება.

— **თქვენი და ია სუხიტაშვილის ურთიერთობას რა ერქვა?**

— ია ცოლად არ მომიყვანია, ჩვენ ძალიან კარგი მეგობრები და კარგი წყვილი ვიყავით. ამას ერთად ცხოვრებასაც ვერ დავარქმევ... კარგა ხანი ერთად ვიყავით, მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული... საქართველოში განშორებას ძალიან ტრაგიკულად განიცდიან.

— **იასთან დაშორება გაგიჭირდათ?**

— არა, რადგან, როცა დავშორდით, ორივემ ვიცოდით, რომ რაღაც დამთავრდა.

— **თქვენ შორის ურთიერთობას რა სახელი ერქვა?**

— ვფიქრობ, რომ ეს სიყვარული იყო, თუმცა შეიძლება არც იყო, არ ვიცი... 24 საათი ერთად ვიყავით, ახლა კი არანაირი ურთიერთობა არ მაქვს. ჩვენი შვილი, ლუკა, უკვე 5 წლის არის, დიდი ხანია, არც ბავშვი მინახავს.

— **შვილს რატომ არ ნახულობთ?**

— რატომღაც ბოლო პერიოდში ვერ ვნახე. ეს ჩემი მხრიდან ცუდი საქციელია, ცუდი ბიჭი ვარ! ლუკა ძალიან მენატრება და ვნახავ კიდეც.

— **გოგონებს მოსწონხართ?**

— თაყვანისმცემლები არასოდეს მაკლდა. ბავშვობიდან მესმის, ნარცისი ხარო. ვინც კარგად მიცნობს, ყველამ იცის, რომ ჩემი ნარცისობა ძალიან დიდი სისულელეა.

— **მექალთანეს შთაბეჭდილებას კი ტოვებთ.**

— კი, მექალთანე ვარ და ამას არც უარვყოფ! მაგრამ მექალთანე არ ნიშნავს იმას, რომ ნათიას მერე თამუნას ნახავ. ვინც სექსზეა დახარბებული, ის მექალთანე ვერ იქნება, რადგან, როცა მექალთანე ხარ, არც სექსი გაკლია. ჭეშმარიტი მექალთანე ყველაზე ერთგული მამაკაცია. საერთოდ, რომელი კაცი არ არის მექალთანე?! უბრალოდ ვიღაცას აქვს ამის შნო და მარიფათი, ვიღაცას — არა.

ბიძა მყავდა, რომელიც რუსეთში ცხოვრობდა. ფიზიკურად დიდად სიმპათიური არ იყო, მაგრამ მთელ ქალაქში ცნობილი მექალთანე გახლდათ. ალბათ მეც ბიძას დავემსგავსე. ადრე ქალში თუ ფულს იხდიდი, ახლა საქართველოში სექსის პრობლემა აღარ არის. მამაკაცი პასიური იმიტომ გახდა, რომ ქალზე დაგეშილი აღარ არის. ყველას სირაქლემას პოზიცია უჭირავს. ქალიშვილი გათხოვდაო, ეს ზღაპარია. ვისაც ამის სჯერა, თავს იტყუებს. მაინტერესებს, ცნობილი სახეებიდან ვის არ აქვს სექსი.

— **როგორი გოგონები მოგწონთ?**

— როცა პატარა ვიყავი, გარეგნობას ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი, გოგო აუცილებლად ძალიან ლამაზი უნდა ყოფილიყო. მერე კი მივხვდი, რომ სილამაზე კარგია, მაგრამ ამით შორს ვერ წახვალ, რადგან ლამაზი თვალები და მის სხეულზე „ღირსშესანიშნაობები“ ძალიან მალე მოგბეზრდება. მერე იმასაც მივხვდი, რომ ქალი, რომელიც შინაგანად ძალიან მდიდარი, კომფორტული და დადებითია, იშვიათობას წარმოადგენს.

— **ქალთან ურთიერთობაში კომფორტს რა გიქმნით?**

— ნურავინ იფიქრებს, რომ ამაში ფულს, ჯაკუზის ან გასაბერ საწოლს ვგულისხმობ.

შინაგან კომფორტზე ვამბობ. ალბათ გოგოებისთვისაც რთულია კომფორტული მამაკაცის პოვნა. ვერ ვიტან, ქალს საკუთარ თავზე ზედმეტი წარმოდგენა რომ აქვს. საერთოდ ლამაზ გოგოს წარმოდგენებთან ერთად თავში ზედმეტი პრობლემებიც აქვს. მისი მსოფლმხედველობა ჩემთვის სრულიად უინტერესოა. შეხვდები გოგოს და სალაპარაკო თემა არის „ზმანი“, კლუბები და თაყვანისმცემლები, რაც საშინელებაა. მატერიალისტი გოგოები წამოვიდნენ, სარფიანად გათხოვებაზე რომ ფიქრობენ. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ფულზე ყურება ბიჭებმაც დაიწყეს. საქართველოში ლამაზი გოგო ბევრი არც დადის. ახლანდელი თაობა კი გამორჩეული წამოვიდა, მაგრამ ჩემს დროს ამას ვერ იტყოდი.

— **როგორ გამოხატავთ ქალისადმი სიმპათიას?**

— რამდენჯერმე ყავაზე ვპატიჟებ სასაუბროდ. თუ ვიფიქრებ, რომ ის ჩემთვის საინტერესო ადამიანია, ვაგრძელებ ურთიერთობას, თუ არა — ვემშვიდობები. გოგოსადმი მოწონებას ყურადღებით, პატივისცემით და სითბოთი გამოვხატავ, მიუხედავად იმისა, რომ თბილი ადამიანი არ ვარ, დედაჩემთანაც ზომიერი ურთიერთობა მაქვს. როცა მომწონს, სულ მინდა, იმ ადამიანს უბრალოდ თავი დავადო. როცა მართლა ძალიან მომწონს, ბავშვური ვხდები. გოგო თუ ჭკვიანია, მიხვდება, მართლა მომწონს თუ არა, რადგან ნამდვილი მსახიობი ცხოვრებაში არასოდეს ითამაშებს.

თბილისში არ არსებობს გოგო, რომლისთვისაც „მიყვარხარ“ მითქვამს.

— **გოგოს გამო სიგიჟეც არ ჩაგიდენიათ?**

— ქალის გამო სიგიჟეს მაშინ ჩადიხარ, როცა გიყვარს. გოგოს, რომელსაც წესიერად არ ვიცნობ, როგორ უნდა ვაჩუქო მანქანა ან ოქროს კულონი? რა სისულელეა! ხომ უნდა გავიგო, ქალს ზიზიებით ვხიბლავ თუ თვისებებით?

— **ქალის ჩაცმის სტილს ყურადღებას აქცევთ?**

— ამბობენ, ქალში ჩაცმულობა მთავარი არ არისო, მაგრამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რამაა. მე თვითონ უგემოვნოდ არასდროს მაცვია. ჩემი აზრით, გემოვნებიანი ადამიანი დაკვირვებულია, ნაკლებად ბოლმაა და სხვა რაღაცეები აინტერესებს.

**„უნდა დამთავრდეს ის, რომ ქართველი კაცის ღალატი არ „ტეხავს". როგორ არ „ტეხავს"?! მე და ია შეყვარებულები რომ ვიყავით, მისთვის არ მიღალატია".**

ქალზე არც ძალიან სპორტული სტილი მომწონს და არც ძალიან კლასკური. არ მიყვარს, ყოველი მეორე გოგო ქუსლიანი ფეხსაცმლით რომ დაკაკუნობს, მით უმეტეს, როცა სიარული არ იციან. მაღაზიაში პურის საყიდლად რომ ჩადიან და მაკიაჟს იკეთებენ — ხომ საერთოდ! თვალზე მერცხლებს რომ იხატავენ, საშინლად არ მიყვარს, ყველა „სუხიშვილების“ მოცეკვავეს და სცენიდან ჩამოვარდნილს ჰგავს.

— **საქართველოში ყველაზე ლამაზ ქალად ვინ მიგაჩნიათ?**

— სხვათა შორის, ჩვენი გადაცემისთვის (კახას ტელეკომპანია „მაესტროზე“ გადაცემა „მაღვიძარა“ მიჰყავს. ავტ.) ამ საკითხთან დაკავშირებით გამოკითხვაც ჩავატარე. 50 წლის ზემოთ მამაკაცებმა ნატო ვაჩნაძე დაასახელეს, შემდეგ — ლიკა ქავჟარაძე და მაკა ასათიანი. ნატო ვაჩნაძეც და ძველი თაობის მსახიობებიც ძალიან ლამაზები იყვნენ, მაგრამ მე ალბათ უფრო ლიკა ქავჟარაძეს და მაკა ასათიანს დავასახელებდი. ლიკა ფილმში „ნატვრის ხე“ ზედმეტად ლამაზია. არ არსებობს, მამაკაცს მისი სილამაზე მეხსიერებაში არ დარჩეს.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**



ვლადიმირი და ჰეიდენი

## კლიჩკო ამერიკელ მსახიობზე ქორწინდება

უკრაინელმა მოკრივემ ვლადიმირ კლიჩკომ საიდუმლო ვითარებაში ნიშნობა მოაწყო ამერიკელ მსახიობ ჰეიდენ პანეტიერთან.

კრივში პროფესიონალთა შორის მსოფლიოს ჩემპიონისა და მისი შეყვარებულის, ჰეიდენის ურთიერთობის ისტორია საკმაოდ მდიდარია სხვადასხვა მოვლენით. ისინი ერთმანეთს ჯერ კიდევ 2009 წლიდან ხვდებოდნენ, ხოლო 2011 წლის მარტში დაშორდნენ. ზოგიერთი ინფორმაციით, გოგონას კრივის მიმართ ინტერესი გაუნელდა და ამერიკულ ფეხბურთზე გადაერთო, რასაც ხელი ნაციონალური ფეხბურთის ლიგის მოთამაშე სკოტი მაკნაიტმა შეუწყო.

2012 წლის დეკემბერში ჰეიდენის თვალში ამერიკულმა ფეხბურთმა თავისი შესაძლებლობები ამოწურა და ისევ კრივს მიაპყრო მზერა. ეს ყოველივე კი იმით დასრულდა, რომ უმცროსი კლიჩკო ყველასგან მალულად შეყვარებულზე დაინიშნა.

37 წლის მოკრივისა და 23 წლის მსახიობის ქორწილი ზაფხულისთვისაა დაგეგმილი. ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ მიიღებს მიწვევას, მაგრამ სრულიად შესაძლებელია, რომ მათი ქორწილი კრივის სახელოვანი ადამიანების ყველაზე მასშტაბური თავშეყრის ადგილად იქცეს.

— ბევრისთვისაა ცნობილი ამ მოვლენის შესახებ, — განაცხადა შეყვარებული წყვილის მეგობარმა, — მაგრამ ისინი ნიშნობის ბეჭდებს ჯერ არ ატარებენ.

## მარადონა პოლიციელების წინააღმდეგ

მსოფლიო ფეხბურთის „ბოროტი გენია“, ლეგენდარული არგენტინელი ფეხბურთელი დიეგო არმანდო მარადონა, კვლავაც აგრძელებს საზოგადოების შოკირებას. ახლახან დიადმა და საშინელმა დიეგომ სახალხოდ გამოხატა უარყოფითი დამოკიდებულება მსოფლიოს ყველა პოლიციელის მიმართ, თანაც ისე, რომ ერთი სიტყვაც კი არ დასცდენია.




„ფეისბუქში“ გამოჩნდა მარადონას ფოტოსურათი. მას ხელში პლაკატი უჭირავს, რომელზეც გაშიფრულია მთელი მსოფლიოს ფანების საყვარელი აბრევიატურაA.C.A.B. რაც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთათვის უსიამოვნო ფრაზას ნიშნავს — „ყველა პოლიციელი ნაძირალაა“.

რა თქმა უნდა, ეს ფოტო ყველა სოციალურ ქსელში გავრცელდა და ფეხბურთის ფანების, განსაკუთრებით კი ე.წ. ულტრასების მხრიდან უამრავი დადებითი გამოხმაურება მიიღო. ერთი სიტყვით, ფეხბურთის ლეგენდარულმა ცუდმა ბიჭმა ისევ აალაპარაკა მსოფლიო.

მეორე მხრივ, ეს შესაძლოა მარადონას პირადი გზავნილი იყო. მას ხომ დიდი ხნის მანძილზე უამრავი პრობლემა ჰქონდა კანონთან და შესაბამისად წყენაც ბევრი დაუგროვდა კანონის მსახურებზე. ან სულაც ძალიან მოეწონა ამავე სახელწოდების იტალიური ფილმი, რომელმაც გასულ წელს მოსკოვის კინოფესტივალზე სამი ჯილდო მოიპოვა.

## ფეხბურთი გველებთან ერთად



ყველასათვის კარგადაა ცნობილი ინდური ფილმები ცეკვებითა და ჩახლართული სიუჟეტებით, ასევე გველების მომთვინიერებლებით. სწორედ ეს ცივსისხლიანი არსებები იქცნენ ფეხბურთში ინდოეთის ჩემპიონატის მორიგი მატჩის გმირებად.

ორ კალკუტურ კლუბს — „მოხუნ ბაგანს“ და „პეილან ეროუზს“ შორის შეხვედრა იმით დასრულდა, რომ მოედანზე რამდენიმე შხამიანი გველი გამოსრიალდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი მაყურებელი, მოთამაშე გუნდების წარმომადგენელი ან სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელი არ დაზარალებულა. ცივსისხლიანთა გამოჩენას ფეხბურთის მოედანზე არავინ შეუშინებია, იმის მიუხედავად, რომ გველები გასახდელების მახლობლად დასრიალებდნენ. მოთამაშეებმა მომხდარის შესახებ მხოლოდ მატჩის დასრულებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ შეიტყვეს.

— მე ამ მოედანზე ხელმეორედ თამაშის შემეშინდებოდა, — განაცხადა „მოხუნ ბაგანის“ და ინდოეთის ნაკრების ნახევარმცველმა რახიმ ნაბიმ.

როგორც ქალაქის მუნიციპალიტეტის მეთაურმა აღნიშნა, სტადიონის მოედანზე გველების გამოჩენა დიდი სიცხეებითაა გამოწვეული. ინდოეთის ფეხბურთის ფედერაცია ამ ინციდენტის გამო სტადიონისთვის დისკვალიფიკაციის მიცემას არ აპირებს. უბრალოდ, საფეხბურთო ლიგამ მოითხოვა, რომ სტადიონის ხელმძღვანელობამ მოედანზე უსაფრთხოების დაცვა უზრუნველყოს.

✓ **მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კატამ მუნჯი ბიჭუნა აალაპარაკა

7 წლის ლორკან დილანი თანდაყოლილი ფსიქიკური აშლილობით — ე.წ. სელექციური მუტიზმით გახლდათ დაავადებული, რის გამოც ლაპარაკი არ შეეძლო. ერთ ჩვეულებრივ დღეს დილანების სახლში უცნობმა კატამ დაიდო ბინა. კატამ მალე მოხიბლა ლორკანი. რამდენიმე თვის შემდეგ კი მშობლები სასწაულის მომსწრენი გახდნენ — მათ გაიგონეს, როგორ ელაპარაკებოდა ბიჭი კატას, კატა კი საპასუხოდ კრუტუნებდა.



ამჟამად ლორკანი უკვე მთელი წინადადებების თქმას ახერხებს.

## ნათურა, რომელიც 130 წელია ანათებს

ნათურა, რომელიც პირველად 1883 წელს აინთო, დიდ ბრიტანეთში, ლანკაშირში მდებარე ერთ-ერთ სახლში დღესაც ანთია. ამ ნათურის მფლობელი 79 წლის ბეთი კრუკია, რომელსაც ნათურა დედამთილმა მისცა და მას შემდეგ მხოლოდ დროდადრო რთავდნენ.



განათების ექსპერტის, პეტერ მორგენროთის თქმით, აღნიშნული ნათურები „ედისონ და სვონის“ გაერთიანებული ელექტროგანათების კომპანიის ნაწარმია.

## ბუდე ადამიანებისთვის



კალიფორნიის შტატში მცხოვრებ ჯეისონ ფენს ძალიან უცნაური ჰობი აქვს. ის ტყეში მოგროვილი ტოტებით ადამიანებისთვის ბუდეებს ქმნის. მისი მიზანია, ადამიანებმა გააცნობიერონ, თუ როგორ ცხოვრობენ ფრინველები.



ბუდის ფორმის სახლში ნებისმიერ მსურველს შეუძლია დასვენება გარკვეული თანხის სანაცვლოდ. ხელოვანს ჯერჯერობით ფიქსირებული გადასახადი არ დაუწესებია.

ბუდეში ასვლა ხის კიბითაა შესაძლებელი, ხოლო შიგნით მხოლოდ ლეიბია დაფენილი და მასში ერთდროულად 8 ადამიანი თავსდება. ჯეისონი ყველა ტოტს გულდასმით ამოწმებს, რომ ბუდემ შედარებით მძიმე წონის ადამიანებსაც გაუძლოს.

გაგიკვირდებათ და, დროებით ფრინველად გადაქცევის სურვილი უკვე საკმაოდ ბევრმა გამოთქვა.

## ემიგრანტმა 338 მილიონი მოიგო

ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ კი ნიუ ჯერსიში, დომინიკის რესპუბლიკიდან ემიგრირებულმა კაცმა ლატარიაში 338 მილიონი დოლარი მოიგო. 44 წლის პედრო კესადამ ლატარიის იღბლიანი ბილეთი იმ სახელოსნოს მაღაზიაში შეიძინა, სადაც მუშაობდა. 5 შვილის მამა ძალიან გახარებულია და მოგებული თანხით, პირველ რიგში, ოჯახის, შემდგომ კი ახლობლების დახმარებას გეგმავს.



მეზობლების განცხადებით, წინა წლები კესადებისათვის ძალიან უიღბლო იყო — 2 წლის წინ მათ სახლში მძარცველები შეიჭრნენ და ტანისამოსიდან დაწყებული ყველაფერი წაიღეს. ერთი წლით ადრე კი ხანძარმა ღვინის ის პატარა ბარი გაუნადგურა, რომლის შემოსავლითაც ცხოვრობდნენ.

პედრომ მოგებული ფული მთლიანად მოითხოვა. ლატარიის კომპანიის წესების მიხედვით, თანხა 221 მილიონ დოლარამდე შემცირდა, დაქვითვის შემდეგ კი ემიგრანტს მხოლოდ 152 მილიონი დოლარი დარჩა.

## კაცი 6 წელია, ინტერნეტკაფეში ცხოვრობს

31 წლის ჩინელი ლი მენი ბოლო 6 წელიწადია უმეტეს დროს თამაშში ატარებს. ამ ხნის განმავლობაში კომპიუტერს მხოლოდ კვებისა და შხაპის მიღების მიზნით შორდებოდა. მან ინტერნეტკაფეში უკვე იმდენი დრო დაჰყო, რომ იქ მომუშავენი მის არსებობას ვეღარც კი ამჩნევენ.



ჩინეთში მსგავსი შემთხვევები იშვიათობას აღარ წარმოადგენს. გასულ წელს 23 წლის ციან ტაოს ინტერნეტკაფე 2 თვის მანძილზე არ დაუტოვებია. ლისგან განსხვავებით, მას არც ტანსაცმელი გამოუცვლია და არც შხაპი მიუღია.



Cyan Magenta Yellow Black

## ბრიტანეთში 7 კილოგრამიანი ბიჭუნა დაიბადა



ბრიტანეთში, გლოსტერშირის სამეფო სამშობიარო სახლში, გიგანტი ბავშვი დაიბადა. იგი მამრობითი სქესისაა და ზუსტად 7



კილოგრამს იწონის. ცნობილია, რომ ნორმა ახალშობილისთვის საშუალოდ 3,5 კგ-ს შეადგენს. სამედიცინო თვალსაზრისით, ჩვილი, რომლის წონაც 5 კგ-ს სცილდება, გიგანტია.

ბიჭუნა ფიზიოლოგიური გზით მოევლინა ქვეყანას. მას გადარჩენის ძალიან მცირე შანსი ჰქონდა, რადგან მშობიარობის დროს მხრებით გაიჭედა. ახალშობილს ჯორჯ კინგი დაარქვეს. დაბადებისთანავე ის ბრისტოლის ბავშვთა კლინიკაში მოათავსეს. ერთკვირიანი ინტენსიური მკურნალობის შედეგად პატარას სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

დედის, 21 წლის ჯეიდ პაკერის თქმით, მშობიარობამ, რომელიც 16 საათს გაგრძელდა, მას მეორე შვილის გაჩენის სურვილი ჩაუკლა. ახალბედა მშობლები ასეთ შედეგს ნამდვილად არ ელოდნენ. როგორც ბავშვის მამა ამბობს, სხვა ორსულებისგან განსხვავებით, მისი ცოლი ცოტას ჭამდა, არადა გიგანტი ბავშვი გააჩინა.

ჯორჯ კინგი სიგრძით 65 სანტიმეტრია და უკვე 6 თვის ბავშვის ზომის ტანისამოსი აცვია.

## მეთევზემ ორთავიანი ზვიგენი დაიჭირა

ამერიკელმა მეთევზემ ორთავიანი ზვიგენი დაიჭირა. შემთხვევა ამერიკაში, კერძოდ კი სამხრეთ სანაპიროზე, ფლორიდა-კისის კუნძულებზე მოხდა.

მიჩიგანის უნივერსიტეტის მეცნიერის, მაიკლ ვაგნერის თქმით, ეს ძალზე იშვიათი შემთხვევაა, რომელიც სხვადასხვა სახეობის ცხოველებში და ადამიანებშიც გვხვდება. მისივე განმარტებით, მსგავსი მუტაციის




მქონე ცხოველების გადარჩენის ალბათობა საკმაოდ დაბალია.

## 26 წელი მხარზე ჯვრით




60 წლის ბრიტანელი კაცი ლინდსი ჰამონი ბოლო 26 წელია მხარზე ჯვარგადაკიდებული მოგზაურობს. საქმე ის გახლავთ, რომ 1987 წელს მან გადაწყვიტა, ცოდვები უჩვეულო გზით გამოესყიდა და მასიური ხის ჯვარი გააკეთა, რომელიც 3 მეტრის სიგრძისაა. 26 წლის განმავლობაში ლინდსიმ 19 ქვეყანაში მოასწრო მოგზაურობა, მათ შორის — ახალ ზელანდიაში, შრი ლანკასა და ინდოეთში.

ჯვრის ტარებასთან ერთად ჰამონი ცდილობდა, ყველასთვის მოეთხრო იესო ქრისტეს შესახებ. ბანგლადეშში მორიგი ქადაგების დროს იგი სასწაულებრივად გადარჩა ცოცხალი მას შემდეგ, რაც ერთ-ერთმა აბორიგენმა ესროლა. საბედნიეროდ, ლინდსის ტყვია ასცდა.

მიუხედავად მრავალი ასეთი საბედისწერო შემთხვევისა, ლინდსი მოგზაურობას უწინდებურად აგრძელებს.

## რესტორანში მაიმუნები მოგემსახურებიან

ტოკიოში გაიხსნა რესტორანი, სადაც მიმტანებად მაიმუნები მუშაობენ. რესტორანში მისულ კლიენტებს ემსახურებიან მაიმუნები, სახელად იატ-ჩანი და ფუკუ-ჩანი. სტუმრებს რომ არ შეეშინდეთ, მაიმუნებს სპეციალური ნიღბები უკეთიათ და ამით ცოტათი ადამიანებს ჰგვანან.





მაიმუნები სტუმრებს თავს არ აბეზრებენ, პირიქით, ძალიან ზრდილობიანად იქცევიან, ხმას თითქმის არ იღებენ, მაგიდებს შორის სწრაფად დახტიან და სტუმრების მიერ შეკვეთილი კერძების ფურცელი მზარეულთან მიაქვთ.

# გაიგე მეტი საკუთარ თავზე



ჩამოთვლილი ვარიანტებიდან აირჩიეთ ერთი:

**1. ქვეყნიერების დასასრული ახლოვდება, თქვენ შეგიძლიათ მხოლოდ ერთი სახეობის ცხოველის გადარჩენა. რომელს აირჩევდით?**

ა) კურდღელს
ბ) ცხვარს
გ) ირემს
დ) ცხენს

**2. თუ ვალდებული ხართ, იქცეთ ცხოველად, ჩამოთვლილთაგან რომელს აირჩევდით?**

ა) ძაღლს
ბ) კატს
გ) ცხენს
დ) გველს

**3. ერთი სახეობის ცხოველის გაქრობის უნარი რომ გქონდეთ, რომელს გააქრობდით?**

ა) ლომს
ბ) გველს
გ) ნიანგს
დ) ზვიგენს

**4. რომელიმე სახეობის ცხოველს ლაპარაკი რომ შეეძლოს, რომელთან ურთიერთობას აირჩევდით?**

ა) ცხვართან
ბ) ცხენთან
გ) კურდღელთან
დ) ფრინველთან

**5. უკაცრიელ კუნძულზე თქვენ მხოლოდ ერთი პარტნიორის ყოლის უფლება გაქვთ. ჩამოთვლილთაგან რომელს აირჩევდით?**

ა) ადამიანს
ბ) ღორს
გ) ძროხას
დ) ფრინველს

**6. ცხოველების მოთვინიერების უნარი რომ გქონდეთ, რომელს აირჩევდით შინაურ ცხოველად?**

ა) დინოზავრს
ბ) ვეფხვს
გ) პოლარულ დათვს
დ) ლეოპარდს

**7. რომ შეგეძლოთ 5 წუთით რომელიმე არსებად გადაქცევა, რომელს აირჩევდით?**

ა) ლომს
ბ) კატას
გ) ცხენს
დ) მტრედს

## შედეგები:

პირველ კითხვაზე პასუხი გიჩვენებთ ადამიანის იმ თვისებებს, რომლებიც ყველაზე მეტად გხიბლავთ რეალურ ცხოვრებაში.

კურდღელი — გარეგნულად ცივი, მაგრამ შინაგანად ძალიან თბილია;

ცხვარი — მორჩილი და თბილი;

ირემი — ელეგანტური და კარგი მანერების;

ცხენი — თავაწყვეტილი და თავისუფალი.

მეორე კითხვა მეტყველებს, როგორ შთაბეჭდილებას ტოვებთ თქვენს პარტნიორზე.

ძაღლი — ლოიალური და ერთგული;
კატა — მოდური და ელეგანტური;
ცხენი — ოპტიმისტი;
გველი — მოქნილი.

მესამე კითხვის არჩევანი გიჩვენებთ მიზეზს, რის გამოც შეიძლება გაწყვიტოთ ურთიერთობა პარტნიორთან.

ლომი — პარტნიორის ქედმაღლობა და მბრძანებლური თვისებები;
გველი — პარტნიორის უხასიათობა;
ნიანგი — შეუბრალებლობა;
ზვიგენი — დაუნდობლობა.

მეოთხე კითხვის პასუხი მიუთითებს, როგორი ურთიერთობა გსურთ ამჟამინდელ პარტნიორთან.

ცხვარი — ერთმანეთის უსიტყვოდ გესმოდეთ;

ცხენი — ყველაფერზე გულახდილად ილაპარაკოთ, არანაირი საიდუმლოებები;

კურდღელი —სიყვარული არასდროს განელდეს;

ფრინველი — ხანგრძლივი ურთიერთობა გქონდეთ.

მეხუთე კითხვა გაგიმხელთ, შეგიძლიათ თუ არა უღალატოთ პარტნიორს.

ადამიანი — არა;

ღორი — სურვილს წინააღმდეგობას ვერ უწევთ და შესაძლებელია, უღალატოთ;

ძროხა — მომთმენი ხართ და შეეცდებით, რომ არ უღალატოთ;

ფრინველი — არ გიყვართ ვალდებულებები და შესაძლოა, უღალატოთ.

მეექვსე კითხვა თქვენს შეხედულებას განსაზღვრავს ქორწინებაზე.

დინოზავრი — პესიმისტი ხართ და ფიქრობთ, რომ ბედნიერი ქორწინება არ არსებობს;

ვეფხვი — თქვენი აზრით, ქორწინება ძალიან ძვირფასია და მას ნამდვილად უფრთხილდებით;

პოლარული დათვი — ქორწინების გეშინიათ, ფიქრობთ, რომ ის თავისუფლებას წაგართმევთ;

ლეოპარდი — ყოველთვის გინდოდათ, დაქორწინებულიყავით, მაგრამ... ფაქტობრივად არც იცით, ეს რა არის!

მეშვიდე კითხვის პასუხი თქვენი ამჟამინდელი შეხედულებაა სიყვარულზე.

ლომი — თქვენ ყოველთვის სიყვარული გწყურიათ და მის მოსაპოვებლად ყველაფერს გააკეთებთ, თუმცა ადვილად არ გიყვარდებათ;

კატა — ცოტათი ეგოისტი ხართ. ფიქრობთ, რომ შეგიძლიათ ნებისმიერ დროს მოიპოვოთ სიყვარული და მერე, როცა მოგინდებათ, სანაგვეზე მოისროლოთ.

ცხენი — მხოლოდ ფლირტი გხიბლავთ;

მტრედი — თქვენი აზრით, სიყვარული მხოლოდ ვალდებულებაა.

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები იხ. გვ. 78

## სუდოკუ

სუდოკუ არის იაპონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად ამოხსნის პროცესი კი დიდ სიამოვნებას გპირდებათ.

№ 1

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | | | 6 | | | | |
| | 3 | | | | 1 | 9 | 8 | |
| | | 2 | | 9 | | | | |
| | | 1 | 8 | | | 7 | | 3 |
| 9 | | | 2 | 3 | | | 1 | |
| | | | 6 | | 5 | | | |
| | 2 | | | | 4 | | | 9 |
| 4 | | | 9 | | | | 6 | |
| | | 7 | | | | 1 | | |

№ 2

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | | | | 4 | | | |
| 9 | | | | | 6 | 4 | | 3 |
| | | 7 | 8 | 5 | | | | 1 |
| | 3 | | | 8 | | 5 | | |
| | 1 | | | 3 | | | | 7 |
| 2 | | | 6 | | 1 | 8 | | |
| | | 8 | 9 | | | | 6 | 2 |
| | 9 | | | | | | 5 | |
| 5 | | | | | 7 | | | |

სუდოკუ შედგება 9-9 ჰორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შეავსეთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.



Cyan Magenta Yellow Black

# საყვარელი მამაკაცისთვის წიწაკა ხართ თუ შაქარი?



**1. დილით, სამსახურში წასვლამდე, საყვარელმა მამაკაცმა შემოგთავაზათ, საღამოს თეატრში წახვიდეთ. სამსახურიდან დაბრუნებული კი გეჩხუბათ. როგორ მოიქცევით, მაინც გაჰყვებით თეატრში?**

ა) მიუტევებთ და თეატრში გაჰყვებით — 1

ბ) ასეთი საქციელის ახსნას მოსთხოვთ, შემდეგ კი გადაწყვეტთ, წახვიდეთ თუ არა თეატრში — 2

გ) თეატრში წახვალთ, შინ დაბრუნებული კი ყველაფრის ახსნას მოსთხოვთ — 3

**2. შემთხვევით შეიტყვეთ, რომ საყვარელმა მამაკაცმა თქვენზე წაიჭორავა, რა რეაქცია გექნებათ?**

ა) ამას ხუმრობად მიიჩნევთ და ყურადღებას არ მიაქცევთ — 2

ბ) დაინტერესდებით, ეს რატომ გააკეთა — 2

გ) განაწყენდებით და ხმას აღარ გასცემთ — 3

**3. საყვარელი მამაკაცი ფეხბურთის მატჩს უყურებს, ტელევიზორს ხმა ძალიან აუწია, როგორ მოიქცევით?**

ა) სთხოვთ, ხმას ჩაუწიოს — 2

ბ) სხვა ოთახში გახვალთ — 1

გ) ტელევიზორთან მიხვალთ და ხმას თავად დაუწევთ — 3

**4. ქუჩაში ყოფილი შეყვარებული შეგხვდათ, რომელმაც ადრე გაწყენინათ. რა რეაქცია გექნებათ?**

ა) ზრდილობის გამო მოიკითხავთ — 1

ბ) თავის დაკვრით მიესალმებით და გზას გააგრძელებთ — 2

გ) თავს ისე დაიჭერთ, თითქოს ვერ შენიშნეთ — 3

**5. თქვენი აზრით, შურისძიება ადამიანს კმაყოფილებას გვრის?**

ა) დროებით, დიახ — 1

ბ) რა თქმა უნდა — 2

გ) არა — 3

**6. როგორ ფიქრობთ, ქალმა მამაკაცს წვრილმანი გადაცდომები უნდა აპატიოს?**

ა) დიახ — 1

ბ) არა — 3

გ) გააჩნია სიტუაციას — 2

**შედეგები:**

**6-9 ქულა** — გულში წყენას დიდხანს არ იდებთ. საყვარელი მამაკაცის მიტევება თქვენთვის პრობლემას არ წარმოადგენს. ძალიან გულკეთილი ბრძანდებით და ხანდახან ამით სხვები სარგებლობენ. გირჩევთ, ყველას, მათ შორის საყვარელ მამაკაცსაც, თქვენთან ურთიერთობაში დასაშვები ზღვრები კარგად გააგებინოთ.

**10-14 ქულა** — წყენას ადვილად ვერ ივიწყებთ, თუმცა გაქვთ უნარი, მომხდარის დეტალები კარგად გაარკვიოთ და, თუ საჭიროა, საყვარელ მამაკაცს მიუტევოთ კიდეც. გაცილებით ლმობიერი ხდებით, თუ გრძნობთ, რომ ის უღირს საქციელს საშინლად განიცდის და გულწრფელად ცდილობს მონანიებას.

**15-18 ქულა** — ყველას მიმართ, მათ შორის საყვარელი მამაკაცის მიმართაც, ძალიან მკაცრი მოთხოვნები გაქვთ. თუ რამე გაწყენინათ, ბოღმას გულში დიდი ხნით იდებთ და დავიწყება გიჭირთ. თქვენთვის მიტევება რთული საქმეა. გირჩევთ, მეტი შემწყნარებლობა გამოიჩინოთ, ასე თქვენც და მასაც ცხოვრება გაგიადვილდებათ.

# ნერვები წესრიგში გაქვთ?



ტესტის კითხვებს უპასუხეთ „ძალიან" — 3 ქულა; „არც ისე" — 1 ქულა; „არავითარ შემთხვევაში" — 0 ქულა.

1. გაღიზიანებთ გაზეთის დაჭმუჭნული გვერდი, რომლის წაკითხვასაც აპირებთ?
2. ახალგაზრდულად, ლამის თინეიჯერულად გამოწყობილი ხანდაზმული ქალბატონი?
3. მოსაუბრის მეტისმეტი სიახლოვე (მაგალითად, ტრანსპორტში პიკის საათის დროს)?
4. ქუჩაში საჯაროდ მწეველი ქალი?
5. როდესაც ვიღაც თქვენი მიმართულებით ახველებს?
6. უადგილო ადგილას ვიღაცის ხმამაღალი სიცილი?
7. გამუდმებული ჭკუის დარიგება იმის თაობაზე, თუ რა და როგორ უნდა აკეთოთ?
8. როდესაც საყვარელი ადამიანი მუდმივად იგვიანებს?
9. როდესაც კინოსა თუ თეატრში თქვენ წინ მჯდომი წრიალებს, ვერ ისვენებს და, რაც მთავარია, მუდმივად კომენტარს უკეთებს სცენასა თუ ეკრანზე მიმდინარე მოვლენებს?
10. როდესაც ცდილობენ, გიამბონ იმ წიგნის სიუჟეტი, რომლის წაკითხვასაც აპირებთ?
11. როდესაც არასაჭირო ნივთებს გჩუქნიან?
12. ვიღაცის ხმამაღალი საუბარი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში?
13. მეტისმეტად მძაფრი სუნამოს სუნი?
14. როდესაც ვიღაც თქვენ თვალწინ ივსენტს ფრჩხილებს?
15. ადამიანი, რომელიც მეტისმეტად აქტიური ჟესტიკულაციით გესაუბრებათ?
16. ჟარგონებით ან ბარბარიზმებით მოსაუბრე კოლეგა?

**შედეგები:**

**11 და ნაკლები ქულა** — თქვენი ჭეშმარიტად ოლიმპიური სიმშვიდე და რეალური შეხედულებები ცხოვრებაზე ალბათ დიდი ხანია, გარშემომყოფთა გაოცებისა და კეთილი შურის მიზეზია. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ თქვენი მდგომარეობიდან გამოყვანა არც ისე ადვილია! ეს კი თქვენს სასიკეთოდ მეტყველებს.

**12-24 ქულა** — გაგიმართლათ, რადგან ადამიანთა იმ კატეგორიას მიეკუთვნებით, რომელთაც შეუძლიათ, ყურადღება არ მიაქციონ ცხოვრებისეულ უსიამოვნებებს და, რაც მთავარია, ტრაგედიად არ აქციონ ყოფითი პრობლემები. ჩვეულებრივ, მეტისმეტად დაუშვებელ საქციელსა და ძალიან გამაღიზიანებელ ფაქტორებს გამოყავხართ მდგომარეობიდან. უნარი შეგწევთ, ზურგი შეაქციოთ უსიამოვნებებს, საკმაოდ ადვილად ივიწყებთ მათ და არ გიძნელდებათ ადამიანთა პატიება!

**25-48 ქულა** — არ მიეკუთვნებით მშვიდ და მომთმენ ადამიანთა კატეგორიას. ყველაფერი გაღიზიანებთ, წვრილმანებიც კი! მეტისმეტად ფეთქებადი ხართ, ადვილად კარგავთ წონასწორობას, როგორც სამსახურებრივ, ასევე პირად ურთიერთობებში. ანგრევთ საკუთარ ნერვულ სისტემასაც და ანერვიულებთ გარშემომყოფებსაც. ეს მდგომარეობა ნამდვილად გამოსასწორებელია.



# ყველა ავადმყოფობის მიზეზი თავსა და გულშია

## ნერვების დაავადებები

ჯერ კიდევ ძველი ბერძენი სწავლულები ირწმუნებოდნენ, რომ სულის მდგომარეობა (ფსიქო) მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სხეულის (სომის) ჯანმრთელობაზე. ადამიანი, რომელსაც შინაგანი, სულიერი უთანხმოება აქვს, უარყოფით ემოციებს ვერ უმკლავდება და ადრე თუ გვიან ავადდება. აქედან წარმოდგება ტერმინი ფსიქოსომატური დაავადება.

შეგიძლიათ დაუსრულებლად მიიღოთ გასტრიტის საწინააღმდეგო წამლები, ოპერაციით პოლიპები მოიშოროთ, ოსტეოქონდროზის დროს მასაჟის სეანსებზე იაროთ და მაინც ვერავითარი გაუმჯობესება შენიშნოთ. საქმე ისაა, რომ ჭეშმარიტი მიზეზი არა — კუჭის ლორწოვანსა ან მალებში, არამედ თავსა და გულში იმალება. და სანამ ამ მიზეზს არ გააცნობიერებთ, პრობლემა არ გადაიჭრება, გამოჯანმრთელება არ მოხდება.

სტრესები, ჩახშობილი ემოციები, პირველ რიგში, სისხლძარღვებზე ზემოქმედებს: მსხვილი არტერიებიდან და ვენებიდან დაწყებული უმცირესი კაპილარებით დამთავრებული. სისხლძარღვები იკუმშებიან და ფართოვდებიან, შემდეგ კი ჯაჭვური რეაქცია იწყება. სისხლის მომარაგება უარესდება, ორგანოებს ცოტა ჟანგბადი და მკვებავი ნივთიერება მიეწოდება. შინაგანი სეკრეციის დაზიანებულ ჯირკვლებში ჰორმონების გამომუშავება ირღვევა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები თოვლის გუნდასავით იზრდება.

## ექსტრავერტებისა და ინტროვერტების დაავადებები

ადამიანები ორ ჯგუფად იყოფიან: ექსტრავერტებად და ინტროვერტებად იმის მიხედვით, მათი ენერგია რომელ მხარეს არის მიმართული — გარეთ, სხვებზე თუ შიგნით, თავის თავზე. თითოეული ამ ტიპისთვის დამახასიათებელია გარკვეული დაავადებები.

ექსტრავერტები მეტისმეტად აქტიური ადამიანები არიან. ყველა მათი სწრაფვა, ყველა ემოცია სხვებზეა მიმართული. ენერგიულებს, მოძრავებს, გულღიებს შეუძლიათ ხმის ჩახლეჩამდე იკამათონ და თავიანთი შეხედულება დაიცვან. შეჯიბრების სული, აგრეთვე აგრესიულობა და შეუპოვრობა ახასიათებთ. ყოველთვის ცდილობენ, ლიდერები იყვნენ. როდესაც ცხოვრებისეულ ვითარებებში (ყველაზე ხშირად სამსახურებრივ კიბეზე წინსვლის დროს) თავიანთი აქტივობის ჩახშობა, ემოციების შეკავება უხდებათ, სხვადასხვა სნეულებებით ავადდებიან. ესენია: ჰიპერტონია, გულის იშემიური დაავადება, ფარისებური ჯირკვლის ჰიპერფუნქცია (მომატებული აქტივობა), ართრიტები და შაკიკი.

ინტროვერტები ბუნებით პასიურები არიან, თავში ჩაკეტილები, მთლიანად საკუთრ ფიქრებში ჩაძირული ადამიანები. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს რაც მათ ირგვლივ ხდება, არ აინტერესებთ. სინამდვილეში ირგვლივ მიმდინარე მოვლენებს მწვავედ განიცდიან, რეალობა აშინებთ. და მაშინაც კი, როდესაც ხედავენ, რომ სრულიად მართლები არიან, ინტროვერტები გაჩუმებას ამჯობინებენ და კამათში არ ებმებიან. თავიანთ ემოციებს მუდამ ახშობენ, ამიტომ ადრე თუ გვიან ჯანმრთელობასთან სერიოზული პრობლემები უჩნდებათ. ესენია: ბრონქული ასთმა, ვეგეტოსისხლძარღვოვანი დისტონია, ჰიპოტონია, კუჭის წყლული, კოლიტი.

ცხოვრებისეულ პოზიციებსა და ხასიათში განსხვავების მიუხედავად, ორივე ტიპი მეტისმეტად ემოციური და მოწყვლადია. საბედნიეროდ, ყველაფრის გამოსწორება შეიძლება. ეცადეთ, ცხოვრებაზე შეხედულებებს გადახედოთ. ეს ადვილი არ არის და სხვადასხვა ფსიქოლოგიური პრაქტიკის ათვისება მოგიწევთ. სამაგიეროდ შეძლებთ, ბევრი დაავადებისგან გათავისუფლდეთ და ახლები თავიდან აიცილოთ.

## დაავადებების ფსიქოლოგიური მიზეზები

სად იმალება მძიმე სნეულებების სათავე? ყველაზე გავრცელებული დაავადებების მთავარ მიზეზებზე სპეციალისტებს თავიანთი მოსაზრებები გააჩნიათ.

ანგინა: საკუთარი აზრის გამოთქმის შიში, სხვისი გულის საამებლად სურვილის ჩახშობა.

ართრიტი: საკუთარ ქცევებზე პასუხისმგებლობის აღების სურვილის არქონა, ნებისმიერი გრძნობის გამოვლენის ჩახშობა.

ასთმა: ცხოვრების მიმართ ქვეცნობიერი შიში, კონფლიქტები მშობლებთან, თავის მიმართ სიყვარულის არქონა.

ათეროსკლეროზი: სიხარულის დეფიციტი, ჯიუტობა, ცხოვრების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება.

ვარიკოზი: ცხოვრებაში არასწორად არჩეული გზა, მომავლის მიმართ შიში.

ჰიპერტონია: შიშებით გამოწვეული შინაგანი დაძაბულობა და წინააღმდეგობა, უნდობლობა, აგრესიული აზრები.

თვალის ანთებები: რისხვა, სიძულვილი, წყენა.

დიაბეტი: წუხილი, სევდა, წყენა ადამიანებსა და ცხოვრებაზე.

ინსულტი: ეჭვიანობა, სიძულვილი, ცხოვრებაში რაიმეს შეცვლის უუნარობის შეგრძნება.

კანის დაავადებები: დაუცველობის შეგრძნება; ნევრალგია: მუდმივი თვითგვემა და ნებისმიერი წინდაუხედაობისთვის თავის დასჯა.

ოტიტი და ყურის სხვა დაავადებები: სურვილის არქონა, მოისმინოთ და მიიღოთ ის, რასაც გარშემომყოფები ამბობენ.

თირკმლის დაავადებები: რისხვა, კრიტიკა, განსჯა, ბრაზი და სიძულვილი, ძლიერი გულისტკენა, მატერიალური მდგომარეობის გამო მომავლის წინაშე შიში.

სტენოკარდია: თავის, ახლობლების, სამყაროს და საერთოდ ცხოვრების მიმართ არადამაკმაყოფილებელი სიყვარული, დაგროვილი ძველი წყენა და ეჭვიანობა, სიბრალული, შიში, ზედმეტი თანაგრძნობა.

კუჭის წყლული და გასტრიტი: მღრღნელი შიში ცხოვრებისეული გარემოებების მიმართ, შეუძლებლობა გადახარშოთ ის, რაც ხდება, გაურკვევლობა.

## სტრესის თავიდან აცილების 7 საშუალება

1. თუ სამსახურში იგვიანებთ იმიტომ, რომ საცობში მოხვდით, სიტუაციის შეცვლა თქვენს ძალას აღემატება, მაგრამ შეგიძლიათ მის მიმართ თქვენი დამოკიდებულება შეცვალოთ და ნერვიულობა შეწყვიტოთ. ისარგებლეთ მომენტით და იფიქრეთ იმაზე, საღამოს ვახშამს როგორ მოამზადებთ ან იფანტაზიორეთ და იდეალური შვებულება წარმოიდგინეთ.

2. თან ატარეთ საგანი, რომლითაც ხელები დაკავებული გექნებათ. მაგალითად, რეზინის ბურთი, მძივი, კაკალი. მძივი დამარცვლეთ, ბურთს ხელი მოუჭირეთ, კაკალი ხელისგულებში აგორავეთ. ეს დამშვიდების ნაცადი მეთოდია. ამავდროულად მუშაობს რეფლექსოთერაპია, ვინაიდან ხელისგულებზე ბევრი ბიოლოგიურად აქტიური წერტილია.

3. გამოიყენეთ ნებისმიერი არომატი. დამტკიცებულია, რომ ადამიანები, რომლებიც დამამშვიდებელ ეთერზეთებიან არომაკულონს ატარებენ, ნერვულ გადაძაბვასა და სტრესს უფრო იშვიათად განიცდიან. ანტისტრესულ არომატებს მიეკუთვნება: ლავანდა, ბერგამოტი, ილანგ-ილანგი, სალბი, ნემსიწვერა, ნეროლი.

4. გაიკეთეთ თავის მასაჟი. დაგამშვიდებთ და ამავდროულად საღად აზროვნების უნარს დაგიბრუნებთ. თითების ბალიშებით მთელი თავის ზედაპირი დაისრისეთ, როგორც დაბანის დროს. ამის შემდეგ, წრიული მოძრაობით, ცერა თითებით 5-5-ჯერ, საათის ისრის და საწინააღმდეგო მიმართულებით საფეთქლები დაისრისეთ. ბოლოს კისერზე კეფიდან მხრებისკენ ხელი გადაისვით.

5. პარკში, სკვერში, მდინარის პირას გაისეირნეთ. ან ყვავილების მაღაზიაში შედით და უბრალოდ დაათვალიერეთ. კარგი იქნება, თავს საჩუქრად იაფფასიანი თაიგული უყიდოთ.

6. შოკოლადის ნატეხი ან ბანანი მიირთვით — განწყობის ასამაღლებელ ნივთიერებებს შეიცავს. ან ფინჯანი მწვანე ჩაი დალიეთ პიტნით, შესანიშნავი ანტისტრესული სასმელია.

7. მიიღეთ თბილი (მაგრამ არა ცხელი) აბაზანა ზღვის მარილით. დამამშვიდებელი ეთერზეთების რამდენიმე წვეთი დაუმატეთ და სასიამოვნო მუსიკას მოუსმინეთ, მაგრამ ტელევიზორი არ ჩართოთ. ხოლო ახლობლებს აბაზანის მიღების შემდეგ დაეკონტაქტეთ, სამუშაოზე ან საზოგადოებრივ ადგილზე მიღებული უარყოფითი ემოციები მათზე რომ არ გადაიტანოთ.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black



# გვპასუხობს ექიმი

**— ერთი თვეა, თითები მიბუჟდება. რისი ბრალი შეიძლება იყოს?**

— დაბუჟება შეიძლება გამოწვეული იყოს პერიფერიული სისხლის მიმოქცევის პრობლემით, ამიტომ, პირველ რიგში, ანგიოლოგს მიმართეთ.

**— ციკლის დროს მუცელი ძალიან მტკივა. საშიში ხომ არ არის?**

— ციკლის დროს ტკივილი ბუნებრივია, მთავარია, რა სახის ტკივილია. ძლიერი ტკივილის დროს აუცილებელია ექიმის კონსულტაცია. გადაიღეთ ექოსკოპია, თუ დაფიქსირდა ფუნქციური ცვლილება, გინეკოლოგს მიმართეთ.

**— სწორი ნაწლავის გარეთ მაქვს ქიების ფუთფუთის შეგრძნება. ხშირად ვგრძნობ ძლიერ ქავილსაც და მაქვს კანის წვის შეგრძნება. მირჩიეთ რამე.**

— პირველ რიგში, საჭიროა გამოკვლევა პარაზიტებზე. მსგავსი სიმპტომები ახასიათებს მახვილას, რომელიც თეთრი ფერის საკმაოდ წვრილი ჭიაა. მისი მკურნალობა ხანგრძლივი პროცესია. პირველ რიგში, გირჩევთ, გაიკეთოთ ნივრის წყლის ოყნა, 2-3 კბილი ნიორი გასრისეთ, დაასხით ერთი ლიტრი ადუღებული წყალი, შეაგრილეთ და ოყნა გაიკეთეთ. ნიორწყალი არ უნდა იყოს ძლიერი, ანუ ნივრის სუნი და გემო ოდნავ უნდა იგრძნობოდეს. შემდეგ კუჭის ყოველი მოქმედების შემდეგ საპნით დაიბანეთ და სწორი ნაწლავის გარეთ გაიკეთეთ ბამბის მშრალი ტამპონი. კუჭის ყოველი მოქმედების შემდეგ ბამბის ტამპონი გამოცვალეთ. ამ პროცედურას დაახლოებით 21 დღე სჭირდება. შვებას აუცილებლად იგრძნობთ. ბუნებრივია, გამოკვლევის ჩატარებას კიდევ ერთხელ გირჩევთ.

**— ვარ 14 წლის, მენსტრუაცია მიცდება 3 თვით, მაქვს ასევე თეთრი გამონადენი. როგორ ვიმკურნალო?**

— პირველ რიგში, უნდა გითხრათ, რომ თეთრი გამონადენი მენსტრუალური ციკლის დარღვევას არ გამოიწვევდა. გამონადენი გამოწვეულია ანთებითი პროცესით. უნდა ჩაიტაროთ ნაცხის გამოკვლევა, რადგან გამონადენის მიზეზი ხშირად სოკოა და შესაბამისი მკურნალობის ჩატარება მოგიწევთ. რაც შეეხება მენსტრუაციის არასტაბილურობას, მას ჰორმონალური დარღვევა იწვევს, მაგრამ, თქვენი ასაკიდან გამომდინარე, შეიძლება მკვეთრი ჩარევები საჭირო არ იყოს. აუცილებლად, მიმართეთ გინეკოლოგს. თუ ექიმი საჭიროდ ჩათვლის, ჰორმონალურ გამოკვლევას ჩაგიტარებთ.

**— მცვივა თმა. მირჩიეს თიხის ნიღაბი. როგორ გავაკეთო?**

— თიხას ნიღბის მოსამზადებლად პასტის ან ფხვნილის სახით ნებისმიერ აფთიაქში ნახავთ. თბილ წყალში გახსნილ თიხას არაჟნის კონსისტენცია უნდა ჰქონდეს. მიღებული მასა წაისვით ნამიან თმაზე და გაიჩერეთ 15 წუთი. არ გაგიკვირდეთ, თუ თავის დაბანისას თმის დიდი რაოდენობა ჩამოვა. თიხის ნიღაბი მხოლოდ თმის მკვდარ ღერებს აშორებს, რომლებიც დარჩენილია ძირებში. ამ ნიღბის გამოყენება კვირაში 2-3-ჯერ შეიძლება.

**— 11 წლის მოზარდი ღამით ისველებს. რა გავაკეთო?**

— ბავშვებში ღამით შარდის შეუკავებლობა ხშირად ღრმა ძილითაა გამოწვეული, მაგრამ მხედველობიდან არც შარდ-სასქესო ორგანოების პრობლემა უნდა გამოგრჩეთ. ეცადეთ, ბავშვი ყოველ ღამე ერთსა და იმავე დროს გააღვიძოთ, რომ მოშარდოს. ბავშვების უმეტესობას შარდი გამთენიისას ეპარებათ. ძილის წინ მიეცით ტკბილი საკვები, რაც ფხიზელ ძილში დაეხმარება.

**— ქუსლებზე მიჩნდება ნახეთქები, რაც მტკივნეულია. რითი შეიძლება იყოს გამოწვეული?**

— ქუსლებზე ნახეთქების გაჩენას ძირითადად ავიტამინოზი იწვევს. შეიძინეთ A ვიტამინის ან ზეითუნის ზეთის შემცველი კრემები და ქუსლების დარბილების და მკვდარი უჯრედების მოცილების შემდეგ კანში შეიზილეთ.

**თუ გსურთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვის გაგზავნა, აკრიფეთ ასო თ და გაგზავნეთ კითხვა ნომერზე 1779 მაგთიდან ან ჯეოსელიდან. თქვენს კითხვებს შეძლებისდაგვარად გავცემთ პასუხს. ერთი სმს-ის ფასია 50 თეთრი.**

## მოცხარი – გულის მეგობარი



შავი მოცხარის ფოთლებს ფენომენური სამკურნალო ძალა აქვს. მათი გამაჯანსაღებელი ეფექტი რამდენჯერმე მეტია ნორჩ ფოთლებში, ვიდრე გაშლილ, მომწიფებულ ფოთლებში. მოცხარის ფოთლებს გულის მეგობარს უწოდებენ. ის სასარგებლოა იშემიის, თავბრუს, ყურებში ხმაურის დროს, ასევე იმუნიტეტის გაძლიერებას ეხმარება.

რეცეპტი: შავი მოცხარის 50 გრამი ნორჩი ფოთოლი ან კვირტი როდინში დანაყეთ. 30 მლ თაფლი, 1 გრამი ვანილი და 1 გრამი დარიჩინი დაუმატეთ, 700 მლ კონიაკი დაასხით და შეანჯღრიეთ. 12 საათი თბილ და ბნელ ადგილას მოათავსეთ. გაწურეთ და დღეში 3-ჯერ 1 სუფრის კოვზი დალიეთ. მკურნალობის კურსი 2-3 თვეა.

## ჯანმრთელობის დამცველი ბუნებრივი დამხმარეები



**წიწაკა ჩილი** — არამხოლოდ ცხარე სანელებელი, ასევე წამალია. გაციების პირველი ნიშნების დროს, 100 მლ წითელი ღვინო გააცხელეთ, 1 ჩაის კოვზი თაფლი და ცხარე წიწაკის ნატეხი დაუმატეთ. ძილის წინ დალიეთ.

**სტაფილო და პარკოსნები** (ბარდა, ლობიო, მუხუდო) მდიდარია პოლივიტამინებით, რომლებიც ლიმფოციტების (სისხლის სხეულები) წარმოქმნაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ჭამეთ და გამოჯანმრთელდით.



**ნიგოზი თაფლით** მრავალ დაავადებას თავიდან აგაცილებთ, ორგანიზმის იმუნურ სტატუსს აამაღლებს.

**კოჭას** ფესვის 2-3 ნაჭერს მდუღარე დაასხით და დალიეთ, როგორც ჩაი. ყოველ ყლუპზე თქვენს ორგანიზმს სარგებელი ემატება. ეს სასმელი იმუნურ სისტემას აძლიერებს.

**ნიორი** მდიდარია ალიცინით და გოგირდის შემცველი ნაერთებით, რომლებიც ორგანიზმის დამცავ ძალებს და საერთო ტონუსს ამაღლებს.

## იოდი ტვინის მუშაობას ხელს უწყობს

იოდი ესაჭიროებათ ბავშვებსაც და მოზრდილებსაც. ამ ელემენტის გარეშე ნორმალური ნივთიერებათა ცვლა და ტვინის კარგი მუშაობა შეუძლებელია. მოცემული მიკროელემენტის შემცველობით ლიდერია ზღვის კომბოსტო. იოდი ასევე ბევრია ზღვის პროდუქტებში, თევზში და ისეთ ეგზოტიკურ ხილში, როგორიცაა ფეიხოა. ეს უკანასკნელი იოდის შემცველობით ზოგიერთ ზღვის პროდუქტს მეტოქეობასაც კი უწევს.

რაც შეეხება იოდიზირებულ მარილს, მისი გამოყენება ყოველთვის გამართლებული არ არის. შეგახსენებთ, მარილში არსებული იოდის ნაერთები არამყარია და რამდენიმე თვის შემდეგ მათი შემცველობა მნიშვნელოვნად მცირდება. ასევე არ შეიძლება აღნიშნული მარილის გამოყენება ცხელ კერძებში, ვინაიდან თერმული დამუშავებისას 60%-მდე იოდი იკარგება. გამოიყენეთ სალათებსა და ცივ კერძებში.



Cyan Magenta Yellow Black

1. ... მონტანი; 2. მზის სისტემის პლანეტა; 3. ჩაცმის მიღებული სტილი; 4. „მარტინ ...“; 5. გალერეა მილანში; 6. ჭადრაკის ფიგურა; 7. მდინარისპირა რბილმერქნიანი ხე; 8. ჩქარტემპიანი ვირტუოზული პიესა ფორტეპიანოსათვის; 9. ტომის მეთაური; 10. მართალი, პატიოსანი; 11. თანაარსებობა, თანაცხოვრება; 12. „ოტელოს“ პერსონაჟი; 13. სპორტული იარაღი; 14. პითონი; 15. ცდის საფუძველზე; 16. იგივეა, რაც ბაფთა; 17. მეფის მხლებლები; 18. ალალბედზე მოქმედება; 19. კომბოსტოს სახეობა; 20. ... რივზი; 21. ერთგვარი ქსოვილი; 22. ფრანგული ყველი; 23. საიალქნე ძელი; 24. დიდი ფრინველის ნარნარი ფრენა; 25. მეექვსე ნოტი; 26. კავშირი, გაერთიანება; 27. ნორვეგიის დედაქალაქი; 28. ჭრილობაზე დასადები სტერილური მარლა; 29. აბრეშუმის მკვრივი შეუღებავი ქსოვილი; 30. ძლიერი მიდრეკილება რაიმე ცუდისადმი; 31. ნაკლული ადგილი, ხარვეზი რაიმე ტექსტში; 32. იუპიტერი ძველქართულად; 33. ფრანგი გრაფიკოსი, ფერმწერი, მოქანდაკე; 34. აღმოსავლური შერკინება; 35. ოპერა „აიდას“ პერსონაჟი; 36. ფინური აბანო; 37. დამხმარე თეორემა; 38. მისალმება ფრანგულად; 39. ქალის საოპერო ხმა; 40. ხელოვნების დარგი; 41. პიკასოს ანტიფაშისტური პანო; 42. მტაცებელი ცხოველი; 43. ჰიგიენური დაწესებულება; 44. სამთა კავშირი; 45. კურორტი თურქეთში; 46. ომის უკუსიდიდე; 47. ინგლისური წარმოშობის ცეკვა; 48. ... დელონი; 49. თაქთაქიშვილის ოპერა; 50. ამერიკული თოჯინა; 51. „... მბორგალი“; 52. დიდი ჩაქუჩი; 53. არხში წყლის ჩამკეტგამშვები მოწყობილობა; 54. ფრანგი კინორეჟისორი; 55. წყალქვეშა კლდე; 56. ბანკიდან თანხის გამოსატანი მოწყობილობა; 57. იაპონური თეატრის სახეობა; 58. დაკოდილი ცხენი.




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კოდიანი სკანვორდის პასუხები

1. საარი; 2. შოუ; 3. აგნი; 4. არიოზო; 5. ვირა; 6. ზვიო; 7. ნო; 8. მოდემი; 9. ირონია; 10. ელ; 11. ემუ; 12. არგო; 13. აგრესია; 14. მონა; 15. ტატამი; 16. კრიოლითი; 17. პრაიდი; 18. ბარონ; 19. ტიკალი; 20. ესმერალდა; 21. ფრე; 22. ცუკატი; 23. გოია; 24. ტროპიზმი; 25. ტიტული; 26. ტილი; 27. ბიუსტი; 28. დესანტი; 29. ქიტონი; 30. მოირა; 31. მარაო; 32. რომი; 33. ეტი; 34. სტაცია; 35. ჰიმალაი; 36. მედინა; 37. ოსპი; 38. პორტო; 39. ბე; 40. ბილ; 41. ლილა; 42. ლორი; 43. კილტი; 44. ემულსია; 45. ზერო; 46. ტიარა; 47. არბალეტი; 48. პიერ; 49. ალილო; 50. აკუსტიკა; 51. კალამბური; 52. ეფა; 53. სი; 54. სოლომონი; 55. ოსტი; 56. ვილა; 57. პათოსი; 58. ანონსი; 59. ლაგი; 60. ია; 61. და; 62. ნიორი; 63. ინა; 64. იოლი; 65. ლანდსლაგი. **სურათებზე:** რობერტო როსელინი; ინგრიდ ბერგმანი; შერონ სტოუნი; ფილ ბრონშტეინი.

**კოდი: ალგოლი**



Cyan Magenta Yellow Black

# მწვანე სკანვორდი





1. ამონი
2. ნაბიჯი ბალეტში
3. ვულკანი ინდონეზიაში
4. სარწყავი არხი
5. ხილი
6. საზღვაო ტრანსპორტი
7. ინგლისური ლუდი
8. ნელა მუსიკაში
9. კარელია-ფინური ეპოსი
10. მტაცებელი ცხოველი
11. ვიწრო, გრძელი ალამი
12. ერთგვარი ქსოვილი
13. „შიშველი ...“
14. უტოტო ხე
15. ტიბეტური ხარი
16. საჩხვლეტი იარაღი
17. ახალი ბერძნულად
18. იქით, გადაღმა (ლათინურად)
19. ცხენის კუდის ბეწვი
20. ცხენის კისრის ნაწილი
21. მაუგლის მეგობარი გველი
22. იალქანი
23. მეოთხე ნოტი
24. სიმებიანი საკრავი





## წინა ნომერში გამოქვეყნებული მწვანე სკანვორდის პასუხები

1. პა; 2. ბუ; 3. პარაშუტი; 4. ნასა; 5. მო; 6. პროფილი; 7. ფარ; 8. მიკ; 9. რუ; 10. სერ; 11. პირუეტი; 12. პუნში; 13. სურდო; 14. კი; 15. სირტაკი; 16. ტუბა; 17. სიო; 18. პლატინა; 19. რუდუნი; 20. ინტერი; 21. პო; 22. რე; 23. პროპოლისი.**სურათებზე:**კალკულატორი; კომპიუტერი; მაუსი; პრინტერი.



Cyan Magenta Yellow Black

# როგორ დავიცვათ პირადი სივრცე

ადამიანები, რომლებიც მუდამ გაკრიტიკებენ, თქვენით მანიპულირებენ, თქვენს „გადაკეთებას“ ან თქვენში დანაშაულის გრძნობის აღძვრას ცდილობენ, თქვენს პირად საზღვრებს არღვევენ. როგორ გავუწიოთ წინააღმდეგობა შემოტევას?

პირველ რიგში, უნდა გავარკვიოთ, რა არის პირადი სივრცე. ეს უხილავი ხაზია, რომელიც ჩვენს ფსიქოლოგიურ სივრცეს შემოფარგლავს, ჩვენს შინაგან სამყაროს გარედან ხელყოფისგან და ასევე ჩვენი არჩევანის უფლებას იცავს. პიროვნება თავად განსაზღვრავს პირად სივრცეს, როგორც ხელშეუხებელს, მაგრამ ისე ხდება, რომ ვიღაც მასში იჭრება, ამ საზღვრებს არღვევს ან სხვის ტერიტორიაზე ძალით ჩვენ თვითონ მივძვრებით.



## ადამიანთა ორი კატეგორია

პირველი კატეგორია. ვინც თვითონ არღვევს სხვის საზღვრებს, სხვა ადამიანს შეუპოვრად ჩაგრავს. მაგალითად, მეუღლე, რომელიც მეორე ნახევარს მუდამ აკრიტიკებს, სახლში დაჯდომას აიძულებს, მეგობრებთან კონტაქტს უზღუდავს, მის გასავლებს აკონტროლებს და თავისი ეჭვიანობით გულს უწყალებს.

ან კიდევ მბრძანებლობის მოყვარული დედა, რომელიც ღრმა მოხუცებულობამდე შვილების ცხოვრებაში ერევა, თავად წყვეტს, რა უნდა ისწავლონ, სად და ვისთან ერთად იცხოვრონ, ბავშვები როგორ აღზარდონ, რა გააკეთონ, რაზე იფიქრონ და როგორ იგრძნონ.

მეორე კატეგორია. ვინც სხვა ადამიანებს საკუთარ ფსიქოლოგიურ სივრცეში შეჭრის, მისით მანიპულირების უფლებას აძლევს. ამით პიროვნება საკუთარ თავს ფიზიკურ და სულიერ ტკივილს აყენებს, სხვისი ზეგავლენის ქვეშ იზნიქება. ასეთი ადამიანები საკუთარ საზღვრებს ვერ გრძნობენ და ცდილობენ, სხვების აგრესიულობა გაამართლონ. მაგალითად, „ქმარმა დამიყვირა იმიტომ, რომ მისი მოსვლისთვის სუფრის გაშლა ვერ მოვასწარი“. ოჯახში, სადაც ორივე პარტნიორი საკუთარ საზღვრებს არ გრძნობს, ფიზიკური ან ემოციური ძალადობა ყვავის.

## რით ვუპასუხოთ შემოტევას

ადამიანს მუდამ აჩვენეთ თქვენი პირადი სივრცე (სიტყვებით, მცირე დისტანციით), რომ თქვენთან ურთიერთობაში ასე მოქცევა არ შეიძლება. შემდეგ ეცადეთ, მშვიდად, მაგრამ მტკიცედ აუხსნათ პარტნიორს (ნათესავს, მეგობარს), მისი ქცევა თქვენთვის რას ნიშნავს, ამ დროს რა გრძნობა გეუფლებათ:

„არ მსიამოვნებს, ფაქტობრივად არაფრის გამო რომ მიყვირი. ეს დაუშვებელია. თუ რაიმე არ მოგწონს, ამის გამოხატვა ყოველთვის შეიძლება სიტყვებით. დაბეჯითებით მოვითხოვ, ასე აღარ გააკეთო. ეს გულს მტკენს და შეურაცხმყოფს“.

ან კიდევ:

„დედა, ძალიან მიყვარხარ და ვიცი, ჩემ გამო როგორ განიცდი, მაგრამ უკვე გავიზარდე, გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება და საკუთარ ცხოვრებაზე პასუხისმგებლობის აღება თავად შემიძლია. ნაცვლად კრიტიკისა, მსურს, ჩემ მიერ არჩეულ ცხოვრებაში ისე დამეხმარო, როგორც ამას საჭიროდ ვთვლი“.

მოკლედ, ყველა მომენტში ისაუბრეთ თქვენს გრძნობებზე და აუცილებლად იმაზე, თქვენთან დამოკიდებულებაში როგორ ურთიერთობას ელით.

## როდესაც არ გაფასებენ

ცხოვრებაში ხშირად ხდება, რომ ადამიანი, რომელიც თქვენს პირად სივრცეს არღვევს, ფაქტობრივად პატივს არ გცემთ. ასეთ პიროვნებას ძნელია, თითქმის შეუძლებელია, რაიმე აუხსნა ან დაუმტკიცო. პასუხად სიტყვებზე „არ მსიამოვნებს თქვენი სიტყვები, გთხოვთ, ასე აღარ მოიქცეთ“ შეიძლება უბრალოდ მოისმინოთ: „საერთოდ არ მანაღვლებს“. მაშინ უკვე უნდა იფიქროთ, თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რომელია: თავის პატივისცემა, საკუთარი საზღვრების დაცვა თუ ამ ადამიანთან ურთიერთობის შენარჩუნება? მოცემულ შემთხვევაში მსხვერპლად რისი გაღება შეგიძლიათ? თანახმა ხართ, ურთიერთობა გქონდეთ მასთან, ვინც არაფრად გაგდებთ, თქვენს არჩევანს, აზრს, რწმენას პატივს არ სცემს?

პარტნიორს შეგიძლიათ უთხრათ: „ჩემთან ასეთ საუბარს (ურთიერთობას) თუ არ შეწყვეტ, წავალ“. ეს უბრალო მუქარა არ უნდა იყოს, არამედ ამისთვის მზადყოფნა აჩვენეთ. თუ პარტნიორისთვის ძვირფასი ხართ და თქვენი ურთიერთობა მნიშვნელოვანია, მოგისმენთ, ეცდება, შეიცვალოს, თანამშრომლობაზე წამოვა. თუ არა, მაშასადამე, არა. ეს უნდა მიიღოთ, როგორც მოცემულობა. ასეთია საფასური ჩვენი რწმენის, ჩვენი ფასისა და ჩვენი საზღვრებისთვის. თუ რაღაც მიზეზით ურთიერთობის გაწყვეტა არ გსურთ (ან გეშინიათ), ნიშნავს, თქვენი პირადი სივრცე, თავის პატივისცემა დათმოთ. ეს არის თქვენი გაცნობიერებული არჩევანი, რომელიც გააკეთეთ უფრო მნიშვნელოვანისთვის, ვიდრე საკუთარი თვითშეგრძნებაა.

# თუ სამუშაო საშინლად მოგბეზრდათ



როდესაც ადამიანი ერთსა და იმავე ადგილზე დიდხანს მუშაობს, ხშირად სამუშაოს მიმართ ინტერესს კარგავს, ყველაფერს ავტომატურად აკეთებს. მაგრამ არც წასვლა სურს, ვინაიდან კარგი პირობები და ხელფასი აქვს.

ამ მდგომარეობას პროფესიული გადაწვა ეწოდება. როგორ დავიბრუნოთ სამუშაოს მიმართ ნორმალური ურთიერთობა? გთავაზობთ ფსიქოლოგთა რჩევებს.

შეიტყვეთ ახალი პროექტების შესახებ, რომლებსაც ხელმძღვანელობა გეგმავს და თქვენი მონაწილეობა შესთავაზეთ.

სთხოვეთ, მივლინებაში, ტრენინგზე ან კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე გაგიშვან. სპეციალისტები დაგეხმარებიან, თქვენს სამუშაოს სხვაგვარად შეხედოთ, ახალი შესაძლებლობები აღმოაჩინოთ.

ყურადღებით შეისწავლეთ თქვენი თანამდებობრივი ინსტრუქცია. შეიძლება, რასაც აკეთებთ, თქვენს მოვალეობაში არ შედის და რაღაც საინტერესო მომენტებს გვერდზე უშვებთ. ან კიდევ, შეიძლება თქვენი მუშაობის პერიოდში ზოგიერთი პუნქტი მორალურად მოძველდა. ხელმძღვანელობას ამის შესახებ დაელაპარაკეთ. გამორიცხული არ არის, თქვენს სამუშაოში საინტერესო ნიუანსები გაჩნდეს.

ზოგჯერ მიზეზი ჩვეულებრივი დაღლაა. თავს დასვენების უფლება მიეცით. აიღეთ შვებულება, ვითარება კარდინალურად შეცვალეთ. თავიდან ამოიგდეთ სამუშაოზე ყველანაირი ფიქრი, უბრალოდ ცხოვრებით დატკბით. დაბრუნების შემდეგ შეიძლება შექმნილ სიტუაციას ბევრად უფრო ობიექტურად შეხედოთ და გადაწყვიტოთ, სახელდობრ, რისი გაკეთება ღირს.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძე



Cyan Magenta Yellow Black

## ქართული ანეკდოტები



კაცი ახალგაზრდა ექიმთან მივიდა.

— ეწევით?

— დიახ, ქალბატონო.

— სვამთ?

— დიახ.

— აბა, ჩემთან რას მოდიოდით?

— ქალიც რომ მინდა, ექიმო?!

ქუთაისელს თაგვები შეეჩვივნენ. რა არ იღონა, მაგრამ ვერაფერი დააკლო.

— რომ შემოვლიენ ოთახში, ერთი მაგრად შეაგინე და გეიძურწებიან. იცოდე, არ გაგეცინოს, თვარა არ გაჭრის, — დაარიგა მეზობელმა.

დაუჯერა ქუთაისელმა და რომ შემოვიდნენ თაგვები, ერთი მაგრად შეიგინა. თაგვები ერთიმეორის მიყოლებით გაიძურწნენ ოთახიდან.

— უყურე, შენ?! გაჭრა! — გაეცინა ქუთაისელს.

— მობრუნდით, ბიჭებო! — დაიწრიპინა ბოლოს მიმავალმა თაგვმა, — გეეცინა ამ ჩემისას!

❖ ❖ ❖

ჟურნალისტი ტრავმატოლოგს ეკითხება:

— რატომ გადაწყვიტეთ, ტრავმატოლოგი გამხდარიყავით?

— ჩემი ტყუპისცალი ძმა მოკრივეობაზე ოცნებობდა.

❖ ❖ ❖

— რაია, ბუჯო, რას გიგავს აი ახალი მერსედესი, სად ამოსვარე ამნაირად?!

— ტალახიანი წვიმა რომ იყო, მაშვინ დეისვარა.

— როის იყო ტალახიანი წვიმა, სიმონ?

— როის და ორი თვის წინ, არ გახსოვს?

— აუ, ახლა შენ მერსედესი უნდა გყავდეს და მე სტუდენტობისდროინდელ პლაშზე უნდა მაწვიმდეს?!

❖ ❖ ❖

მთვრალი შაქრო ბრუნდება გამთენიისას სახლში, ძმაკაცი ზაქროც ახლავს.



— რა მსგავსებაა ბუღალტერსა და ბიუსტჰალტერს შორის?

— ორივეს შეუძლია დაფაროს ან გადიდებული აჩვენოს ის, რაც სინამდვილეში არის ან არ არის.

— ჩასკდა თქვენი მუცლები! — აქოთქოთდა შაქროს ცოლი მარო, — იცოდეთ, კიდევ ერთხელ დათვრებით და არც ერთი ჩემს ლოგინში არ დაგინახოთ!

❖ ❖ ❖

ოჯახს სტუმარი ეწვია. დიასახლისმა სუფრა გაშალა.

— რატომ ლოცულობს ჭამის წინ შენი ცოლი? — ეჩურჩულება მასპინძელს სტუმარი.

— მისი სადილით რომ არ მოვიწამლოთ.

❖ ❖ ❖

ცოლი: რა სულელი და შტერი ვიყავი, შენ რომ ცოლად წამოგყევი.

ქმარი: მე კი ისეთი შეყვარებული, რომ ვერ შევამჩნიე, რა სულელი და შტერი იყავი.

❖ ❖ ❖

წარწერა ჭიშკარზე:

„ეზოში ავი ძაღლია და მერე არ დაიწყოთ, შრატის ფული ამინაზღაურეთო!“

❖ ❖ ❖

— წარმოგიდგენია? „ფეისბუქზე“ ვნახე, აფრიკაში თურმე მთლად პირველყოფილი ტომი აღმოუჩენიათ.

— ესე იგი ინტერნეტიც კი არ აქვთ?

— ახლა არც მთლად ეგეთი ველურები იქნებიან.

❖ ❖ ❖

— სადღაც წავიკითხე, რომ თურმე აღმოსავლეთში ქალებს ჯორებში და აქლემებში ცვლიან.

— რომელი საუკუნეა, თუ ძმა ხარ, რა ველურობაა! მანქანები არ ყავენ იქინე?!

❖ ❖ ❖

ტიპი ძველ ნაცნობ გოგოს ხვდება:

— პრივეტ, ლიკა! სულ არ შეცვლილხარ... წავიდეთ ამაღამ ჩემთან?

— არავითარ შემთხვევაში!

— ჰმ, შეცვლილხარ.

❖ ❖ ❖

— რაა, გოგო, ეს, სადაა ცალი ფეხსაცმელი? — ეკითხება მამა ქალიშვილს.

— შენ არ მითხარი, 12 საათზე კონკიასავით მოდიო?

❖ ❖ ❖

— შენი ქმარი ძალიან მხნე და გაახალგაზრდავებული მეჩვენება. რაშია საქმე?

— ჩვენს დოგს პარავს საჭმელს... ჰგონია, რომ არ ვიცი!

❖ ❖ ❖

კახელის ცოლი აგონიაშია და ქმარს ეუბნება:

— ზაქროვ, დადგა ჩემი აღსასრულის დღე. ვიცი, მალე მოვკვდები, შენ კი სამ დღეში ფოთოლას მოიყვან ცოლადა!

— განა ეგრე მიცნობ, დედაკაცო? ორმოცის გადახდამდე მე მაგაი ჩავიდენ?!



— ექიმო, თქვენ რომ ქერტლის საწინააღმდეგო წამალი გამომიწერეთ, არ ივარგა. რომ წავისვი, თმა სულ გამცვივდა.

— სწორედაც რომ ივარგა. არ არის თმა, მაშასადამე არ არის ქერტლი!

❖ ❖ ❖

გურული ჯოჯოხეთში მოხვდა და ადუღებულ კუპრში ჩააგდეს.

— ტიტუუ, რა კაია აქანე, რა კაია! — უხარია გურულს.

— რა არის კარგი? — გაუკვირდათ ეშმაკებს.

— ანეტა არაა აქანე, ჩემი ცოლი. ტიტუ, რა კაია!

❖ ❖ ❖

— აუ, რა გოგოა!

— აუ, რა ტანი აქვს!

— ნახე, რა შხვართია!

— აბა, კაცო, ამას ახლა ერთი რადიკულიტი არ დახატავდა?!

❖ ❖ ❖

— მამი, ამდენს მუშაობ, ამდენს შრომობ, მაგრამ ფული მაინც არა და არ გაქვს.

— ეჰ, შვილო, შრომით რომ ფული მოდიოდეს, ჩვენი ვირი ოლიგარქი იქნებოდა.



— ესაა, ლამაზ ქალს გირიგებო? — ეჩხუბება სასიძო მაჭანკალს.

— რას უწუნებ ვითომ?

— რას და, დიდცხვირაა, ელამი და კოჭლი.

— კოჭლს რა უჭირს, თავისი ტრანსპორტი აქვს სამაგიეროდ.

— რა ტრანსპორტი, ცოცხი?!



სტუმრად მიმავალი ქალი მთელი საათი კოპწიაობდა სარკის წინ. როგორც იქნა, მორჩა საქმეს და ქმარს წარუდგა:

— როგორ გამოვიყურები, ძვირფასო?

— როგორც ყოველთვის, მაგრამ ნუ გეშინია, ამ სიბნელეში ვინ დაგინახავს.

✓ შეკრიბა მურმან მერკვილიშვილმა,
ქეთი ხარატიშვილის ნახატები



Cyan Magenta Yellow Black

ვერნერ შტაინბერგი

# კომისრის ქუდი

დასაწყისი №5-13

მადამ ბრიოზელტაუ სავარძელში ჩაეშვა, თმა შეისწორა და თქვა:

— ღმერთო ჩემო, რა აღარ ხდება ქვეყანაზე!

გრისბულმა გაიღიმა:

— პოლიცია აგარაკს ზეგ დატოვებს, მაგრამ მკვლელს, შეიძლება ითქვას, ერთი შერეკილი ადვოკატი იცავს, რომლის ვარაუდითაც, იქ თითქოს შემთხვევით მოკლული იოზეფ ალტბაუერის გარდა თავად ბრუმერუსიც იყო, რასაც კალენდარზე მისი მინაწერიც ადასტურებს. ბატონი ბრუმერუსი, მოგეხსენებათ, ფართო გაქანების კაცია, ტემპერამენტიანი... ასე არ არის?

— ერთგულება მამაკაცებს არ გამოუგონიათ, — გულგრილად შენიშნა მადამმა.

— გეთანხმებით, — მიუგო ასისტენტმა და დაამატა, — ბრუმერუსის იქ ყოფნა დაუჯერებელია, მკვლელობის დღეს ის ხომ თქვენთან იყო! მისი ალიბი უეჭველია!

ქალს, მიუხედავად მისი ლაპარაკის მოყვარულობისა, ამჯერად ხმა არ ამოუღია და ამით თემაც ამოიწურა.

იმ ღამეს გრისბულს კარგად ეძინა, დილით კი, როცა საუზმეს შეექცეოდა, გაახსენდა, როგორ ესაუბრებოდა მადამ ბრიოზელტაუ გვერდითა ოთახში ტელეფონით ვიღაცას, თანაც ხმადაბლა და საკმაოდ ხანგრძლივად. ქალი უკვე სამსახურში წასულიყო, ამიტომ ასისტენტმა მწერლის კაბინეტს მიაშურა, იქნებ მისგან შევიტყო რამეო.

პეტერ პაულ ბრიოზელტაუ საწერ მაგიდასთან მოკალათებულიყო, ირგვლივ ლექსიკონები შემოეწყო და საბეჭდ მანქანაზე აკაკუნებდა.

— დილა მშვიდობისა! — მიესალმა გრისბული და იქვე ჩამოჯდა.

— დილა მშვიდობისა! — მიუგო მწერალმა, — აბა, როგორ ჯობია: „ორი სროლა გაისმა“ თუ „ორი გასროლა მოისმა“?

— თარგმნით?

— ხარდახან. როცა მომეწყინება.

— არა მგონია, გასროლა ან სროლა ისმოდეს.

— მართლა? აბა, რა გგონიათ?

— გასროლას ანუ სროლას ხმა მოსდევს ანუ ხმა ისმის და არა სროლა-გასროლა. ისე კი...

— მორჩით! — გააწყვეტინა ბრიოზელტაუმ, — თარგმნას თავისი ნიუანსები აქვს, რაშიც თქვენ ვერ ერკვევით, ამიტომ მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს!

— კი, ბატონო, — ასისტენტი წამოდგა, — მაშინ მე წავალ... ბატონ ბრუმერუსს თქვენგან მოკითხვა ხომ არ გადავცე?

— მაგ ვაჭრუკანას? — აგდებით მიუგო მასპინძელმა, — ჩემი ცოლი დიდი ხანია, იცნობს, მე კი არასოდეს მომწონდა. მადლობა ღმერთს, რამდენიმე კვირაა, აღარც მინახავს.

— გასაგებია... ყველაფრისთვის გმადლობთ... მშვიდობით!

— კარგად, — მიუგდო მწერალმა და კაკუნი განაგრძო.

ვიდრე გრისბული „მერსედესში“ ჩაჯდებოდა, ბრიოზელტაუების ფანჯრებს ახედა. ერთ-ერთი მათგანის მინას დრუნჩებით მატილდა და გრიზელდა მოყრდნობოდნენ და სევდიანი თვალებით აცილებდნენ სტუმარს.

თვრამეტში გროლმა ინსპექტორ ბიფერლის დაურეკა და ახალი გარემოებების შესახებ აუწყა. ამ ზარმა ინსპექტორზე გამაბრუებლად იმოქმედა. მან თანამშრომლებს მედიდურად განუცხადა, წვრილმანი საქმეებისათვის არ შემაწუხოთო, თავად კაბინეტში შევიდა და კარი შიგნიდან ჩაიკეტა.

მისი „მრისხანე განწყობა“ სახლშიც იგრძნობოდა: სადილობის დროს საუბარი იკრძალებოდა, ბიფერლის ცოლი კი შვილს, კონსტანტინეს, მუჯლუგუნით ანიშნებდა, ფეხებს ნუ აბაკუნებო.

როცა გროლი და გრისბული ბიფერლის კაბინეტში შევიდნენ, ამ უკანასკნელს სახეზე გაკვირვება გამოეხატა, კომისარმა კი, ვითომც არაფერი, თავისი პალტო და ქუდი იქვე ჩამოკიდა, ინსპექტორის პირდაპირ ჩამოჯდა და თავის ასისტენტსაც იგივე ანიშნა. როცა გრისბულიც დაჯდა, გროლმა ბიფერლის მიმართა:

— ტელეფონით უკვე გითხარით, რაც მაინტერესებს.

— დიახ, დიახ, გასაგებია! — აფუსფუსდა ინსპექტორი და მაგიდაზე დაწყობილი ფურცლები კომისრისკენ მისწია, — რამდენიმე ვარიანტი მოვიფიქრე, შეგიძლიათ დახედოთ.

ბიფერლი ახსნა-განმარტებას შეუდგა, თან ხელებს იშველიებდა, გროლი კი უხმოდ უსმენდა და თვალებით გეგმებს ზვერავდა.

— აბა? — გამარჯვებული სახით თქვა ბოლოს ინსპექტორმა, — რომელი ვარიანტი მოგეწონათ?

— არც ერთი, — გადაჭრით მიუგო კომისარმა და ასისტენტს შეხედა.

— არც მე, — თავი გააქნია გრისბულმა.

— როგორ? ამდენი ვიწვალე და არც ერთი? — შეიცხადა ბიფერლიმ.

— სამწუხაროდ, ასეა, — შენიშნა გროლმა და წამოდგა, — წავედით, გრისბულ... თქვენ კი... კარგად ბრძანდებოდეთ.

წვიმის წვეთები ვერცხლისფერ ზოლებად ჩანდა „მერსედესის“ ფარების შუქზე. გრისბულს შეამცივნა და გათბობა ჩართო.

— მანქანა ტყეში დავტოვოთ, — ბრძანა კომისარმა, — აგარაკიდან არავინ უნდა დაგვინახოს.

ასისტენტი ასეც მოიქცა. სალონს ახლა მხოლოდ პატარა მბჟუტავი თვალი ანათებდა, რაც გარედან, თან ასეთი თავსხმის დროს, სრულიად შეუმჩნეველი იქნებოდა.

გროლმა საბარგულიდან გრისბულისათვის უცნობი შეკვრა ამოიღო და გეზი აგარაკისკენ აიღო. ასისტენტიც უხმოდ აედევნა.

გროლმა შეკვრა გრისბულს მიაჩეჩა, კარს ლუქის ბეჭედი აძრო, შეაღო და შიგ შეაბიჯა.

ოთახში, სადაც ალტბაუერი მოკლეს, გროლმა ნამდვილი შუქშენიღბვა მოაწყო, რაც ფარდების საგულდაგულო გაწევაში და სხვა მსგავს ქმედებებში გამოიხატა, მერე მაგიდის ნათურა ჩართო და გაოცებულ ასისტენტს ანიშნა, მომიახლოვდიო.

რაც შემდეგ მოხდა, კომისრის აშკარა გონებამახვილობასა და ხელმარჯვეობაზე მეტყველებდა: მან მაგიდასთან მდგარ სავარძელში ბალიშები დაახვავა, მერე შეკვრა გახსნა, იქიდან თაბაშირის ბიუსტი ამოიღო, ბალიშებს ზემოდან დაადგა, მერე თავისი შლაპა დაახურა, შეკვრიდან ამოღებული პალტო მოაცვა და ასისტენტს მიუბრუნდა:

— აბა, გრისბულ, კარგად დააკვირდით და მითხარით, ვინ არის?

ასისტენტმა გაკვირვებისგან პირი დააღო და ხმადაბლა ამოთქვა:

— თქვენ, შეფ, თქვენ... კი მაგრამ, რისთვის?

— ამას მერე გაიგებთ, მერე. ახლა კი წავედით, დრო აღარ ითმენს! — მიაძახა კომისარმა. მერე ნათურა ჩააქრო, ფარდა გასწია, ფანჯარა ისე გამოაღო, როგორც მკვლელობის დროს იყო და სწრაფად გავარდა გარეთ.

ასისტენტი იდგა და ელოდა, მაგრამ თავიდან არ იცოდა, რას. გროლზე ბრაზობდა, აქ რომ აყურყუტა, თვითონ კი სადღაც მიიმალა.

ანაზდად გრისბული შეკრთა, თითქოს ღია ფანჯრიდან რაღაც ხმა მოესმა, მაგრამ მერე წვიმას მიაწერა, რომელიც არა და არ ილებდა.

ცოტა ხნის მერე ისევ მოესმა ხმა, თითქოს კარი გააღო ვიღაცამ. ასისტენტმა აღარ იცოდა, რა ექნა. გროლისთვის დაეძახა? აგარაკისკენ გაქცეულიყო?

უეცრად ოთახში შუქი აინთო, რასაც გასროლის ხმების მოჰყვა. ფიტული მაგიდაზე დაემხო, ფანჯარასთან კი თავად გროლი გამოჩნდა, რომელმაც ხმამაღლა იყვირა:

— სდექ! სდექ! შეჩერდი, თორემ გესვრი!

კარი მიჯახუნდა. გროლმა მართლა გაისროლა, მოისმა ხის ტკაცანი. კომისარი ფანჯარასთან აღარ ჩანდა. ის სადღაც გარბოდა და თან ასისტენტს უხმობდა. გრისბულმაც აღარ დააყოვნა და შეფისკენ გაიქცა.

უცებ გროლი შედგა, მოტრიალდა და ასისტენტს უყვირა:

— უკან, გრისბულ, უკან! ჩქარა „მერსედესში“, თორემ გაგვასწრებს!



Cyan Magenta Yellow Black

იქამდე სულ ახლოს, სადაც ბერნეკის მოვლითი გზა ავტოსტრადას უერთდებოდა, კომისარმა ბრძანა:

— ბუჩქებში შეუხვიეთ და გააჩერეთ!

გრისბულმა მანქანა გააჩერა. ისინი გადმოვიდნენ და პისტოლეტები მოიმარჯვეს. მხოლოდ ახლა შენიშნეს, წვიმას რომ გადაეღო. პოლიციელებმა ერთმანეთს გადახედეს, მერე გზაგასაყარს მიაშურეს და მის სხვადასხვა მხარეს ჩასაფრდნენ.

ამ მანქანის მძღოლი კმაყოფილი ჩანდა — მან არ ააცდინა. თავად დაინახა, როგორ დაეცა კომისარი. ცას ახედა. მოღრუბლული იყო, რამაც დაამშვიდა. მთვარიან ღამეში ხომ კარგი სამიზნე იქნებოდა, ეს ყმაწვილკაცი კი, გრისბული, როგორც ჩანს, მშვენივრად ისროდა.

უეცრად ოდნავ განათებულ გზაზე, საკმაოდ შორს, ხელებაწეული ადამიანი შენიშნა. „ალბათ ისაა“, გაიფიქრა და სიჩქარეს უმატა. მარცხენა ხელით საჭეს ჩაფრენოდა, მარჯვენათი კი პისტოლეტი შემართა...

და როცა თითქმის მიუახლოვდა, გაოცების შეძახილი აღმოხდა: გზაზე მის მიერ მოკლული კომისარი იდგა და მასაც პისტოლეტი მოემარჯვებინა!

გაოგნებულმა საჭეზე კონტროლი დაკარგა, მანქანას მოახვევინა და ხეს შეეჯახა... იმავ წამს სროლის ხმა მოესმა, რასაც საბურავის გასკდომის ხმაც მოჰყვა და გონებაც თითქოს დაებინდა...

როცა იარაღმომარჯვებულმა გროლმა და გრისბულმა შეჭყლეტილ მანქანასთან მიირბინეს, ბრუმერუსი უკვე გონზე მოსულიყო და მისკენ მიმართული პისტოლეტის დანახვაზე ხელები მორჩილად ასწია.



იმ საღამოს საქმე ბიფერლისთვისაც გამოჩნდა — მას დამტვრეული მანქანის გადატანა და დაპატიმრებულზე ზედამხედველობა დაევალა, რის განხორციელებასაც მთელი გულისყურით შეუდგა.

ამასობაში გროლი და გრისბული, საშინლად დაღლილები, მარანის ვილაში ისხდნენ და მარგიტის შეთავაზებულ კონიაკს აგემოვნებოდნენ. თავად მასპინძელი კომისრისა და მეტცენდორფერის მოკლე სატელეფონო საუბარმა საკმაოდ ააღელვა და მეორე ოთახში გავიდა. გროლმა ადვოკატს აუწყა, რომ, რაკი უკანასკნელი მონაცემები ვალტერ მარანს მკვლელობის ეჭვს უხსნიდა, ხვალიდან მის დროებით გათავისუფლებას შეეცდებოდა.

გროლმა აუტანელი დაღლილობა და ასაკობრივი დაძაბულობა იგრძნო. მან თვალები დახუჭა და დაიწყო:

— გრისბულ, ახლა ზუსტად წარმომიდგენია, ეს როგორ მოხდა. როცა გაირკვა, რომ ამ მილიონიანი პროექტისათვის მინისტრის სანქცია იყო საჭირო, ალტბაუერის ყველა პროექტში ჩართულმა ბრუმერუსმა არჩევანი ჰებზაკერზე შეაჩერა, რომლის კავშირი მინისტრთან მისთვის ცნობილი იყო, მაგრამ ჰებზაკერს სათანადო წილი უნდა რგებოდა. ამან საბოლოოდ ხელშეკრულების ახალი ვარიანტის გაჩენა გამოიწვია, რომელშიც ალტბაუერის სახელი საერთოდ აღარ ფიგურირებდა. ამით განრისხებული ალტბაუერი ჰებზაკერს მიუვარდა, მან კი კარში გამოაგდო. ალტბაუერი, ცხადია, არ დანებდა და ბრუმერუსის გამოაშკარავება გადაწყვიტა, მან კი ის თავის აგარაკზე წაიყვანა, პირისპირ რომ დალაპარაკებოდა და რქებიც მოეგრიხა.

გროლს რაღაც ხმა მოესმა, გაჩუმდა, მერე კი განაგრძო:

— ბრუმერუსის საქმეები ცუდად მიდიოდა და ამ პროექტს თავის ხსნად თვლიდა. მისთვის ალტბაუერის იზოლირება აუცილებელი იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჰებზაკერის მეშვეობითაც კი, მინისტრის სანქციას ვერ მიიღებდა. შემდეგ საქმეში მარანის პირადი ტრაგედია ჩაერთო, რის დეტალებსაც აღარ გავიმეორებ. პისტოლეტი, რომლიდანაც მარანმა ისროლა, ბრუმერუსმა ეზოში იპოვა. ის ფანჯარასთან მივიდა და იმ იმედით, რომ ალტბაუერის მკვლელობას მარანს მიაწერდნენ, მას ისევ ესროლა და არ ააცდინა.

გროლმა შეისვენა, გააბოლა და განაგრძო:

— ბრუმერუსმა ყველა ხერხს მიმართა, ალტბაუერი რომ ვერ ამოეცნოთ, მერე მანქანაში ჩაჯდა და გალოთებული ბრიოზელტაუსკენ გაემართა, რომელიც ბოთლი კონიაკის საფასურად ნებისმიერ ალიბს დაადასტურებდა. იქიდან მან საპროტესტო გამოხმაურება გამოგზავნა, როცა მისი სახელი პრესაში გაჟღერდა, რაც საკმაოდ მარჯვე კომბინაცია გამოდგა. ბრუმერუსმა ფაქტობრივად მხოლოდ ერთი შეცდომა დაუშვა...

და კომისარი მოყვა იმ შეუსაბამობის შესახებ, რაც კონკრეტულ მარშრუტს და ბენზინის რაოდენობას უკავშირდებოდა.

— მიუხედავად ამისა, ჩვენი სამხილები მაინც არასაკმარისი იქნებოდა: ჩვენ არც პისტოლეტი გვქონდა და არც მეორე ტყვია, აგარაკის კალენდარზე კი „მმ“ ანუ „მარგიტ მარანი“ საერთოდ არ ეწერა. ამიტომ მე მახის დაგება უნდა გამერისკა. ამისათვის 18-19 შუალედით ვისარგებლე, სამხილად კი კალენდრის აღნიშვნა გამოდგებოდა, რასაც ბრიოზელტაუ ან მისი ცოლი ბრუმერუსს აუცილებლად შეატყობინებდნენ და რაც მე გავითვალისწინე. ჩემი ვარაუდით, ბრუმერუსი ვერ გაიხსენებდა, მართლა მიაწერა თუ არა „მმ“ კალენდარს, ამიტომ მის წასაღებად მოვიდოდა და ასეც მოხდა. ჩვენდა საბედნიეროდ, მან ფიტულს ესროლა, პისტოლეტი კი სწორედ ის აღმოჩნდა, რომელიც სათვალავში გვაკლდა, როგორც ნივთიერი მტკიცებულება, ეს კი ბრუმერუსს გამოუვალ მდგომარეობაში აყენებს. რაც შეეხება მეორე ტყვიას, ის მარანმა ისროლა და მიზანში მოუხვედრებლად, უკანა კარით ბაღში გავარდა.

კომისარმა მესამედ თუ მეოთხედ შეისვენა, ისევ გააბოლა და ისევ განაგრძო:

— ჩემი ვარაუდით, დამნაშავე მართლა განცვიფრდებოდა, თუ კალენდრისთვის მისულს ოთახში მოხუცი გროლი დახვდებოდა. ეს მასკარადიც ამიტომ მოვაწყვე, მაგრამ კინაღამ დავიწვით. ჩემი მოლოდინის საპირისპიროდ ბრუმერუსი ფანჯარას კი არ მიადგა, როგორც მკვლელობის მომენტში, არამედ სახლში უკანა კარიდან შევიდა, მაგრამ ბოლოს მაინც გაგვიმართლა და ისე მოიქცა, როგორც ვვარაუდობდი.

კომისარი მკვეთრად წამოდგა, გვერდითა კართან მივიდა და მარგიტს გასძახა:

— ფრაუ მარან, სხვათა შორის, თქვენც გაგიმართლათ, ოღონდ დაუმსახურებლად. ღამე მშვიდობისა!

გროლი და გრისბული ოთახიდან გავიდნენ, მარგიტ მარანს კი მათი გაცილება არც უფიქრია.

— საით? — იკითხა „მერსედესის“ საჭესთან მჯდარმა გრისბულმა და ძრავა ჩართო.

— აგარაკისკენ, — მიუგო გროლმა, — ბრძოლის ველის დათვალიერება მაინტერესებს.

მათ მძინარე, სიჩუმეში ჩაფლული ბერნეკი გაიარეს. შუქი მხოლოდ ბიფერლის სამუშაო ოთახიდან გამოდიოდა, რის დანახვამაც გროლს ღიმილი მოჰგვარა.

მალე აგარაკს მიადგნენ, მანქანა გააჩერეს და გადავიდნენ. ჯერ ისევ სველ ხრეშს მათი ფეხების ქვეშ ღრაჭუნი გაჰქონდა.

გროლმა კარი გააღო, შევიდა და ამჯერად ზედა შუქი აანთო. მას ასისტენტიც მიჰყვა.

სანახაობა უსიამოვნო იყო: მანეკენი იატაკზე ეგდო, შლაპა კი წინ გადასწეოდა.

გროლი დიდხანს გაუნძრევლად იდგა, მერე მანეკენთან მივიდა, ქუდი ააძრო, გრისბულს გაუწოდა და თქვა:

— ტყვია მიზანში მოხვდა. ზედ ორი ამომწვარი ნახვრეტია.

— ჰო, — დაეთანხმა ასისტენტი და შლაპა პატრონს დაუბრუნა.

კომისარმა ქუდი ოთახის სიღრმისკენ მოისროლა და ერთგვარი დანანებით თქვა:

— გაცვდა კიდეც და ვალიც მოიხადა.

დასასრული

✓ თარგმნა გურამ ჩხეტიანმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატი



Cyan Magenta Yellow Black

www.facebook.com/Tinatinbonney

**თინათინ ბონი**

# ეიფორია

დასაწყისი №7-13

## მესამე ნაწილი

### თითი სასხლეტზე

სანდრომ არ მიპასუხა. ოთხი დღე გავიდა. მეც აღარ მიმიწერია. შეიძლება არც მისვლია მესიჯები. ნუ ალბათ ასე ჯობს. ისიც დაისვენებს და მეც. იყოს, რაცაა. ტონა სამუშაო მაქვს. დოდოს რაღაც ჩვენების მოწყობა უნდა და ეგეც მე შემეტენა. აგერ მიზის და იდეებს აფრქვევს. მე გაღიმებული თავს ვუქნევ და ნახევარი არ მესმის.

— მოწვეული სპეციალისტი გვჭირდება! — ამბობს დოდო.

— რაში გვჭირდება? — არ მინდა არავინ, თვითონ გავაკეთებ.

— გვინდა, გვინდა.

კარზე კაკუნია და გვანცუშა შემოდის.

— ქალბატონო დოდო, მოვიდა.

— შემოვიდეს, — დოდო დგება და კაბას ისწორებს.

მეც ვდგები. ალბათ რაიმე მნიშვნელოვანია. შემოდის 60 წლამდე ასაკის მამაკაცი, ხელს ვართმევთ და ის სკამზე ჯდება.

— ბატონო ანრი, როგორი მადლობელი ვარ, რომ მობრძანდით! ჩვენი სამკაულები საუკეთესოა, მაგრამ არის იქ რაღაც მომენტი, რომელსაც ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ. ანუ, ოქრომჭედლის მოსაზრება... — და დოდო მიერეკება.

ვუყურებ ბატონ ანრის, რომელსაც თავი აქვს უკან გადაგდებული და აშკარად სძინავს.

— დოდო! — ვცდილობ, გავაჩერო.

— ლენა, დამასრულებინე. ხოდა, საქმე იმაშია...

— დოდო, სძინავს!

დოდო ჩერდება და აშტერდება ბატონ ანრის. უეცრად უახლოვდება მას და ანჯღრევს.

— რა ხდება? — იღვიძებს ბატონი ანრი.

— ჩაგძინებიათ, — მშვიდად ეუბნება დოდო.

— უკაცრავად. პოლიპები მაქვს და ტვინს საკმარისი ჟანგბადი არ მიეწოდება ხოლმე.

ვაიმე, მიშველეთ! დოდო თავიდან იწყებს გამოსვლას და ბატონი ანრი ცდილობს, თავი არ გადაუვარდეს უკან. „დურდომ!“

რეკავს მობილური. არც ვუყურებ ვინაა, ვამბობ, რომ სასწრაფოა და ოთახიდან გავდივარ.

— გისმენთ.

— ლენა, არ იცი, რა დღეში ვარ, — ლიზა ყოფილა. დამეხედა ნეტა, ხომ არ ავიღებდი.

— რა ხდება? სწრაფად ოღონდ, შეხვედრაზე ვარ!

— გენო დამშორდა.

— რატომ?

— მივლინებაში ვიყავი ბაქოში და იქიდან რომ ჩამოვედი, სურათები ჩამოვიტანე. ერთ ფოტოში მე და ჩვენი აზერბაიჯანელი პარტნიორი ერთად ვდგავართ.

— მერე?

— გენომ რომ ნახა, გაგიჟდა. ასე მითხრა, მაგ სურათს ყველას ანახებდა და იტყოდა, ამ გოგოსთან ვიგულავეო. თავი მომჭერიო, ბაქოში აღარ ჩამესვლებაო!

გაჩუმებული ვარ. როდის შეირყა ეს სამყარო? როდის გავხდით ყველა იმბეცილები? რატომ დეგრადირებს ჩვენი გონება?

— კი მაგრამ, ეგ ის გენო არაა, სექსშოპი რომ წარმატებულ ბიზნესად აქცია?

— არ ვიცი, ლენა, არ ვიცი... — მოთქვამს ლიზა, — ყველაფერი ერთად აირია, სამსახურშიც საშინელებაა, ბატონი ენდრიუ ისეთ ხასიათზეა, რომ ვერც მიეკარები.

— კაი, კაცო, — ვამბობ და გული მეკუმშება.

— კარგი, აღარ მოგაცდენ და დრო რომ გექნება, დავსხდეთ სადმე.

— კი, აუცილებლად. მიხედე თავს და არ ინერვიულო.

— კაი, — ლიზა თიშავს.

ანუ ენდი ისეთ ხასიათზეა, რომ თანამშრომლებიც ამჩნევენ. ლენა, არა! არა და მორჩა!

— ბატონო ანრი! — ხმას უწევს დოდო იმიტომ, რომ პირდაფჩენილ ანრის ისევ თავი უკან გადაუვარდა.

— დოდო, შეეშვი. მაგან ასე წამში ერთხელ თუ დაიძინა, ვერასდროს დავასრულებთ ამ პროექტს.

დოდო წრეზე იწყებს სიარულს. ეტყობა, ასე უფრო ადვილად ფიქრობს. მე ვზივარ და ვუყურებ მონიტორს. ხომ არ შევეხმიანო ენდის? არა, ლენა, არა!

შევდივარ მარკეტში. ნანუკამ, პური და წვენი წამოიღეო. შემოდის დათო. ვერ გავიგე, ამ მარკეტთან დგას ქრონიკულად თუ ჩემს მობილურს „თრექავს“? ვცდილობ, არ მივაქციო ყურადღება. ვერ ვხედავ და მორჩა.

— საღამო მშვიდობის, — მეუბნება დათო და ჩემ გვერდით დგება.

— დათო, რა გინდა?

— არ შეიძლება, მარკეტში შემოვიდეს კაცი?

— საკმარისია, მე შემოვიდე და შენც შემოდიხარ.

— მერე რა?

— საიდან იგებ, აქ რომ ვარ?

— ბიძაჩემის ფანჯრები უყურებს ამ მარკეტს, — მეუბნება და თვალს მარიდებს.

— ვერ ვიგებ, რა გინდა ჩემგან, — მივდივარ სალაროსკენ და დათო მომყვება.

— მინდა, ვიმეგობროთ.

— დათო, მომისმინე, საყვარელო, რადგან კარგად გხვდები და ადამიანობა გამოვიჩინე შენ მიმართ, არ ნიშნავს, რომ ყველაფერი გაპატიე.

— გოგონა, იქნებ სახლში გაარჩიოთ თქვენი ამბები, რიგს აფერხებთ, — მეუბნება მოხუცი ბებო.

— უკაცრავად! — ვიხდი ფულს და გავდივარ მარკეტიდან.

— სახლში გავარჩიოთ? — მეკითხება დათო და უეცრად ის გრძნობა მახსენდება, როცა საერთო სახლი გვქონდა. მე იმ პერიოდში მართლაც ბედნიერი ვიყავი. რა უნდა ნეტა ახლა? უნდა, რომ დაბრუნდეს?

— წამოდი, გავარჩიოთ.

შევდივართ სახლში. ყეფით გვესალმება ზოსი. ნანუკა მტვერს წმენდს და ირა საცვლებს აუთოებს... საცვლებში. დათოს დანახვაზე ნანუკა კრთება, ირა მშიდად განაგრძობს საქმიანობას.

— სალამი, — ამბობს დათო და ირას უკანალს თვალს არიდებს.

— უი, ეს სტრიპტიზ კლუბში რომ უცეკვე, ისაა, ხომ, ანუ შენი ყოფილი, ხომ? — ძლივს ამჩნევს ირა.

— ეგაა, — ვეუბნები და სამზარეულოში გავდივარ.

დათოც მომყვება და სკამზე ჯდება. მაცივრიდან ვიღებ კაი ჩაციებულ ლუდს და ვაწვდი დათოს.

— ლენაა! — მესმის ნანუკას ხმა.

— ახლავე მოვალ, — ვამბობ და გავდივარ გოგოებთან.

— რას აკეთებ? — ხელზე მებღაუჭება ნანუკა.

— ორი წუთით შემოიარა, — ვეუბნები მშრალად და ვიცი, რომ გალანძღვის ღირსი ვარ.

— როდემდე შეიძლება აბიჯებდე იგივე ქაქზე? — ნანუკა აგრესიულდება.

— მე ყველაფერი მესმის! — ამბობს დათო სამზარეულოდან.

— მაპატიე, დათო, — ნანუკა იმანჭება.

— არა უშავს, — მშვიდად პასუხობს დათო.

— ირა, ჩაიცვი! ძაღლი გავასეირნოთ.

— ვაუთოებ მე.

— ჩაიცვი! — მკაცრად ეუბნება ნანუკა და ჩემთვის ამატებს, — ვაცალოთ გვრიტებს საუბარი.

ირა საძინებელში გადის. მე ვდგავარ გაშეშებული. ემოციებისგან დაცლილი ვარ და სულ მკიდია ყველაფერი.

— ისე, შენს ადგილას სამივეს ერთად დავისვამდი და დავადარებდი ერთმანეთს! — „მეიაზვება“ ნანუკა და ზოსის ყელსაბამს უკეთებს. მერე ვითომ ჩუმად ამატებს, — ანუ დავუდარებდი...

ხმას არ ვცემ. განა არ ვიცი, რომ მართალია? განა არ ვიცი, რომ თითქმის ერთდროულად ვეპოტინები სამ კაცს და ეს არასწორია? მაგრამ რა ვუყო ამ ემოციებს, რომლებიც სამივეს მიმართ მაქვს და ისინი საოცრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან? ვითომ ჩაცმული ირა გამოდის და მიდიან. ვბრუნდები სამზარეულოში, ვიღებ მაცივრიდან ცივ ლუდს და ვდგები დათოს პირდაპირ.

— რა გინდა? — ვეკითხები და ვიყუდებ ლუდს.

— აქ მოუხერხებელია და წამო, ტახტზე დავჯდეთ, უბრალოდ



Cyan Magenta Yellow Black

დავილაპარაკოთ.
ვდგამ ლუდის ქილას მაგიდაზე და გავდივართ შუა ოთახში. ვსხდებით ტახტზე. საოცრად ინდიფერენტული სახით ვუყურებ.
— გისმენ.
— ჯერ მითხარი, მესამე ვინ არის?
— რა?
— მესამე ვინ არის, ნანუკამ რომ თქვა, სამივეო.
— შენთვის საინტერესო არავინ.
— საოცრებაა. მე მოვინელე სანდრო, მერე სანდრომ ისევ დაგიბრუნა შენ და მერე ვილაცა ჩვენზე მაგარი გამოჩნდა.
— დათო, ეს, რა, შეჯიბრია?
— არა, უბრალოდ მაინტერესებდა.
— თქვი, რა, პირდაპირ, რა გინდა.
— მინდა, რომ შენი ცხოვრების ნაწილი ვიყო. მინდა, რომ მაპატიო, რაც გავაკეთე.
— დათო, მე არ მაქვს შენ მიმართ ბრაზი. პრინციპში, საერთოდ არ მაქვს შენ მიმართ ემოცია.
— დარწმუნებული ხარ ამაში? — მეკითხება დათო და თვალებს ჭუტავს.
— დარწმუნებული ვარ.
— ესე იგი, არც არასოდეს გიყვარდი.
— ბოდვის სეანსი გვაქვს?
— არ შეიძლება ადამიანი გიყვარდეს და ასე ადვილად დაივიწყო.
— და შეიძლება ადამიანი გიყვარდეს და მიატოვო?
— შეიძლება ადამიანი გიყვარდეს და სხვას მისცე? — ამბობს დათო და ვიცი, რომ იმ წამსვე ნანობს ამ სიტყვებს.
გულიანად მეცინება.
— ლენა, ბოდიში, ბოდიში! არ ვიცი, რატომ ვთქვი ეს.
— მე ვიცი. იმიტომ, რომ შენ მაგის იქით ვერ აზროვნებ. ადექი ახლა და წადი.
— გთხოვ, მომისმინე...
— საკმარისად მოგისმინე, დათო, — ვდგები.
ხელს მტაცებს და თავისკენ მქაჩავს ისე, რომ მის მუხლებზე ვხვდები. ვუყურებ თვალებში და წამიერად რალაც ქიმიას ვგრძნობ ჩვენ შორის... თუმცა ვერანაირი ქიმია დამავიწყებს იმას, თუ როგორ მომექცა. მშვიდად ვდგები ფეხზე.
— კარი, იცი, სადაცაა და მეტი აქ აღარ მოხვიდე. სასურველია, რომ მალაზიაშიც არ შემხვდე.
— კაი, გამაცილე მაინც და აღარ შეგაწუხებ.
მივყვები დათოს კარამდე. უეცრად ბრუნდება, ხელში ამყავარ და მეც რატომღაც წელზე ვხვევ ფეხებს. დეჟა ვუ მაქვს. დავითი მახეთქებს კედელზე და ვნებიანად მკოცნის ტუჩებში, რაზეც მე ვპასუხობ. უეცრად ვფხიზლდები და გემრიელად ვულაწუნებ სახეში. გაოცებული მიშვებს ხელს და ფეხებზე ვხტები.
— წადი! — ვეუბნები პრაქტიკულად ყვირილით.
წამიერად ყოყმანობს და მიდის. მე ფსიქოლოგი ან ფსიქიატრი მჭირდება!
შევდივარ სააბაზანოში. ვიხდი ტანსაცმელს და იატაკზე ვყრი. ვუშვებ ცხელ წყალს და შხაპის ქვეშ ვდგები. მგონი, პირველად ვაღიარე ჩემს თავთან, რომ მე სამივესთან მინდა ყოფნა. ნებისმიერი მათგანი ძვირფასია ჩემთვის. ბოზი ვარ? ბოზობაა, სექსში ფულს რომ იღებ. ვინმემ იკითხა, მაგ პროფესიის ქალბატონებს რა გასაჭირი აქვთ საერთოდ? რაზე ვფიქრობ? გავაფრინე, მგონი. ან ყოველთვის მქონდა გაფრენილი. მუსიკა მინდა.
გამოვდივარ საშხაპედან და მობილურზე ვრთავ სიმღერას. სულ რამდენიმე წინადადებაა ამ სიმღერაში: „არასწორად მექცევი, მაგრამ მე მაინც შენთან მინდა“. როგორ მესმის ახლა ამ სიმღერის ავტორის. ვბრუნდები შხაპის ქვეშ. დათომ გადამიარა, ისე მომექცა და მე მზად ვიყავი, მეპატიებინა. სანდრომ ყოფილი ცოლის წინაშე დამამცირა და მე ასჯერ დავუბრუნდი მას. ენდის პრაქტიკულად ცოლი ჰყავდა და მე მის გვერდით ვიწექი. ვინ ვარ მე ამის მერე? მონსტრი? ძალიან მსიამოვნებს ცხელი წყალიც, მუსიკაც და ისიც, რომ აღარ შემიძლია ტირილი.
ხალათში გამოვდივარ სააბაზანოდან. ირა ისევ საცვლებში აუთოებს. ამ გოგოს რომ ტანგები და ფუშაფები აქვს, თვითონ ვიქტორია სიქრეტს არ ექნება. ნანუკა ტახტზე ზის და კითხულობს. ვჯდები მის გვერდით. ვუყურებთ ერთმანეთს და ერთ ხმაში გვეცინება. ნანუკა მეხუტება. მის კალთაში ვდებ თავს და ვხუჭავ თვალებს. კაცები მიდიან და მოდიან, ნამდვილი მეგობარი კი მუდამ შენ გვერდითაა.
დილა. სამსახური. მძინარე ბატონი ანრი. აღშფოთებული დოდო. ეს დღეები „ინოლას დრო“ ჩაგვივარდა, ვერ ვიცლით სახვანცალოდ. მთავარია, ეს ჩვენება არ ჩავარდეს. უდიდესი ივენთი იქნება. მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ არ შევრცხვეთ. ეგ მაინც შემიძლია. მაგარი ივენთმეისტერი ვარ! რეკავს დოდოს მობილური.
— დიახ, გახლავართ. როდის? ეს არარეალურია. არა, მე თქვენ გეუბნებით. არა!
ვიძაბები. ბატონი ანრი არც კი ტოკავს.
— კარგი, მესმის, გავაკეთებთ, — დოდო ყურმილს კიდებს.
— მშვიდობაა? — ვეკითხები, თუმცა ვიცი, რომ არაა.
— პარტნიორი იყო ჩვენი და ჩვენებამ გადმოიწია ზეგ.
— დოდო, ზეგ ძალიან მალეა! ზეგ არის პირდაპირ ხვალის მერე! — პანიკური ბოდვა მესტუმრა.
— ვიცი, ლენა, — დოდო ბეჭებში მკიდებს ხელებს და მაჯანჯღარებს, — ჩვენ უნდა მოვასწროთ! ჩვენ მოვასწრებთ!
— ჩვენ მოვასწრებთ! მოვასწრებთ! — თუთიყუშივით ვიმეორებ მეც.
დოდო გარბის ოთახიდან და მე ვცდილობ, გავაღვიძო ბატონი ანრი. ღლაბუცის დრო აღარაა. ავარიულ რეჟიმში ვმუშაობთ.
ღამის 11 საათი. ყველანი ოფისში ვართ. ვინ ბეჭდავს, ვინ პრეზენტაციას აშალაშინებს, ვინ სამკაულებს აპრიალებს, ვინ უბრალოდ იატაკზე წევს და სძინავს. მგონი, გათენება მოგვიწევს.

პრეზენტაციის საღამო. გუშინ ზომბებივით ვიყავით ყველა. დარბაზი მორთულია. მოდელები მზად არიან. მუსიკა, კამერები, ტელევიზია, სტუმრები. ყველა ადგილზეა. კიდევ კარგი, სტუმრების სიაზე მე არ მიმუშავია, გვანცუშამ დააგზავნა მსხვილ კომპანიებში და ცნობილ ადამიანებთან. მოკლედ, ფულიანი ხალხის დოლი.
მაცვია წითელი გრძელი კაბა და თმა მაქვს აწეული. ვესალმები სტუმრებს და ვაცილებ ადგილებთან. ვცდილობ, ყველას გავეცნო და ჩვენს პროდუქციაზე ორი სიტყვა ვუთხრა. თვალის



კუნჭულით ვხედავ ნაცნობ სახეებს. ნეკას ენდისთვის ხელი აქვს გაყრილი და ღიმილით შემოდიან. უნებლიეთ მაცახცახებს და ვცდილობ, არ გავიხედო მათკენ. გვანცუშა ადგილებამდე აცილებს და მე ნელ-ნელა ბოძს ვეფარები. თავბრუ მეხვევა. თითქოს ჯიბრზე ბრუნო მარსის „გრენადე“ ირთვება. დამალული ვდგავარ და ვუყურებ ჩემს სიყვარულს შორიდან. თითქოს მე მივათრევ ბრუნო მარსის პიანინოს. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ცეცხლი მიკიდია და არავინაა მისი ჩამქრობი.
ენდი ნეკას ხვევს ხელს და ნეკა მას კისერში კოცნის. ენდი იცინის და რაღაცას უჩურჩულებს. ქლაჩში ვეძებ მობილურს. სანდროს უნდა მივწერო. უნდა მივწერო, რომ მასთან დავრჩები ამაღამ! ვიწყებ მესიჯის წერას და ვშლი. მე არ მაქვს სანდროს ცხოვრების ქრონიკული წეწვის უფლება. მივწერ, როცა კარგად ვიქნები და მასთან მენდომება და არა — მაშინ, როცა გამაყუჩებელი დამჭირდება. ვაბრუნებ მობილურს ქლაჩში და ვცდილობ, დავტკბე შოუთი. მართლაც მშვენიერი საღამო გამოვიდა. ცხოვრებაც ასეა — აწეწილი, გადაღლილი, ეიფორიული და ძალიან ლამაზი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



Cyan Magenta Yellow Black

ლელა ცუცქირიძე

# დები

უნდა გახდეს, აუცილებლად უნდა გახდეს!

სოფომ ამოიოხრა, თავის გამზეურებული ბალიშივით გაფუებულ სხეულს კიდევ ერთხელ შეხედა სარკეში. ეჰ, ისე გასუქდა, იქაც ველარ ეტევა, მარტო სახე, კისერი, შუა ტანი უჩანს. და, აბა, მხრები? სადაა მხრები? დიდი სურვილი აქვს, დაიჯეროს, რომ ფრთებად ექცა და საცაა, გაფრინდება, გაფარფატდება, მაგრამ, არა, ბატონო, მხრები თავის ადგილზეა, უბრალოდ სარკეში აღარ ჩანს, გადმოდის მისი ნაპირებიდან.

— სოფო, რას ჰგავხარ, რა გოგო იყავი, არ გახსოვს? ტანკენარი, წერწერტა, მოქნილი წელით, მოცეკვავე და მონარნარე და გედივით ყელმოღერებული. ახლა აღარც ყელი გეტყობა, აღარც წელი, სამი ნაკეცი გვერდებზე, ორი ნაკეცი მუცელზე... — შეისუნთქა, გვერდულად დადგა, აზრი არ ჰქონდა და ამოისუნთქა, — თავმოყვარე ქალმა თავი ამ ზომამდე როგორ უნდა მიიყვანოს? რა დიდი ამბავი უნდა გახდომას?! მორჩა, არავითარი ორშაბათი! დღეიდანვე ვიწყებ დიეტასაც და ვარჯიშსაც. ბოლოს და ბოლოს, თუ გინდა, ვინმეს... — ეს მრავალმნიშვნელოვნად თქვა, ხაზგასმით, იცოდა, მაგრამ ვითომ არ იცოდა, ვინმეში ვისაც გულისხმობდა, — მოეწონო, უნდა გახდე, გენაცვალე, ეგრე სადაა? მოკლედ, დღეიდან იწყებ ზოგადი იმიჯის შეცვლას, საკუთარი თავის პიარმენეჯერი უნდა გახდე, გეყოფა სულ სხვათა პიარმენეჯერობა. გახდი, გატანკენარდი, მტრის კი არა, საკუთარი თავის ჯიბრზე, სტილი შეიცვალე, მთლიანად იმიჯი...

პერსპექტივამ მოხიბლა, ენერგია აუთუხთუხა: დამტვერილი ჰულა-ჰუპი მოძებნა, გაწმინდა, ჩამოიცვა, „ჰოპ-ლა!“ — თქვა და დაატრიალა.

— მაინც გავხდები და ჩემი ცხოვრებაც შეიცვლება, დიახაც, შეიცვლება...

— რას ბუტბუტებ? — ჰკითხა მარიმ, კართან იდგა, ძილისგან ჯერ ისევ თავბრუდახვეული.

ამას რა ენაღვლება, ჭამს და არ სუქდება. თანაც სულ ფორმაშია, თანაც როგორ ფორმაში: თაყვანისმცემლები მუდმივად ჰყავს ჩაწყობილი ტყვიებივით. არ მოეწონება, ერთს იქით ისვრის, მეორეს — აქეთ, მესამეს — ცხრა მთას იქით... და მაინც არ ელევა. ვაიმე, ღმერთმა ნუ გამოულიოს!

— ცოტა გავსუქდი.

არ შეიმჩნია. ჰულა-ჰუპის ტრიალიააჩქარა. მარჯვე მსუქანია, მარჯვე, კარგად გამოსდის. მაინცდამაინც არც დაღლილა, ესე იგი ჯერ არც ისე ცუდად აქვს საქმე.

— ცოტა კი არა, კარგად გასუქდი, — არ დაინდო მარიმ, ისე შეათვალიერა, თითქოს პირველად ხედავდა უფროს დას, — უფრო სწორად, საშინლად. მარტო ჰულა-ჰუპი აღარ გეყოფა, — კიდევ ერთხელ შეათვალიერა სოფო, — და ჭამასაც მოუკელი, სოფაჩკა, ჩემი რჩევაა. შენ გგონია, არ ვიცი, ღამღამობითაც რომ სიამტკბილობ?

აი, ეს თუ დაა და... რამდენის უფლებას აძლევს თავის თავს ეს საძაგელი გოგო! კი, იცის, როგორ გასუქდა, მაგრამ მაინც ეწყინა. რა მოხდებოდა, სხვანაირად ეთქვა, მაგალითად, ასე:

— რას ამბობ, სოფ, სულ ოდნავ მოიმატე. ეგ კი რა პრობლემაა, მაგ წონას ისე სწრაფად დააგდებ, ვერც მიხვდები.

სულელი, სულელი გოგო! მაგრამ რა ქნას, სიგიჟემდე უყვარს. მასზე უმცროსია, ყველგან თოჯინასავით დაატარებდა.

სოფოს მარის ბავშვობა გაახსენდა, ჩუმად ჩაიღიმა, თბილად, ისე, რომ მარის არ დაენახა. რა კარგი ბავშვი იყო, ყველაფერს უჯერებდა... ეს მერე გახდა იმ კარგი მარის ანტიპოდი, სადღაც თხუთმეტი წლიდან. ისეთი დაუმორჩილებელი, ჯიუტი, თავისნათქვამა, რომ სოფომ ანტიმარი დაარქვა. ჰოდა დღემდე ანტიმარის ეძახის.

— ენა გააჩერე, — შეუღრინა დას, — აი, შენი საქმე ნამდვილად არაა, გავსუქდი თუ არა.

— კი, ბატონო, — უდარდელად აიჩეჩა მხრები ანტიმარიმ, — თუ გწყინს, მაშინ გეტყვი, რომ სულაც არ გჭირდება გახდომა. ახლა მოდაში შემოდის ფუმფულა ქალები, აი, შვედეთში ფუმფულა მანეკენებიც კი დადგეს. უბრალოდ, იცი, რა მიკვირს? რაღაც არ გამოჩნდა სამყაროში კაცი, რომელსაც ასეთი ქალები მოეწონება.

— მაგით რა გინდა, რომ თქვა? — სოფომ ჰულა-ჰუპი მოისროლა.

მორჩა! ისეთ ხასიათზე დააყენა ამ ქალბატონმა, აღარც გახდომა უნდა, აღარც ეს უაზრო ჰულა-ჰუპი. არადა, აპირებდა, ნამდვილად აპირებდა ვარჯიშს, გახდომას, საერთოდაც იმიჯის შეცვლას.

როგორ თქვას და... როგორ თქვას და, აი, ის ტიპი, ვაიმე, რა ტიპი, რა მაღალი, რა ათლეტური, დილაობით რომ ვარჯიშობს სტადიონზე მის ფანჯრებთან ბოლო ერთი თვეა... სოფომ უკვე ზეპირად იცის, როდის უნდა მოვიდეს. ფანჯარასთან დგება, პატარა ბავშვივით ფარდებს ეფარება და უყურებს.

უყურებს და ოცნებობს, სხვა რა დარჩენია. ეჰ, როდის იყო, ეგეთ მამაკაცებს სოფოსნაირი ქალები ხიბლავდათ. რამდენჯერმე თავადაც დააპირა ჩასვლა სავარჯიშოდ, მაგრამ სახლიდან გასვლის წინ სარკეში ბისკვიტივით ამოსულ ფორმებს რომ მოჰკრა თვალი, რაღას ჩავიდოდა... როგორ უნდა, ანტიმარის გაუმხილოს „თავის სპორტსმენზე“, მაგრამ ანტიმარის ისეთი მწარე ენა აქვს, რაღაც საშინელებას ეტყვის, მერე ეს გაბრაზდება და სიტყვით გამოვა, მერე ის უარესი სიტყვით გამოვა, მერე სოფო არ დააკლებს, მერე ანტიმარი... ნეტავ ყველა ოჯახში ასე ჩხუბობენ დები?

ან ვის ჰგავს ასეთი ენამწარე? დედას არა, მამას არა, ბებიას არა, დეიდას არა, მამიდას არა...

— საშინელი გოგო ხარ, — ჩაუარა გვერდით და გაზქურასთან დადგა ყავის მოსახარშად.

— მეც მინდა ყავა, — ანტიმარი გაიზმორა, — სოფ, გესმის? მეც მინდა ყავა.

— გინდა და თავად მოიხარშე, ქალბატონო, მეყო, რასაც გემსახურებოდი! დამნახავი მაინც არ ხარ, — სოფომ დემონსტრაციულად ჩაყარა ყავადანში ერთი კოვზი ყავა.

— კარგი, ჰო, — შერიგება სცადა ანტიმარიმ, — სოფ, სოფ, შენ ისეთი, ისეთი ჰაეროვანი ხარ, აი, ნამდვილი ინგლისური პუდინგი, ჩემი გემრიელი პუდინგი, — და დას ზურგიდან მოეხვია.

„რაღაც უნდა“, — მაშინვე მიხვდა სოფო და ჩუმად გაეცინა:

— კარგი, ხო, მითხარი, რა გინდა.

— იცი, რა კარგი შუზები ვნახე? — ანტიმარის ხმა შაქარივით დაუტკბა, დაუდნა, — ზუსტად ისეთი, როგორზეც ვოცნებობდი.

— და ფასი? — პირდაპირ საქმეზე გადავიდა სოფო.

— სულ რაღაც სამასორმოცდაათ ლარად.

— რაა?! — ბზრიალასავით შემოტრიალდა სოფო, — რამდენად?!

— სულ რაღაც სამასორმოცდაათად. შენ გგონია, ძვირია? ვაიმე, იცი, რა მაგარია? აი, არარსებული, აი, ძალიან მაგარი! საიტზე უდევთ იმათ.

— ვინ იმათ? — სოფომ ძლივს მოასწრო გაზის გამორთვა, ყავა ჩამოასხა.

— „შუზოიდებს“, რომ გაჩვენებ ხოლმე. აი, იცი, როგორია? თავისით მეძახიან, მარიჩკაა, ჩქარააა, ჩაგვიცვიიი, მარიჩკაა, უშენოდ ვერ გავძლეეეებთ! — ანტიმარიმ ჭიქას ხელი დაავლო და მოსვა.

— რას აკეთებ? — გაუბრაზდა სოფო, — ჩემთვის მოვიდუღე.

— ჩემი და შენი რამ გაყო, სოფ, — ანტიმარიმ ლოყაზე აკოცა, ყავის სმა გააგრძელა.

„რა კარგად მიცნობს, — ხელი ჩაიქნია სოფომ, — იცის, უკვე დავყარე იარაღი, დავნებდი და ტყვედ ჩავბარდი“.

— სოფ, გაჩვენებ, რა, აი, ნახავ, ჩემზე მეტად თუ არ გაგიჟდები, — ანტიმარიმ ლეპტოპი სწრაფად გამოიტანა. არატრატდა, ენა აღარ გააჩერა, — თან არ იცი, როგორ მჭირდება, სოფ, როგორ მჭირდება, რა ლამაზია...

— მაჩვენე, ერთი, რაზე გადაირიე, — სოფოს სულმა წასძლია.

„შუზოიდი“ მართლა კარგ ფეხსაცმელებს კერავს. კი, ძვირია, მაგრამ კარგი. შეხედავ, მართლა ველარ მოისვენებ, თანაც ტყავის, ნატურალური. იმას კი არ ჰგავს, ზოგიერთ ვითომ ცნობილ მაღაზიაში რომ იყიდება, ჩაიცვამ და ცოტა ხანში ძირი ცალკე წავა სამოგზაუროდ.

ამას წინათ თავადაც მოეწონა მათი ფეხსაცმელი, ღმერთო, რა ლამაზი იყო, წითელი, კოპწია, დახვეწილი დიზაინით. ერთი პერიოდი ყიდვაც გადაწყვიტა, ბოლოს და ბოლოს იმიჯის შეცვლას აპირებს, რაც მაღალ ქუსლებზე შედგომასაც ითვალისწინებს. გახდება, შედგება მაღალ ქუსლებზე... მაგრამ ვინ გაახარა? მოადგა აგერ ანტიმარი:

— დაო, მომე ფული, ფულს მივუტან „შუზოიდს“, „შუზოიდი“ მომცემს შუზებს, შუზებს მოვიტან სახლში, ჩავიცვამ და გავახარებ ჩემს თავს, მარიკუნასა.





Cyan Magenta Yellow Black

— ვერა, ვერ გიყიდი, ძვირია, — გამოუცხადა ანტიმარის, ცოტას აწუწუნებს, არა უშავს.

— რაა?! — ანტიმარი ახტა და დახტა, დახტა და ახტა.

საერთოდ, დიდი ხტუნია გოგოა, როგორც უმეტესობა მის ასაკში, მოძრავი, ზამბარასავით დაჭიმული მაღალი ფეხებით.

სკუპ და ქალაქის ერთ ბოლოშია დაქალთან.

სკუპ და ქალაქის მეორე ბოლოშია დაქალთან.

სკუპ, უცებ შუა ქალაქში გადასკუპდება.

იქაც ხტუნაობს: შარდენიდან ახვლედიანზე, ახვლედიანიდან ვაკეში, ვაკედან ვერაზე...

— კალია ხარ თუ გოგო, ერთი გამაგებინა! — ეჩხუბება სოფო, ისე, რომ იტყვიან, „ლაითად“, დიდი ჩხუბი არ შეუძლია.

— რომ ვეჩხუბო, რამე არ აუტეხოს თავს, — შესჩივლა ერთხელ მეგობარს ტელეფონით.

— აჰაა, — შემთხვევით იქვე ჩავლილმა ანტიმარიმ მაშინვე შეაფასა თავისთვის სასარგებლო სიტუაცია, აწონა, დაწონა, გადაწონა, გადმოწონა, რადიკალური ღონისძიებებისგან თავი შეიკავა, მაინც უფროსი და იყო, მისი გამზრდელი და გადაწყვიტა, უკიდურესი შემთხვევების დროს მიემართა წინასწარ შედგენილი სქემისთვის.

სქემა მარტივი იყო. ანტიმარი ნელ-ნელა იწყებდა მოქმედებას, თუ გაუვიდოდა, ხომ კარგი, თუ არა, იბუტებოდა, მოგონილ ღრმა დეპრესიაში ვარდებოდა. მოთხოვნები ძირითადად ფინანსური იყო, ისევე, როგორც ახლა.

— რაა?! არ მიყიდი?! — ღრმა დეპრესიისთვის მოემზადა ანტიმარი, თვალებზე ცრემლი მოიყენა, ხმა გაიბზარა, ტუჩები გადმობურცა, — შენ არ იცი, შენ არ იცი, როგორ მჭირდება ეს ფეხსაცმელი...

— სხვა არ გაქვს, არა? — გამომცდელად ჰკითხა სოფომ, — ძირგავარდნილი ფეხსაცმლით დადიხარ, ხო?

— ეგ რა შუაშია, — ხელოვნური ცრემლი ჩამოუგორდა ანტიმარის, — უბრალოდ ასეთ შუზებზე ვოცნებობდი, თითქოს ჩემთვის შეკერეს. თანაც, — ანტიმარიმ სოფოს გულუბრყვილო თვალებით შეხედა, — იცი, ახალი ბიჭი გამომიჩნდა, მგონი, მეც მომწონს. მგონი, კი არა, მომწონს, ეს დღეები სულ მასზე ვფიქრობ. ჰოდა, მინდა, ძალიან გავეპრანჭო...

— მართლა?! — წამოიძახა სოფომ, — შენც მოგწონს?! ესე იგი, როგორი ბიჭია, წარმომიდგენია. ვინ არის, რას აკეთებს, სად გაიცანი?

— მიყიდე და გეტყვი, — მაშინვე ალღო აუღო სიტუაციას ანტიმარიმ.

— რა საზიზღარი გოგო ხარ! — სოფომ ეს კი თქვა, მაგრამ ფულის მიცემა უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა.

გავიდა, გამოიტანა, ანტიმარის დაანახვა.

— მითხარი და მოგცემ, — უთხრა გამომწვევად.

ანტიმარის სახე გაუნათდა, თვალები აუბრჭყვიალდა. ვაშაა! რა ჭკვიანია, რა მოხერხებული! ახლავე გავარდება და საოცნებო შუზებს იყიდის!

— სოფ, შენ ხარ მსოფლიოში ყველაზე კარგი დაიკო, საუკეთესო! ყველაზე, ყველაზე, ყველაზე... მოკლედ, ყველაზე ძალიან მიყვარხარ, ასე რომ მახარებ ხოლმე!

— ჯერ არ გამიხარებიხარ, — გაეცინა სოფოს.

„ეს როდის უნდა დაჭკვიანდეს? მაგრამ რომ დაჭკვიანდეს, რა მოსაწყენი გახდება ცხოვრება, ერთფეროვანი, მშვიდი, მდორე მდინარესავით. მე კი ეს ჩუხჩუხი და ფორიაქი მიყვარს. ვბრაზდები, მაგრამ მიყვარს მისი ბრჭყვიალა, სიცოცხლით სავსე სახე, მისი უდარდელობა, ცოტა ქარაფშუტობა, ბავშვურობა...“

ეეჰ, აბა, თვითონაა კარგი? დაჯდა და გასუქდა, გაიბერა საჰაერო ბურთივით, ცეკვაც დაივიწყა, სიმღერაც, გართობაც... სამსახური, სახლი, აბიტურიენტები, საწოლი. ათასში ერთხელ თუ შეხვდება მეგობრებს, ათასში ერთხელ თუ წავა თეატრში, უფრო იშვიათად — კინოში.

არა, არაფრით დაუშვებს, ანტიმარი მას დაემსგავსოს. წავიდეს, რაც უნდა, იყიდოს, რაც უნდა, ჩაიცვას, როგორც უნდა, გაერთოს, ოღონდ ხალისი არ დაკარგოს სოფოსავით... ან რას ერჩის, განათლებულია, ნაკითხი, დიდი ამბავი, სახლში თუ არ უჩერდება გული და ათასში ერთხელ რამეს თუ მოსთხოვს. აქ სოფო მიხვდა, რომ მთლად ასე იდეალურად არ იყო საქმე, მაგრამ ისიც იცოდა, დას წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა და ხელი ჩაიქნია.



— კარგი, ჰო, მითხარი, ვინ არის ის რაინდი, შენ რომ თავი მოგაწონა, უფლისწულია თუ მაჰარაჯა...

— ახლა მომაკითხავს და ნახავ, — ანტიმარი უკვე წასასვლელად ემზადებოდა, — ისე კი, არც უფლისწულია, არც მაჰარაჯა, ბანკირია.

— ბანკირი თუა, შუზების ფულს მე მთხოვ? — სოფომ ფული გადათვალა, ანტიმარის მისცა.

— ოო, კარგი, რა, ბანკის მმართველი კი არაა, უბრალოდ იქ მუშაობს. ეს ერთი და, ორი დღის გაცნობილ ბიჭს როგორ მოვთხოვო, შუზები მიყიდე-მეთქი? მიდი, ფანჯრიდან გადმოიხედე, ხომ გაინტერესებს?

ანტიმარი უკვე კარში იდგა. ახალმოჭრილ მონეტასავით ბრწყინავდა.

— მიდი, მიდი, ჭკვიანად, — სოფოს ერთ სული ჰქონდა, ფანჯარაში გადაეხედა, კარი მიხურა, უცებ ისევ გააღო, — ფრთხილად იყავი! — ჩასძახა კიბეებს, მერე მოტრიალდა და სწრაფად მივიდა ფანჯარასთან.

გადაიხედა და გაშეშდა. ანტიმარი იდგა და მანქანიდან გადმოსულ ბიჭს მხიარულად ესაუბრებოდა.

— ეს ჩემი სპორტსმენი არაა?

ბაგ-ბუგ, ბაგ-ბუგ, გულისცემა მოემატა. ღმერთო, რა დააშავა ასეთი! ძლივს ერთი ადამიანის გულისთვის გახდომა გადაწყვიტა და ისიც ანტიმარის თაყვანისმცემელი აღმოჩნდა! რაღა ეს, რაღა ეს, კაცები დაილია ამ ქალაქში?!

საერთოდ აღარ გავა გარეთ, მაინც არავის მოსწონს, უფრო მეტად დაჯდება სახლში, დათვივით შეწვება ლოგინში და იქნება და იქნება. აღარც გახდომა უნდა, აღარც ვარჯიში, ყველას ჯიბრზე უფრო მეტად გასუქდება.

სოფომ მაცივარი გამოაღო. წინა საღამოს შოკოლადის ტორტი იყიდა, სულაც აღარ აპირებდა მის შეჭმას, მაგრამ ახლა...

ტორტი გამოიღო და დიდი ნაჭერი ჩამოაჭრა.

სწორედ ამ დროს ატყდა კარზე ბრახუნი. ანტიმარი იყო, შემოიჭროლა, როგორც ყოველთვის, რაღაც დარჩა, ან მობილური, ან გასაღები, ან საფულე...

— სოფ, მობილური არ გინახავს, სად დევს? — თან დაქროდა, თან კითხვებს ისროდა, — ჩქარა მომიძებნე, რა, აგვიანებს ჩემი ბიჭი და რა ხდება, უნდა გავიგო.

— მოიცა, აბა, ახლა ვის ელაპარაკებოდი? — ყურები ცქვიტა სოფომ.

— ახლა? სად? ეზოში? ოჰ, ეგ ჩემი ყოფილი თანამშრომელია, აქეთ გადმოსულა საცხოვრებლად. მაგხელა კაცთან მე რა მესაქმება? ეგ შენ თუ შეგეფერება... — ანტიმარი უცებ გაჩერდა, — ვაიმე, სოფ, მართლა, იცი, რა კარგი ტიპია? გინდა, გაგაცნო? თან ფუმფულა ქალები მოსწონს. ადრე ჩვენს ბუღალტერს ხვდებოდა. აბა, ის გენახა, რამხელა იყო, ვეშაპივით ცურავდა ოფისში.

ანტიმარიმ მობილური იპოვა, სოფოს ლოყაზე აკოცა და ისევ გარეთ გავარდა.

— აუცილებლად უნდა გაგაცნო! — ამოსძახა კიბეებიდან და გაქრა.

„ჰა, საუკეთესო და მყავს მსოფლიოში, შემოვევლე! ჩემი ჭკვიანი, ჩემი ფორიაქა, ჩემი სიცოცხლით სავსე, ლამაზი, მოხერხებული, თურმე როგორ ზრუნავს ჩემზე, როგორ უნდა, რომ გამახაროს, — სოფო ღიღინით შეტრიალდა სამზარეულოში, ტორტის ნაჭერი აიღო, ცოტა ხანს იყოყმანა, — მერე რა, რომ ფუმფულა ქალები მოსწონს, საკუთარ თავს ხომ უნდა ვცე პატივი? თანაც ისეთ ხასიათზე ვარ, ახლა ნამდვილად შემიძლია ვარჯიშიც და დიეტაც. ამ შანსის ხელიდან გაშვება კი არ შეიძლება“, — გაიფიქრა, ტორტის ნაჭერი მაცივარში შეინახა, მუსიკა ჩართო და ჰულა-ჰუპით დაიწყო ვარჯიში.

## გავიცნობ, ვეძებ

**sms-ები გამოაგზავნეთ ორშაბათიდან. sms-ის გამოგზავნის ბოლო ვადაა შაბათი, 6 აპრილი 17 საათი.**

**გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის**

1. ვარ თბილისელი, 37 წლის, სერიოზული მამაკაცი. გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის ქალს სერიოზული ურთიერთობისთვის. 557589090

2. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ ლამაზი გარეგნობის 20-45 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის. ვარ 25 წლის, მაღალი, სასიამოვნო გარეგნობის, დასაქმებული, არამწეველი, არამსმელი. 555316787. გიო

3. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ გათხოვილ ან განათხოვარ ქალს 32 წლამდე, ვცხოვრობ მარტო. 557255777

4. გავიცნობ თბილისელ ან ბათუმელ შეძლებულ ქალს ურთიერთობისთვის, ვარ ბათუმელი. 557805665. ბესო

5. გავიცნობ სიმპათიურ ქალს ურთიერთობისთვის. 599801018

6. გავიცნობ ნებისმიერი ასაკის ქალს ახლო ურთიერთობისთვის. ვარ 23 წლის, თბილისელი ბიჭი. 557598444

7. სამეგობროდ გავიცნობ 30-45 წლამდე ნორმალური გარეგნობის ქალს. ვარ კეთილი სულის, სიმპათიური, 28 წლის მამაკაცი რუსთავიდან. 598442471

8. თბილისში მცხოვრები, განათლებული, მარტოხელა კაცი გავიცნობ 50 წლამდე ქალს. 597330699

9. სამეგობროდ გავიცნობ ნორმალური გარეგნობის ქვრივ, თბილისში მცხოვრებ ქალს. 599445818. გურამი

10. ვარ 35/180/70, კარგი აღნაგობის, დასაქმებული, თბილისელი მამაკაცი, ხანგრძლივი ურთიერთობისთვის გავიცნობ 40 წლამდე თბილისელ ქალს. 557704587

11. ვარ 30 წლის მამაკაცი, ათლეტური აღნაგობის, სამეგობროდ გავიცნობ სოფლელ გოგოს. 599308107

12. ვარ 27 წლის ბიჭი, თბილისელი, დასაქმებული, გავიცნობ მხოლოდ თბილისელ არამატყუარა ქალს შეხვედრებისთვის. 557622664

13. გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის 30-დან 40 წლამდე, ქუთაისელს. ვარ სიმპათიური მამაკაცი, 32 წლის, ქუთაისიდან. 555329259. რომა

14. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ, გათხოვილ ან განათხოვარ გოგოს. ვცხოვრობ მარტო. 557255777. ნიკა

15. შეხვედრებისთვის გავიცნობ 20-დან 35 წლამდე ქალს. 551147101

16. ვარ თეთრი, ქერა, ცისფერთვალება, სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 23 წლის, თბილისელ გოგოს. 558455206. თორნიკე

17. ვარ 30 წლის, სპორტული აღნაგობის, ვცხოვრობ თბილისში. შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისში მცხოვრებ, 35 წლამდე სიმპათიურ ქალს. 555488044. თემური

18. შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისელ ქალს. ვარ 40 წლის, სიმპათიური მამაკაცი. 593201211. კახა

19. გავიცნობ 35 წლამდე გოგოს, არამსუქანს, ვარ დასაქმებული ბიჭი. 598001508

20. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ 35 წლამდე ლამაზ და ზრდილობიან ქალს. ვცხოვრობ მარტო, ვარ თბილი და ალერსიანი. 551740511

21. გავიცნობ 25 წლამდე თბილისელ გოგოს შეხვედრებისთვის. 555634178

22. ვარ 21 წლის ცისფერთვალება, კარგი ბიჭი, პოლიციელი, ქუთაისელი. გავიცნობ 20 წლამდე გოგოს. 599362012. თორნიკე

23. სამეგობროდ გავიცნობ 40 წლამდე ქალს, თბილისელს ან რუსთაველს. 558234809. ნიკა

24. შეხვედრებისთვის გავიცნობ შეძლებულ ქალს, ვინც მარტოსულადაა. ვარ 32 წლის, ბათუმელი. 599297276. ვახო

25. შეხვედრებისთვის გავიცნობ ზესტაფონთან ახლოს მცხოვრებ 25-35 წლამდე სუსტი აღნაგობის ლამაზ გოგოს.598233755

26. ვარ 36 წლის მამაკაცი, დასაქმებული, მაქვს სტაბილური შემოსავალი. სამეგობროდ გავიცნობ კარგ გოგოს. 551553626. გიო

27. შეხვედრებისთვის გავიცნობ სერიოზულ ქალს. ვარ 29 წლის თბილისელი ბიჭი. 557240429. ნიკა

28. შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისელ, 33 წლამდე სასიამოვნო გარეგნობის გოგოს. ვარ 29 წლის, თბილისელი, ყველაფრით უზრუნველყოფილი. 555718831. გიო

29. სამეგობროდ გავიცნობ თბილისში მცხოვრებ 45 წლამდე ქალს. ვარ 37 წლის. 557326446

30. ვარ 25 წლის ბიჭი, სამეგობროდ გავიცნობ ქალს. 551129378. გიგა

31. შეხვედრებისთვის გავიცნობ 45 წლამდე ქალს. 598890166. გოჩა

32. შეხვედრებისთვის გავიცნობ 30-45 წლამდე ქვრივ ქალს, შეხედულებას არა აქვს მნიშვნელობა. 558654559

33. ვარ 35 წლის, შეხვედრებისთვის გავიცნობ გოგოს, ვარ დასაქმებული. 595414577. გოჩა

34. გავიცნობ 35 წლამდე ქალს, ვისაც გართობა სურს. ვარ სიმპათიური ბიჭი. 598175003. დათო

35. ვარ სიმპათიური თბილისელი ბიჭი, შეხვედრებისთვის გავიცნობ სიმპათიურ გოგოს. 593135572. დათო

36. ვარ 40 წლის მამაკაცი, გავიცნობ 25-დან 45 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის. 555645232. გიო

37. გავიცნობ 35-დან 50 წლამდე ქუთაისელ, შეძლებულ, მარტოხელა ქალს სამეგობროდ, ვარ ქუთაისელი, 44 წლის, მარტოხელა, სიმპათიური მამაკაცი. 599069292

38. გავიცნობ 26 წლამდე ლამაზ და პატიოსან გოგოს. 557763690

39. ვარ 40 წლის სპორტული აღნაგობის მამაკაცი, გავიცნობ 30-40 წლამდე თბილისელ ქალს. 577270744

40. ვარ მაღალი, სპორტული აღნაგობის, სიმპათიური მამაკაცი. გავიცნობ თბილისელ, 35 წლამდე ლამაზ, გათხოვილ ქალს. 593050806

**გავიცნობ ქალს ოჯახის შესაქმნელად**

1. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25-დან 40 წლამდე გოგოს, თუნდაც განათხოვარს. ვარ ყურადღებიანი, შრომისმოყვარე და სიმპათიური ადამიანი, ყველანაირად უზრუნველყოფილი, მაქვს დიდი და შემოსავლიანი ბიზნესი. 555740878. გოგიტა

## 2017

2. ვარ სუფთა წარსულის მქონე 29 წლის ბიჭი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, დედისერთა ან მარტოხელა გოგოს. 599192305

3. გავიცნობ ქალს ხაშურიდან ან ხაშურის რაიონის სოფლიდან, ოჯახის შესაქმნელად, თუნდაც განათხოვარს და მსუქანს. 598227738. გეგა

4. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ ქალს, ბინიანს. 593909058

5. გავიცნობ 25-დან 35 წლამდე გოგოს ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 35 წლის. 557647089

6. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25-40 წლამდე ქალს. ვარ 42 წლის მამაკაცი. 551181206

7. ვარ თბილისელი, სერიოზული, საქმიანი მამაკაცი, მაქვს კარგი სამსახური და ბინა, ოჯახის შესაქმნელად გავიცნობ 32 წლის, რაიონელ, ქალიშვილ გოგოს. 558215498

8. ვარ 50 წლის, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ მორწმუნე, გაუთხოვარ, სიმპათიურ ქალს. 555798275

9. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 20-დან 30 წლამდე გოგოს, განათხოვარს ან გასათხოვარს. 591983384

10. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ მარტოხელა, 60 წლამდე ქალს. ვარ 49 წლის, რაიონიდან, უბინაო და უცოლშვილო. 555354757

11. ვარ საშუალო სიმაღლის ბიჭი, გავიცნობ 28 წლამდე, ლამაზ და პატიოსან გოგოს ოჯახის შექმნის მიზნით. 558250107

12. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 38 წლამდე გოგოს. ვარ 50 წლის. მხოლოდ დარეკეთ. 555364815

**გავიცნობ მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად**

1. ვარ 35 წლის, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ევროპული მენტალობის მქონე 45 წლამდე მამაკაცს. 551104159

2. მყავს ახლობელი, წესიერი, კოხტა, უმაღლესი განათლების, თბილისში ბინით, ქვრივი, უშვილო, 59 წლის ქალი, გავს 40 წლისას. ოჯახს შექმნის 57-62 წლამდე ქვრივ, განქორწინებულ, ბინით უზრუნველყოფილ, ისეთ მამაკაცთან, რომელსაც შვილი არ ყავს, არის ჭკვიანი, მშრომელი, კარგი წარსულის მქონე, პატიოსანი. 591408285

3. გავიცნობ 27-დან 40 წლამდე მამაკაცს ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ განათხოვარი, მყავს ერთი შვილი. 558176273. მარისელა

4. გავიცნობ თბილისელ, დასაქმებულ, წესიერ 33-დან 42 წლამდე მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად. ვარ ბავშვიანი. 557297331. მაია

5. ვარ 42 წლის, თბილისელი, განათხოვარი, ქერა, მაღალი, სიმპათიური ქალი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 55 წლამდე ბინით უზრუნველყოფილ, დასაქმებულ, სიმპათიურ მამაკაცს. 558265816

6. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, დასაქმებულ, სიმპათიურ მამაკაცს. ვარ 55 წლის, თბილისელი ქალი. 551162374

7. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ასაკის შესაფერის, სიმპათიურ, დასაქმებულ, სერიოზულ, თბილისელ მამაკაცს. ვარ 42 წლის, დასაქმებული, ლამაზი, მშვიდი, სუფთა წარსულით. 555495896

8. ვარ 56 წლის ქალი, ქმარს გაცილებული, მსურს შევქმნა ოჯახი. გავიცნობ 50-60 წლამდე თბილისელ, ქართველ მამაკაცს. 595764050

გავიცნობ მამაკაცს შეხვედრებისთვის

1. ვარ ლამაზი ქალი. გავიცნობ 40-60 წლამდე, სერიოზულ და დასაქმებულ მამაკაცს სამეგობროდ. 558208744

## სხვადასხვა

1. გავიცნობ საჩხერელ, მეგობარ ადამიანს 42 წლიდან, სამეგობროდ. 598822639

## გილოცავ

ჩემს შვილს, მანანა წიკლაურს! გილოცავ დაბადების დღეს 2 აპრილს, გისურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, ულევ სიხარულს, სიყვარულს, შენს ერთადერთ შვილთან, დათოსთან და ყველა კეთილის მსურველთან ერთად. დედა, ლეილა წიკლაური

## მიყვარხარ, მენატრები

ქეთა, ძალიან მენატრები, შენს შესახებ უკვე 2 წელია არაფერი არ ვიცი, როგორ ხარ, გამაგებინე ყველაფერი, როგორაა ჩემი ნაჩუქარი თუთიყუში. ქეთა 22 წლის, თბილისი, გლდანი, გეხმიანება შენი მიშიკო. ბათუმი. 557158277

ალეკო, ჩემო ერთადერთო, ჩემო თბილო, ტკბილო, ძვირფასო და ყველაზე მეტად საყვარელო. თავს მიხედე, არაფერია სანერვიულო. უფლის მადლი არ მოგკლებოდეს. მიყვარხარ და გაკოცე. ნინო

დარისპან, ძალიან მენატრები, უშენოდ სიცოცხლე აღარ შემიძლია, ნეტა ერთხელ მაინც მენახე. ვიცი, გული გატკინე, მაგრამ ძალიან მიყვარხარ. უფალი გფარავდეს. ლომიძე

შოთიკო, ბაჩი, მიყვარხარ, თავს გავწირავ და ცოცხლად დავიმარხავ შენთვის, რამდენი წელიც არ უნდა იყოს, ჩვენ ყველაზე კარგად ვიქნებით. მოვკვდები უშენოდ, იქნებ ვინმემ მაინც დამირეკოს და ორი სიტყვა ათქმევინო რამე ჯეოსელის ნომერზე. თავს გაუფრთხილდი. მენატრები. შენი ეკა

ვახო, მამი, მოგვენატრე მე და ნიკუს ძალიან. ჩვენ კარგად ვართ, ნიკუშა სულ გახსენებს. ლაშა რიგაშია, კარგად არის. გამაგრდი, ჩვენ შენს გვერდით ვართ. მარი

დათ, ჩემო სიყვარულო, როგორ ხარ, უზომოდ მენატრები, ყველანაირ ტკივილს ავიტან, მაგრამ უშენოდ თავს ვერსად გავიტან. უზომოდ მიყვარხარ დათ. თიკო

დათ, ყოველი დილა შენზე ფიქრით იწყება, გონებით მუდამ შენთან ვარ ჩემო სიყვარულო. მიყვარხარ გულში. მე შენი სიყვარული მაძლიერებს იცოდე. თიკო

**თუ გსურთ, ახლობელს მიულოცოთ რამე ან გაუმხილოთ თქვენი გრძნობები ჟურნალ „სარკის" მეშვეობით, აკრიფეთ ასო „M", შემდეგ — ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 2017 ჯეოსელის და მაგთის აბონენტებმა. გაცნობის განცხადებებში მიუთითეთ თქვენი ტელეფონის ნომერი. თქვენი ტექსტი დაიბეჭდება „სარკის" უახლოეს ნომერში. sms უნდა გამოგზავნოთ 6 აპრილის 17 საათამდე.**
**ერთი sms-ის ღირებულებაა 1 ლარი. წერილი, რომელიც 3-ზე მეტ სმს-ში იქნება მოთავსებული, არ დაიბეჭდება!**
**ერთი აბონენტისგან მიწერილ ორ ბარათზე მეტი არ დაიბეჭდება**



Cyan Magenta Yellow Black

# გამარჯვებული მარტისტები გამოვლინდნენ

31 მარტს თბილისში, ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული მუსიკის ცენტრში, მარტისტების კვირეული „ფანარტი“ დასრულდა. ფესტივალის მიზანი უცნობი ნიჭიერი ადამიანების აღმოჩენა გახლდათ და როგორც ორგანიზატორმა თეა ყიფშიძემ გვითხრა, პროექტში მოხვედრის მსურველების რაოდენობამ და ხალხის აქტიურობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.



■ თეა ყიფშიძე

ახალბედა ხელოვანები ძალიან ღელავდნენ, რადგან მათ უმრავლესობას თავიანთი შემოქმედება საჯაროდ პირველად გაჰქონდა. დასახელდა ნომინაციები და გამოვლინდნენ გამარჯვებულები, რომლებიც 300 ლარით დასაჩუქრდნენ.

— ხალხის განწყობიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფესტივალი წარმატებით შედგა. არც ერთი დღე ყოფილა ისეთი, რომ ხალხის ნაკლებობა ყოფილიყო, პირიქით, ძალიან დიდი ინტერესი გამოვლინდა. ამან კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ეს ფესტივალი ძალიან საჭირო და აუცილებელი იყო. ფესტივალმა გააერთიანა სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები. სამწუხაროდ, ძალიან ბევრი მსურველი, მათ შორის ბევრი მხატვარი, შემსრულებელი ფესტივალის მიღმა დარჩა. ნამდვილად არ ველოდი, თუ მარტისტების კვირეულს პირველივე წელს ხალხი ასე აიტაცებდა. ეს ფესტივალი ყოველწლიურ ხასიათს მიიღებს, — ამბობს თეა ყიფშიძე.

„სარკეს“ გამარჯვებულებმაც გაუზიარეს სიხარული.

**ვერო ლელუა,** ნომინაცია „საუკეთესო კინო“:

— ფილმზე მარტოს არ მიმუშავია, ლიდერთა სკოლის მოსწავლეების ნამუშევარი წარმოვადგინე. ვცდილობთ, ის პრობლემები გავაშუქოთ, რაც ჩვენს ქვეყანაში აქტუალურია. ყველაზე კარგი ფორმა ისაა, როდესაც ხალხს თვალნათლივ აჩვენებ ამ პრობლემებს კინოს სახით. საქართველოში პირველად გაკეთდა ანიმაცია, სადაც ბავშვთა უფლებებზეა აქცენტი გაკეთებული. დღეს აქ წარმოვადგინეთ ფილმი, რომელიც ჩვენს რეგიონში, ოზურგეთში მცხოვრები ბოშების პრობლემებს ასახავს. ჩვენი კონკურენტების ფილმები ვნახე და რამდენიმე მათგანით მოხიბლული დავრჩი. ნამდვილად არ მეგონა, რომ ჩვენი ნამუშევარი ასე დაფასდებოდა და გავიმარჯვებდით. შეიძლება ჩვენი ფილმი მხატვრული ღირებულების არ არის, მაგრამ ხალხს ბევრი რამ უამბო.

**ჯონი ასიტაშვილი,** ნომინაცია „საუკეთესო კლასიკური მუსიკა“:

— ბავშვობიდან ვუკრავ. ძალიან მინდოდა, ჩემი შექმნილი მუსიკა ადამიანებამდე მიმეტანა და ამიტომაც მივიღე ფესტივალში მონაწილეობა. სხვაგან არ მეძლევა თავის გამოჩენის საშუალება. კონკურენტები მყავდა, მაგრამ არც კი მიფიქრია გამარჯვებაზე, ჩემთვის მთავარი საკუთარი თავის გამოცდა იყო.

**ვახტანგ ხეთაგური**, ნომინაცია „ფოტოგრაფია“:

— დაახლოებით ორი წელია ფოტოგრაფიით ვარ დაკავებული. ფესტივალის შესახებ მეგობარმა შემატყობინა და ასე მოვხვდი აქ. გამარჯვებას ნამდვილად არ ველოდი. ფოტოგრაფს არ უნდა ეგონოს, რომ მისი ნამუშევარი ძალიან მაგარია. სხვა უნდა გეუბნებოდეს, კარგიაო.

**ლელა ღვინიფაძე,** ნომინაცია „საუკეთესო მოდა“:

— ჩემი კოლექცია მექსიკელი მხატვრის, ფრიდა კალოს ნამუშევრებზეა გაკეთებული, უფრო სწორად, გათანამედროვებულ ფრიდაზე. მოდელი მოვიყვანე, რომელსაც ჩემი შეკერილი კაბა აცვია. ძალიან საინტერესო ფესტივალია, რომელმაც ბევრი უცნობი ნიჭიერი ადამიანი აღმოაჩინა.

■

ფესტივალის დასასრულს პროექტის ორგანიზატორებმა ყველა პარტნიორს და მხარდამჭერს მადლობა გადაუხადეს, მათ შორის — ჟურნალ „სარკესაც“.

# ზურაბ ვადაჭკორიამ მაროკოელები გააოცა

5 მარტს მაროკოს ქალაქ კასაბლანკაში სიცილის ფესტივალი გაიხსნა, სადაც ქართველი ცნობილი ილუზიონისტი ზურაბ ვადაჭკორია და ბახვა წერედიანის მარიონეტების თეატრი საპატიო სტუმრებად იყვნენ მიწვეული. კასაბლანკას გარდა, გამოსვლები ნადისში, ნეკნესსა და მაროკოს სხვადასხვა ქალაქში ჰქონდათ. ფესტივალის დასასრულს კი რაბათის სამეფო თეატრში გრანდიოზული კონცერტი გამართეს, სადაც მათ გამოსვლას 4.000 მაყურებელი აფასებდა. მათ შესახებ იქაური პრესა წერდა და არაერთ ტელეარხზეც გამოჩნდნენ. ერთ-ერთი ასოციაციისგან ზურაბ ვადაჭკორიამ და ბახვა წერედიანმა სამადლობელი წერილიც მიიღეს. როგორც ბატონმა ზურაბმა გვითხრა, მათმა გამოსვლამ მაროკოელები და მათ შორის ცნობილი ილუზიონისტებიც ისე გააოცა, ერთობლივი ფოტოების გადაღებას სთხოვდნენ.



■ ზურაბ ვადაჭკორია და ბახვა წერედიანი

— ამ ფესტივალზე უკვე მეორედ ვიყავი. პირველად 2011 წელს გახლდით, მაგრამ ამდენი გამოსვლა არ მქონია. კასაბლანკაში სამი ქართული ოჯახი ცხოვრობს. ძალიან დიდი პატივი გვცეს. ფესტივალზე ქალბატონი რუსუდან ჯაჭვლიანი დაგვხვდა. ეს ადამიანი უკვე 12 წელია მაროკოელებს საქართველოს აცნობს, ქართული ცეკვისა და სიმღერის ფოლკლორული ანსამბლები ჩაჰყავს. იქ ჩვენ შესახებ უკვე ბევრი რამ იციან. კასაბლანკაში ქართველებმა ძალიან დიდი პატივი გვცეს. მინდა, მათ დიდი მადლობა გადავუხადო.

გეგმის მიხედვით, მხოლოდ 5 მარტს, ფესტივალის გახსნაზე, უნდა გვემუშავა და მერე სხვა ქალაქებში გაგვეგრძელებინა, მაგრამ ჩვენმა გამოსვლამ იმხელა მოწონება დაიმსახურა, კიდევ 2 დღე დავრჩით. პროგრამა საათსა და 20 წუთს გრძელდებოდა, სულ 12 კონცერტი ჩავატარეთ. ბახვა წერედიანთან ერთად პირველად ვიმუშავე და ძალიან საინტერესო აღმოჩნდა, — გვიამბო ზურაბ ვადაჭკორიამ.

# საქართველოს კომა ახალგაზრდა რეჟისორის ფილმში

ამ დღეებში თბილისის კინოთეატრებში ახალგაზრდა ქართველი რეჟისორის აჩიკო ქავთარაძის ფილმის „კომა“ პრემიერა შედგა. სიუჟეტი რეალურ ამბებზეა აგებული. მთავარი გმირი ციხეში ხვდება, სადაც დიდ ტრავმებს იღებს, პატიმრების მიმართ არაადამიანური და ცინიკური მოპყრობა მის ცხოვრებას დაღს ასვამს...

გადაღებები 2008 წელს დაიწყო 2011 წელს დასრულდა. პრემიერა 2012 წელს უნდა შემდგარიყო, მაგრამ ციხის ცნობილი კადრების გავრცელების შემდეგ



■ შემოქმედებითი ჯგუფი

ფილმის შემქმნელებმა „კომას“ ჩვენებისგან თავი შეიკავეს. იფიქრეს, რომ შეიძლებოდა სურათს პოლიტიკური დატვირთვა მისცემოდა.

„კომაში“ მონაწილეობენ გიორგი მასხულია, ჯანო იზორია, მიხეილ ახვლედიანი, ზურაბ ბეგალიშვილი. სცენარის თანაავტორი ლაშა ბუღაძე გახლავთ, რომელმაც მთავარი გმირის შექმნის ისტორია გვიამბო:

— აჩიკომ ეს ამბავი დეტალებში მომიყვა, რეალურ ისტორიაზეა, თუმცა სიუჟეტი, გარკვეული ეპიზოდებიც, ინტრიგაც გამოგონილია. აჩიკო ამბავს მიყვებოდა, მე კი ნამდვილი ადამიანიდან პერსონაჟს ვქმნიდი. ფილმი საკმაოდ მძიმეა, ის ჩვენს რეალობას, ჩვენს საზოგადოებრივ, სისტემურ პრობლემებს ეხმიანება.

მსახიობი ჯანო იზორია პატიმრის როლს თამაშობს, რომელიც მთავარ გმირს, ასევე მსჯავრდებულს, იმ ჯოჯოხეთს აცნობს, სადაც ცხოვრება უწევს.

— ჩემი გმირი რაღაცნაირად სინანულშია, აღარ აქვს სურვილი, რომ გარეთ ისევ „განგსტერული“ ცხოვრება განაგრძოს. მას, როგორც ადამიანს, ნორმალური ცხოვრება უნდა, — ამბობს ჯანო იზორია.

აჩიკო ქავთარაძე თვლის, რომ ამ ფილმით მოქალაქეობრივი ვალი მოიხადა და მაყურებელს აჩვენა ის პრობლემები, რაც საზოგადოების განვითარებას უშლის ხელს.

— მინდოდა, ჩვენი თავისთვის გარედან შეგვეხედა და იმ პრობლემებზე პასუხი მოგვეძებნა, რომლებიც ჩვენში ღრმადაა დაბუდებული. საპატიმრო თვალსაჩინო ადგილი იყო, სადაც ჩანდა, თუ რა გვჭირდა. ვალდებული ვიყავით, ამაზე ხმა აგვემაღლებინა. არანაირი პოლიტიკური გათვლა არ ყოფილა. ფილმის შექმნას, გინდათ, მოქალაქეობრივი ვალის მოხდა დაარქვით და, გნებავთ, ადამიანური, — გვითხრა აჩიკო ქავთარაძემ.



Cyan Magenta Yellow Black

# ქრისტესთვის თავდადება მხოლოდ ღირსეულ ქრისტიანებს შეუძლიათ

## ხსენება წმინდისა მოციქულისა ონისიმესი სამოცდაათთაგანისა



ხშირად საეკლესიო კალენდარში არის საუბარი ამა თუ იმ წმინდანზე, მაგრამ მათი ცხოვრების შესახებ იმდენად მწირია ინფორმაცია, რომ ჭირს წარმოდგენის შექმნა რომელიმე წმინდანის ირგვლივ. ჩვენც სწორედ ამ რთულ საქმეს შევეჭიდეთ და ღვთის წყალობით მეტნაკლებად ვახერხებთ, რადგან ისტორიკოსები თითქმის არაფერს ამბობენ მოციქულების დროინდელ ეპოქაზე.

დღეს სამოცდაათი მოციქულიდან ერთ-ერთზე, წმინდა ონისიმეზე გვსურს საუბარი. ძნელი სათქმელია, რატომ, მაგრამ ფაქტია, რომ ისტორიკოსებისთვის არცთუ მაინცდამაინც საინტერესო იყო მოციქულებზე და მათ მოსწავლეებზე ჩვენთვის, მომავალი თაობებისთვის კიდევ უფრო მეტი ინფორმაციის მოწოდება, ამიტომაც ძირითადად მაინც საღვთო წერილი არის ის ერთადერთი უტყუარი წყარო, საიდანაც შეიძლება, რომ იხელმძღვანელო, როცა რომელიმე მოციქულის ცხოვრების გაცნობა გინდა.

იყო ასეთი ისტორიკოსი, სახელად თეოდორიტე, რომელიც გვამცნობს, რომ წმინდა მოციქული ონისიმე წარმოშობით კოლოსეიდან ყოფილა. სავარაუდოდ, ეს ის კოლოსეიაა, რომელიც ნახსენებია მოციქულთა საქმეში „კოლასელთა მიმართ მიწერილი ეპისტოლე პავლე მოციქულის მიერ“. ქალაქი, რომელიც მდებარეობს მცირე აზიის დასავლეთით, ქალაქ ფრიგიასთან, დღეს თურქეთის ტერიტორიაზეა დარჩენილი. სამწუხაროდ, მისი დღევანდელი თურქული სახელწოდება უცნობია ჩვენთვის.

თავდაპირველად წმინდა მოციქული ონისიმე მოციქულ ფილიმონის ოჯახის მოსამსახურე ყოფილა, საიდანაც ფული მოუპარავს ფილიმონისთვის და გაქცეულა. ღვთის განგებით, რომში პავლე მოციქულს შეხვედრია და სწორედ მისგან უსწავლია ქრისტიანობის შესახებ. უზომოდ დაღონებულ ფილიმონს ფულის დაკარგვის გამოც და იმის გამოც, რომ ფულთან ერთად მოსამსახურეც დაკარგა, პავლე მოციქულისგან მიუღია სანუგეშო ეპისტოლე, რომელშიც ამცნობდა, რომ შეხვდა ქალაქ რომში ონისიმეს, რომელიც წუხდა მომხარის გამო. თუ შესაძლებელია ამ ცოდვის პატიება, უნდა აპატიო და უკან უნდა დააბრუნო სამსახურში, სადაც გამოისყიდის საკუთარ დანაშაულსო.

ფილიმონთან შეიყვარა უფალი ონისიმემ და ეს ყოველივე ისეთი გრძნობით გააკეთა, რომ მოციქულთა თავ პავლესთან ერთად მთელ იმდროინდელ განვითარებულ სამყაროს შემოუარა და ახარებდა იესო ქრისტეს შესახებ. საპყრობილეშიც პავლე მოციქულის გვერდით იყო, სიკვდილამდე უერთგულა მეგობარსაც და მოძღვარსაც ერთად.

მოციქულთა თავი პავლე თავის ეპისტოლეში, რომელსაც სწერს ფილიმონს, ავედრებს მონასა ღვთისა ონისიმეს: „გლოცავ შენ შვილისა ჩემისათვის, რომელი ვშევ კრულებათა შინა ჩემთა, ონისიმე რომელი-იგი ოდესმე უხმარ შენდა, ხოლო აწ შენდა და ჩემდა სახმარ, რომელი-იგი მივავლინე შენდა; ხოლო შენ შეიწყნარე ესე; იგი არს ნაწლევი ჩემი“... (ფილიმონ. ეპისტოლე 1,10-12).

ალბათ ბევრი კომენტარი არ სჭირდება, როცა მოციქულთა თავი პავლე გიწოდებს „შვილი ჩემი, რომელიც ვშევ საპყრობილეში“. აქ იგულისხმება სულიერი შობა, სულიერი გარდატეხა. ამ სიტყვების შემდეგ თითქმის აღარც არაფრის თქმა არის საჭირო, თუ როგორი სულიერი კაცი იქნებოდა მოციქული ონისიმე, მისგან აღარავის გაუკვირდება არც სასწაულმოქმედება, არც მოწამეობრიობა ქრისტესთვის. ეს არის მოციქული, რომელიც გამოდგება მაგალითად, თუ რა შეუძლია სინანულს, მან ხომ მცნება დაარღვია და მოიპარა, მაგრამ შეინანა და წმინდა მოციქულების დასს შეერთო.

დღეს კი რა ხდება — ადამიანი იპარავს, იძახის, რომ ქრისტე სწამს, ქურდბაცაცობას თავს არ ანებებს და გაიძახის, რომ ნანობს საკუთარ ცოდვებს. თუ მცნებებს არღვევ და არც გამოსწორება გსურს, აბა, როგორი ქრისტიანი ხარ? ქრისტიანი კი არა, მატყუარა უფრო ხარ, ადამიანო! ხოლო ვინც იტყუება, იმას გაუჭირდება, რომ ღმერთი იხილოს.

რაც შეეხება წმინდა ონისიმეს, თავისი წინამორბედების და მასწავლებლების მსგავსად (ვგულისხმობთ მოციქულთა თავთა პეტრე და პავლე მოციქულებს), მზად იყო, თვითონაც მოწამის გვირგვინი დაედგა თავზე იესო ქრისტეს სიყვარულისთვის. უამრავი წარმართი შემოაბრუნა ქრისტეს რჯულზე, რისთვისაც დაიმსახურა რომის გამგებლის ტერტილონის რისხვა, რომელმაც ბრძანა წმინდა ონისიმეს შეპყრობა და მასთან წარდგინება.

უსამართლო მსაჯულმა ჰკითხა წმინდანს: „შენი სახელი, შენი მდგომარეობა და შენი სარწმუნოებრივი აღმსარებლობა“, რაზეც წმინდანმა უპასუხა, სახელად ონისიმე მქვია, ჩემს მდგომარეობას რაც შეეხება, ადრე ვიყავი ერთი ჩემნაირი ადამიანის მოსამსახურე, ახლა კი ვარ თავისუფალი და ვემსახურები სამყაროს შემოქმედს, რომელიც არის კაცობრიობის ბატონპატრონი და მხსნელი იესო ქრისტეო. ამაზე ეპარხოსმა მიუგო: „და რა იყო იმის მიზეზი, რისთვისაც ასე ადვილად შეელიე შენს პირველ ბატონს?“. ქრისტესთვის მოწამე ონისიმოსმა უპასუხა: „მიზეზი იყო ჭეშმარიტების სრულფასოვნად გააზრება და სიძულვილი კერპთაყვანისმცემლობისა და სიცრუისა, მბრძანებელო“.

მაშინ მიუგო ტერტილონმა: „და რა თანხა მიიღე კერპების უარყოფის და ახლად აღმოჩენილი ქრისტეს აღიარების სანაცვლოდ?“ რაზეც წმინდანმა მიუგო: „თვითონ ქრისტემ, ძემ ცოცხალი ღმერთისამ და ჭეშმარიტმა ღმერთმა გამომისყიდა თავისივე წმინდა სისხლით“. ჰკითხა ტერტილონმა: „როგორი აღმზრდელობითი სწავლება აქვთ ქრისტიანებს?“ ამაზე ვრცელი პასუხი გასცა წმინდანმა: „ყველანაირი კეთილშობილება, რაც კი რამ არსებობს, ესწავლებათ ქრისტიანებს, მბრძანებელო, თქვენგან განსხვავებით, რომლებიც ღმერთებად მოიხსენიებთ მათ, რომელთაც შეუძლიათ სიძულვილი, განრისხება, ინტიმური ურთიერთობები. იცით, რომ ყოველი მათგანი არის უსულო, არაფრისმოქმედი, თუმცა ყველანი თქვენ მაინც თავებს იტყუებთ და ეთაყვანებით უსულო, უმოქმედო კერპებს იმის შიშით, რომ ემანდ ან არ განგირისხდნენ, ან არ დაგსაჯონ, რაც, სამწუხაროდ, გჯერათ. ამ ფორმით ემორჩილებით და გწამთ მატყუარა და არაფრის მოქმედი ვითომ ღმერთების. განსხვავებით თქვენგან, ჩვენი ქრისტიანების ღმერთი არის მოსიყვარულე, სამართლიანი და ქალწულება არის საოცნებო მდგომარეობა, სიმდიდრეზე ზრუნვა, მომხვეჭელობა, ღარიბ-ღატაკთა ჩაგვრა ქრისტიანებისთვის არის ყოვლად დაუშვებელი საქციელი და თქვენგან განსხვავებით ის, რაც თქვენთვის არის რთული და მიუღწეველი, ჩვენთვის, ქრისტიანებისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა, რადგან ნუგეშის თვალით შევყურებთ ჩვენს ღმერთს და ისიც მოწყალეა ჩვენ მიმართ. არ გვწამს მხოლოდ ის, რასაც თვალით ვხედავთ, არამედ ისიც, რაც ზეცაშია და იმართება ჩვენგან დამოუკიდებლად“.

ამის გამგონე ეპარხოსმა მიუგო წმინდანს: „ახლა მოეშვი ამ სისულელეების ლაპარაკს და მოემზადე ცოცხალი ღმერთების მსხვერპლშეწირვისთვის, რადგან თუ ამის სურვილი არ გექნება, იცოდე, რომ საშინელი წამებით გაიძულებენ, ეს გააკეთო“. ამაზე კი წმინდანმა უპასუხა: „ნუ ხარ დარწმუნებული, ტერტილონ, რომ მუქარით ან წამებით შემაშინებ, რადგან მსურს, იცოდე, ვერავითარი ძალა დედამიწაზე ვერ მაიძულებს იმას, რომ აზრი შევიცვალო ქრისტეს სიყვარულზე და მისი სახელისთვის სიკვდილზე“.

როგორც კი მოისმინა წმინდანის პასუხი ეპარხოსმა ტერტილონმა, გასცა ბრძანება, შეეპყროთ და ისეთი საშინელი წამებით ეწამებინათ კერპების შეურაცხმყოფელი, რომ არც მანამდე და არც ამის შემდეგ არავინ ჰყოლოდათ ნაწამები. ამის გამგონე ონისიმე ისეთი ბედნიერი იყო, გეგონებოდათ, მის სიკვდილზე და წამებაზე კი არ იყო ლაპარაკი, არამედ მის დაწინაურებაზე. თვრამეტი დღე დაჰყო წმინდანმა საპყრობილეში გაუსაძლისი წამების ქვეშ, მიუხედავად ამისა, მასთან მოსულ მნახველებს ისეთი გულანთებული მოუწოდებდა იესო ქრისტეს სიყვარულზე, თვით ძველისძველ გამოცდილ ქრისტიანებსაც კი შურდათ მისი სიმტკიცის და თავდადების.

ეპარხოსმა გადაწყვიტა ონისიმეს რომიდან გაძევება და მისი ქალაქ პოტიოლოსში გადასახლება, სადაც ცხოვრობდნენ ბერძენი წარმართები, რომლებიც კიდევ უფრო სასტიკად გაუსწორდებოდნენ მათი ღმერთების შეურაცხმყოფელს. აგრეთვე აუკრძალა წმინდანს ქადაგებაც. როგორც კი წმინდანი ჩავიდა პოტიოლოსში, მაშინვე იწყო იესო ქრისტეს სახელით მოქმედება, ყველას მოუწოდებდა, იესო ქრისტეს სახელით მონათლულიყო, რადგან ის იყო ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი და მხოლოდ მისი თაყვანისცემა იყო ჭეშმარიტი და სხვა ღმერთი მის გარდა არ არსებობდა.

შეუბრალებელი მტარვალი პოტიოლოსშიც გაჰყვა წმინდანს საწამებლად და შეურაცხყოფისთვის. წამების დროს წმინდა ონისიმეს სხეულის ნაწილები აქეთ-იქით ცვიოდა. როგორც ყველაფერს აქვს დასასრული, წმინდა ონისიმეს ტანჯვაც დასრულდა ახალი სტილით 15 თებერვალს და მიაბარა წმინდა სული თვისი უფალს, რომლის სიყვარულისთვისაც ამდენი გადაიტანა და დაითმინა. ერთმა მდიდარმა ქალმა, რომელიც დაწინაურებული იყო სამეფო კარზე, დაამზადებინა ვერცხლის ლუსკუმა, გამოისყიდა წმინდა ონისიმეს წმინდა ნაწილები და პატივით მიაბარა მიწას.

ასე გასრულდა წმინდა მოციქულის და მოწამე ონისიმეს ცხოვრება, რომელიც სუფევს ღვთის დიდებაში და მეოხ არს ჩვენთვის სახელითა მამისათა და ძისათა და წმინდისა სულისათა, რომელსაც შვენის ყოველი დიდება, პატივი და თაყვანისცემა აწ და მარადის უკუნისამდე.

წმინდაო მოწამეო და მოციქულო ონისიმე, მეოხ და მფარველ გვეყავ ჩვენ, ცოდვილთა. ამინ!

✓ **ქრისტესმიერი სიყვარულით**
**პროტოდიაკონი მირიანი. ამინ!**



Cyan Magenta Yellow Black

კითხვები მოძღვარს

# „ყველაფერი, რაც ტკივილს გვანიჭებს, უფლის დაშვებითაა“

## „როცა დაღლილი ხართ, ბნელი ფიქრები მძლავრობს, ლოცვაზე მეტად დასვენება გიშველით“



მამა გიორგი

ქრისტიანული სწავლებით, იმედი და პესიმიზმის უარყოფა სასოწარკვეთილების ცოდვაზე გამარჯვებაა. ეს ცოდვა ბოლო პერიოდში მომძლავრებულია. მისი ხელშემწყობი მიზეზებია მატერიალური გაჭირვება, სხვა ადამიანური პრობლემები, რომლებიც, საბოლოო ჯამში, უიმედობას იწვევს და ამ დროს ადამიანი ღვთის მიმართ საყვედურებს გამოთქვამს ანუ ყვედრის. ამ გზას ღვთის გმობისაკენ მივყავართ, რაც მომაკვდინებელი ცოდვაა. წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზი, **მამა გიორგი** (სხირტლაძე) განგვიმარტავს, თუ როგორ ვებრძოლოთ გულგატეხილობასა და სასოწარკვეთილებას.

— **მამაო, ამქვეყნად შეუძლებელია ცხოვრება პრობლემების, მწუხარების, დარდის გარეშე, რაც ბუნებრივად იწვევს გულგატეხილობას. რატომ ითვლება ეს ცოდვად?**

— ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი საშუალება, რომელსაც ბოროტი ძალა იყენებს ადამიანის წინააღმდეგ და ამით ხშირად იმარჯვებს მასზე, მწუხარების და გულგატეხილობის ვნებებია. მათ ყველაზე მძაფრ გამოხატულებას სასოწარკვეთილება წარმოადგენს. როგორც დიდი წმიდა მამა იოანე კიბისაღმწერელი აღნიშნავს: „არც ერთ ვნებაზე გამარჯვება ისეთ გვირგვინს არ ადგამს ბერს, როგორც გულგატეხილობაზე“. მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტყვები სასულიერო პირს ეხება, იგი გარკვეულწილად შეიძლება ყველაზე გავრცელდეს, მათ შორის, უბრალო ერის ხალხზეც.

ჩვენი მიწიერი ცხოვრება მეტად მძიმეა. რომ დავუკვირდეთ, რაც უნდა კარგად იყოს ამქვეყნად ადამიანი, ფუფუნებაში ცხოვრობდეს, როგორც სურს, ისე ატარებდეს დროს, საბოლოო ჯამში, მისი არსებობა მაინც უფრო ტანჯვაა, სიძნელეთა გადალახვა, გაჭირვების დათმენა, ვიდრე ლხენა, სიხარული თუ ნეტარების განცდა. უფალი ამბობს, რომ თითოეულმა ჩვენგანმა უნდა აიღოს საკუთარი ჯვარი. როგორია ის? ჯვარი სხვადასხვაა, სრულიად განსხვავებული, რადგანაც თითოეულს ღვთის მიერ თავისი ჯვარი აქვს განკუთვნილი. მეტად მნიშვნელოვანია, გავიგოთ, თუ რას წარმოადგენს ჩვენი ჯვარი და ზუსტად ის უნდა ავიღოთ, რომელიც უფალმა მოგვაკუთვნა. ძალიან საშიშია, თავად გამოვიგონოთ იგი. ეს კი არცთუ იშვიათად ხდება...

> **„ღმერთზე ჩივილი დიდი ცოდვაა, რისთვისაც იგი ხალხს სჯის. როცა ღმერთზე ვდრტვინავთ, ეშმაკი ამრავლებს ჩვენს მჭმუნვარებას. მათ, ვინც მადლობელია უფლის შეგონებისა და დასჯისთვის, ბოროტი განეშორება, როგორც ნაცემი ძაღლი".**

უიღბლო ქორწინება, პროფესიის არასწორი არჩევა განა მცირე ტანჯვის მომტანია? ბევრი არ უნდა მოითმინოს მან, ვისაც ასეთი გაჭირვება ეწვია? მძიმე ავადმყოფობები, დამცირება, დაუდევრობა, ქონების დაკარგვა, მეუღლის ეჭვიანობა, ცილისწამება — ყველაფერი, რასაც ადამიანები ჩვენ მიმართ ჩადიან, განა ჩვენს ჯვარს არ წარმოადგენს? სწორედ ეს არის ჩვენი ჯვარი, რომელსაც ადამიანთა დიდი უმრავლესობა ატარებს. ვალდებულნი არიან და მათ ყველა ზიდავს, თუნდაც ეს არ სურდეთ. ხალხი, რომელიც უარყოფს ქრისტეს გზას, ვერ იტანს მას, ტანჯვის ჯვარს მაინც ატარებს. რა განსხვავებაა მათსა და იმ ქრისტიანებს შორის, რომლებიც ზიდავენ თავიანთ ჯვარს? განსხვავება ის არის, რომ მორწმუნენი ატარებენ მას მორჩილებით, არ კიცხავენ ღმერთს და თავდახრილნი ზიდავენ ცხოვრების ბოლომდე.

რაღაც მომენტში ადამიანი შეიძლება სასოწარკვეთილებაში ჩავარდეს, დაკარგოს იმედი, შეერყას რწმენა ღვთისა, ამას ვერავინ აცდება, მაგრამ მართლმადიდებლური ცხოვრების წესი აუცილებლად გულისხმობს იმას, რაც შეიძლება ნაკლებად აჰყვე სასოწარკვეთილებას.

— **თუმცა ძალიან ძნელია უიმედობასთან ბრძოლა, როცა საშველი არსაიდან ჩანს.**

— ზოგჯერ მართლაც ძნელია გაუძლო ამ ცხოვრებისეულ ზეწოლას და იგი თავისთავად იწვევს მჭმუნვარე განცდებს. ზოგს ბავშვი ჰყავს ავად, ზოგს ფული არ აქვს ცხოვრების ელემენტარული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მიზნების განხორციელებას ვერ ახერხებს... თითქოს ეს ზღვარია, მეტი აღარ შეუძლიათ, ასეთ წუთებში ზოგჯერ უფალი მეტად სასტიკი ეჩვენებათ, ჰგონიათ, რომ ნაკლებად ზრუნავს მასზე, არ უმართავს ხელს. თვლიან, რომ ცხოვრებას აზრი არ აქვს, დიდხანს ვერ გაუძლებენ ამ მიწიერი ყოფის წნეხს და იქნებ ჯობდეს კიდეც, თავადვე მოისწრაფონ სიცოცხლე.

მართლმადიდებლური შეგნება გულისხმობს, რომ როგორც უნდა გაგიჭირდეს, საჭიროა მოითმინო, არ აჰყვე მძიმე განცდებს და გახსოვდეს — ყველაფერი, რაც ტკივილს გვანიჭებს, უფლის დაშვებითაა და ჩვენთვის სიკეთის მომტანია. ამ სიბრძნის გაცნობიერება განსაცდელის დროს ადვილი არ არის. ძნელია, ყოველგვარი გაჭირვება უდრტვინველად მიიღო იმ შეგნებით, რომ უფალს შენთვის ასე სურს. თუმცა მართლმადიდებლური სრულყოფა აუცილებლად გულისხმობს გაჭირვების დათმენას და შეგნებას, რომ ასეთია ღვთის ნება.

— **ამ დროს ხშირად ვარდებიან ღვთის გმობაში. ეს ალბათ კიდევ ამძიმებს მათ მდგომარეობას.**

— ღმერთზე ჩივილი მეტად დიდი ცოდვაა, რისთვისაც იგი ხალხს სჯის. გავიხსენოთ ებრაელთა მაგალითი უდაბნოში. როცა ღმერთზე ვდრტვინავთ, ეშმაკი ამრავლებს ჩვენს მჭმუნვარებას, იმას, რასაც განვიცდით უფლისმიერი დასჯის გამო. რისთვის ამრავლებს მათ? რათა ჩვენ მეტად და მეტად ვიდრტვინოთ ღმერთზე. მაგრამ მათ, ვინც მადლობელია უფლის შეგონებისა და დასჯისთვის, ის განეშორება, როგორც ნაცემი ძაღლი.

— **დღეს ყველაზე ხშირად რის გამო ვარდებიან სასოწარკვეთილებაში მორწმუნენი?**

— დღეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი დაბრკოლება მატერიალური გაჭირვებაა. განსაკუთრებით მძიმეა მათთვის, ვისაც ოჯახი ჰყავს სარჩენი. ხშირად არც კი იციან, როგორ იშოვონ ფული, რომ თავისიანები გამოკვებონ. ახლა ჩვენს ქვეყანაში ისეთი ვითარებაა, რომ არცთუ იშვიათად, როგორც უნდა მოინდომო, იშრომო, მაინც ვერ შეძლებ საკმარისი მატერიალური სახსრების მოპოვებას ცხოვრების ელემენტარული პირობების დასაკმაყოფილებლად. ხშირად შემოდის უძლურების განცდა, რომ არაფრის გაკეთება ძალგიძს. ერთგვარი შურიც კი ჩნდება იმ მრავალი ქვეყნის მცხოვრებთა მიმართ, სადაც

> **„როგორც დასუსტებულ ორგანიზმს ადვილად ეწევა სენი, ასევე გადაღლილს, გამოფიტულ კაცსაც არცთუ იშვიათად ჯაბნის სასოწარკვეთილების შემოტევები. ამიტომაც ასეთ დროს უნდა შეეცადონ დასვენებას — ოთახში განმარტოვდნენ, სავარძელში ჩასხდნენ ან უბრალოდ წამოწვნენ".**

ასე მძაფრად არ დგას ეს პრობლემა, სადაც შრომით შეგიძლია არჩინო ოჯახი, საკუთარი თავი. აქ კი უკვე აღარ იციან, რა გზას დაადგნენ. ჩვენთან ეს პრობლემა ხშირად იწვევს სტრესს, სასოწარკვეთილ განცდებს, უიმედო განწყობას.

მძიმე ვითარებაში ძალიან ხშირად იგრძნობა უფლის დახმარება. სახარებაში ვკითხულობთ: „ნუ ზრუნავთ და ნუ ამბობთ: რა ვჭამოთ? ან: რა ვსვათ? ან: რით შევიმოსოთ? ვინაიდან ყოველივე ამას ეძებენ წარმართნი: ვინაიდან თქვენმა ზეციურმა მამამ იცის, რომ გჭირდებათ ყოველივე ეს, თქვენ კი უწინარეს ეძიეთ სასუფეველი და მისი სიმართლე, და ყოველივე ეს შეგემატებათ თქვენ“ (მათე 6. 31,34). ბოლო წლების განმავლობაში ჩვენი ქვეყნის ოჯახთა უმრავლესობა ისე ირჩენს თავს, რომ მისი წევრები ხშირად თავადაც ვერ ხვდებიან, როგორ ახერხებენ ამას. ბევრს არა აქვს სტაბილური ხელფასი, შემოსავალი, დღეს თუ რაღაც თანხას იშოვიან, ხვალ უკვე აღარ იციან, ამას როგორ შეძლებენ. ასე გრძელდება წლიდან წლამდე და, რა თქმა უნდა, ეს არ არის ადვილი გადასატანი.

ასეთ ვითარებაში განსაკუთრებით შეიგრძნობა უფლის მზრუნველობა, მფარველობა. როცა უკვე აღარ იციან, სად იშოვონ ფული ბავშვების გამოსაკვებად, ჩასაცმელად, როდესაც კრიტიკული მიჯნაა და არსაიდან ჩანს გამოსავალი, სწორედ მაშინ მოდის →74

დახმარება საიდანღაც. ეს, რა თქმა უნდა, უფლის წყალობის გამოვლენაა და ამ შემთხვევაში კარგად ჩანს, თუ რაოდენ ზრუნავს ღმერთი ჩვენზე, რა ხშირად გვიწვდის დახმარების ხელს და თანაც იგი ვრცელდება არამხოლოდ ეკლესიურ ხალხზე, არამედ მათზეც, ვინც მაინცდამაინც არ დაგიდევთ რწმენას.

უფალი ყველას იცავს, მაგრამ მისი მფარველობა განსაკუთრებით იზრდება მასთან, ვინც ცდილობს, ეკლესიურად იცხოვროს და ნაკლებად შესცოდოს. ყოველთვის ვერც ჭეშმარიტი მორწმუნენი დგანან სათანადო სიმაღლეზე. ასეთ დროს ხშირად შეიგრძნობა უფლისმიერი დასჯის მომენტი და ეს სხვადასხვა პრობლემის გაჩენაში გამოვლინდება. ამით უფალი თვალნათლივ გვიჩვენებს, რამდენად ვართ მასზე დამოკიდებული და როგორ ქრება მისი მფარველობა ჩვენი შეცოდებისას, ვნებისთვის გაქანების მიცემის შემთხვევაში.

ჩვენი მძიმე ყოფა, გაჭირვება ერთგვარად უფალზე მინდობას გვასწავლის და ვითარების სირთულე, რაც უნდა ძნელი გასაგები იყოს, ღვთის წყალობადაც შეიძლება ჩაითვალოს. როცა არსაიდან ელოდები დახმარებას და ის კი უფლის შეწევნით მრავალჯერ სასწაულებრივად მოდის, უკვე სხვაგვარად შეიგრძნობ უზენაესის მფარველობას.

— **რა საშუალებები არსებობს სასოწარკვეთილების ვნების წინააღმდეგ?**

— მრავალგვარი საშუალება არსებობს, მაგრამ უმთავრესი მაინც მორჩილებაა. ამ უდიდესი სათნოებით ადამიანი უძლეველი ხდება ეშმაკისაგან. როცა ანტონი დიდმა ეშმაკის მიერ დედამიწაზე ადამიანთა დასაჭერად დახლართული ბადე იხილა, შეძრწუნებულმა შეჰღაღადა უფალს, ვინ გადარჩებაო ამ განსაცდელს. მხოლოდ მორჩილს არ შეეხებაო იგი, მიიღო პასუხად. როცა ცდილობ, რაც უნდა მოხდეს, რა პრობლემებმაც უნდა წამოყოს თავი, მშვიდად, უდრტვინველად გადაიტანო ყოველივე, ეს უკვე მორჩილების ერთ-ერთი გამოვლენაა. თან ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეკლესიური გაგებით უფალი ჩვენს შესაძლებლობებზე მეტად არ გვცდის და იმ განსაცდელს გვარგუნებს, რისი გადატანაც შეგვიძლია.

სასოწარკვეთილების წინააღმდეგ ასევე მძლავრი საშუალებაა ლოცვა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ ვნების შემოტევისას ზოგჯერ ამის არავითარი სურვილი, განწყობა არ აქვთ. ასეთ დროს ხშირად ეჩვენებათ, რომ აზრი არა აქვს ამ წესის შესრულებას. ხანდახან შემოდის პროტესტის გრძნობაც, ფიქრობენ, თუ ადრე ვლოცულობდი, ვცდილობდი, მესიამოვნებინა უფლისთვის, ვინდომებდი, მეცხოვრა მისთვის სათნოდ, ამან რა დადებითი შედეგი მომცა?

— **ამ ფიქრების შემოტევისას როგორ უნდა მოიქცეს მორწმუნე?**

— ეს ბარიერი უნდა გადალახოს და ლოცვა დაიწყოს. ამის შემდეგ მალევე იგრძნობს, მისი გონებიდან როგორ განიდევნება სასოწარკვეთილების ვნება, მჭმუნვარე ფიქრები და გაჩნდება იმედი, რწმენა ღვთისა. თუ კაცი აჰყვა თავის კაეშანს, ვერ სძლია საკუთარ თავს, ადრე თუ გვიან არ დაიწყო ლოცვა, მისი მდგომარეობა თანდათან დამძიმდება.

სასოწარკვეთილების განცდების მოძალების ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობაა გონებრივი და ფიზიკური გადაღლა. როგორც წმინდა მამები აღნიშნავენ, გულგატეხილობა შეიძლება გამოწვეული იყოს ან გადაღლით, როცა თავიანთ შესაძლებლობებზე მეტად იტვირთავენ თავს, ან ბოროტისეული ზემოქმედებით. როგორც დასუსტებულ ორგანიზმს ადვილად ერევა სენი, ასევე გადაღლილ, გამოფიტულ კაცსაც არცთუ იშვიათად ჯაბნის სასოწარკვეთილების შემოტევები. ამიტომაც ასეთ დროს ერთ-ერთი, რაც უნდა გაკეთდეს, არის ის, რომ უბრალოდ შეეცადონ დასვენებას — ოთახში განმარტოვდნენ, სავარძელში ჩასხდნენ ან წამოწვნენ.

ზოგჯერ მჭმუნვარე აზრების წინააღმდეგ ყველაზე კარგი საშუალება გონების სხვა მიმართულებით გადართვაა — წიგნის წაკითხვა, გართობა, მეგობრის მონახულება, რაიმე საქმიანობით დაკავება. როცა ადამიანი არაფერს აკეთებს და მისი ცნობიერება მთელი დღე თავის გასაჭირს, პრობლემებს დასტრიალებს, ეს მასზე დამთრგუნველად მოქმედებს.

როცა დაღლილი ხარ და ამის ფონზე მძლავრობს შავბნელი ფიქრები, ლოცვაზე მეტად დასვენებაა საჭირო. ასეთ დროს ლოცვამ შეიძლება უფრო გადაღალოს, გამოფიტოს კაცი. თუ დაისვენებ და შემდეგ ილოცებ, მაშინ ორივე საშუალება ერთად იმოქმედებს და ეს წინაპირობა იქნება, რომ სასოწარკვეთილების ვნების შემოტევა დაცხრეს.

მართლმადიდებლური ყოფა სხვადასხვა ვნებასთან ბრძოლას გულისხმობს, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი სასოწარკვეთილების ვნებაა. წარმოუდგენელია აცდე მასთან დაპირისპირებას, მაგრამ აუცილებელია თანდათან უფრო და უფრო მეტად უმკლავდებოდე ამ სირთულეს. თუ ასე არ მოხდა, ეს ჩვენს ქრისტიანულ გზაზე დიდი სისუსტის გამოვლინება იქნება.

✓ **მანანა ნოდია**

# ტაძარი ქართლში, სადაც ქრისტეს ენაზე წირავენ

## საქართველოში ასურელების სოფელს სეტყვისგან მათი წმინდანი იცავს



■ მამა სერაფიმე

მე-6 საუკუნის 40-იან წლებში, როცა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მძიმე დღეები ედგა, ქართლში 13 ასურელი მამა ჩამობრძანდა. მათ სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში სამონასტრო ცხოვრების ჩამოყალიბება და განვითარება.

მე-18-19 საუკუნეებში, როცა მუსლიმანური ქვეყნებიდან ასურელების დევნა დაიწყო, ამ ერის შვილებმა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეს შეაფარეს თავი, მათ შორის იყო საქართველოც. ჩვენს ქვეყანაში დღეისათვის 5 ათასამდე ასურელი ცხოვრობს.

შიდა ქართლში, კასპის რაიონში, არის სოფელი ძველი ქანდა, რომელიც მთლიანად ასურელებითაა დასახლებული. იქ, ერთ პატარა საყდარში, იმ ენაზე ისმის წირვა-ლოცვის ხმა, რომელზეც თავად ქრისტე საუბრობდა — არამეულზე. მოძღვარიც, მამა სერაფიმე, ასურელი ჰყავთ. მსოფლიოში მეორე ასეთი მონასტერი მხოლოდ თურქეთშია,სადაც წირვა-ლოცვა არამეულ ენაზე ტარდება.

მამა სერაფიმე ერისკაცობაში გიო ბიტბუნოვი გახლდათ და სპორტს აქტიურად მისდევდა. საქართველოს ოთხგზის ჩემპიონია ტაიკვანდოში. სპორტის ოსტატი და შავი ქამრის მფლობელია, აგრეთვე — პირველი და მეორე დანის მფლობელი კარატეში. ცხოვრების გზაზე ბევრ ხიფათს გადაურჩა და როცა ქრისტე ჭეშმარიტად ირწმუნა, ბერად აღიკვეცა. ახლა 34 წლის არის.

— **მამა სერაფიმე, საქართველოში ასურელების ისტორია როგორია?**

— ქანდაში 90% ასურელები ცხოვრობენ. 2-3 საუკუნის წინ, მათ წინააღმდეგ დაწყებული გენოციდის დროს ჩამოვიდნენ საქართველოში. ირანში, ერაყში, თურქეთში მათ ქრისტიანობის გამო გაუსწორდნენ. ბევრი გამოიქცა. ზოგი რუსეთში, კრასნოდარის მხარეს დასახლდა, ზოგი — სომხეთში, ზოგი — საქართველოში და ა.შ. ქანდაში მიწა მუხრან ბატონისგან იყიდეს. ძველ ქანდაში დაახლოებით 400 ასურელი ოჯახი ცხოვრობს. ეს პატარა ასურეთია. მე წარმოშობით მთიული ასურელი ვარ, ესენი კი ბარის ასურელები, ურმიელები არიან. მათი დიალექტი არის ასურელების სწორი, კულტურული ენა. ასურულ ენას რამდენიმე დიალექტი აქვს, ისე როგორც ქართულს — მეგრული, სვანური. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ჰქონდა იდეა, რომ საქართველოში ასურელებს ღმერთი თავის ენაზე ედიდებინათ. ეს დიდი წყალობაა და მადლობელნი ვართ, რომ ასე მოხდა.

— **არამეული ენა, რომელზეც ღვთისმსახურებას ატარებთ ასურელები, ქრისტეს ენად ითვლება. საკუთარი ქვეყანა აღარ გაქვთ, მაგრამ უძველესი ენა შემოინახეთ. რა ცნობები გაქვთ შემონახული ამ ენის შესახებ?**

— როცა ჩვენ ვამბობთ ქრისტეს ენას, ვგულისხობთ არამეულს. არამეულ ენაზე დაიწერა პირველი სახარება. ღმერთმა იმიტომ მოგვიყვანა დღემდე, რომ თვით უფალი ქრისტე საუბრობდა ამ ენაზე. უამრავი ერი დაიკარგა საუკუნეების განმავლობაში. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-6 საუკუნეში ასურეთი აღარ არსებობდა. რამდენი ათასი წელი გავიდა და ისევ ვარსებობთ.

ასურელები ემოციურები და ამბიციურები ვართ. ყოველთვის ვამბობთ, რომ ჩვენ პირველი ქრისტიანები ვართ. ავგაროზ მეფე, მეფე ედესისა, რომელმაც მხატვარი გაუგზავნა ქრისტეს მისი სახის შესაქმნელად, ასურელი იყო. წერილი, რომელიც ანანიამ ქრისტეს გადასცა, არამეულზე იყო დაწერილი. ქრისტემ სახეზე მიიდო ტილო, სადაც მისი სახე გადავიდა. ამის შემდეგ ასურელებში ხატების განსაკუთრებული თაყვანისცემა დაიწყო. მაშინ მეფე ავგაროზმა თქვა, ამ ქალაქში შემომსვლელმა თუ გამსვლელმა თაყვანი სცეს ამ ხატსო. პირველად სწორედ ასურელებმა ცნეს ქრისტე ღმერთად. ასე რომ, ჩვენ ვართ პირველი ქრისტიანები დედამიწაზე.

თურქეთში ახლახან იპოვეს მე-5-6 საუკუნეებში დაწერილი სახარება, სადაც ასურელების დროშაა გამოსახული და არამეულზეა ნაწერი. ეს ზუსტად ის დროშაა, რასაც დღესაც ატარებენ ასურელები.

— **საქართველოში სხვა ადგილებშიც ცხოვრობენ ასურელები. როგორია**

**თქვენი ტრადიციები?**

— კახეთში სოფელიც არის — ასურეთი, სადაც მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ასურელია. თბილისშიც ბევრნი არიან, ქუთაისში, გარდაბანში, მაგრამ კომპაქტურად მხოლოდ — ქანდაში. გვაქვს ჩვენი დღესასწაულები. წმინდა გიორგის დღესასწაულს, ქართველების მსგავსად, იმავე დღეებში აღვნიშნავთ, მაგრამ ჩვენ გვყავს მარზაი. მარზაი 309 წელს დაიბადა. მთელი ცხოვრება იესო ქრისტეს მიუძღვნა და 122 წელი იცოცხლა. ჩვენ მას დიდ პატივს ვცემთ. ანტიოქიის საპატრიარქოც იხსენიებს ამ წმინდანს. საქართველოში არ იციან მის შესახებ.

მარზაი ჩვენი ერის მფარველია. სეტყვისგან იცავს ასურელებს. მაშინ, როცა მთელ ქართლში სეტყვაა, ქანდაში არასოდეს მოდის. არადა ქანდიდან 10 მეტრში შეიძლება საშინელი სეტყვა იყოს. ქანდელებს სეტყვა ფაქტობრივად არ ახსოვთ. 200 წელზე მეტია იქ ასურელები ცხოვრობენ და არასოდეს დაუსეტყვავს მათი ვაზი.

შობის დღესასწაულზე ჰარისას ვაკეთებთ. ეს არის ხორბალში მოხარშული ქათამი. ქათამს ჩავდებთ ხორბალში, რომელიც მთელი ღამე იხარშება. იქამდე ვხარშავთ, სანამ ხორცი მთლიანად არ ჩაიშლება და ძვლები არ დაცალკევდება.

**— როგორი გვარები აქვთ ასურელებს?**

— რუსიფიკაციის შემდეგ გვარები გადაკეთდა, მაგრამ ძირი დაუტოვეს. მაგალითად, ჩემი გვარია ბითხარიბი, მაგრამ ბიტბუნოვად გადაკეთებული. ადრე უფრო რუსულად ვსაუბრობდით. ახლა ქართული თითქმის ყველა ასურელმა იცის. ქანდაში აბსოლუტურად ყველა შესანიშნავად ფლობს ქართულ ენას და მშობლიურ არამეულსაც.

**— ასურელები ქართველზე ან სხვა ეროვნებაზე ქორწინდებიან?**

— რა თქმა უნდა! მთავარია, მართლმადიდებელი იყოს.

**— საქართველოში თავს როგორ გრძნობენ ასურელები?**

— არაერთხელ გვიგრძვნია დისკრიმინაცია ქართველებისგან, მაგრამ ქრისტე ჯვარზე აცვეს და ამბობდა, ღმერთო, შეუნდე, რამეთუ არ იციან, რას სჩადიანო. მე პირადადაც მიგრძვნია დისკრიმინაცია და შეურაცხყოფილიც დავრჩენილვარ. ხშირად აისორებს გვეძახიან. არადა ჩვენ დიდი ისტორიის მქონე, ბიბლიური ერი ვართ და უფლებაც გვაქვს, ამბიციურები ვიყოთ. ებრაელებს მისცეს მიწა. ღმერთმა რომ დაუშვას და ასურელებს ჩვენი მიწა მოგვცენ, ფეხშიშველი მივალ იქამდე. ისეთი მიწაც რომ იყოს, სადაც ბალახიც კი არ იზრდება, ჩვენ ისეთი ხალხი ვართ, ქვიდან სახლს გამოვიყვანთ და უდაბნოში წყალს მოვიპოვებთ. გვაქვს თავმდაბლობა და მოთმინება, რომ ეს შევძლოთ. ასურელები მუშა, მშრომელი ხალხია. ათასობით წლის განმავლობაში გამოვიმუშავეთ, რომ ცოცხლები უნდა დავრჩეთ. დიდი გენოციდი განვიცადეთ. მიწა რომ არ გვაქვს, ესეც ღმერთმა დაუშვა. ყველა ასურელი ლოცულობს, რომ ჩვენს შვილებს, შვილიშვილებს მიეცეთ საშუალება, თავი მშობლიურ მიწაზე იგრძნონ. იქ, სადაც ასურეთი არსებობდა, ახლა ნახევარი ირანია, ნახევარი თურქეთი და ნახევარი — ერაყი. დამასკო ასურელების იყო, ანტიოქიაც. მსოფლიოში ყველგან არიან ასურელები, ალბათ რამდენიმე მილიონი. საქართველოში სულ 3 000-მდე ვიქნებით.

**— ამბობთ, დისკრიმინაცია გამოვცადეთ საქართველოშიო, მაგრამ ტაძარში თქვენს მშობლიურ ენაზე ლოცულობთ ჩვენი პატრიარქის მონდომებით. ამას ბევრ ქვეყანაში არ დაუშვებდნენ.**

— რა თქმა უნდა! ვინ დაიჯერებდა, რომ 5 წლის წინ ასურელებს ჩვენს ენაზე წირვა-ლოცვის ჩატარების კურთხევას მოგვცემდნენ?! მე უკრაინაში აღვიკვეცე ბერად. 2008 წელს საქართველოში დავბრუნდი და პატრიარქთან წარმადგინეს. რომ გაიგო, ასურელი ვიყავი, მითხრა, იქნებ თქვენი ერისთვის მშობლიურ ენაზე აღავლინოთ წირვა-ლოცვაო.

ბერი ვარ და მღვდლობაზე არ ვფიქრობდი. მინდოდა, სადღაც ტყეში მეცხოვრა. 2010 წელს ხელი დამასხეს დიაკვნად და მერე მღვდლად მაკურთხეს. სანამ პატრიარქს შევხვდებოდი, სულ არ მაინტერესებდა ასირიული წერა-კითხვა. სკოლა არ გვაქვს, არც საგანი ისწავლება და ჩვენს მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის შესწავლა მხოლოდ ოჯახსა და ენთუზიაზმზე იყო დამოკიდებული. პატრიარქმა მთხოვა, დამწერლობა მესწავლა. მას უნდოდა, სამების ქვედა ტაძარში გვეწირა თვეში ერთხელ. მერე ძალიან დააინტერესა ქანდამ. მან წარმადგინა ასურელებთან. დალოცა ყველა და უთხრა, რომ მათ ჰყავდათ სასულიერო პირი და ეს მე ვიყავი. როცა ინტერნეტით გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ვაშენებთ 13 ასურელი მამის სახელობის ტაძარს, სადაც არამეულად უნდა ჩავატაროთ წირვა-ლოცვა, ავსტრალიიდან დამიკავშირდნენ ასურელები და გარკვეული თანხა გამოგვიგზავნეს.

**— ქანდაში პატარა საყდრის გვერდით დიდიც შენდება. ვინ აშენებს ამ ეკლესიებს?**

— ერთმა ქანდელმა კაცმა, გოდერძი ჰქვია, ნახა სიზმარი, რომ ამ ადგილას ტაძარი უნდა მდგარიყო და მშენებლობა დაიწყო. მორწმუნე და მშრომელი ადამიანი გახლავთ. ეს ტაძარი ნელ-ნელა ააშენა. ამ სოფელში ცხოვრობდა ერთი კაცი, ამირანი, რომელიც ქვით კარგად აშენებდა და მას ააშენებინა. მე რომ მივედი, გავაცოცხლეთ იქაურობა — მოვხატეთ, კანკელი გავაკეთეთ. ამ ტაძარს სასწაულმოქმედს ვეძახი. თქვენი აზრით, რამდენი ადამიანი დაეტევა?



ქანდას ტაძარი

**„პირველად ასურელებმა ცნეს ქრისტე ღმერთად. ჩვენ ვართ პირველი ქრისტიანები დედამიწაზე".**

**— ალბათ 10-15 ადამიანი თუ დაეტევა.**

— 75 დავტეულვართ სტიქაროსნებთან ერთად. ახალი ტაძარი ბევრად დიდი იქნება. ქანდა ერთადერთი სოფელია საქართველოში, სადაც არც ერთმა მიიღო კათოლიკობა. ჩვენ საქართველოს პატრიარქს ვემორჩილებით.

**— ჩვენმა პატრიარქმა იცის ქრისტეს ენა?**

— რა თქმა უნდა, იცის, საქართველოში ყველაზე უკეთ ეს ენა მან იცის. უფალი და ჩვენი პატრიარქი ერთ ენაზე საუბრობენ. სულიერ კავშირს ვამბობ, თორემ არამეული, რა თქმა უნდა, არ იცის. როცა ამ ენაზე ლაპარაკობ, თითქოს 2 ათასი წლის წინ არსებობ და საუბრობ იმ დროში. ეს საოცარი შეგრძნებაა.

**— თქვენ როგორ და რატომ გადაწყვიტეთ, სასულიერო პირი გამხდარიყავით?**

— ღმერთი ყველას თავისებურად ეძახის. მე ვფიქრობდი, რომ დიდი სპორტსმენი უნდა გავმხდარიყავი. აღმოსავლურ ორთაბრძოლებში ვვარჯიშობდი, მაგრამ ღმერთს ჩემ მიმართ სულ სხვა გეგმები ჰქონდა. ღვთის არსებობა ადრე ზღაპრად მიმაჩნდა. ისეთივე მეგონა, როგორიც ბერძნული მითოლოგიაა. როცა მივხვდი, რომ ღმერთი მართლა არსებობდა, ბერად წავედი. მანამდე სულ საავადმყოფოში ვხვდებოდი. ხან მანქანა დამეჯახა, ხან სამი სართულის სიმაღლის ავტოფარეხიდან გადმოვვარდი, ხან პერიპიდროლი დავლიე, ხან ბეტონის ასარევ მანქანაში ჩავვარდი...

**— პერიჰიდროლი თავის მოკვლის მიზნით დალიეთ?**

— არა, შემთხვევით, გადავკარი და ძლივს გადავრჩი. მთელი ყელი დამეწვა. ბეტონის ასარევ მანქანაში კი მკლავი მთლიანად მომძვრა. ექსპერიმენტული ოპერაცია გამიკეთეს და მიმამაგრეს. ხუთი ოპერაცია მხოლოდ მარცხენა ხელზე მაქვს გაკეთებული, ორი — მარჯვენაზე, სამი — ფეხზე. ავტოფარეხიდან რომ გადმოვვარდი, თავით დავეცი. ძლივს გადავრჩი.

როცა ღმერთი ამდენჯერ გიხსნის სიკვდილისგან, შენი სიცოცხლე უკვე უფალს ეკუთვნის. ნევროზი მქონდა, მაგრამ აგრესიული — არა, უფრო მელანქოლიური ხასიათის. ჩემმა მეგობრებმა, რევაზ ჯიქიამ და მიხეილ ოჩიგავამ, მითხრეს, წამოგვყევი ეკლესიაშიო. არ ვაწყენინე და გავყევი, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... ერთხელაც გავიღვიძე და რომ გავიგე, რომელი საათი იყო, გადავირიე, დამაგვიანდა ეკლესიაში-მეთქი. მივხვდი, რომ ჩემი ფეხით მივედი. მანამდე მეგობრებს მივყავდი. ნევროზმა ერთ თვეში გამიარა. მერე მონასტრებში სიარული დავიწყე. ბეთანიაში მამა იაკობმა და მამა ეგნატემ შემაყვარეს ლოცვა და მონასტრული ცხოვრება.

ბერად კიევში, წმინდა სამების მონასტერში აღვიკვეცე. კიევში სამსახურის გამო წავედი. მსოფლიო ჩემპიონატზე გამოვედი ტაიკვანდოში და უხეში ბრძოლის გამო ერთი წლით დისკვალიფიკაცია მომცეს. საქართველოს ოთხგზის ჩემპიონი და ამიერკავკასიის ორგზის ჩემპიონი ვიყავი. დისკვალიფიკაცია რომ მომცეს, გადავწყვიტე, სხვა ქვეყანაში წავსულიყავი. კიევში სკოლა გავხსენი, ტაიკვანდოს ვასწავლიდი. სპორტის ოსტატი იქ გავხდი.

**— ამ ყველაფერს დამტვრეული მკლავებით მიაღწიეთ?**

— დიახ. მირონის ხე მომიტანეს, რომელიც ქართლში არ ხარობს. გადმოტანის დროს დაიმტვრა. წითელი ნაჭრით დავაბი, ქანდის საყდართან დავრგე და ყოველდღე ვრწყავდი, ღმერთს ვევედრებოდი, გადარჩეს-მეთქი. ერთ დილას რომ გამოვედი, საოცარი სურნელი იფრქვეოდა. ამიტომაც ეძახიან მირონის ხეს — საოცარ სურნელს აფრქვევს მისი ყვავილები. ყველა მეუბნებოდა, არ არსებობს, ვერ იხარებსო. მე კი დამტვრეული ხე ვახარე. ნაჭერიც მოვხსენი და შეხორცებულია. მეც ასე, ერთი წელი ჯერ ლოგინს ვიყავი მიჯაჭვული, მერე კიდევ ერთი წელი — ინვალიდის ეტლს. შემდეგ ყავარჯნებზე გადავედი. როცა ისინიც გადავაგდე, ნელ-ნელა სირბილი დავიწყე და საქართველოში სპრინტერობაში პირველი ადგილი ავიღე.

უკრაინაში მონასტერში დავდიოდი. იქ, წმინდა სამების იონას მონასტერში იყო წმინდა გიორგის ხატი ქართველის მიერ ქართულ კანონიკაში შესრულებული. ყველა ქართველი იქ იყრიდა თავს. ჯერ სტიქაროსანი გავხდი. მერე ისე შევეჩვიე იქაურობას, ვიცოდი, ვერ გავძლებდი ამ გზის გარეშე. ეს ერთადერთი სწორი გზაა.

სიმღერებს ვწერდი და ვმღეროდი. ფილარმონიაში, კულტურის სახლის სცენებზე, გრიბოედოვის თეატრში გამოვდიოდი. ქართულად და რუსულად ვმღეროდი. ახლა ამ ჩანაწერებს რომ ვუყურებ, მრცხვენია. ახლა გალობას ვწერ.

✓ **რუსუდან ადვაძე**





Cyan Magenta Yellow Black

# თავსატეხი

იპოვეთ 7 განსხვავება



# გააფერადეთ





Cyan Magenta Yellow Black

## ვინეგრეტი დამარილებული სოკოთი

**მასალა:**

**ჭარხალი — 1 თავი**
**სტაფილო — 1 ცალი**
**კარტოფილი — 2 ცალი**
**მჟავე კიტრი — 1 ცალი**
**ხახვი — 1 თავი**
**ვაშლი — 1 ცალი**
**დამარილებული სოკო — 200 გ**
**ზეთი — გემოვნებით**
**ძმარი — 4 ს.კ.**



**მომზადება:** ჭარხალი და კარტოფილი მოხარშეთ, გააცივეთ, გაასუფთავეთ და კუბიკებად დაჭერით. სტაფილო გაფხიკეთ და პატარა კუბიკებად დაჭერით. ყველაფერი სასალათეში მოათავსეთ. ჩაუმატეთ დაჭრილი მჟავე კიტრი, ხახვი, ვაშლი და სოკო. ზეთი და ძმარი შეურიეთ, მოასხით ვინეგრეტს, მოურიეთ და სუფრასთან მიიტანეთ.

## მიდიები ციტრუსებით

**მასალა:**

**მიდიები — 400 გ**
**ზეითუნის ზეთი — 3 ს.კ.**
**წყალი — 250 მლ**
**ძმარი — 2 ს.კ.**
**შაქარი — 2 ჩ.კ.**
**მარილი — 1 ჩ.კ.**
**ფორთოხალი — 1/4 ცალი**
**ლიმონი — 1/4 ცალი**



**მომზადება:** მიდიები გაასუფთავეთ და ზეთმოსხმულ ტაფაში მოშუშეთ 3 წუთი. ქვაბში წყალი წამოადუღეთ, ჩაუმატეთ მარილი და შაქარი, ჩაუმატეთ ძმარი და მოურიეთ.

მიდიები მინის ქილაში ჩაალაგეთ ისე, რომ თითოეულ ფენას მოაწყოთ დაჭრილი ფორთოხალი და ლიმონი. მოასხით ძმრიანი სითხე ისე, რომ ქილა შეივსოს. აცადეთ, ქილები გაცივდეს და 2 დღით მაცივარში შეაწყვეთ.

## სანელებლებიანი კარტოფილი

**მასალა:**

**კარტოფილი — 400 გ**
**ზეთისხილი — 50 გ**
**კამა — 3 ძირი**
**ბარდა — 1 ს.კ.**

**შესაზავებლად:**

**ნიორი — 1 კბილი**
**ზეითუნის ზეთი — 5 ს.კ.**
**თეთრი ძმარი — 5 ს.კ.**
**მარილი, დაფქული წითელი წიწაკა, ძირა — გემოვნებით**



**მომზადება:** კარტოფილი გათალეთ, მოხარშეთ, გააცივეთ და რგოლებად დაჭერით. მოათავსეთ ღრმა ჭურჭელში და მარილი მოაყარეთ. ზეთისხილი შუაზე გაჭერით. კარტოფილს ბარდა და ზეთისხილი მოაყარეთ.

ზეითუნის ზეთს დანაყილი ნიორი შეურიეთ, დაუმატეთ ძმარი. კამა აკეპეთ და კარტოფილს მოაყარეთ, შეაზავეთ ძირათი, წითელი წიწაკით, მოასხით ძმრიანი ზეითუნის ზეთი, მოურიეთ და კერძიც მზადაა.

## კალმახი ბოსტნეულის პიურეთი

**მასალა:**

**კალმახის ფილე — 500 გ**
**კამა — 2 ძირი**
**დაფნის ფოთოლი — 3 ცალი**
**ბაჰარი — 3-4 მარცვალი**
**ბულგარული წიწაკა — 1 ცალი**
**სტაფილო — 1 ცალი**
**გოგრა — 200 გ**
**ლიმონი — 1 ცალი**
**ზეითუნის ზეთი, კარაქი — საჭიროებისამებრ**
**სუნელები, მარილი, პილპილი — გემოვნებით**

**მომზადება:** ტაფაში ზეითუნის ზეთი და კარაქი გაადნეთ. სტაფილო გაასუფთავეთ, დაჭერით კუბიკებად და ტაფაში მოშუშეთ.



ცალკე ტაფაში ფილე, აკეპილი კამა, დაფნის ფოთოლი და ბაჰარი მოათავსეთ, დაასხით ცოტა წყალი და მოთუშეთ.

ბულგარული წიწაკა კუბიკებად დაჭერით და სტაფილოიან ტაფას ჩაუმატეთ. გოგრის რბილობიც წვრილად დაჭერით და ტაფაში ჩაუშვით. შეაზავეთ მარილით, პილპილით და სუნელებით. მოშუშული ბოსტნეული ბლენდერში გადაიტანეთ და დააქუცმაცეთ. ბოსტნეული თეფშებზე გადაანაწილეთ, მიუდეთ თევზი, გაალამაზეთ ლიმონის ნაჭრებით და სუფრასთან მიიტანეთ.

## სალათა ბულგარული წიწაკით და გოგრით



**მასალა:**

**გოგრა — 300 გ**
**ბულგარული წიწაკა — 1 ცალი**
**ნიორი — 1 კბილი**
**ზეითუნის ზეთი — 2 ს.კ.**
**თაფლი — 1 ჩ.კ.**
**დაფქული მუსკატის კაკალი — მწიკვი**
**ძირა — 3 ძირი**
**სალათის ფოთლები — 1 კონა**
**მჟაუნა — 1 კონა**
**ხახვი — 1/2 თავი**
**ზეთისხილი — გემოვნებით**
**ყველი — 150 გ**
**როზმარინი, მარილი, პილპილი — გემოვნებით**

**მომზადება:** გამოსაცხობ ფორმას ზეთი მოუსვით. გოგრა გაასუფთავეთ, კუბიკებად დაჭერით და ფორმაში ჩაალაგეთ. ბულგარული წიწაკა რგოლებად დაჭერით და გოგრას მოაწყვეთ. ზემოდან ცოტა ზეთი და თაფლი მოასხით. შეაზავეთ მარილით, პილპილით და როზმარინით. მოაყარეთ დაფქული მუსკატის კაკალი, ზემოდან მოაწყვეთ ძირა. ფორმა წინასწარ 200-210 გრადუსამდე გახურებულ ღუმელში შედგით და 15-20 წუთი გამოაცხვეთ. სალათის ფურცლები და მჟაუნა დაჭერით, შეურიეთ რგოლებად დაჭრილი ხახვი და ფართო ლანგარზე ლამაზად გადაანაწილეთ. ზემოდან მოაწყვეთ გამომცხვარი ბოსტნეული. გააფორმეთ ზეთისხილით და გახეხილი ყველით. მოასხით ზეითუნის ზეთი და სუფრასთან მიიტანეთ.

ხელსაქმე

# ჩითის ვარდი

რამდენიმე ასეთი ვარდი, მინდვრის ყვავილებით სხვადასხვაფრად მოჩითული ქსოვილით და ვფიქრობ, თქვენი ინტერიერი უფრო ხალისიანი და მყუდრო გახდება.

ამ ვარდის გასაკეთებლად ძალიან მცირე დრო დაგეხარჯებათ, არც მასალის ყიდვა დაგჭირდებათ, რადგან ყველა ოჯახში მოიძებნება ქსოვილის ნაკუწები, წებო, ხის ჩხირი (შეიძლება კოქტეილის ჩხირის გამოყენებაც).

დავჭრათ ქსოვილი 5 ან მეტი სანტიმეტრის სიგანის ლენტებად. ჩხირს ერთ მხარეს წავუსვათ წებო და დავიწყოთ მასზე ლენტის დახვევა, ისე, როგორც ფოტოებზეა ნაჩვენები. ლენტი თავისუფლად უნდა დავახვიოთ, ზევიდან ქვევით, ალაგ-ალაგ ნაკეცებით, რომ ქსოვილმა ვარდის ფორმა მიიღოს. დახვევის დროს, ლენტის იმ მხარეს, რომლითაც ჩხირს ეხვევა, წებო წავუსვათ.

გამოვჭრათ პატარა ზიგზაგიანი მწვანე ქსოვილი, მასაც წავუსვათ წებო და უკვე გამზადებულ ვარდს ბოლოში შემოვახვიოთ.

ჩხირი შეგვიძლია შევღებოთ საღებავით და ზემოდან უფერო ლაქი წავუსვათ. ასევე შეგვიძლია საღებავის მაგივრად შემოვახვიოთ წვრილად დაჭრილი მწვანე ქსოვილი ან მზა ლენტი.

სულ ესაა.

გისურვებთ წარმატებას!

✓ ლელა ცუცქირიძე







## წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

№ 1

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 7 | 8 | 4 | 5 | 2 | 1 | 3 | 9 |
| 2 | 3 | 1 | 8 | 3 | 7 | 5 | 6 | 4 |
| 5 | 4 | 3 | 6 | 1 | 9 | 8 | 7 | 2 |
| 8 | 2 | 7 | 5 | 9 | 6 | 4 | 1 | 3 |
| 3 | 6 | 9 | 1 | 8 | 4 | 2 | 5 | 7 |
| 1 | 5 | 4 | 2 | 7 | 3 | 9 | 8 | 6 |
| 9 | 8 | 2 | 7 | 6 | 1 | 3 | 4 | 5 |
| 4 | 1 | 6 | 3 | 2 | 5 | 7 | 9 | 8 |
| 7 | 3 | 5 | 9 | 4 | 8 | 6 | 2 | 1 |

№ 2

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 1 | 2 | 3 | 9 | 5 | 7 | 4 | 6 |
| 9 | 7 | 6 | 8 | 1 | 4 | 2 | 3 | 5 |
| 4 | 3 | 5 | 6 | 7 | 2 | 9 | 1 | 8 |
| 5 | 2 | 4 | 1 | 6 | 7 | 3 | 8 | 9 |
| 7 | 8 | 9 | 4 | 5 | 3 | 1 | 6 | 2 |
| 1 | 6 | 3 | 8 | 2 | 9 | 5 | 7 | 4 |
| 6 | 9 | 7 | 5 | 3 | 8 | 4 | 2 | 1 |
| 2 | 4 | 8 | 9 | 7 | 1 | 6 | 5 | 3 |
| 3 | 5 | 1 | 2 | 4 | 6 | 8 | 9 | 7 |

## სამკურნალო ხალხური რეცეპტები ყველასთვის

### ვენების ვარიკოზული გაგანიერება

თიხის აბაზანა. 3 ლიტრ წყალში დაახლოებით 150 გრამი თიხის ფხვნილი (ყველანაირი გამოდგება) და 1 სუფრის კოვზი მუხის ქერქი დაალბეთ. შემდეგ ნარევი 30 წუთი ადუღეთ. მზა ნარევი თბილ აბაზანაში დაუმატეთ და ნახევარი საათი მიიღეთ. მკურნალობის კურსი 15 აბაზანა (დღეში ერთხელ).

### სურდო, ყელის ტკივილი

2 სუფრის კოვზ ზღვის მარილს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით, დაბალ ცეცხლზე 10 წუთი ადუღეთ. თავზე პირსახოცი წამოიფარეთ და ორთქლი ხან — პირით, ხანაც ცხვირით ისუნთქეთ.

### ცისტიტი

2 ჩაის კოვზ გამხმარი სვიის დაქუცმაცებულ გირჩებს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით, 1 საათი დადგით, გაწურეთ. 1/4 ჭიქა დღეში 3-ჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე და კიდევ 1/4 ჭიქა სვიის ნაყენი უშუალოდ ძილის წინ მიიღეთ.

### რადიკულიტი

შავი ბოლოკი გარეცხეთ, გაასუფთავეთ, წვრილად გახეხეთ. წელზე დაიფინეთ ზეითუნის ზეთში დასველებული ოდნავ გაწურული ბამბის ქსოვილი, ზემოდან ხელსახოცზე მოთავსებული ფაფა დაიდეთ, ყველაფერს პოლიეთილენის პარკი და შემდეგ საბანი დააფარეთ. როდესაც ზურგი წვას დაიწყებს, კომპრესი მოიხსენით და მტკივნეულ ადგილზე საბავშვო კრემი წაისვით. 5-6-ჯერ ყოველდღიურად ჩაიტარეთ.

5 წაბლი ყავისფერ კანთან ერთად ყავის საფქვავში დაფქვით. დაუმატეთ იმდენი ქაფურის ზეთი, რომ არაჟნის სისქე გამოვიდეს. შემდეგ შავი პურის 2 ნაჭერზე თხელ ფენად წაუსვით. მტკივნეულ ადგილზე დაიდეთ, პოლიეთილენი დააფარეთ და თბილად შეფუთეთ. გაიკეთეთ ყოველდღიურად 3-4 დღე რამდენიმე საათით.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძე



Cyan Magenta Yellow Black

ვარსკვლავთსიახლენი

# ჯორჯ კლუნი მორიგ ქალს დაშორდა


ჯორჯ კლუნი და სტეისი კიბლერი

ჯორჯ კლუნი კვლავ თავისუფალია. მისი და სტეისი კიბლერის ურთიერთობაც არ მივიდა ქორწინებამდე, არადა ამას თითქმის აღარაფერი ედგა წინ. ყველა ელოდა, რომ მათი რომანი ამ ზაფხულს ქორწინებით დაგვირგვინდებოდა. როგორც ამბობდნენ, უკვე ორივე მხარე შეთანხმდა, თავიანთი კავშირი ოფიციალური გაეხადათ, ამიტომ მათი დაშორება მოულოდნელი აღმოჩნდა.

მიზეზი კვლავ ჯორჯ კლუნია — როგორც ყოველთვის, მას თავისუფლება სურს. როცა ეს ამბავი მისმა ყოფილმა მეგობარმა ქალმა ელიზაბეტ კანარისმა გაიგო, სოციალურ ქსელში თავის გვერდზე დაწერა: „არავინ იოცნებოთ, რომ ოდესმე მისი ცოლი გახდებით, ის გამოუსწორებელი ბერბიჭაა“.

# ჯენიფერ ლოურენსი თავს ჩიხუახუას ადარებს



ფილმის „ჩემი შეყვარებული ფსიქოპათია“ ვარსკვლავი ჯენიფერ ლოურენსი, რომელმაც ოსკარებზე სრული ფურორი მოახდინა, გაოგნებულია თავისი პოპულარობით. ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში მან განაცხადა, რომ თავს კარგად მხოლოდ გადასაღებ მოედანზე გრძნობს, წითელ ხალიჩაზე კი სული ეხუთება, საზოგადოების ყურადღების ქვეშ ყოფნა აკომპლექსებს.

— ძალიან მეშინია, მთელი ცხოვრება შიშში არ გავატარო, როგორც ეს ჩიხუახუას ჯიშის ძაღლებს სჩვევიათ. ვერ წარმოიდგენთ, რა უხერხულ მდგომარეობაში ვარ წითელ ხალიჩაზე პოზირების დროს. ამ წუთებში მართლა ჩემი საყვარელი ძაღლი ვარ, რომელმაც არ იცის, სად დაიმალოს. ახლა უკვე ვფიქრობ, რომ წლევანდელმა კინოჯილდოებმა — ოსკარმა და ოქროს გლობუსმა, სიცოცხლე საბოლოოდ გამიმწარა. ჩემი მშვიდი ცხოვრება დასრულდა, — განაცხადა მსახიობმა.

# დენიელ კრეიგმა 7 წუთში მილიონი დოლარი იშოვა



ბრიტანელმა მსახიობმა დენიელ კრეიგმა 7 წუთში მილიონი დოლარი გამოიმუშავა. სწორედ ამდენ ხანს გაგრძელდა „რენჯ როვერის“ სარეკლამო კამპანიაში მონაწილეობა. ჯეიმს ბონდის მსახიობი რეკლამებში გადაღებაზე ყოველთვის უარს ამბობდა, მაგრამ ამ ცდუნებას ნამდვილად ვერ გაუძლო.

— არ მიყვარს, როდესაც მსახიობები კარაქის და შამპუნის რეკლამებში თამაშობენ. ვამბობდი, მე არასოდეს მივიღებ მონაწილეობას-მეთქი, მაგრამ ცდუნებას ვერ გავუძელი. 7 წუთში მილიონი დოლარი — ეს ხომ ნებისმიერის ოცნებაა, — განაცხადა მსახიობმა.

დენიელ კრეიგი 2012 წლის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მსახიობია. ბონდიანას მომდევნო ორ ფილმში ის 50 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

# მოზარდების რჩეული ვარსკვლავები


კრისტენ სტიუარტი

ჰოლივუდში „ქიდს ჩოის ევერდსი“ გაიმართა და მოზარდებმა თავიანთი რჩეული ვარსკვლავები გამოავლინეს. ცერემონიალის წამყვანი ჯოშ დიუამელი იყო, ხოლო წითელ ხალიჩაზე ბრწყინავდნენ ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც არიან კეტი პერი, კრისტენ სტიუარტი, ჯონი დეპი, კრისტინა აგილერა, ფერჯი და სელენა გომესი.

მოზარდების რჩეული საუკეთესო მსახიობი ქალი კრისტენ სტიუარტი გახდა, რომელიც ცერემონიალზე რობერტ პატინსონის გარეშე მივიდა. როგორც ჩანს, ვარსკვლავს ფეხი საბოლოოდ მოურჩა, რადგან მაღალ ქუსლებზე ენერგიულად დააბიჯებდა.

მომღერალმა ფერჯიმ თავისი ორსულობა მაქსიმალურად წარმოაჩინა. მან საბავშვო თემატიკისათვის საჭირო ფერები და კაბა შეარჩია. ყველაზე ჭრელი სამოსი სწორედ ფერჯის ეცვა.

ჯესიკა ალბა კი შედარებით მშვიდ ტონებში იყო გამოწყობილი. ის მოკრძალებულად და ელეგანტურად გამოიყურებოდა.


ფერჯი

რაც შეეხება შოუს, ყველაზე დასამახსოვრებელი კრისტინა აგილერას და პიტბულის დუეტი იყო. კრისტინამ წონაში საგრძნობლად დაიკლო, მაგრამ იდეალურ სხეულამდე ჯერ კიდევ შორსაა.

მოზარდების რჩეულები კი ასე გადანაწილდნენ:

საუკეთესო ტელემსახიობი ქალი — სელენა გომესი.

საუკეთესო ტელემსახიობი მამაკაცი — როს ლინჩი.

საუკეთესო კინომსახიობი ქალი — კრისტენ სტიუარტი.

საუკეთესო კინომსახიობი მამაკაცი — ჯონი დეპი.

საუკეთესო მომღერალი ქალი — კეტი პერი.

საუკეთესო მომღერალი მამაკაცი — ჯასტინ ბიბერი.

საუკეთესო ფილმი — „შიმშილის თამაშები“.

საუკეთესო მუსიკალური ჯგუფი — „ვან დირექშე“.

# ჟიზელ ბანდჩენმა 3 თვის შვილი ზღვაში აბანავა

მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოდელი ჟიზელ ბანდჩენი ოჯახთან ერთად კოსტა რიკის სანაპიროზე ისვენებს. 32 წლის მოდელი იქ ქმართან, ტომ ბრედლისთან და სამ შვილთან — 5 წლის ბრედისთან, 3 წლის ბენჟამენთან და 3 თვის ვივიანთან ერთად ისვენებს. ბრედი მისი ქმრის შვილია პირველი ქორწინებიდან და ოჯახურ დასვენებებს ყოველთვის მასთან ერთად გეგმავენ. იმისათვის, რომ ოჯახური გარემო მთლიანად შეეგრძნოთ, წყვილმა თან ორი საყვარელი ძაღლიც წაიყვანა.

ჟიზელმა თავისი 3 თვის გოგონა ზღვაში პირველად აბანავა. როგორც გარშემომყოფები ამბობენ, მოდელი ძალზე ბედნიერად გამოიყურებოდა. მოგვიანებით კი სოციალურ ქსელში დაწერა: „არაფერი სჯობს ცხელ ქვიშაზე დასვენებას იმ ადამიანებთან ერთად, რომლებიც ნამდვილად გიყვარს. იმდენად კომფორტულია ოჯახური ცხოვრება, რომ მიკვირს, აქამდე რატომ ვიკლებდი ამ ბედნიერებას“.




სილქნეტი
SILKNET
DREAM პაკეტი
საუკეთესო ინტერნეტ შემოთავაზება
50 MB/წმ - 30 ლარი
+ 2 მბ / წმ
+ 2 მბ / წმ
+ 2 მბ / წმ
+ 2 მბ / წმ
+ 2 მბ / წმ
+ 2 მბ / წმ
+ 2 მბ / წმ
+ 2 მბ / წმ
+ 2 მბ / წმ
+ 2 მბ / წმ
+ 2 მბ / წმ
+ 2 მბ / წმ
+ 2 მბ / წმ
22 MB/წმ - 30 ლარი
+50 მბ/წმ
+36 მბ/წმ
+28 მბ/წმ
+24 მბ/წმ
ჩაერთეთ
30 აპრილამდე !
+ ექსტრა 2 მბ/წმ ყოველთვიურად
Silk Optic
Find us on: facebook.
2 100 100
www.silknet.com
ოპტიკური ტექნოლოგიები